

*გურამ შარაძე*

---

მიკლოუ კიუი  
ტოსტუალუი

და

ქაჩთული  
ისტაჩიე



6 n9 . 5 (c 11) (09)  
37 . 8(2r)r  
655 . 1 (47 . 922) (09)  
შ 254

წიგნში მკითხველი გაეცნობა XVII საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი უნგრელი მბეჭდავისა და ასოთმქანდაკეების მიკლოშ კიშის (1650—1702) ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა წიგნის ბეჭდვის ხელოვნების ისტორიაში, ქართველი და უნგრელი ხალხების კულტურული ურთიერთობის მატიაზეში.

რედაქტორი აკად. აღ. ბარამიძე

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი

პროფესორი ს. ცაიშვილი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. სულაგა

61001—234

III ————— 62 . 82

მ 601 (08) .82

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ეროვნული სტამბის — ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული წარსულის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, მართალია, 350 წლის წინათ, 1629 წელს გამოიცა რომში, მაგრამ ეროვნული კულტურის მოღვაწენი იმთავითვე ცდილობდნენ ქართული წიგნის ბეჭდვის ხელოვნება საკუთარ მიწაზე დაეფუძნებინათ, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქართული ანბანისა და ქართული ხელნაწერი წიგნის მდიდარ კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებზე გადმოეწინააღმდეგებინათ გუტენბერგის დიდი გამოგონება.

ამ მხრივ, როგორც ცნობილია, პირველი ენერგიული ნაბიჯები მე-17 საუკუნის მიწურულს გადადგა გამოჩენილმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, მეფე-პოეტმა არჩილმა, ხოლო ვახტანგ VI-ის დაუცხრომელი ზრუნვითა და ღვაწლით საქართველოს კულტურულ ცენტრში — თბილისში დაარსდა პირველი ქართული ეროვნული სტამბა, საიდანაც 1709—1722 წლებში ორი ათეული დასახელების წიგნი, მათ შორის, 1712 წელს შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური კრიტიკული გამოცემა გამოვიდა.

მიუხედავად რევოლუციამდელ ქართველ მეცნიერთა (იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები, ს. დოდაშვილი, პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ალ. ცაგარელი, თ. ჟორდანი, ალ. ხახანაშვილი, მ. თამარაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, პ. კარბელაშვილი და სხვ.), აგრეთვე, რუს და უცხოელ ძველ თუ თანამედროვე მკვლევართა (ე. ბოლხოვიტინოვი, ს. ბულიჩი, ვ. სოპიკოვი, ი. სავინსკი, ნ. დუბროვინი, ფ. ალტერი, მ. ბროსე, კ. ფაულმანი, ე. პიკო, მ. გასტერი, სილვესტრ დე სასი, პ. შუხართი, რ. მეკელაინი, ლ. დეჟი, კ. ბიორკბომი, ე. გრენი, პ. კონსტანტინესკუ-იაში, ვ. მოლინი, გ. ტოლნაი, დ. ჰაიანი, ლ. ტარდი...) სერიოზული მუშაობისა და ძიებისა, მაინც ვადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული წიგნის ბეჭდვის. ქართუ-

ლი ეროვნული სტამბის ისტორიის კვლევას არსებითად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაეყარა მეცნიერული საფუძველი. ამ მხრივ აღსანიშნავია დ. კარიკაშვილის, პ. გუგუშვილის, ქრ. რაჭველიშვილის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის, ქრ. შარაშიძის, თ. მაჭავარიანის, თ. ნაკაშიძის, ნ. ბერძენიშვილის, გ. ლეონიძის, ალ. ბარამიძის, ბ. გორდენიანის, დ. გვრიტიშვილის, შ. მესხიას, ა. აბრამიშვილის, შ. კვასცაძის, შ. კურდღელაშვილის, ე. ლორთქიფანიძის, ო. გვინჩიძის, ო. კასრაძის, ფ. ჭინჩიხაშვილის, ჯ. ვათეიშვილის, ფ. სიხარულიძის და სხვათა მნიშვნელოვანი გამოკვლევები, წერილები, საინფორმაციო ხასიათის მასალები, ბიბლიოგრაფიები...

მაგრამ, როგორც ირკვევა, ქართული სტამბის, განსაკუთრებით, შისი უძველესი, საწყისი პერიოდის ზოგიერთი კარდინალური საკითხი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაშუქებული, ან კიდევ, ახალი მასალების მოპოვების საფუძველზე მეტ დაზუსტებას მოითხოვს.

1980 წლის ზაფხულში ამსტერდამში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი რობერტ დანი (Róbert Dán). ბედნიერი შემთხვევის წყალობით (რ. დანი სპეციალობით ებრაისტია და მუშაობს უმთავრესად ძველ ებრაულ ფილოსოფიურ ძეგლებზე), მან ამსტერდამის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში გამოავლინა (კატალოგის მიხედვით, თითქოს 1902 წლის შემდეგ შეძენილი) 1687 წელს ამსტერდამში დამზადებული ქართული სასტამბო შრიფტის სამივე სახეობის — ასომთავრულის (მრგლოვანის), ნუსხა-ხუცურის, და, რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, მხედრულის ანაბეჭდები, რის თაობაზეც მან წინასწარი ცნობები გამოაქვეყნა 1980 წლის 15 ივნისს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთ „ნეფსაბაღშაგში“<sup>1</sup>. იმავე წლის ზაფხულში, ბუდაპეშტში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას, შევხვდით პროფ. რ. დანს, რომელმაც გვიჩვენა ამსტერდამში აღმოჩენილი ქართული შრიფტების სასინჯ ანაბეჭდთა ფოტოკოპირი და პროფ. ლ. ტარდისთან ერთად გადავწყვიტეთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა რამდენიმე წინასწარი ხასიათის დაკვირვება და შთაბეჭდილებ-

<sup>1</sup> Dán Róbert, Tótfalusi Kis Miklós grúz betűi. „Népszabadság“, 15. VI. 1980.



ბა ქართული კულტურისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის თაობაზე<sup>2</sup>. იქვე მკითხველს აღვუთქვამდით, რომ „ფვიქრობთ მას საგანგებო გამოკვლევა მივუძღვნათ რ. დანის პუბლიკაციის შემდეგ“.

ახლა უკვე ხელთა გვაქვს პროფ. რ. დანის ნაკვეთი, რომელშიც გადრმავებულია მის მიერ ადრე გაზეთ „ნუნსაბადშაში“ აღძრული საკითხები<sup>3</sup>. ამასობაში, „კომუნისტი“ გამოქვეყნდა მიკლოშ კიშის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი სპეციალისტის, ბუდაპეშტის უნივერსიტეტისა და გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორის დიერდ ჰაიმანის გამომხატურება, რომელშიც გაზიარებულია ჩვენი წერილის ძირითადი დასკვნები<sup>4</sup>, ხოლო ამავე საკითხზე მისი ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა დაიბეჭდა უნგრულ და ქართულ სამეცნიერო ორგანოებში<sup>5</sup>. ამსტერდამში აღმოჩენილ კიშისეული შრიფტის ანაბეჭდებთან დაკავშირებით თავისი შეხედულება გამოთქვა აგრეთვე ჟ. ვათეიშვილი<sup>6</sup>.

ახლადგამოვლენილი მასალებისა და უკანასკნელი დროის სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, ნაშრომში გაშუქებულია მე-17 საუკუნის სახელგანთქმული უნგრელი მესტამბის მიკლოშ კიში-ტოტფალუსის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი წვლილი ქართული სტამბის ისტორიაში.

\* \* \*

წინამდებარე ნაშრომი ვერ დაიწერებოდა, რომ გამოჩენილი უნგრელი ქართველოლოგის პროფესორ ლ ა ი ო შ ტ ა რ დ ი ს მიწვე-

<sup>2</sup> ლ. ტ ა რ დ ი, გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული სტამბის სათავეებთან, „კომუნისტი“, 7. IX, 1980.

<sup>3</sup> Dán Róbert. Tótfalusi Kis Miklós gruz betűi. „Magyar Könyvszemle“ (Revue pour l'histoire du livre). Budapest, 1980, № 4, 396—398.

<sup>4</sup> დ. ჰ ა ი მ ა ნ ი, სხვა ერის შვილებიც..., „კომუნისტი“, 14. VI, 1981.

<sup>5</sup> დ. ჰ ა ი მ ა ნ ი, მიკლოშ კიში და ქართული წიგნის ბეჭდვის დასაწყისი, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), № 2, 1982; „Magyar Könyvszemle“, 1981, № 1—2.

<sup>6</sup> В а т е й ш в и л и Дж., Грузинские оттиски из Амстердама, «Литературная Грузия», 1981, № 4, 170—178; იგივე წერილი ოდნავი ცვლილებებით შემდეგ ქართულადც დაიბეჭდა: შდრ. ჟ. ვ ა თ ე ი შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“ (ისტორიის სერია), № 3, 1981, გვ. 175—185 და რეზიუმე უნგრულადც: „Valóság“, 1981, № 12, რომელზედაც პროფ. დ. ჰაიმანმა გამოაქვეყნა კრიტიკული რეცენზია: „Valóság“, 1982, № 6.

ვით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ორგზის სამეცნიერო მივლინებით არ გვემუშავა. სწორედ ამ დროს შესაძლებლობა მოგვეცა ბუდაპეშტში შევხვედროდით მიკლოშ კიშის ცხოვრებისა და შემოქმედების ისეთ ცნობილ სპეციალისტებს, როგორებიც არიან აკად. გაბორ ტოლნაი, პროფ. დიერდ ჰაიმანი, პროფ. რობერტ დანი, გაგვეცნო მათი შრომები, განსაკუთრებით, რ. დანის მიერ 1980 წელს, ამსტერდამის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი მიკლოშ კიშის ქართულ შრიფტთა ანაბეჭდი, რაც გახდა უშუალო საბაზი ამ წიგნის დაწერისა.

განსაკუთრებული მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი მეგობარი უნგრელი ქართველოლოგები ლაიოშ ტარდი, მარტონ იშტვანოვიჩი და მარგიტ ბირო, რომლებიც გვიწვედნენ საჭირო კონსულტაციებს. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი მაია ბეკეში გვშელოდა საყურადღებო უნგრული პირველწყაროების გადმოთარგმნაში, ლამარა ქაჯაიამ კი თავაზიანად დაგვითმო სარგებლობისათვის ქართული სტამბის ისტორიის რამდენიმე საგულისხმო ფოტოდოკუმენტი.

## თ ა შ ი

### ქართული ეროვნული სტამბის სათავეებთან

ქართული წიგნის ბეჭდვის დასაწყისი მჭიდროდ უკავშირდება დასავლეთ ევროპას, კერძოდ, რომთან და კათოლიკე მისიონერებთან ქართველ მოღვაწეთა ურთიერთობას.

მუსლიმანური აღმოსავლეთის გარემოცვისა და მუდმივი აგრესიის პირობებში მყოფ ძველი ქრისტიანული კულტურის მქონე საქართველოს თვალი მაინც ევროპისკენ ეჭირა და მასთან კონტაქტებს არ წყვეტდა. ბიზანტიისა და მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნებს გარდა, ჩვენს წინაპრებს თავიანთი კულტურული ორიენტაცია აღრიდანვე რომის პაპისკენაც მიუძღრავათ.

რომის პაპთან საქართველოს ურთიერთობას, მ. თამარაშვილის გამოკვლევის თანახმად, ათეულ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს<sup>1</sup>. საგულისხმოა, რომ ბერძენთა და ლათინთა საეკლესიო განხეთქილების (1054 წ.) უმალვე საქართველო არ გამოყოფია რომის პაპს და ეს ურთიერთობა თითქოს მე-13 საუკუნის პირველ ათეულ წლებამდეც კი შენარჩუნებულია. როგორც ცნობილია, 1054 წლამდე რომის პაპი შედიოდა მსოფლიო კრებათაგან დამტკიცებულ და საქვეყნოდ აღიარებულ ხუთ პატრიარქთა შორის; მაშასადამე. ამ დროისათვის არსებობდა მსოფლიო ხუთი საპატრიარქო: ანტიოქიისა, რომისა, იერუსალიმისა, ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლისა. საქართველოს კათალიკოსი, სხვადასხვა დროის სიგელ-გუჯრებში, მეექვსე პატრიარქად იწოდებოდა. მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა საეკლესიო განყოფის შემდეგ, ბერძნებმა რომის პაპისა და მეხუთე პატრიარქის სახელი ამოშალეს და დაიწყეს მხოლოდ აღმო-

<sup>1</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 27; იხ. აგრეთვე, M. Tamarati, L'Eglise géorgienne... Rome, 1910.

საეკლესიო ოთხი პატრიარქის ხსენება (მ. თამარაშვილი). ჩანს, მე-13 საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ საქართველოში საფუძველი ეყრება კათოლიკურ პროპაგანდას, რომელიც ცდილობდა მთელი საქართველო რომის ეკლესიისათვის შეეერთებინა. თამარ მეფის ასულის — რუსუდანის მეფობის დროს საქართველოში მოსულან ჯერ ფრანჩესკელი და მერე დომინიკელი მისიონერები, რომელთაც 1240 წელს თბილისში საკუთარი მონასტერი დაუარსებიათ, ხოლო მე-14 საუკუნეში ქართველი კათოლიკეებისთვის რომის პაპს ტვილელი ეპისკოპოსიც კი დაუდგენია. ქართველი ერის მესვეურები რომის პაპთან კავშირში მუდამ ხედავდნენ ევროპასთან დაკავშირების ცხოველმყოფელ აზრს ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და კულტურული დაწინაურებისათვის, აგრეთვე, რეალურ სამხედრო ძალას აღმოსავლეთის აგრესორთა წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის. ამიტომ იყო, რომ კათოლიკე მისიონერები ჩვენში ქართველ მეფე-მთავართა მუდმივი მფარველობით სარგებლობდნენ.

გარდა ფრანჩესკელი და დომინიკელი მისიონერებისა, საქართველოში სხვადასხვა დროს, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით სხვა კათოლიკური ორდენის (ვთქვათ, ავგუსტინელები, კარმელიტები) მოწესებებსაც. მაგალითად, თეიმურაზ I სპარსეთის შაჰს დროებით რომ შეურიგდა, წმინდა ავგუსტინეს წესის მონაზონმა პატრმა ამბროზიომ 1628 წელს საქართველოში ჩამოიტანა ქეთევან დედოფლის გვამის ნაწილები, რომელიც ისპაჰანის ავგუსტინიანთ მონასტერში ინახებოდა. ვხვდებით კარმელიტელ ბერებსაც, ხოლო 1661 წლიდან მოყოლებული ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოში კაპუჩინელები მოღვაწეობდნენ, მანამდე კი, მე-17 საუკუნის 20-იან წლებში, ჩვენში მოვიდნენ თეათინელი მისიონერები, მათ შორის, სწავლული ბერი დონ კრისტოფორო დე კასტელი<sup>2</sup>.

თეათინელთა საქართველოში მოსვლას ხელი შეუწყო „ურწმუნოთა“ შორის კათოლიკობის გავრცელების მიზნით 1622 წელს რომ-

<sup>2</sup> იხ. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძრები საქართველოს შესახებ: ტექსტი გაზიფრა, თარგმნა, გამოკლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1977; აგრეთვე, გ. შარაძე, ძვირფასი განძი ჩვენი წარსულისა (კრისტოფორო კასტელის გამოცემის გამო), „განთიადი“, 1978, № 5, გვ. 148 შმდ.

ში „პროპაგანდა ფიდეს“ დაარსებამ და აგრეთვე, მე-17 საუკუნის 10—20-იან წლებში აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწე იტალიელ მისიონერთა (პავლე მარია ფაიანცელი, პატრი გვილელმო ავგუსტინელი, ივანე-თადეოზი კარმელიტელი, ანჯელო ჩითადინელი, გრიგოლ ორსინი-დომინიკელი, პიეტრო დელა ვალე...) მიერ საქართველოსადმი ვატიკანში აღძრულმა ახალმა ინტერესებმა. კერძოდ, 1621 წელს ნეაპოლში დაიბეჭდა „გულწრფელი მოხსენება საქართველოს სამეფოების შესახებ პატრ პავლე მარია ფაიანცელი-დომინიკიანის მიერ“. წიგნაკის ავტორი — დომინიკელი ბერი, პაპის წარმომადგენელი შაპ-აბასის კარზე, საქართველოში ყოფილა 1616 წლის ივნის-ივლისის თვეებში. პატრი, მართლაც გულწრფელი აღტაცებით აღწერს ჩვენს ქვეყანას, მის ბუნებასა და კულტურას, მცხოვრებთ: „კაცები თეთრი არიან და მშვენიერი სახისა... თითქმის ყველას ტანისამოსი აბრეშუმისა აქვს, რადგან აბრეშუმი ბლომად იშოვება აქ; ძრიელ მკვირცხლი ნიჭი აქვსთ და გულფიცხელნი არიან. დედაკაცები ტანმალაღნი და შვენიერნი მოყვანილობისანი არიან; ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაჰყავთ ხელით და თან დააქვთ შვილდ-ისარი და ისართ-საწყობი. ქართველები ყველა ქრისტიანები არიან ბერძნის ტიბიკონისა, აქვსთ მშვენიერი ეკლესიები, ჩვენებურის მსგავსი... მათი საკუთარი და ბუნებითი ენა ქართულია, რომელიც ვგონებ, ძრიელ ადვილათ შეისწავლოს კაცმა“ (მ. თამარაშვილი, გვ. 84), ხოლო გრიგოლ ორსინმა, რომელიც იმ ხანებში (1624 წელს) სპარსეთში იმყოფებოდა, დაგვიტოვა შაპ-აბასისაგან საქართველოს აოხრებისა და ქეთევან დედოფლის წამების აღწერა.

სახელგანთქმული პიეტრო დელა ვალე (1586—1652), მართალია, საქართველოში არ ჩამოსულა, მაგრამ 1618—23 წლებში შაპ-აბასთან იყო და კარგად არის ცნობილი, თუ როგორი „თანაგრძნობა და შემწეობა აღმოუჩინა სპარსეთში ტყვედ წაყვანილ ქართველებს და განსაკუთრებით ანუგეშა დატყვევებული ქეთევან დედოფალი... ქართველების გულკეთილობამ, უბრალოებამ და სიყვარულმა კათოლიკობისადმი დელა ვალე იმ ზომამდე მიიზიდა, რომ თავისი პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ ტყვეობიდან დაიხსნა და მეორე ცოლად შეირთო ახალგაზრდა ქართველი ქალი თინათინა (Tinatin-Mariuccia di Ziba), სპარსეთში დედასთან ერთად ტყვედ წაყვანილი და იქვე დაობლებული. დელა ვალემ სახელი

შეუცვალა და მ ა რ ი უ ჩ ა დაარქვა თ ი ნ ა თ ი ნ ს, რომელიც თურ-  
მე დიდად უყვარდა ქეთევან დედოფალს“<sup>3</sup>.

1626 წლის მარტში დელა ვალე რომში დაბრუნდა და მაშინვე  
პაპს — ურბან VIII-ს წარუდგინა თავისი მოხსენება საქართველოს  
შესახებ („Informatione della Giorgia...“, გამოიცა რომში 1627  
წელს), რომელშიც პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მიზნებიდან გა-  
მომდინარე სხვა საკითხებთან ერთად, დააყენა საქართველოში კა-  
თოლიკური მისიონის გახსნის აუცილებლობის საკითხიც. ურბან  
VIII-მ დაუყოვნებლივ მოიწვია „პროპაგანდა ფიდეს“ კრება, რო-  
მელზედაც (1626 წლის მაისში) გადაწყდა საქართველოს მისიონი  
თეათინელთა ორდენისათვის მიენდოთ. მართლაც, პირველი თეათი-  
ნელები დონ პიეტრო ავიტაბილეს წინამძღვრობით იმავე წლის 23  
ივლისს საქართველოსკენ გამოისტუმრეს, თან ქართველ მეფე-მთავ-  
რებთან (თეიმურაზ I-თან, იმერეთის მეფე გიორგი III-თან, სიმონ  
გურიელთან, ლევან II დადიანთან) და მღვდელმთავართან წერილე-  
ბი გამოატანეს, რათა მისიონერები კარგად მიეღოთ და საქართველო-  
ში კათოლიკობის ქადაგების ნება მიეცათ.

გზად საქართველოში მომავალ მისიონერებს სიცილიის ნავსად-  
გურ მესინაში შემოხვდათ თეიმურაზ I-ის ელჩი ნიკოლოზ ჩოლაყა-  
შვილი (ნიკიფორე ირბახი), რომელიც დიპლომატიური მისიით ევ-  
როპაში, კერძოდ, რომში მიდიოდა, რათა სპარსეთის აგრესიის წინა-  
აღმდეგ ევროპის სახელმწიფოებთან ქართლ-კახეთის სამეფოს უშუა-  
ლო დამეგობრების გზები გამოენახა. თეათინელებმა ქართველი დიპ-  
ლომატი ნეაპოლს გაისტუმრეს, თვითონ კი კონსტანტინოპოლის გზას  
დაადგინენ. აქ მათ საფრანგეთის ელჩის დახმარებით დიდი მოურა-  
ვი — გიორგი სააკაძე გაიციენს. მრავალი ტანჯვისა და დაბრკოლების  
შემდეგ პირველ თეათინელთაგან მხოლოდ ორი — პიეტრო ავიტაბი-  
ლე და ჯაკომო სტეფანი გორში მოვიდნენ 1628 წლის 4 ივლისს  
(ბ. გიორგაძე) თუ 14 დეკემბერს (მ. თამარაშვილი), ეახლნენ თეი-  
მურაზ I-ს და პაპის წერილი გადასცეს. გორში თეათინელი მისიო-  
ნერები თეიმურაზისაგან ნაბოძებ სახლსა და ერთ პატარა ეკლესიაში  
დაბინავდნენ, რომელსაც შემდეგ წმინდა პეტრეს ეკლესია უწოდეს.

<sup>3</sup> მ. თამარაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 87—88; იხ. აგრეთვე, Поли-  
свктов М. А., Европейские путешествии XII—XVIII вв. по Кав-  
казу, Тифлис, 1935, გვ. 188—189; ბ. გიორგაძე, წინასიტყვაობა კასტელის  
გამოცემისათვის, თბილისი, 1977, გვ. 9.

თეიმურაზ I-მა მისიონერებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მშვენიერი შეხედულებით, განსწავლულობითა და ქცევით. მინდობილი მისიის უკეთ შესასრულებლად თეათინელები შეუდგნენ ქართული ენის შესწავლას, აგრეთვე, მკურნალობდნენ სნეულებს (შაპ-აბასისგან აოხრებულ საქართველოში, სნეულები, სამწუხაროდ, ბევრი იყვნენ!). მალე განკურნეს თეიმურაზის მეუღლე თამარ (ვარდისფერი) დედოფალი...

ამასობაში, 1629 წლის 14 აგვისტოს ევროპიდან მობრუნდა ნიკიფორე ირბახი-ჩოლაყაშვილი. ევროპის ქვეყნებში მის ელჩობას, პოლიტიკური თვალსაზრისით, მართალია, დიდი ნაყოფი არ გამოუღია, სამაგიეროდ იგი ქართული კულტურის ისტორიისათვის მეტად მომგებიანი აღმოჩნდა: რომში ყოფნისას ნიკიფორე ირბახმა — ჩოლაყაშვილმა „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში საფუძველი ჩაუყარა ქართული წიგნის ბეჭდვას<sup>4</sup>. ცნობილია, რომ 1629 წელს რომში მხედრული შრიფტით დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნები — სტეფანე პოლინის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ უშუალოდ ნიკიფორე ჩოლაყაშვილის (ირბახის) დახმარებითა და მონაწილეობით მომზადდა<sup>5</sup>.

---

<sup>4</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი — ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, ტფილისი, 1935, გვ. 135—155; გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი — ნიკიფორე ირბახი, თბილისი, 1977; ახალი მასალები ნ. ჩოლაყაშვილის ევროპაში ელჩობის შესახებ იხ: K. Bagrationi-Orsini, I. Tabagua, Une Ambassade géorgienne en Europe (Nicéfore Irbakhi — XVII-e s.), „Revue de Kartvélogie“, vol. XXXIX, Paris, 1981, p. 139—152.

<sup>5</sup> ამის შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს: მ. თამარაშვილის, კ. კეკელიძისა და გ. აკოფაშვილის აღნიშნულ ნაშრომთა გარდა, დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: დ. კარიკაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია (მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნე), ტფილისი, 1929; პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი (1629—1929), ტფილისი, 1929; ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია), ტ. I, 1629—1920, თბილისი, 1941; ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია), პირველი ტომის დამატებითი ნაკვეთი, 1629—1920, თბილისი, 1969; ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, თბილისი, 1953; Абрамшвили А. З., Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии (Рим, 1629—1800 гг., М., 1705—1917 гг.), «Книга. Исследования и материалы», сборник III, М., 1960; თ. კასრაძე, ძველი ქართუ-

სულ უკანასკნელად (1977 წ.), დასახელებულ წიგნებს გარდა, ვატიკანის „ბიბლიოტეკა აპოსტოლიკაში“ აღმოჩნდა 1629 წელს რომში განხორციელებული მესამე ქართული პუბლიკაცია — „ლიტანია ლაურეტანოს“ („ლოცვა ღვთისმშობლისადმი“) ქართული თარგმანი, რომელიც ლათინურიდან შეუსრულებია ნიკოლოზ ჩოლაყაშვილს (ნიკიფორე ირბახს). ამას გარდა, მიკვლეულ იქნა „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბის ძველი შენობა, სადაც პირველმა ქართულმა ნაბეჭდმა წიგნებმა იხილეს დღის სინათლე<sup>6</sup>.

სხვათა შორის, ნიკიფორე ირბახის რომში ყოფნისას პაპმა ურბან VIII-მ „პროპაგანდა ფიდეს“ შეუერთა კათოლიკური კოლეგიუმი, რომელშიც დიდი ხნის მანძილზე ახალგაზრდა ქართველები იგზავნებოდნენ სასწავლებლად.

1630 წელს პიეტრო ავიტაბილე იტალიას დაბრუნდა, ხოლო „პროპაგანდა ფიდეს“ მიერ საჩქაროდ მომზადებული ორი ახალი თეათინელი მისიონერი — არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე 1631 წლის 12 მაისს გორს მოვიდნენ. შემდეგში მათ თავიანთი მოღვაწეობით ღრმა კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში<sup>7</sup>. იტალიაში ჩასულმა პიეტრო ავიტაბილემ კი შეკრიბა თეათინელთა წესის ექვსი ახალი მოძღვარი — ჭერონიმე კარაფა, კრისტოფორო კასტელი, ჯუსტო პრატო, ანტონიო ჯარდინა, სერაფინო ფილინჯერი და ვინჩენცო კარაფა (თუ კლაუდიო), აგრეთვე ორი მორჩილი ძმა — გაეტანო კორლიტო და მატეო ფლორინო, რომელთა თანხლებით დაბრუნდა გორს 1632 წლის ივლისში. ასე რომ, გორში ამ დროისთვის თეათინელთა უკვე საკმაოდ ძლიერი მისიონი ჩამოყალიბდა. მაგრამ საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გორის მისიონი მალე დაშალა და მისი წევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტა, — ბევრმა მათგანმა დასავლეთ საქართველოს

---

ლი ნაბეჭდი წიგნი, თბილისი, 1973; მისივე, ქართული წიგნის ბეჭდვის კერები, თბილისი, 1980.

<sup>6</sup> ქ. ვათეიშვილი, ერის საგანძურს შეემატა, „კომუნისტი“, 14. XII. 1977; იხ. აგრეთვე, Европейские архивы рассказали, «Заря Востока», 4. XII. 1977; Его же, Никифор Ирбах — автор первопечатного грузинского перевода, «Литературная Грузия», № 9, 1981, с. 194—221.

<sup>7</sup> იხ. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურით ნათარგმნი ალ. ჭყონიასი, თბილისი, 1901; მე-2 გამოცემა ლ. ასათიანის რედაქციით, თბილისი, 1938; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, წერილები საქართველოზე, ბ. გიორგაძის გამოცემა, თბილისი, 1964.



მიაშურა: არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე სამეგრელოში დაფუძნდნენ ლევან II დადიანის (1611—1657) მფარველობის ქვეშ, ხოლო კრისტოფორო კასტელი, ანტონიო ჭარდინა და კლაუდიო დიდი პატივით მიიღო გურიის მთავარმა მალაქია აფხაზეთის კათალიკოსმა. სწორედ დასავლეთ საქართველოში (გურია, სამეგრელო, იმერეთი) გაშალა კრისტოფორო კასტელიმ ფართო შემოქმედებითი მოღვაწეობა, რითაც უკვდავყო თავისი სახელი...

მ. თამარაშვილის სიტყვებით, „გორში რო შემცირდნენ მისიონერები, პატრი ავიტაბილე იძულებული გახდა იტალიიდგან ახალი მისიონერები დაებარებინა. 1637 წელს გორს მოვიდა ორი ახალი მისიონერი — ფრანჩისკე მაჯო და კლემენტე გალანო, რომლებმაც საკმაოდ განითქვეს სახელი თავიანთის წერილებით. მაჯო მაშინვე შეუდგა ქართული სა და თათრული ენის შესწავლას. იმან ქართული ისე მალე და კარგად შეისწავლა, რომ დასწერა თავისი შესანიშნავი სინთაგმათონად წოდებული გრამატიკა ქართულ-ლათინურად“ (გვ. 129—130).

მართლაც, ეს ფრანჩისკე მაჯო, რომელსაც საქართველოში 1637 წლიდან ყოფნისას ასე კარგად შეუსწავლია ქართული ენა, არის სწორედ ის ავტორი, რომელმაც უკვე 1643 წელს, რომში, „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში დაბეჭდა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელშიც, სხვათა შორის, პირველად ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაში, ჩართულია ქართული ანბანის სამივე სახეობა — მხედრული, მრგვლოვანი და ნუსხა-ხუცური. ეტყობა, რომში 1629 წლის შემდეგ, როცა მხოლოდ მხედრული შრიფტით დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნები, „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში ამ დროისათვის უკვე მრგვლოვანი და ნუსხა-ხუცურიც დაუმზადებიათ. ამის შემდეგ, 1670 წელს იქვე განხორციელდა მაჯოს 1643 წლის „ქართული ენის გრამატიკის“ მეორე, სტერეოტიპული გამოცემა.

მე-17 საუკუნეში რომში გამოცემული უკანასკნელი ქართული წიგნი იყო 1681 წელს დაბეჭდილი „საქრისტიანო მოძღვრება სიმვოლებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარიამისაგან ნეაპოლელი კაპუჩინი და მქადაგებელი და მღრთის მეტყველი იტალიანურის ენისაგან მხედრულ-

ლი ქართულის ენითა. ქ<sup>ს</sup> ჩქპა“, რომელიც „დაბეჭდვის წინად განუხილავს ქართველ კათოლიკეს ენიბეგანთ ზალინას“<sup>8</sup>.

ამის შემდეგ, ეტყობა, საბოლოოდ მომწიფებულა საკითხი საკუთრივ საქართველოში სტამბის მოწყობისა და ქართული წიგნის ბეჭდვის დაწყებისა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს პირველი ცდა წარუმატებლად დამთავრებულა. მიუხედავად ამისა, იგი თვალნათლივ მოწმობს ქართველების დაუოკებელ წყურვილზე, ზიარებოდნენ გუტენბერგის ხელოვნების საიდუმლოებას, რათა კვალში ჩადგომოდნენ ევროპული კულტურის ამ უდიდეს მონაპოვარს და ქართული ხელნაწერი წიგნის უძველესი ტრადიციები თვისობრივად ახალ საფეხურზე აეყვანათ.

ეს პირველი ცდა ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მეფე-პოეტს არჩილ II ბაგრატიონს (1647—1713). არჩილი მოსკოვში პირველად ყოფნისას (1685—1688 წწ.) დაუკავშირდა მაშინდელ დასავლეთ ევროპაში სასტამბო საქმის ერთ-ერთ ყველაზე მეტად დაწინაურებულ ცენტრს — ამსტერდამს და იქ მოღვაწე გამოჩენილ უნგრელ ასოთმქანდაკებელს და მბეჭდავს მიკლოშ კიშს, ვისაც შეუქვეთა ქართული შრიფტის დამზადება...

---

<sup>8</sup> მ. თამარაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 255; ეს წიგნი, რომელიც, ჩანს, ხელთ ჰქონია მ. თამარაშვილს, არაა შესული „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში“.

ზინ იყო მიკლოზ კივი ტოტვალუში?

1526 წლის 29 აგვისტოს მოხაჩის კატასტროფის შემდეგ დაიწყო უნგრეთის სამეფოს სწრაფი დაშლა და თურქების ბატონობა. რასაც იმთავითვე მოჰყვა ავსტრიელ ჰაბსბურგთა ასეთივე დამპყრობლური პოლიტიკის გაძლიერება. უნგრეთი ოსმალეთისა და ავსტრიის საომარ ასპარეზად იქცა, სადაც ორი მოქიშპე დამპყრობელი ერთმანეთს ეცილებოდა უნგრელი ხალხის დასამონებლად.

ესეთ პირობებში მოხდა უნგრეთის სამეფოს სამ ნაწილად დაშლა: სულთანი, რომელიც დაინტერესებული იყო უნგრეთში ჰაბსბურგთა გავლენის დასუსტებით, 1541 წელს დათანხმდა ტრანსილვანიაში<sup>1</sup> ეცნო იანოშ ჟიგმონდის უფლებები, ამ უკანასკნელისაგან ყოველწლიური ხარკის გაღებით. ამგვარად, სულთანის სუვერენიტეტის აღიარებისა და მისი დახმარებით ჰაბსბურგთა მისწრაფებების დათრგუნვის ფასად, აღმოსავლეთ უნგრეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი უნგრული სახელმწიფოებრივი ერთეული — ტრანსილვანიის სამთავრო. უნგრეთის სამეფოს დანარჩენი ორი დამოუკიდებლობადაკარგული ნაწილიდან ერთი — ოსმალთა თურქების მიერ იყო ოკუპირებული, ხოლო მეორე დიდხანს მოექცა ჰაბსბურგთა ბატონობის ქვეშ.

1541—1604 წლებში ტრანსილვანიაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ბრძოლა თურქთა და ჰაბსბურგთა მომხრეებს შორის, უფრო მეტად იმის მიხედვით, თუ რომელ ბანაკს ეკუთვნოდა თვითონ ტრანსილვანიის მთავარი.

<sup>1</sup> ტ რ ა ნ ს ი ლ ვ ა ნ ი ა — ისტორიული რომის იმპერიის დაკვირვების ტერიტორია, უნგრულად — ე რ დ ე ი, რუმინულად — ა რ დ ე ა ლ ი (დღეს შედის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში)

შედარებით მეტი დამოუკიდებლობის მქონე ტრანსილვანია 1604 წლიდან გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი, რომელიც უფრო ჰაბსბურგების წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან ამ დროისათვის ოსმალეთი უკვე ისეთ საშიშ ძალას უნგრეთისათვის აღარ წარმოადგენდა. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ტრანსილვანიის მთავარმა თანდათან შეუმცირა პორტას ყოველწლიური ხარკი. თვალსაჩინო წარმატებებს მიღწია ამ მხრივ ტრანსილვანიამ გაბორ ბეტლენის (1619—1629) და დიერდ რაკოცი I-ის (1629—1648) მთავრობის დროს, როდესაც ჰაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლა დამყარებული იყო თურქებზე დამოკიდებულების ფორმალურ აღიარებაზე, რითაც მათ უზრუნველყოფილი ჰქონდათ მშვიდობიანი ზურგი. ახალი მთავარი დიერდ რაკოცი II (1648—1660). თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, თურქების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების პოლიტიკას დაადგა, რითაც მან სულთანი აიმხედრა და ტრანსილვანიის სამთავრო მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა. თურქების მიერ საბოლოოდ დამარცხებული დიერდ რაკოცი II-ისა და მისი პოლიტიკის გამგრძელებლის იანოშ კემენის შემდეგ, 1661 წლის 14 სექტემბერს ტრანსილვანიის მთავარი გახდა მიხაი აპაფი, რომელიც ქვეყანას 1690 წლამდე მართავდა. მიხაი აპაფი სულთნის ნება-სურვილის უპიტიყვოდ გამტარებელი იყო და გაზრდილ ყოველწლიურ ხარკსაც მორჩილად იხდიდა. ტრანსილვანია თურქების მძიმე უღელქვეშ აღმოჩნდა და სხვებთან შედარებით უფრო დამოუკიდებელი ნაწილი უნგრეთისა საკმაოდ დაუძლურდა.

მაგრამ ისევ მოხაჩთან, 1687 წლის 12 აგვისტოს ჰაბსბურგთა მხედართმთავარმა გამანადგურებელი დარტყმა აგემა თურქებს და თავისი ჯარი ტრანსილვანიაში შეიყვანა. ასე ერთდროულად მოხდა ტრანსილვანიის განთავისუფლება ერთი დამპყრობლისაგან და მისი ოკუპირება მეორე არანაკლებ საძულველი დამპყრობლის მიერ. ტრანსილვანიის მთავარმა მიხაი აპაფიმ 1687 წლის 27 ოქტომბერს ხელი მოაწერა ჰაბსბურგთა ჯარის მიერ ტრანსილვანიის ოკუპაციის აქტს. რის საზღაურადაც სიკვდილამდე — 1690 წლის 15 აპრილამდე მთავრის ტიტული შეინარჩუნა. ტრანსილვანიის კანცლერმა მიხაიტელეკიმ საიმპერიო გრაფის ტიტული მიიღო და ჰაბსბურგების სამსახურში გადავიდა, მაგრამ მალე დაიღუპა, კერძოდ, 1690 წლის 21 აგვისტოს, როცა იმრე ტეკელიმ უკანასკნელად სცადა თურქების

ტრანსილვანიაში დაბრუნება. ქვეყანაში დიდი ხნით (1690—1790 წწ.) დამყარდა ჰაბსბურგთა ბატონობა...<sup>2</sup>.

აი, ასეთ ისტორიულ პირობებში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა ტრანსილვანიის ერთ-ერთ საუკეთესო შვილს. დიდ უნგრელ მესტამბესა და კულტურის მოღვაწეს მიკლოშ კიშს (1650—1702).

მიკლოშ კიში (Miklós Kis) დაიბადა 1650 წელს, ტრანსილვანიაში, სატმარის მხარეში, ქ. ნადბანესთან (Nagybánya) ახლოს, სოფელ მისტოტფალუში (Miszlótfa). ამიტომ ეძახიან მას მისტოტფალუში-ს, ან იგივე, ტოტფალუში-ს (Miszlótfalusi, Tótfalusi — ქართულად მისტოტფალუშელს, ტოტფალუშელს ნიშნავს).

მომავალი დიდი მესტამბე ღარიბ ოჯახში დაიბადა. მშობლების სახელი ჩვენთვის უცნობია. ასევე ცოტა რამ ვიცით მისი ბავშვობის შესახებაც.

მ. კიშმა სწავლა განაგრძო ქ. ნადბანეში, ტრანსილვანიის საუკეთესო კალვინისტურ სკოლაში. იგი მოწყობილი იყო დებრეცენის ლუთერანული სკოლის მსგავსად. რადგან დებრეცენი ამ დროს მეცნიერების დაწინაურებულ ქალაქად ითვლებოდა. აქ ასწავლიდნენ ორატორულ ხელოვნებას, პოეტიკას, სინტაქსს, რა თქმა უნდა, საღვთისმეტყველო საგნებსაც. სკოლის დამთავრების შემდეგ მ. კიში გახდა სასულიერო პირი და ამ სკოლის მასწავლებელი. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მ. კიშმა თავი მიანება სკოლაში სამსახურს და ერთხანს თავის მშობლიურ სოფელ მისტოტფალუში სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა.

ლოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ მ. კიშმა ქ. ნადბანეში გაიარა ფილოლოგიისა და თეოლოგიის კურსი და სწავლობდა აგრეთვე ქ. ნადენედშიც (Nagy-Enyed).

მ. კიში მოესწრო თავისი ღროისთვის ისეთ სახელგანთქმულ მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ პალ ჩერნატონი, პალ კერესტური და იანოშ აპაცაი-ჩერი. ამ უცანასკნელმა განათლება ჰოლანდიაში მიიღო, სადაც გაეცნო დეკარტეს ფილოსოფიასა და ინგლისური პურიტანიზმის იდეებს, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე. აპაცაი-ჩერის უმთავრესი თხზულება, რომლის წერა მან ჯერ კიდევ ჰოლანდიაში დაიწყო და სამშობლოში დაასრულა, არის „უნგრული ენციკლოპედია“, გამოცემული

<sup>2</sup> იხ. История Венгрии в трех томах, т. I, М., 1971.

უტრექტში 1653 წელს. აქ პირველადაა უნგრულ ენაზე გადმოცემული იმდროინდელი მეცნიერების მთავარი მიღწევები, მათ შორის, ბუნებისმეტყველების დარგიდანაც. აპაცაი-ჩერიმ თამამად გაიზიარა კოპერნიკის მოძღვრება და მისი თანამედროვე მოწინავე მეცნიერების სხვა მიღწევები. დიდია აპაცაი-ჩერის დამსახურება, როგორც უნგრული მეცნიერული ტერმინოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლისა. თავის პედაგოგიურ თხზულებებში აპაცაი-ჩერი კომენსკის მიმდევარია. იგი იბრძოდა სწავლების მშობლიურ ენაზე დანერგვისათვის. განმანათლებლობის ჰუმანისტური იდეების მკაფიო ბეჭედი აზის მის წიგნს ლოგიკაზე, რომელიც 1654 წელს გამოვიდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უნგრული კულტურის განვითარებაში.

აპაცაი-ჩერის იდეებს ავითარებდა ექიმი, ფილოსოფოსი და ლინგვისტი ფერენც პაპაი პარიზი, რომელიც სწავლობდა გერმანიასა და შვეიცარიაში. მან, როგორც მედიცინის დარგში პირველი უნგრული წიგნის ავტორმა, არანაკლები პოპულარობა მოიპოვა უნგრულ-ლათინური და ლათინურ-უნგრული ლექსიკონების შედგენითაც. სხვათა შორის. ფერენც პაპაი პარიზმა დიდი როლი ითამაშა მიკლოშ კიშის ცხოვრებაშიც. იგი ხელს უწყობდა და მხარში ედგა მას მუშაობაში, დაბოლოს, დაგვიტოვა მ. კიშის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი პოეტური თხზულებაც.

ასევე ნაყოფიერი გავლენა მოახდინა მ. კიშის ახალგაზრდულ წლებზე ცნობილი ღვთისმეტყველისა და არისტოტელეს მიმდევრის — იანოშ კოცეიუსის იდეებმა.

ამ დროს მრავალი უნგრელი ახალგაზრდა უმაღლეს განათლებას ჰოლანდიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში იღებდა და სამშობლოში დაბრუნებისთანავე იქ მიღებულ ცოდნას თავის ქვეყანაში ავრცელებდა. მათი მიმდევარი და ახალი ევროპული იდეების ერთ-ერთი მქადაგებელი იყო მარტონ დეში, რომელიც მიკლოშ კიშთან ერთად სწავლობდა ნადენედში და შემდგომში ცნობილი თეოლოგი გახდა.

მაშინდელ ტრანსილვანიაში მიმდინარე ცხარე დოგმატური ბრძოლების გამო, ბევრი ახალგაზრდა თეოლოგი მწვავე უთანხმოებაში აღმოჩნდა ორთოდოქსალურ სასულიერო ხელისუფლებასთან — ტრანსილვანიის რეფორმატორული ეკლესიის მესვეურებთან. მათ შორის იყო მიკლოშ კიში, რომელიც სხვა ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად, იხსნა ტრანსილვანიის გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ

მიკლოშ ბეტლენმა, რომელსაც, სხვათა შორის, საინტერესო მემუარები დარჩა, დღესაც რომ არ დაუქარგავს ისტორიული პირველწყაროს ღირებულება და მხატვრული ღირსებები.

ასე რომ, 1673 წლისთვის მიკლოშ კიში უკვე საკმაოდ ცნობილი თეოლოგი გახდა, ამასთან, კარგი ორატორი და მუსიკოსიც. სწავლასთან ერთად ის ხელმძღვანელობდა საეკლესიო გუნდს, ასწავლიდა უმცროს კლასებში, რამაც საშუალება მისცა შეეგროვებინა გარკვეული სახსრები საზღვარგარეთ წასასვლელად და იქ განათლების მისაღებად.

1670-იანი წლების დამლევს მიკლოშ კიშს ტრანსილვანიის პროვინციულ ქალაქ ფოგარაშში (Fogaras) ვხედავთ, სადაც მისი თეოლოგიური მოღვაწეობა კულმინაციას აღწევს. მაგრამ მოულოდნელად მიკლოშ კიშის ცხოვრებაში მოღვაწეობის სრულიად ახალი პერსპექტივები გადაიშალა...

\* \* \*

1645 წელს ამსტერდამში მოსწავლე უნგრელმა სტუდენტებმა თხოვნით მიმართეს მესტამბე იანოშ იანსონს (János Janson), რომ დაეხმებოდა ე. წ. სამეფო ბიბლია, რადგან 1612 წლის შემდეგ ბიბლია უნგრულად აღარ გამოცემულა.

იანსონი, საერთოდ წიგნების გადაბეჭდვას მისდევდა და კარგი შემოსავალიც ჰქონდა. ამიტომ იგი სიამოვნებით დათანხმდა უნგრელი სტუდენტების ამ წინადადებას.

მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთში სტამბა ჯერ კიდევ მეფე მატიაშის კარზე მოქმედებდა (პირველი უნგრული წიგნიც სწორედ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბეჭდა), მაინც გადაწყდა ბიბლიის ხელმეორედ ამსტერდამში გამოცემა, რადგან ეს უფრო იაფი იყო და ხელსაყრელიც.

მაგრამ როგორც საჭირო იყო ისეთი ბიბლიის გამოცემა ჰიანურდებოდა. ამიტომ ტრანსილვანიის მთავარმა მიხაი აპაფიმ ეპისკოპოს მიხაი ტოფეუსს დაავალა ამსტერდამში შესაფერისი პიროვნების გაგზავნა ბიბლიის გამოსაცემად. არჩევანი ტოტფალუშიზე შეჩერდა.

1680 წელს მიკლოშ კიში ტოტფალუში გაემგზავრა პოლანდიაში. ამსტერდამში ჩასული მიკლოშ კიში აქ დამკვიდრებამდე ლეიდენსა

და უტრეხტს ეწვია, საიდანაც 12 ნოემბერს წერილი გაუგზავნა თავის ფრანგ მეგობარს აბსოლონს. ტოტფალუში წერდა, რომ ყველაზე მეტად ვილიამ ბლაუს (W. J. Blaeu) სტამბა მომეწონაო.

მართლაც, ვილიამ ბლაუს სტამბა მთელ მსოფლიოში იყო სახელგანთქმული, სადაც 40—50 საუკეთესო ოსტატი მუშაობდა და შესანიშნავი წიგნები იბეჭდებოდა. 1673 წელს იგი ძლიერმა ხანძარმა თითქმის გაანადგურა, მაგრამ 1680 წელს სტამბა კვლავ აღადგინა მისმა შვილმა. სტამბას ისეთი დიდებული შენობა ჰქონდა, რომ უკვე მისი გარეგნული ბრწყინვალეობით შეგეძლოთ გემსჯელათ ბლაუს სტამბის მაღალ კულტურაზე. თვით მიკლოშ კიში გვიამბობს: „როდესაც მე შევედი სტამბის შენობაში, მასპინძელმა დიდი სტუმართმოყვარეობით მიმიღო. ჩემი ამსტერდამში ჩასვლის მიზეზი რომ გაიგო, დაინტერესდა უნგრეთში საკუთარი სტამბის არსებობით. რა თქმა უნდა გვაქვს, — ვუპასუხე მე. — მაგრამ სასტამბო შრიფტი მოძველდა და საჭიროა როგორც შრიფტის, ისე საერთოდ, სტამბის განახლება-მეთქი. მაშინ, — მითხრა მასპინძელმა, — აუცილებელია უნგრელმა შეისწავლოს ასოების ამოჭრა და ჩამოსხმა, ხოლო ამისთვის საჭიროა მას ჯიბეში ჰქონდეს ფული. ხოლო მხრებზე — გონიერი თავიო“.

როცა მას უკითხავს, რა ელირება ყველა ამ ხელობის სწავლაო, უპასუხიათ, რომ კვებისა და ბინის ქირის გარდა, 200 ტალერი უნდა გადაეხადა.

ბლაუს შეგირდად აუყვანია ტოტფალუში, რომელიც დიდი სიბეჯითით მოჰკიდებია სწავლას, მონაწილეობდა ყოველგვარ სასტამბო საქმიანობაში, რადგან შეგნებული ჰქონდა, რომ მხოლოდ ასეთი დაუზარელი შრომით შეძლებდა კარგად დაუფლებოდა წიგნის ბეჭდვის ხელოვნებას.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ქ. ნადენედში ყოფნისას, მიკლოშ კიში ტოტფალუში ოცნებობდა საზღვარგარეთ წასვლასა და იქაურ უნივერსიტეტში ლექციების მოსმენაზე, მაგრამ ამსტერდამში ჩასვლის შემდეგ იგი ისე გაიტაცა სასტამბო საქმემ, რომ მიხვდა, ეს იყო მისი ნამდვილი მოწოდება. ერთდროულად უნივერსიტეტში სწავლაც და სტამბაში მუშაობა არ გამოდიოდა, ამიტომ მან თავი შეიანება უნივერსიტეტს.

ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ტოტფალუშიმ დამოუკიდებლად ჩამოასხა 100 ათასი ლათინური და ებრაული ასო. უკვე ეს



ციფრი თავისთავად მრავლისმთქმელია! ბლახ მას ანდობდა თავისი მატრიცების გაწორებას და ოსტატს შეგირდი ისე შეუყვარდა, რომ ბეკდვის ხელოვნების ყველა საიდუმლო გაუმჟღავნა: „არც ერთ ბელგიელს, რამდენი ფულიც არ უნდა მოეცა, არ ვასწავლიდი ამ საქმეს, თუნდაც ისეთივე ნიჭიერი ყოფილიყო. როგორც შენა ხარ!“ — ეუბნებოდა თურმე ბლახ ტოტფალუშის.

მიუხედავად იმისა, რომ ტოტფალუში ძლიერ იყო დაკავებული, იგი მაინც ახერხებდა წერილები მიეწერა თავისი უახლოესი მეგობრის ფერენც პაპაი პარიზისა და ეპისკოპოს ტოფეუსისადმი. ერთ-ერთ წერილში იგი პარიზის სწერდა: „მე ყოველთვის ვცდილობდი ყური დამეგდო თქვენი რჩევისათვის და მსურს, რომ შევისწავლო ეს საქმე და ჩემი ცოდნა მოვახმარო ხალხის კეთილდღეობას. ჩემი ოცნებაა გამოვეცე ბიბლია მშობლიურ ენაზე და ღმერთს ვთხოვ შეველას მის ახდენაში“.

საპასუხო ბარათში პაპაი პარიზი უწონებდა განზრახვას და ურჩევდა უნგრეთში დაბრუნებისას გაეხსნა საკუთარი სტამბა, რომელიც ბევრად უკეთესი იქნებოდა იქ არსებულ სხვა სტამბებთან შედარებით.

1681 წელს მიკლოშ კიშმა წერილი მიიღო ტრანსილვანიის რეფორმატორული ეკლესიის მესვეურთაგან, რომელშიც ატყობინებდნენ, რომ საეკლესიო საბჭომ სწორედ მას მიანდო უნგრული ბიბლიის დაბეჭდვა, ოღონდ აფრთხილებდნენ, არავითარი შესწორება შიგ არ შეეტანა.

წერილს ხელს აწერდა ეპისკოპოსი ტოფეუსი. ამავე დროს ტოტფალუში იღებს ტრანსილვანიის მთავრის აპაფის წერილსაც, რომელშიც იგი ჭკუას არიგებდა, კარგად შეესწავლა წიგნის ბეჭდვა, გამოეცა ბიბლია, მაგრამ ამავე დროს ყოველგვარ პასუხისმგებლობას თავიდან იცილებდა, თუ შინ დაბრუნების შემდეგ ამის გამო მას რაიმე ხიფათი შეემთხვეოდა.

1682 წლის 28 ნოემბერს ტოტფალუშში წერილი გაგზავნა ტრანსილვანიაში (ქ. კოლოჟვარში) და ითხოვა ბიბლიის დასაბეჭდი თანხა. ამ დროს ტრანსილვანიაში რთული ვითარება სუფევდა: 1683 წელს თურქებმა მარცხი განიცადეს ვენასთან. დადიოდა ხმები, თითქოს მთავარი აპაფიც დაილუპაო, რაც ტრანსილვანიის დამოუკიდებლობის დაკარგვასა და პაპსტურგების გავლენის ქვეშ მოქცევას ნიშნავდა. ეს კიდევ თავის მხრივ, რეფორმატორულ ქვეყანაში კათოლი-

კური სარწმუნოების გაბატონებას მოასწავებდა. ამიტომ ტოტფალუში სამშობლოდან პასუხს აღარ დაელოდა და გადაწყვიტა, თავისი ხარჯით გამოეცა ბიბლია, რადგან გრძნობდა მის სწორედ ამ მომენტში გამოცემის აუცილებლობას, რათა შემდეგ იგი ტრანსილვანიაში გავრცელებინა. ბიბლიის უნგრულ ენაზე გამოცემა ძნელად განსახორციელებელი საქმე იყო, რაც მას უდიდეს შრომად, ბოლოს კი, შეიძლება ითქვას, სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა.

ლათინურ და ებრაულ ორიგინალებთან უნგრული ბიბლიის იანსონისეული გამოცემის შედარებისას, მ. კიშმა უამრავი შეცდომა აღმოაჩინა. მაშინ მან დახმარებისთვის თხოვნით მიმართა ჰოლანდიაში, კერძოდ, უტრეხტის უნივერსიტეტში მოსწავლე უნგრულ სტუდენტობას და მათთან ერთად შეუდგა უნგრული ბიბლიის სწორებას.

ტრანსილვანიის ეპისკოპოსმა რომ გაიგო ტოტფალუშის საქმიანობა, საშინლად განრისხდა და აუკრძალა ბიბლიის ბეჭდვა, ამასთან, უარი უთხრა ყოველგვარ ფულად დახმარებაზე: მაშინ ტოტფალუში იძულებული გამხდარა წერილი მიეწერა ტრანსილვანიის კანცლერ გრაფ მიხაი ტელეკისათვის, რომელშიც ატყობინებდა, რომ მართალია. იგი ასწორებს ბიბლიას, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ვოეტიუსის პოზიციებიდან, რომელსაც ემხრობოდა თვით ტრანსილვანიის ეპისკოპოსი ტოფეუსიც. მაგრამ არც ამ ხერხმა გაჭრა, ტოტფალუშის მაინც აუკრძალეს ბიბლიის ბეჭდვა. ამასობაში ეპისკოპოსმა ტოფეუსმა გამოყო სათანადო თანხა ბიბლიის გამოსაცემად, ოღონდ იგი თვითონ ტრანსილვანიაში უნდა დაებეჭდათ. გადიოდა დრო, ტოფეუსის შეკვეთა კი ჭიანურდებოდა, ხოლო მიკლოშ კიში ტოტფალუში მაინც განაგრძობდა ამსტერდამში უნგრული ბიბლიის სწორებასა და ბეჭდვას. უტრეხტელი სტუდენტები, რომლებიც ეხმარებოდნენ მიკლოშ კიშს ბიბლიის ბეჭდვაში, ბევრჯერ ჩასულან ტრანსილვანიაში, რათა დაერწმუნებინათ გრაფი ტელეკი, რომ ტოტფალუში თავისი ხალხისა და მშობლიური ენის პატრიოტი იყო. მათ ტელეკის კიდევ ჩაუტანეს ტოტფალუშისეული ბიბლიის ერთი ეგზემპლარი, რომელიც გრაფს ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა. მიკლოშ კიში გამოეწვია ჰოლანდიიდან, რათა სამშობლოში განეგრძო მოღვაწეობა.

1684 წელს მიკლოშ კიშმა დაასრულა ამსტერდამში უნგრული ბიბლიის ბეჭდვა, რომელიც „ოქროს ბიბლიის“ სახელწოდებითაც ცნობილი. მისმა გამოცემამ ბევრი ხარჯი მოითხოვა. ტოტფალუში

არ ზოგავდა არც სახსრებს და არც საკუთარ თავს, დღე და ღამეს ასწორებდა, ოღონდ კი ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე და აღსრულებინა თავისი ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე.

მიკლოშ კიშის, როგორც მესტამბის სახელი თანდათან იზრდებოდა. ამსტერდამში ჩასული სომხების თხოვნით, 1685 წელს მიკლოშ კიში ამზადებს სომხურ შრიფტს, ხოლო მალე 1686 წელს. არჩილ მეფის შეკვეთით, იწყებს ქართულ შრიფტზე მუშაობას (ამის შესახებ დაწვრილებით ცალკე გვექნება საუბარი).

ქართველი მეფის შემდეგ მიკლოშ კიშს ანალოგიური თხოვნით მიმართეს ტოსკანელმა დიდმა ჰერცოგმა კოზიმო მედიჩი III-მ და რომის პაპმა ინოკენტი XI-მ.

კოზიმო მედიჩი III ცნობილია, როგორც იმ დროისათვის ერთი უგანათლებულესი პიროვნება. მან გადაწყვიტა თავისი ბიბლიოთეკისა და ფლორენციული სტამბის განახლება. რისთვისაც ამსტერდამიდან ფლორენციაში გაიწვია მიკლოშ კიში. უნგრელი დიდოსტატი ხალისით დათანხმდა ამ წინადადებას და გაემგზავრა კიდევ ფლორენციაში. მისი ნახელავით აღტაცებულ ჰერცოგს ასე მიუმართავს ტოტფალუშისათვის: „განსაკვიფრებელია, მაგრამ აქამდე ყოველთვის იტალიელები იპყრობდნენ უნგრეთს რელიგიითა თუ სხვა რამით, მაგრამ აი, ახლა, იტალიას დასჭირდა უნგრელის ცოდნა“. ჰერცოგმა კიშს შესთავაზა ფლორენციაში დარჩენა, მაგრამ მან უარი განუცხადა.

მედიჩის შემდეგ, რომის პაპის ინოკენტი XI-გან იღებს შეკვეთას ტოტფალუში. მის მიერ ჩამოსხმული ლათინური ასოები ყველას მიერ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ნახელავად იქნა აღიარებული. მიკლოშ კიშმა სახელი გაუთქვა არა მარტო მშობელ ერს, არამედ ამსტერდამსაც, რომელიც მაშინდელ კულტურულ სამყაროში სასტამბო ხელოვნების ცენტრად იყო მიჩნეული: „მარტო ამ ქალაქში, — ამბობდა ტოტფალუში, — უფრო მეტი სტამბაა, ვიდრე მთელს გერმანიაში. და ყველა ხალხი, ვისაც სტამბის შექმნა სურდა, ამსტერდამისკენ მოისწრაფვოდა, ისე როგორც სისხლი არტერიებით მიისწრაფვის გულისაკენ“.

მიკლოშ კიში ამსტერდამში სახელგანთქმული მესტამბე და საკმაოდ შექმლებული კაცი გახდა, მაგრამ გული მაინც სამშობლოსკენ მოუწევდა და თანამემამულეებიც განუწყვეტლივ მოუხმობდნენ მას.

1689 წელს ქ. ფოგარაშში ერთ-ერთ შეკრებაზე საბოლოოდ გა-

დაწყდა. რომ ტოტფალუში დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულიყო ტრანსილვანიაში. სამშობლოში მომავალი გზა გადიოდა კათოლიკურ პოლონეთზე, სადაც კიშისეულ „ოქროს ბიბლიას“ კონფისკაცია უყვეს და თვითონ მესტამბეც გვარიანად გააარცევს. ასე რომ, მ. კიში ტრანსილვანიაში სულ მთლად გალატაკებული დაბრუნდა.

1690 წლის ივნისში მ. კიში დებრეცენში ჩავიდა, ხოლო აქედან მალე ტრანსილვანიის მაშინდელ დედაქალაქ კოლოჯვარში (ახლანდელი ქ. კლუჟი — ნაოკა რუმინეთში) გადავიდა. სადაც გრაფების — ტელეკისა და ბეტლენის შუამდგომლობით, 4500 ცალი „ოქროს ბიბლია“ და წართმეული ქონების ერთი ნაწილი მას დაუბრუნეს პოლონეთიდან.

ტრანსილვანიაში უკვე გაჩაღებული იყო დაუნდობელი ბრძოლა რეფორმატორებსა და კათოლიკეებს შორის. მიკლოშ კიში სწორედ ამ ბრძოლის მსხვერპლი გახდა. ტოტფალუშის ოცნება, გადაექცია კოლოჯვარი მეორე ამსტერდამად, უნაყოფოდ ჩაიფერვლა. მართალია, აქ მან დააარსა საკუთარი სტამბა, მაგრამ მას დიდხანს არ უმოქმედია. ათასმა მოშურნემ და მტერმა თავისი გაიტანა: 1698 წელს მიკლოშ კიშმა კოლოჯვარში დაბეჭდა თავისი სახელგანთქმული ავტობიოგრაფიული თხზულება „მენჩეგი“ („თავის გასამართლებლად“), რომელზედაც მალე, ქ. ნადენედში, ტრანსილვანიის რეფორმატორული ეკლესიის სინოდის მიერ 1698 წლის 11 ივნისს გამოტანილი დადგენილებით, ავტორს საჯაროდ უარი ათქმევინეს. მაგრამ არც ამის შემდეგ შეწყვეტილა დამბლადაცემული და სამ წელს ლოგინად ჩავარდნილი დიდი უნგრელი მესტამბის დევნა. გალატაკებული და სულიერად შეურაცხყოფილი მიკლოშ კიში 52 წლის ასაკში გარდაიცვალა 1702 წლის 20 მარტს ქ. კოლოჯვარში.

აკად. გაბორ ტოლნაის ცნობით, „ტოტფალუშის სიკვდილის შემდეგ, მისი ცოლი, მატერიალური სივიწროვის გამო, იძულებული გამხდარა გაეყიდა მიკლოშ კიშისეული შრიფტები (იქნებ, ქართულიც? გ. შ.), მაგრამ დღემდე უცნობია მათი მფლობელი, ან სად ინახება იგი“<sup>3</sup>.

დიდხანს არც სიკვდილის შემდეგ ღირსებია ტოტფალუშის თავის თანამემამულეთაგან პატივის მიგება და აღიარება. მართალია,

<sup>3</sup> Tolnai Gabor, Totfalusi Kis Miklós halotti kártája, წიგნი: „Nünek az árnyak“, Budapest, 1951.

პეტერ ბოდმა ჯერ კიდევ 1767 წელს უწოდა მიკლოშ კიშა „ტრანსილვანიელი ფენიქსი“, მაგრამ თითქმის მე-19 საუკუნის მიწურულამდე ბედის დაცინვით არ ეწერა მას დავიწყების მკედრეთით აღდგომა.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ ოცწლეულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხდა მიკლოშ კიშისა და მისი „მენჩეგის“ ხელმეორედ აღმოჩენა: რევოლუციისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების, კოშუტის იდეების ატმოსფეროში მიკლოშ კიში გახდა საბაბი წარსულში დაუმსახურებლად შეურაცხყოფილი და დამცირებული ეროვნული ტალანტის ხელახლა აღორძინებისათვის.

1883 წელს უნგრელ მბეჭდავთა აღმანახში მიხაი აჩმა გამოაქვეყნა სტატია მიკლოშ კიშზე. 1892 წელს ფარკაშ დიალუიმ კოლოევარელ მესტამბეთა ორგანიზაციაში შეიტანა წინადადება მიკლოშ კიშის საფლავის წესრიგში მოსაყვანად. დიულა რუზიჩკა დიდხანს იბრძოდა საამისო ფულის შესაგროვებლად, რის შედეგადაც 1902 წელს, ფ. დიალუის მიერ „მენჩეგის“ ფაქსიმილურ გამოცემასთან ერთად, ქ. კოლოევარში გაიხსნა მიკლოშ კიშის აღდგენილი საფლავის ძეგლი, რომელზედაც ვკითხულობთ: „აქ განისვენებს მიკლოშ ტოტფალუში, უნგრეთის მკვიდრი, ტრანსილვანიის აღზრდილი. რომელიც ჰოლანდიაში გახდა ასოთმქანდაკებელი და რომლის ნაღვანითაც სარგებლობდა ბევრი ხალხი. გამვლელო, ილოცე, რომ აქ განსვენებულის ნეშტი ელოდოს მისი მწუხარე სულის მშვიდობას...“<sup>4</sup>.

---

<sup>4</sup> მიკლოშ კიშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერისას ხელთ გვექონდა: Dézsi Lajos, Magyar írók és Könyvnyomtató a XVII. században — Misztótfalusi Kis Miklos (1656—1702), Budapest, 1899; Magyar irodalmi lexikon, Budapest, 1926. 575; Magyar irodalmi lexikon, S—Z. Budapest, 1965. 385—387; Szij Rzső, Misztótfalusi Kis Miklós, Budapest, 1943; Haiman György, Tótfalusi Kis Miklós, Budapest, 1972; M. Tótfalusi Kis Miklós Mentsége. Haiman György bevezetőjével, Budapest, 1974; M. Tótfalusi Kis Miklós, A bevezetőt írta, a szövegeket kiválogatta és jegyzetekkel ellátta Tordai Zador, Bukarest, 1954; Jakó Zsigmond, Erdélyi féniks, Misztótfalusi Kis Miklós öröksége, Bucharest, 1974.

## თ ა ვ ი III

### რა ვიცოდით აქამდე ამსტერდამში დამზადებული ქართული შრიფტის შესახებ?

(წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი)

როგორც ვიცით, სამხედრო დახმარებისა და პოლიტიკური მფარველობის საძიებლად 1685 წლის 14 დეკემბერს მოსკოვს ჩავიდა იმერეთიდან ლტოლვილი არჩილ მეფე, რომელსაც რუსეთში სამუდამოდ დასახლება მაშინ ფიქრადაც არ ჰქონია. ამ პირველ მოსვლაზე არჩილმა მოსკოვში 1686-87 წლები დაჰყო და თავისი უმცროსი ძმის — ქართლის მეფე გიორგი XI-ის თხოვნით, 1788 წლის ივლისის პირველ რიცხვებში მოსკოვიდან საქართველოში გამოემგზავრა<sup>1</sup>.

მოსკოვში ჩასვლისთანავე არჩილი შედგომია ქართული შრიფტის ჩამოსხმისათვის ზრუნვას. ქრ. შარაშიძის სამართლიანი დაკვირვებით, „უნდა ვიფიქროთ, რომ XVII საუკუნის 80-იან წლებში არჩილი ქართულ შრიფტს საქართველოში წამოსაღებად ამზადებდა და არა მოსკოვში სტამბის მოსაწყობად“<sup>2</sup>, ან კიდევ: „...სტამბის მოწყობის

<sup>1</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბილისი, 1973, გვ. 858—860; ალ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, არჩილის წერილი ვიტცენთან. „ლიტერატურული საქართველო“, 15.XII. 1936; შ ი ს ი ვ ე, არჩილის ცხოვრება და შემოქმედება, „არჩილიანი“ II, თბილისი, 1937, გვ. IX; Материалы по истории русско-грузинских отношений (80—90-е годы XVII века), ч. I—III, документы к печати подготовил, предисловием и комментариями снабдил Г. Г. Паи-чадзе, Тбилиси, 1974—1979 гг., см. часть II, Тбилиси, 1979, с. 93—99; часть III, Тбилиси, 1979, с. 85 и след.

<sup>2</sup> ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ქართული შრიფტი ამსტერდამში (1686—1687 წწ.), „კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“, III, ტფილისი, 1937, გვ. 30 (ქვემოთ შემოკლებით: ქართული შრიფტი ამსტერდამში).

აზრი არჩილს საქართველოდანვე გაჰყოლია და ეს საქმე (სტამბის მოწყობა) მას გადაუღებელ ამოცანად მიაჩნდა. ცხადია აგრეთვე, რომ ამ დროს არჩილი სასტამბო მოწყობილობას საქართველოში ჩამოსატანად ამზადებდა. იგი ჯერ კიდევ იმედებით იყო სავსე და ენერგიულად ემზადებოდა საქართველოში მოღვაწეობისათვის<sup>3</sup>.

არჩილს სტამბის მოწყობის ინტერესები რომ საქართველოდან უნდა გაჰყოლოდა, ამას კიდევ ერთხელ თვალნათლივ მოწმობს უკანასკნელ ხანს (1971 წ.) გამოვლენილი საგულისხმო ფაქტი.

როგორც ცნობილია, საქართველოში ორჯერ იმოგზაურა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა (1641—1707). პირველად იგი 1658 წელს მოსულა იერუსალიმის მაშინდელ პატრიარქ პაისიოსთან ერთად, ხოლო იერუსალიმის პატრიარქად კურთხევის (1669 წ.) შემდეგ, დოსითეოსი საქართველოს მეორედ სწევია 1681 წლის თებერვალში და ახლო ურთიერთობა დაუწყარებია არჩილ მეფის ძმებთან — ქართლის მეფე გიორგი XI-სა და ლევან ბატონიშვილთან (ვახტანგ VI-ის მამასთან). მართალია, დოსითეოს პატრიარქის სტუმრობის მთავარ მიზანს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ოსმალთა-თურქების ვალების დასაფარავად საქართველოში საჭირო სახსრების შეგროვება წარმოადგენდა, რისთვისაც მას მიუღწევია კიდევ<sup>4</sup>, მაგრამ, ეტყობა, ჩვენი ქვეყნის მეწვეურებს დოსითეოს პატრიარქთან ქართული სტამბის ორგანიზაციანუდაც უნდა ჰქონოდათ მოლაპარაკება.

საქართველოში მეორედ ჩამოსვლისას დოსითეოსს არჩილი აღარ დახვედრია, იგი 1680 წლიდან დვალეთს იყო შეხიზნული და ელჩების შემწეობით მოსკოვში ჩასვლის ნებართვას ელოდებოდა თეოდორე ალექსის ძისაგან<sup>5</sup>. მაგრამ თავის უმცროს ძმებთან — გიორგი XI-სა და ლევან ბატონიშვილთან ერთად არჩილს, ყველა ნიშნით, უკვე აღრე ჰქონია ქართული სტამბის მოწყობის იდეა ერთობლი-

<sup>3</sup> ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბილისი, 1955, გვ. 79.

<sup>4</sup> Акты, I, Тифлис, 1866, с. 26—27; Иоселиани П. л. Послания Иерусалимского патриарха Досифея в Грузию, «Грузинский Духовный Вестник», 1866. апрель—май, с. 161—173. 177—190: არსებობს ცალკე ამონაბეჭდი: с. 1.—26.

<sup>5</sup> აღ. ბარამიძე, არჩილის ცხოვრება და შემოქმედება, იხ. არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1937, გვ. VII.

ვად შემუშავებული და მის განხორციელებაზედაც უოცნებია. ამაში გვარწმუნებს თ. ტივაძის მიერ გამოვლენილი დოსითეოს პატრიარქის კონსტანტინოპოლიდან რუსეთში (ამ დროს ჯერ ასტრახანში) მყოფ არჩილისათვის გამოგზავნილი 1682 წლის 23 სექტემბრის უცნობი წერილი, რომელშიაც იგი ერთგვარად ანგარიშს აბარებს არჩილს, თუ რა შემწეობა აღმოუჩინეს მისმა უმცროსმა ძმებმა—გიორგი XI-მ და ლევან ბატონიშვილმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ვალებისაგან დასახსნელად და მოულოდნელად დასძენს: „ჩივილის გარდა სიხარულიც მინდა გაცნობო: ქართულად ბეჭდვის შემოღება გადავწყვიტეთ აქ [კონსტანტინოპოლში]. დაე, ქართული წიგნებაც ისე იბეჭდებოდეს აქ, როგორც ბერძნული. სხვასაც ბევრს ვზრუნავთ ქართველებზე, როგორც კი დავასრულებთ, შეგატყობინებთ... მანდ ერთი ბერია, სახელად ტიმოთე, ყოფითა და ზნით კეთილ-მართალი და ჩვენი გამოზრდილი. მისი მეშვეობით მოიწერე ხოლმე ჩვენთან წერილები. ასე გავიგებთ თქვენი ცხოვრების ამბავს“<sup>6</sup>.

ეს ახლადგამოვლენილი პირველწყარო ჩვენთვის მრავალმხრივად საინტერესოა: ჯერ ერთი, იგი დოკუმენტურად გვიდასტურებს კონსტანტინოპოლში დოსითეოს პატრიარქის მიერ მოწყობილი ბერძნული საპატრიარქო სტამბის არსებობას, რასაც ადრე შ. კურდღელაშვილი ვარაუდობდა<sup>7</sup>, ხოლო სადავოდაა გამხდარი სპეციალურ ლიტერატურაში<sup>8</sup>; მეორეც, მან უფრო გაამაგრა და დააკონკრეტა ჯერ ქრ. შარაშიძის<sup>9</sup> და შემდეგ შ. კურდღელაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ სტამბის მოწყობის იდეა არჩილს რუსეთში საქართველოდან უნდა გაპყლოდა. აი, რას წერდა შ. კურდღელაშვილი 1959 წელს: „ცხადია, რომ საქართველოში სტამბის მოწყო-

<sup>6</sup> თ. ტივაძე, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბილისი, 1971, გვ. 254.

<sup>7</sup> შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბილისი, 1959, გვ. 30—33.

<sup>8</sup> ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, თბილისი, 1973, გვ. 64—67; შდრ. გ. პაიქაძე, მონოგრაფია ანთიმოზ ივერიელზე, „მნათობი“, 1975, № 5. გადაბეჭდილია წიგნში: გ. პაიქაძე, ისტორიოგრაფიული ეტუდები, თბილისი, 1981, გვ. 127.

<sup>9</sup> ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, თბილისი, 1937, გვ. 30. მისივე, პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 79.



ბის იდეაც სწორედ გიორგი XI და მის ძმას ლევანს უნდა წარმო-  
შობოდათ დოსითეოს პატრიარქთან და მის თანმხლებ პირებთან  
ურთიერთობის შედეგად... რაც შეეხება არჩილ მეფის სასტამბო საქ-  
მიანობას, რაც საკმაოდ კარგად არის ცნობილი ჩვენს ლიტერატურა-  
ში, ჩანს თვით არჩილსაც სტამბის მოწყობის იდეა თავის ძმებისაგან,  
გიორგისა და ლევანისაგან, გაუზიარებია და მოსკოვში საქართველო-  
დან გაპყოლია“<sup>10</sup>.

ახლა ჩვენ უკვე საშუალება გვებალება რამდენადმე უფრო დავა-  
ზუსტოთ ეს შეხედულება.

პირველ რიგში, ისმის კითხვა: თუ საქართველოში სტამბის მო-  
წყობის იდეა გიორგი XI-სა და ლევან ბატონიშვილს პირველად  
1681 წელს დოსითეოს პატრიარქსა და მის თანმხლებ პირებთან ურ-  
თიერთობის შედეგად წარმოეშვათ, მაშინ როგორღა გაიზიარებდა  
თავისი ძმებისაგან ამ იდეას არჩილი, რომელიც 1680 წლიდან უკვე  
საქართველოდან გახიზნული იყო?

ჩვენ პირიქით ვფიქრობთ: არჩილს დოსითეოსის საქართველოში  
მეორედ (1681 წ.) ჩამოსვლასა და მის საქართველოდან რუსეთში  
ლტოლვილობამდე (1680 წ.) გაცილებით ადრე უნდა ჰქონოდა თავის  
უმცროს ძმებთან — გიორგი XI-სა და ლევან ბატონიშვილთან სა-  
ქართველოში სტამბის მოწყობის იდეა გააზრებული. ეტყობა ეს  
ასეც, ე. ი. არჩილის იდეად გააცნეს გიორგი XI-მ და ლევან ბა-  
ტონიშვილმა საქართველოში 1681 წელს მეორედ ჩამოსულ დოსი-  
თეოს პატრიარქს, რადგან თვითონ არჩილი აქ აღარ დახვედრია (ვეჭ-  
ვობთ, რომ 10—12 წლის ყმაწვილ არჩილს ამ თემაზე პირადად საუ-  
ბარი ჰქონდა დოსითეოსთან 1658—59 წლებში საქართველოში მისი  
პირველად ყოფნისას)<sup>11</sup>. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომაცაა, რომ  
კონსტანტინოპოლში საქართველოდან დაბრუნებული დოსითეოს  
პატრიარქი თავის ვალდებულად თელის 1682 წლის 23 სექტემბრის

<sup>10</sup> შ. კ უ რ დ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბილისი,  
1959, გვ. 16—17.

<sup>11</sup> ახლა უკვე გარკვეულია, რომ 1665 წელს, არჩილის ზეობის დროს, სა-  
ქართველოში დოსითეოს პატრიარქი არ ყოფილა. ამ დროს ჩვენში მოსულა  
ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოსი და არა იერუსალიმის პატრიარქი  
პაისიოსი და მისი თანმხლები დოსითეოსი (იხ. შ. კ უ რ დ ე ლ ა შ ვ ი ლ ი,  
დას. ნაშრომი., 1959, გვ. 10—12; უდრ. ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დას. ნაშრ., 1955,  
გვ. 79).

წერილში რუსეთს (ასტრახანში) მყოფ არჩილს დაუყოვნებლივ შეატყობინოს კონსტანტინოპოლის ბერძნულ საპატრიარქო სტამბაში ქართული წიგნების ბეჭდვის განზრახვა.

ამასთან დაკავშირებით, თუ მოვიგონებთ გ. ლეონიძის მიერ ჯერ კიდევ 1951 წელს გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მომავალი დიდი მესტამბე ანთიმოზ ივერიელი თავდაპირველად კონსტანტინოპოლში „დაუფლებია სასტამბო ხელოვნებას“<sup>12</sup>, ხომ არ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ დოსითეოს პატრიარქი თავის სტამბაში ქართული წიგნების ბეჭდვის წამოწყებას 1682 წელს სწორედ ანთიმოზ ივერიელის იმედით აპირებდა?

დოსითეოსი თავის წერილს ამით არ ამთავრებს. ეტყობა, მან იცის არჩილის მტკიცე განზრახვა საქართველოში სტამბის მოწყობის თაობაზე და ამ საქმეში დახმარების გაწევის მიზნით ცდილობს მას დაუახლოვოს თავისი ნამოწაფარი, სასტამბო საქმის მცოდნე რუსი ბერი ტიმოთე, რომელიც ამ დროს კონსტანტინოპოლიდან უკვე რუსეთშია წამოსული: „მანდ ერთი ბერია, სახელად ტიმოთე, ყოფითა და ზნით კეთილ-მართალი და ჩენი გამოზრდილი. მისი მეშვეობით მოიწერე ზოლმე ჩვენთან წერილები. ასე გავიგებთ თქვენი ცხოვრების ამბავს“. თ. ტივაძის შენიშვნით, აქ „დოსითეოსს მხედველობაში ჰყავს რუსი ბერი ტიმოთე, რომელმაც ხუთი წელი (1675 — 1680) კონსტანტინოპოლში მასთან გაატარა. აქ მან საერთოდ კარგი განათლება მიიღო და როგორც ჩანს, სასტამბო საქმესაც გაეცნო. 1680 წლის 20 ოქტომბერს დოსითეოსმა იგი მოსკოვს გაისტუმრა, სადაც ტიმოთეს მეთაურობით 1682 წელს ბერძნული ტიპოგრაფიული სკოლა გაიხსნა. ტიმოთეს მოღვაწეობას პატრიარქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მასთან მიმოწერას აწარმოებდა და მოსკოვში ბერძნულ ენაზე წიგნების ბეჭდვის საქმესაც თვალყურს ადევნებდა. ამიტომ არის, რომ დოსითეოსის ცდა არჩილის ტიმოთესთან დაახლოებისთვის საგულისხმო ფაქტად გვესახება“<sup>13</sup>. ასევე აფასებს ამ ფაქტს ჯ. ვათეიშვილი<sup>14</sup>.

<sup>12</sup> გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, „დროშა“, 1951, № 2, გვ. 17.

<sup>13</sup> თ. ტივაძე, დას. ნაშრ; იხ. აგრეთვე, Н. Каптерев, Спошении Иерусалимскаго патрiарха Досифея с русским правительством (1669 — 1707 гг.), М., 1891, с. 129—130.

<sup>14</sup> Ватейшвили Д. Л., Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973, с. 29—30.

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, დოსითეოს პატრიარქის ამ, ასე ვთქვათ. სარეკომენდაციო ბარათით მოსკოვს 1685 წლის მიწურულში ჩასული არჩილ მეფე მართლა დაუხასლოვდა თუ არა ტიმოთე ბერს, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ერთი რამ დღეს უკვე საეკეო აღარ არის. რომ სტამბის მოწყობის იდეა არჩილს მართლაც ჯერ კიდევ რუსეთში წასვლამდე უნდა ჰქონოდა მოფიქრებული, რომ ეს იდეა მას საქართველოდან მოსკოვს თან გაჰყოლია და იქ ჩასვლის უმალ სამისოდ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაუდგამს.

მოსკოვში არჩილ მეფე დაკავშირებია შვედ დიპლომატსა და მეცნიერს იოჰან გაბრიელ შპარვენფელდს (1655—1727) (ზოგი წერს სპარვენფელდს—Sparwenfeld, და შეიძლება უფრო სწორადაც, მაგრამ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე 1937 წლიდან დამკვიდრდა შპარვენფელდის ხმარება), რომელიც მოსკოვს ჯერ კიდევ 1684 წლის 2 მაისიდან იმყოფებოდა და 1687 წლის 19 აგვისტომდე დარჩენილა<sup>15</sup>. შპარვენფელდი ცნობილ ლინგვისტად ითვლებოდა, იცოდა აღმოსავლური ენები, მოსკოვში რუსულიც უსწავლია. ლაიბნიცი მას „ღრმა მეცნიერს“ უწოდებდა და 1696 წლიდან მასთან მიწერა-მოწერაც ჰქონია. სამშობლოში დაბრუნებულ შპარვენფელდს ბოლოს შვეციის სამეფო კარის ობერპოფცერემონმეისტერის თანამდებობისთვისაც კი მიუღწევია<sup>16</sup>.

აი, ამ შპარვენფელდის მეშვეობით არჩილს ქართული სასტამბო შრიფტი შეუქვეთია ამსტერდამში მოღვაწე იმ დროს უკვე საქვეყნოდ ცნობილი ასომთქანდაკებისა და მბეჭდავის მიკლოშ მისტოტფალუში კიშისათვის. მოგვიანებით, 1700 წელს, ამის შესახებ დანამდვილებით დოკუმენტურ ცნობას გვაწვდის თვითონ შპარვენფელდი ერთ თავის ნაქონ წიგნზე (Herbelot, Bibliothèque Orientale, Paris, 1697) საკუთარი ხელით გაკეთებულ ფრანგულ მინაწერში:

„De mon temps, la famille des Bagrationi regnoit en Imetretti, parti de Gurgestan, et le Tsar Artschil. qui en fut chassi, et porsvit et par les Turcs et par les Persans a este de ma connoissance a Moskow, il me donna le Calat, en partant dela

<sup>15</sup> იხ. Carl Ulf Wilhelm Jacobowsky, Johan Gabriel Sparwenfeld. Bidrag till en biografi, Stokholm, 1932, 50—78.

<sup>16</sup> Пекарский П., Переписка Лейбница о славянских наречиях, «Записки Акад. наук», т. IV; В. Герье, Лейбниц и его век, т. I, СПб., 1868; т. II — отношения Лейбница к России и Петру Великому. СПб., 1871, с. 39—46.

et ie luy en fait faire une imprimerie grusinienne a Amsterdam chez Kiss, il fut por se retablir dans ses etas mais ne reussit pas ainsy il est revenü a Moskow ou il vil acette heure sous le regne de Tsar Peter Alexejevitch. 1700“.

(„ჩემს დროს ბაგრატიონთა გვარეულობა მეფობდა იმერეთში, გურგესტანის ნაწილში. და არჩილ მეფეს, რომელიც [იქედან] გამოძევებული იყო და იდევენბოდა, როგორც ოსმალების. აგრეთვე სპარსელებისაგან, ვიცნობდი მე მოსკოვში. წამოსვლისას მან მაჩუქა ხალათი. მე კი, სამაგიეროდ, შევუკვეთე მისთვის ქართული სასტამბო შრიფტი ამსტერდამში კიშს. ის [არჩილი] შეეცადა აღდგენილიყო თავის სამფლობელოში, მაგრამ ვერ მოუხერხდა. ამის გამო დაბრუნდა მოსკოვს, სადაც ცხოვრობს ამჟამადაც მეფე პეტრე ალექსის ძის ხელისუფლების ქვეშე. 1700“)<sup>17</sup>.

ეს უნდა მომხდარიყო 1686 წლის დასაწყისშივე, რადგან პირველ ცნობას ამსტერდამში არჩილ მეფის მიერ შეკვეთილი ქართული შრიფტის დასამზადებლად მუშაობის მიმდინარეობაზე უკვე ეპოულობთ 1686 წლის 12 ნოემბერსა და 1687 წლის 17 იანვარს, ამსტერდამიდან მიკლოშ კიშის მიერ მოსკოვს შპარვენფელდისადმი ლათინურ ენაზე მოწერილ წერილებში (ისინი შვეციის ქ. ლინჩოპინგის (Linköping) საეპარქიო ბიბლიოთეკაში 1932 წელს კარლ იაკობოვსკიმ გამოავლინა<sup>18</sup> და 1935 წელს გამოაქვეყნა კარლ ბიორკბომმა<sup>19</sup>, ხოლო ლათინურიდან ქართულად თარგმნა ქრ. შარაშიძემ პროფ. გრ. წერეთლის დახმარებით). მოგვყავს ორივე ეს წერილი აღნიშნული თარგმანის მიხედვით:

<sup>17</sup> C. V. Jacobowsky, J G. Sparwenfeld, Stokholm, 1952, 69; C. Björkbom, Henrik III Keyzers Georgiska Stilprov. „Nordisk Tidsskrift för Bok-och Biblioteksväsen,“ arg. XXII, Stokholm, 1935. 96. ქართული თარგმანი მოგვყავს ქრ. შარაშიძის მიხედვით, რომელიც მას პროფ. გრ. წერეთლის დახმარებით შეუსრულებია: იხ. ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, 1937, გვ. 34; შდრ. ფრ. სიხარულაძე, დოკუმენტები საქართველო-შვედეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, კრებ. „მეგობრობა“, თბილისი, 1981, გვ. 313.

<sup>18</sup> C. Jacobowsky, დას. ნაშრ., გვ. 78, სქ. 1.

<sup>19</sup> C. Björkbom, დას. ნაშრ., გვ. 97—99.

## I წერილი:

„აი კიდევ ნიმუში უმთავრესად სულ უკანასკნელ დროს დამზადებულის ასოებისა, რათა თქვენ შესძლოთ არა თუ მათი გათვალისწინება, არამედ სიხარულით ჰკრეტაც. მე ხომ თავს იმედით ვესათნობი, რომ არ მოიძებნება არავინ, ოდნავ მაინც გაცნობილი სტამბისა და სამისო (სასტამბო) დამწერლობის მდგომარეობას და განვითარებას, ვინც ნახავს ამ ასოებს, როგორც ჩემს ნახელოვანებს, აგრეთვე თქვენის ხელისას (ხელთნაწერისას), (და) არ მოიწონებს ჩემს ნამუშევარს. ამიტომ თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ევროპაში არ მოიძებნება არავინ (დაე, ამ სიტყვებში ნუ იქნება ცალიერი კვებნა!). ვინც პირველი ყინულის მტვრევის დასაწყისშივე შესძლებს ესოდენის ჯეროვანობით და ესოდენი ზედმიწევნილი მსგავსებით ასოების გაფორმებას, ამდენად მცონარედ და დაუდევრად გაკეთებული ნიმუშის მიხედვით. ამის მიღწევაში არამცირედი სარგებლობა გამიწია ჩემმა გაწაფულობამ (გამოცდილებამ) სხვადასხვა ხალხთა დამწერლობაში — ლათინურსა, გერმანულ-ებრაულში, რაბინულ ებრაულ-გერმანულში, ბერძნულში. სირიულში, სამარიტულ-კობტურში ანუ ეგვიპტურში და, განსაკუთრებით, სომხურში.

ისეთი კაციც კი მოიძებნა, რომელიც პირობით შემეკრა ჩინური ასოების დამზადებისათვის, რომელიც, როგორც თქვენის (ასოების), ჯერ არაოდეს არ ყოფილა ამოტვიფრული ბეჭდვის საშუალებით. ჩემი სახელგანთქმულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ენებისა და ხალხებისათვის სარგებლობა მომაქვს ამგვარი სამსახურით. ეს (ე. ი. სასტამბო მუშაობა) ხომ განვითარებულ ადამიანთა შორის არ ითვლება მდბაბალ სამსახურად, არამედ შერაცხულია საგანგებო ხელოვნებად სხვა ხელოსნობათა შორის და ამასთანავე იმ ზომამდის, რომ მაგისტრმა, რომელმაც აქ [ე. ი. ამსტერდამში] სომხებისათვის ასოები დაამზადა, თუმცა ის პირველი არ იყო [მათ დამამზადებელთა შორის], მაგრამ პირველი იყო, როგორც საუკეთესოების დამამზადებელი, — მოითხოვა და მიიღო სომხებისგან, ვითარცა მეორე ევანდერმა, ის პატივი, რომ მისი [ჩამოსხმული] ასოებით ნაბეჭდ წიგნებში მის სახსოვრად ამოტვიფრულიყო მისი სახელი.

ახლა (გადავდივარ) იმაზე, რასაც მინდა მივაპყრა თქვენი ყურადღება:

1. სტრიქონები თქვენს ხელნაწერებში უფართოესია, ე. ი. უფრო დიდი მანძილით არიან დაშორებული ერთი მეორეს, ვიდრე ჩემს ნიმუშში. თუ ინებებთ, ეს ასოებიც შეიძლება ისე ჩამოისხას, რომ იმავე მანძილით იქნეს [ე. ი. ისეთით როგორც ხელნაწერშია] დაშორებული.

2. თუ თქვენ განზრახვა გაქვთ ბექდოთ წმ. მამათა ანუ სხვა ამგვარივე ხასიათის უფრო დიდი ზომის წიგნები, მაშინ სათუთაა, რომ შესძლოთ ამ ასოებით დაკმაყოფილება. ისინი ხომ მეტად დიდებია შესგავსი მიზნისათვის, ვინაიდან ზემოთ დასმული შემოკლების ნიშნების [ქარაგმების] გამო სტრიქონები მეტად ველარ დამჭიდროვდება [ე. ი. ერთმანეთთან უფრო ახლოს ვერ მიიწევა]. შეიძლება გირჩიოთ, რომ იზრუნოთ უფრო მომცრო ასოების დასამზადებლად, იმისთვის. რომ წიგნები შემოკლების გზით სათანადო პროპორციის საზღვრებში შემოიქალტონ, და, აგრეთვე იმისათვის, რომ საჭიროების დროს ხელთ გქონდეთ ასოები notae marginales-სათვის [არსებზე შენიშვნებისათვის], სათაურებისა და სხვა საჭიროებისათვის. სომხებმაც იზრუნეს აგრეთვე რამდენიმე ზომის, ე. ი. წვრილის, ცოტა მოდიდოს და ცოტა კიდევ უფრო დიდი-ასოების დამზადებისათვის.

3. ეს ჩემი ნიმუშები დაბეჭდილია მხოლოდ კვამლით [ქვარტლით?] [და] არა მელნით. მიუხედავად ამისა, ასოების ტანი საკმარისად ცხადია და, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება შემჩნეულ იქნეს განსხვავება იმათში [იმ ასოთა შორის], რომლებიც ერთმანეთის მსგავსნი არიან.

4. თქვენ გან ამ ასოებისათვის მე მცირე გასამრჯელოს ვღებულობ, იმ დროს, როცა ჩემზე აღრე ორჯერ მეტი აიღო სომხურისათვის მაგისტრმა. მაგრამ შემდეგში შე კიდევ უფრო ნაკლები გასამრჯელოთი ვიმუშავებ, თუ შენ იზრუნებ ჩემ მიერ ამავე ასოების სხვა ახალ აღფაბეტთა დამზადებისათვის. როცა პირველ ყინულს ჩავამტვრევ, მეც ხომ გამიადვილდება მუშაობა მეორე და მესამე გზის და თქვენთვისაც შევძლებ უფრო ზუსტი და უზადო ასოების გაკეთებას. ყოველს საქმეში ხომ პრაქტიკას მივყავართ სრულყოფი-

საკენ და პირველ ცდას, რა გინდ საქმეც იყოს, ძალაუნებურად რაღაც უსრულობის ელფერი აძევს.

5. გთხოვ კიდევ, დააჩქაროთ იმის პასუხი, რასაც წინათ გვეკითხებოდით, ვინაიდან მე უგულოდ ვიწყებ დანარჩენ ორ ალფაბეტს იმ შიშით, რომ ვაი თუ რამე სახით თქვენი სურვილების საწინააღმდეგო გზას დავადგე. ეს ალფაბეტი კი, ღვთის შეწევნით. უზადო და დასრულებული იქნება. მშვიდობით!

თქვენი სამსახურისთვის [გამზადებული] ნიკოლოზ კიში ასოთმოქანდაკე და ჩამომსხმელი.

ამსტერდამი, 12 ნოემბერი,  
1686 წ.“

## II წერილი:

„[ვუსურვებთ] ჯანმრთელობას და ყოველივე წარმატებას კეთილშობილ ბატონს.

აი, ბატონო, წვლილი (თუკი წვლილობა ამ ასოების არსებაში მოიპოვება) ასოები თქვენი მესამე ალფაბეტისა, რომლებიც [ასოები] მე დავიყვანე ისეთ სიწვლილემდის, რომ იმათ შენარჩუნებული აქვთ მაინც რაღაც სიმსხო, განსაზღვრულ ხაზებშიაც კი, რათა მათში სჩანდეს კვალი ხელოვნების დამმოდღერებელთა. თუ ერთი ასო მეორეზე უმსხოსათ მოჩანს, ეს იმიტომ, რომ იგი უფრო მაგრად ამოტვიფრულია. გრძელი ასოების პროპორცია არ შეიძლება სხვანაირი იყოს, ვინაიდან ასოები რომ უგრძესი ყოფილიყო. ზედა და ქვედა ასოები ერთმანეთს დაუშლიდნენ. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც საქმე ასოების მოყვანილობას შეეხება, აქ არც ერთი არ არის ისეთი, თქვენი ერთისა, ან მეორე ეგზემპლარის ამა თუ იმ ასოს რომ არ შეესატყვისებოდეს. ამიტომ, თუ ეს ასოებიც არ მოუვა თვალში იმ ადამიანებს, მე ხელს ავიღებ ამ ტაბულაზე. რომელიმე იმათგანი [ქართველთაგანი] რომ მოსულიყო აქ, თავიდან აცილებული იქნებოდა ის სიძნელები და უხერხულობა, რომელიც ხელს უშლიან ჩვენს შეთანხმებას. არ ეგებოდა მათგან [ქართველთაგან] ასეთი [სერიოზული] საქმის ბავშვურ გასართობად ჩათვლა: სომხეთიდან აქ თვით ეპისკოპოსი, დიდად სახელოვანი კაცი მოვიდა ასეთივე საქმისათვის თვალყურსადევნებლად. იშვიათ ფრინველად ჩაითვლება ამ ქვეყნად

ასოთმოქანდაკე, რომელიც ისეთ უზადობამდის მისულიყოს ამ ხე-  
ლოვნებაში, რომ ჩამოესხას საუკეთესო, თუნდაც უბრალო ლათინუ-  
რი ასოები, რომელნიც ესოდენ ჩვეულებრივი არიან და რომელშიაც  
ის [ასოთჩამომსხმელი] თავიდანვე ნავარჯიშევიდა. როგორღა  
ვიმსჯელოთ უცხოურ ასოებზე. რომელთა ნა-  
ბეჭდი ეგზემპლარის მიღებაც არ შეიძლება,  
არამედ (მოგვეპოვება) მხოლოდ ხელით ნაწე-  
რი. ისიც ერთმანეთის შორი-შორი, რამდენადაც საქმე შეეხება პრო-  
პორციას, ან ასოების მოყვანილობას [ან ცალკეულ ნაწილებს]? და,  
ვინაიდან ხელნაწერი ასოები, ზოგიერთი ცვლილების შეტანის გა-  
რეშე, ვერ დაიყვანება იმ მდგომარეობამდის, და პროპორციამდის,  
რომ მბეჭდველს ემსახუროს, რანაირად უნდა მივიღოთ შესაძლებ-  
ლობა მართლად მსჯელობისა და ამ საქმეში ყველაფრის ჯეროვნად  
მოწესრიგებისა ან მე, ან ვინმე სხვამ, რაც უნდა მოსაზრებული  
იყოს იგი, თუ ჩვენ ვერ ვიცნობთ ასოების ბუნებას და [არ  
ვიციტ] ესა თუ ის გვევლინება ასოს შემთხვე-  
ვით [ცვალებად] ანუ არსებით ნაწილად? ეს ყო-  
ველივე უნდა გაითვალისწინონ იმ ადამიანებმა [ქართვე-  
ლებმა] და გვაპატიონ თუ იმ საქმეში, რომელსაც ისინი  
შორეული ინფორმაციის გზით ხელმძღვანელობენ, რაიმე გამოვი-  
დეს ისე, რომ მათ სდომოდათ უკეთ გამოსულიყო. ამასთანავე იმათ  
[ქართველებმა] იციან, რომ ეს პირველ ცდას  
წარმოადგენს ამგვარ საქმეში და რომ ამ მიზეზის გამო საქ-  
მარისი საფუძველი არსებობს, რომ მეპატიოს ნამუშევარ-  
ის უსრულობა.

მე მინდა კიდევ შემდეგი ვთქვა მეორე ალფაბეტის ასოებზე,  
რომლის სინჯიც, დაზგაზე დაბეჭდილი, თქვენი  
მინდობილობის თანახმად, როგორც ტექსტის შესაღგენად, აგრეთვე  
მთელი ალფაბეტის ასოების წესრიგის [თანმიმდევრობის მიხედვით].  
გამოსამეღვენებლად, გასულ კვირაში გამოგიგზავ-  
ნეთ. იქ ასოების [ხ, ტ, ც] 20 კულების სხვაგვარად მოლუნვა  
შე ჯეროვნად ვერ შევძელი.

<sup>20</sup> ქრ. შარაშიძის თარგმანში მხოლოდ 15 ასოზეა საუბარი, მაშინ რო-  
დესაც დედანში სამი ასო— 20 არის ჩაბატული. იხ. C. Bjorkbom. დას. ნაშრ.,  
გვ. 99. შდრ. ფრ. სიხარულიძის თარგმანს: კრებ. „მეგობრობა“, 1981,  
23. 318.



თქვენ მე მომეცით დავალება ორი პირველი ალფაბეტის ჩამოსხმისა, მაგრამ არაფერი გიცნობებიათ [სათანადო] თანხის გადახდის საშუალების შესახებ. თუ ანგარიში სწორია (რის პრეტენზიასაც აცხადებს ვაჭარი, რომელთანაც მე საქმე მაქვს), რილასთვის კიანურდება საქმე? თუ საქმე გაგრძელდება და თქვენ მოისურვებდით მიგელოთ ზომები მესამე ალფაბეტის ასოების ჩამოსახმელად, [ამ შემთხვევაში] მინდა იცოდეთ, რომ ეს ასოები ალბათ ვერ ჩამოისხმება ნახევარ ტალერზე ნაკლებ ფასად (რა წონისაც უნდა იყოს). მაშ ასე, ორი გირვანჯა — იმპერიულ ტალერად, თუნდაც რომ მოიძნელებდეს ასოების ჩამოსხმა მათი სიწვლილის გამო და [მოიძნელებდეს მათი] დაკავშირება (იხინი ხომ რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა უდგებოდნენ ერთმანეთს) იმათი კიდურების თავისებურობის. უკეთ რომ ვთქვა, მანჭულობის ანუ განშტოებულობის გამო.

მაინც კი ამ ალფაბეტში [ე. ი. მესამეში], რომლის ნახევარზე ცოტა მეტი მზად არის, წინ აღარ წავალ მანამ, სანამ არ მივიღებ თქვენს აზრს წარმოდგენილი სინჯის შესახებ. მე გავაყეთე და აქვე (ე. ი. გავზავნილ სინჯში) წარმოგიდგინებ უპირატესად იმ ასოებს, რომლებიც ცოტად თუ ბევრად გვანან ერთმანეთს, რომ თქვენ შესძლოთ გაარჩიოთ და გაარკვიოთ მათში, როგორც მსგავსება, აგრეთვე განსხვავებაც. დანარჩენზე სხვა დროს.

მშვიდობით კეთილშობილო ბატონო, და მპატიე თავისუფლება [ჩემი წერილის].

მსახური თქვენი უცუდშობილესი ნიკოლოზ კიში, ასოთმოქანდაკე და ჩამომსხმელი.

ამსტერდამი. 17 იანვარი.  
1687<sup>21</sup>.

<sup>21</sup> C. Björkbohm, დას. ნაშრომი, გვ. 97—99; ქრ. შარაშიძე, დას. ნაშრომი, გვ. 34—38; (ხაზი ჩვენია, გ. შ.). შდრ. ფრ. სიხარულიძე, დას. ნაშრომი, გვ. 314—319; პროფ. გრ. წერეთლის პირად საარქივო ფონდში შემორჩენილია ქრ. შარაშიძის თხოვნით გრ. წერეთლის მიერ ლათინურიდან შესრულებული მიკლოშ კიშის მხოლოდ მეორე წერილის (1687 წლის 17 იანვრის) რუსული თარგმანის შავი (იხ. ხელნაწ. ინსტ., გრ. წერეთლის არქივი, № 943).

ამჟამად, შვეციის ქ. ლინხოპინგის საეპარქიო ბიბლიოთეკაში დაცული (Br. 33 : 15,16) მიკლოშ კიშის იოჰან შპარვენფელდისადმი (1686 წლის 12 ნოემბერსა და 1687 წლის 17 იანვარს) ამსტერდამიდან მოსკოვს გაგზავნილი ამ წერილებიდან ირკვევა შემდეგი:

1. მ. კიშს, ამ ორი წერილის გარდა, ქართული შრიფტის დამზადების თაობაზე სხვა წერილებიც უნდა ჰქონოდა მოწერილი ამსტერდამიდან ამ დროს მოსკოვში მყოფ შპარვენფელდისადმი, ოღონდ მათ ჩვენამდე არ მოუღწევია. აი, რას წერს კიში I წერილში: „აი, კ ი დ ე ვ ნიმუში უმთავრესად სულ უკანასკნელ დროს დამზადებულის ასოებისა“, „გთხოვთ დააჩქაროთ იმის პასუხი, რასაც წ ი ნ ე თ გვეკითხებოდით“, ან კიდევ II წერილში: „მე მინდა შემდეგი ვთქვა მეორე ალფაბეტის ასოებზე, რომლის სინჯიც, დაზგაზე დაბეჭდილი... გ ა ს უ ლ კ ვ ი რ ა შ ი გ ა მ ო გ ი გ ზ ა ვ ნ ე თ“. ქრ. შარაშიძის ანგარიშით, „კიშის წერილებში გაბნეული გამონათქვამები მოწმობს, რომ მას ხ უ თ გ ზ ი ს მაინც უნდა ჰქონდეს გადაგზავნილი ასოების ნიმუშების სხვადასხვა ჩგუფი შპარვენფელდისადმი და ალბათ ხ უ თ გ ზ ი ს ვ ე მიწერილი აქვს წერილი ყოველი ჩგუფის შესახებ საკუთრად“<sup>22</sup>.

2. არჩილ მეფეს მიკლოშ კიშისთვის ქართული შრიფტის შეკვეთისას გაუგზავნია ხელით ნაწერი ნიმუშები (შეიძლება გაბმული ტექსტიც და ცალკე ასოებიც ანბანის სახით), რომლებიც კიშს მაინც-დამაინც არ მოსწონებია. კიშის I წერილში ვკითხულობთ: „...ვინც ნახავს ამ ასოებს, როგორც ჩემს ნახელოვანებს, აგრეთვე თქვენის ხელისას (ხელთნაწერისას) და არ მოიწონებს ჩემს ნამუშევარს... ამდენად მცონარედ და დაუდევრად გაკეთებული ნიმუშის მიხედვით“. ამას გარდა, არჩილის ხელნაწერ ნიმუშებში, ყველა ნიშნით, ქ ა რ თ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი ს ს ა მ ი ვ ე ს ა ხ ე ო ბ ა — ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი, ნ უ ს ხ უ რ ი და მ ხ ე დ რ უ ლ ი ყოფილა წარმოდგენილი, რადგან მ. კიში თავის წერილებში ხაზგასმით საუბრობს პ ი რ ვ ე ლ ი, მ ე ო რ ე და მ ე ს ა მ ე ა ლ ფ ა ბ ე ტ ი ს ასოების ჩამოსხმაზე (ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვეჩვენა საუბარი დღემდე გაბატონებული იმ მცდარი თვალსაზრისის შესახებ, თითქოს აქ ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი ს ა და ნ უ ს ხ ა-ხ უ ც უ რ ი ს ს ა მ ს ა ხ ე ო ბ ა ზ ე იყოს საუბარი).

<sup>22</sup> ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, 1937, გვ. 28.

3. მ. კიშისთვის უცნობია მანამდე რომში (1629 წლიდან) მხედრულად დაბეჭდილი ქართული წიგნების არსებობის და, შესაბამისად, ქართული მხედრული შრიფტის ჩამოსხმის ამბავი<sup>28</sup>, რადგან ამ მიმართულებით გაწეულ თავის შრომას „პირველი ყინულის მტკრევის დასაწყისს“ უწოდებს: „... ევროპაში არ მოიძებნება არავინ (დაე, ამ სიტყვებში ნუ იქნება ცალიერი კვენხა!), ვინც პირველი ყინულის მტკრევის დასაწყისშივე შესძლებს ესოდენის ჭეროვანობით და ესოდენი ზედმიწევნელი მსგავსებით ასოების გაფორმებას“ (I წერილი), „როცა პირველ ყინულს ჩავამტკრევე, მეც ხომ გამიადვილდება მუშაობა... პირველ ცდას, რა გინდ საქმეც იყოს, ძალაუნებურად რაღაც უსრულობის ელფერი აძევს“ (I წერილი), „როგორღა ვიმსჯელოთ უცხოურ ასოებზე, რომელთა ნაბეჭდი ეგზემპლარის მიღებაც არ შეიძლება, არამედ მოგვეპოვეთ მხოლოდ ხელით ნაწერი, ისიც ერთმანეთის შორი-შორი“ (II წერილი), „ამასთანავე იმათ იციან, რომ ეს პირველ ცდას წარმოადგენს ამგვარ საქმეში და რომ ამ მიზეზის გამო საკმარისი საფუძველი არსებობს, რომ მეპატიოს ნამუშევრის უსრულობა“ (II წერილი), „ისეთი კაციც კი მოიძებნება, რომელიც პირობით შემეყრა ჩინური ასოების დამზადებისათვის, რომელიც, როგორც თქვენი ასოები, ჭერ არაოდეს არ ყოფილა ამოტვიფრული ბეჭდვის საშუალებით“ (I წერილი).

4. წერილებიდან ჩანს, რომ მ. კიშს უფრო ადრე უკვე დამზადებული ჰქონია სომხური შრიფტი: „ამის მიღწევაში [ე. ი. ქართული შრიფტის დამზადებაში] არამცირედი სარგებლობა გამიწია ჩემმა გაწაფულობამ (გამოცდილებამ) სხვადასხვა ხალხთა დამწერლობაში — ლათინურსა, გერმანულ-ებრაულში, რაბინულ ებრაულ-გერმანულში, ბერძნულში, სირიულში, სამარიტულ-კოპტურში ანუ ეგვიპტურში და, განსაკუთრებით, სომხურში“ (I წერილი), „სომხეთიდან აქ თვით ეპისკოპოსი, დიდად სახელოვანი კაცი მოვიდა ასეთივე საქმისათვის თვალყურსადევნებლად“ (II წერილი). მ. კიშის წერილის ეს ცნობები დასტურდება კ. ბიორკბომის, და გან-

<sup>28</sup> ქრ. შარაშიძის შენიშვნით, „ყოველ შემთხვევაში, ასომთავრულისა და ნუსხა-ხუცური სასტამბო შრიფტის დამზადება მართლაც ახალი საქმე იყო“ (დას. ნაშრ., გვ. 35. ვწმ. 1), თუმცა, ჩვენი მხრიდან უნდა დავძინოთ, რომ ფ. შაქოს „ქართული ენის გრამატიკაში“ (რომი, 1643, 1670) მხედრულთან ერთად, უკვე მოცემულია ასომთავრულისა და ნუსხა-ხუცური ასოების სტამბური ნიმუშები.

საკუთრებით, ო. შუცის გამოკვლევებით: ირკვევა, რომ მე-17 ს -ის II ნახევარში სომხური ბიბლიის დასაბეჭდად გამოჩენილ ასოთამომ-ჭრელთა მოძებნის მიზნით პოლანდიაში გაუგზავნიათ მატეო ავაქი (მათეოს ძარეცი). მათეოსის მიერ ამსტერდამში დაწყებული სას-ტამბო საქმე მისი სიკვდილის (1661 თუ 1664 წწ.) შემდეგ გაუგრძე-ლებია ოსკარ ერევანცის, რომლის სტამბიდან 1666 წელს გამოსულა ამსტერდამული სომხური ბიბლია. 1685 წელს მათეოს ვანანდეცი, რომელიც 14 წელი ემსახურა ოსკარ ერევანცის, ხელახლა ცდილობს სომხური წიგნის ბეჭდვის საქმის მოგვარებას ამსტერდამში. რადგან ოსკარ ერევანციმ თავისი სასტამბო მოწყობილობის ნაწილი მარსელ-ში გადაიტანა, ხოლო ნაწილი კიდევ მოხვდა მისი ამსტერდამელი მევალებების ხელში (ამ საკითხზე ახრთა სხვადასხვაობაა). მაშინ მათეოს ვანანდეცი იძულებული გამხდარა (როგორც თვითონ იუწყე-ბა 1685 წელს სომხურად დაბეჭდილი წიგნის — „ჰიმნარიუმის“ კოლოფონში), რომ ახალი სასტამბო ასოების ამოჭრა შეეკეთა „ამს-ტერდამში ერთი კარგი ოსტატისათვის, სახელად ნიკოლაიუს [კიში-სთვის]“. როგორია მიკლოშ კიშის მიერ 1685 წელს დამზადებული სომხური მატრიცების შემდგომი ბედი? როგორც ირკვევა, მას იყე-ნებდნენ ამსტერდამულ სომხურ სტამბაში, რომელიც 1717 წლამდე მოქმედებდა და საიდანაც გამოსულ წიგნებს პირველი ადგილი უჭი-რავთ იმდროინდელ სომხურ ნაბეჭდ წიგნებს შორის. შემდეგ კიში-სეული მატრიცები შეუძენია ვენეციელ მხითარისტა კონგრეგაციას, რომლის მიხედვით იბეჭდებოდა ვენეციაში სომხური წიგნები თვით მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. ანუ რომ, დიდი უნგრელი მესტამ-ბის მიკლოშ კიშის 1685 წლის ნახელავი სომხური ბეჭდური ასოები ორი საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა სომხური წიგნის ბეჭდვის საქმეს<sup>21</sup>.

5. მ. კიში უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართვე-ლებმა ვერ მოახერხეს მასთან სათანამშრომლოდ ამსტერდამში ჩასვ-

<sup>21</sup> C. Björkbom, დას. ნაშრ., გვ. 97—98, სქ. 1; Schlütz Ödön, *Misztótfalusi Kis Miklós szolgálatai az ürménye knek*, "Magyar Könyvszemle", Budapest- 1957, 335—346; Шуц О. Заслуги знаменитого венгерского гравера перед армянской культурой в конце XVII в., „Известия АН Арм. ССР, общественные науки“. Ереван. 1957, № 3, с. 119—120; Haiman György, *Tótfalusi Kis Miklós*. Budapest, 1972, 72—73.

ლა: „რომელიმე იმათგანი რომ მოსულიყო აქ. თავიდან აცილებული იქნებოდა ის სიძნელებები და უხერხულობა, რომელიც ხელს უშლის ჩვენს შეთანხმებას. არ ეგებოდა მათგან ასეთი [სერიოზული] საქმის ბავშვურ გასართობად ჩათვლა“ (II წერილი). ეტყობა, მ. კიშს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ქართველების შესაძლებლობებზე, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

6. მ. კიშის II წერილიდან ჩანს, რომ არჩილსა და მას შორის, პრაქტიკული საკითხების მოსაგვარებლად შუამავლობს ვიღაც ვაქარი: „თქვენ მე მომეციოთ დავალება ორი პირველი ალფაბეტის ჩამოსახმისა, მაგრამ არაფერი გიცნობებიანათ [სათანადო] თანხის გადახდის საშუალების შესახებ. თუ ანგარიში სწორია (რის პრეტენზიასაც აცხადებს ვაქარი, რომელთანაც მე საქმე მაქვს). რილასთვის ჭიანურდება საქმე? თუ საქმე გაგრძელდა და თქვენ მოისურვებდით მიგელოთ ზომები მესამე ალფაბეტის ასოების ჩამოსახმელად, [ამ შემთხვევაში] მინდა იცოდეთ, რომ ეს ასოები ალბათ ვერ ჩამოისხმება ნახევარ ტალერზე ნაკლებ ფასად (რა წონისაც უნდა იყოს). მაშ ასე, ორი გირვანქა — იმპერიულ ტალერად...“. ეს შუამავლობა ეხებოდა, ალბათ, ამსტერდამსა და მოსკოვს შორის ამ ვაქარის მიერ როგორც წერილებისა და სასინჯი ანაბეჭდების წაღებ-წამოღებას, ისე გასამრჩელოს პირობების დადგენას.

7. მ. კიშის წერილებიდან დოკუმენტურად დასტურდება, რომ 1686—87 წლებში მ. კიშს ამსტერდამში არა მარტო გამოუქანდაკებია (ამოუჭრია) ქართული შრიფტის სამი სახეობა, ე. ი. დაუმზადებია პუანსონები, არამედ კიდევ ჩამოუსხამს ისინი, ე. ი. დაუმზადებია ლიტერები.

მეორე წერილობითი წყარო ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადების შესახებ არის თვით არჩილ მეფის წერილი ცნობილი პოლანდიელი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, ამსტერდამის ბურგომისტრ ნიკოლა ვიტცენისადმი (1641—1717), რომელიც მოსკოვიდანაა გაგზავნილი ამსტერდამს 1687 წლის 17 დეკემბერს:

„ქ. წყალობით ღმერთს ნ[ა]თესავისგან დავითისა პანკრატიონი მეორმოცდამერთე მეფე არჩილ, მეფე იმერეთისა, კახეთისა, ყო[ვ]-ლის ლიხთ იმერეთისა, ვმადლობ უფალსა ჩემსა იესოს ქრისტესა

მწირობასა შინა ამას ჩემსა, ვითარცა ოდესმე მეფობის ტახტსა მჯდომი მოგიწერ წიგნსა ამას მოკითხვისასა სიბრძნისა და მეცნიერებისა კეთილისა გონებისა შენისათვის საჩინოს ქალაქისა ამისტრანდინისაგან თავად გამორჩეულისა ნიკოლოზაა ვილსებს და მოგიკითხავ ვითარცა მეგობარსა შემეცნებულსა ჩემსა. მერმე გავიგონეთ თქვენს ადგილზე მჯდომის პატრონის ბარნო კლარისაგან, რომე თქვენ გარჯილხარო ჩვენის გულისათვის და ჩვენის ენის წიგნის ბეჭედს გვიჭრევენბთ. ჩვენ ამ საქმისათვის დიდად გავიხარეთ, თქვენი მადრიელი შევიქენით. ამ საქმისათვის ვინებეთ შენთან ჩვენის სიყვარულისა და მადლის წიგნი[ს] მოწერა. ჩვენ შენგან შევიქენთო მადრიელი, ღთი შენგან იქმნას მადრიელი. მოველით შენის სიკეთისაგან აღარ და[ა]გვიანოთ. რომ სამლოთ საქმის ყოვნება არა კამს. ღთმან წყალობით წაგიმართოს ნება შენი. დაიწერა წიგნი ესე მოსკოს თვესა დეკებერსა ჩვიდმეტსა დასაბამითგან წერილის შვიდი ათას ასოთხმოცდა თხუთმეტსა.

კელმწიფე მეფე არჩილ ვამტკიცებ [უზის ორი ბეჭედი]“.

არჩილის ამ წერილის ფაქსიმილე, არჩილისა და ერეკლე I-ის შეწყვილებულ პორტრეტებთან ერთად, დაბეჭდილია ნ. ვიტცენის ნაშრომში<sup>25</sup>. აქედან არის გადაბეჭდილი ლ. დეჟის წიგნში<sup>26</sup>. ქართველოლოგთაგან პირველად მას ყურადღება მიაქცია მ. ბროსემ, რომელმაც გამოაქვეყნა მისი ფრანგული თარგმანი, ოლონდ, მ. ბროსემ არჩილის წერილი შეცდომით 1886 წლით დაათარიღა<sup>27</sup>, რაც გავრცელდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს შეცდომა ჯერ კიდევ 1936 წელს გაასწორა და არჩილის წერილი ვიტცენისადმი 1687 წლით (7195—5508=1687) სწორად დაათარიღა ალ. ბარამიძემ<sup>28</sup>, მაგრამ

<sup>25</sup> Nicolaas Witsen, Noord en Oost Tartarye...: არსებობს მისი სამი გამოცემა: I გამოცემა — ამსტერდამი, 1692, გვ. 327, ოლონდ აქ არჩილისა და ერეკლე პირველის პორტრეტები, როგორც ეს მომდევნო გამოცემებთან შედარებით ირკვევა, ჯერ შესული არაა; II გამოცემა — ამსტერდამი, 1705 წ; III გამოცემა — ამსტერდამი, 1785 წ. გვ. 529: პირველი ორი გამოცემა ავტორის სიცოცხლეში განხორციელდა, მესამე და უკანასკნელი — მისი სიკვდილის შემდეგ.

<sup>26</sup> L. Dézsi, Mistótfalusi Kis Miklós, Budapest, 1899, 88—89.

<sup>27</sup> M. Brosset, Histoire de la Géorgien. II partie, 2 livr., St.—Ptb., 1857, p. 351—352

<sup>28</sup> ალ. ბარამიძე. ფაქტები და შენიშვნები — 3. არჩილის წერილი ვიტცენთან, „ლიტ. საქართველო“, 15.XII.1936, № 21; შტრ. კ. კეკელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში, ეტიუდები, II, თბილისი, 1945, გვ. 327.

რატომღაც დღემდე მას სათანადო ანგარიშს არ უწევენ და არჩილის წერილს კვლავ მ. ბროსეს მცდარი დათარიღებით — 1686 წლით მიუთითებენ. ამას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამსტერდამში დამზადებული ქართული შრიფტის ისტორიისათვის.

6. ვიტცენის წიგნის III გამოცემის (ამსტერდამი, 1785 წ.) მიხედვით, არჩილის აღნიშნული წერილის ტექსტი და ფაქსიმილე 1936 წელს გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ თავის ზემოდასახელებულ სტატიაში, ხოლო 1937 წელს იგი დაბეჭდა ქრ. შარაშიძემაც<sup>29</sup>. ოლონდ ქრ. შარაშიძის პუბლიკაცია განსხვავებულ წაკითხვებს იძლევა. ქრ. შარაშიძე ასე კითხულობს არჩილის წერილის დასაწყის ფრაზას: „...ნათესავისაგან დავითისა პანკრატიონი მეოთხემოცდამეერთე მეფე არჩილ“, მაშინ როდესაც ალ. ბარამიძე აქ „მეორმოცდამეერთეს“ წაკითხვას გეთავაზობს და ჩვენც ამას ვიზიარებთ. ყველა ნიშნით, ქრ. შარაშიძე აქ მ. ბროსეს მცდარ წაკითხვაზე დამყარებულ ფრანგულ თარგმანს ეყრდნობა: „81-e roi de la race de David“; აქედანვეა მცდარად გადასული ლ. დევის უნგრულ თარგმანშიც: „...nyolczvanegyedik Kiralya“, თუმცა, აქ რომ რაღაც შეუსაბამობა იყო, თვითონ მ. ბროსეც გრძნობდა, როდესაც სავანგებოდ შენიშნავდა:

„C c N 81, que le roi Artchil s'attribue dans la série des rois Bagratides, et qu'aucun calcul ne justifie.“

არჩილის წერილში დამახინჯებულია სახელები: ამისტრანდინი, უნდა იყოს — ამსტერდამი (იმ დროს იწერებოდა — Amsterdam). ნიკოლოზაავილსები, უნდა იყოს — ნიკოლა ვიტცენი (Nicolaas Cornelizoon Wilsen), ხოლო სულ უკანასკნელ დრომდე უცნობი იყო წერილში დამოწმებული „ბარნო კლარი“.

საქმე ისაა, რომ მ. ბროსემ არჩილის წერილის თავისეულ (ზემოაღნიშნულ) ფრანგულ თარგმანში (1857), ვდაკასობის გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე, იგი შეცდომით „baron Wlar“—ად ამოიკითხა და ამის გამო ქართულ პუბლიკაციებსა თუ გამოკვლევებში ყველგან „ბარონ ვლარი“ მოიხსენიებოდა. ჩვენ მას ვკითხულობთ, როგორც „ბარნო კლარი“, რომელიც აღმოჩნდა ჰოლანდიის გენერალური შტატების რეზიდენტი მოსკოვში ბარონი იოჰან-ვილემ კელე-

<sup>29</sup> ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, 1937. გვ. 27; იხ. მისივე, პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1956, გვ. 32. ტაბ. 1, გვ. 79.

რი (baron J. W. Keller). ამავე დროს, ამსტერდამის საუნევერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ნ. ვიტცენის მიმოწერის ფონდში მიკვლეულ იქნა არჩილის ამ წერილის პოლანდიური და ფრანგული ასოები<sup>30</sup>.

საიდან იცნობდა არჩილი ვიტცენს?

ნიკოლა-კორნელიუს ვიტცენის (1641—1717) ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი 1664 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი ჩამოჰყვა მოსკოვში პოლანდიის საელჩოს, რომელსაც სათავეში ედგა იაკობ ბორილი — Jacob Boreel (1630—1697). ოფიციალური თანამდებობა საელჩოში ვიტცენს ამ დროს არ სჭერია და როგორც ჩანს, მისი ჩამოსვლის მთავარ მიზანს წმინდა მეცნიერული მუშაობა წარმოადგენდა: მოსკოვში ვიტცენი აგროვებდა მასალებს თავისი შრომისათვის: „Noord en Oost Tartarye“. ნ. ვიტცენის ზოგიერთი ბიოგრაფი უარყოფს 1664-65 წლების, ან საერთოდ, ბორილის წასვლის შემდეგ, პოლანდიელი მეცნიერის რუსეთში მეორედ ჩამოსვლას. ასევე არასწორად მიაჩნიათ აზრი კასპიის ზღვის, ან ყინულოვან ოკეანისკენ ვიტცენის მოგზაურობის შესახებ. საერთოდ, ვიტცენს კორესპონდენტთა ფართო ქსელი ჰქონია გაბმული თვით პეტრე პირველისა და ლაიბნიცის ჩათვლით და მიმოწერის გზით ისეთ შორეულ ქვეყნებთანაც კი ყოფილა დაკავშირებული, როგორცაა იაპონია და სპარსეთი<sup>31</sup>.

<sup>30</sup> იხ. ქ. ვათეიშვილი, ერის საგანძურს შეემატა, „კომუნისტი“, 14. XI. 1977: მისივე ამაგდარი მამულიშვილები (არჩილ და ალექსანდრე ბაგრატიონების ბიოგრაფიისათვის). „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 4, გვ. 58; საყურადღებოა, რომ ეს „holländske residenten baron J. W. Keller“ და მისი ურთიერთობა არჩილთან აღნიშნული აქვს ქ. იაკობოვსკის ჯერ კიდევ 1932 წელს: იხ. С. Jacobowsky, Johan Gabriel Sparwenfeld, Stockholm, 1932, ss. 60, 63, 66, 329, 376.

<sup>31</sup> A. I. van der Au, Biographisch Woordenboek der Nederlanden, Haarlem, 1852; Amsterdam, 1969, s. 111—112; I. F. Gæbhard, Het leven van Mr. Nicolaas Corneliszoon Witsen, t. I—II, Utrecht, 1881—1882; Kurt Müller, Gottfried Wilhelm Leibniz und Nicolaas Witsen, Berlin, 1955; Nicolaas Witsen, Moscoviscde reyse (1664—1665), 1966; Пекарский П., Наука и литература в России при Петре Великом, т. I, СПб., 1862, с. 6—7, 517—520; Браудо А., Николай-Корнелий Витзен, Энци. сл. Брокг.—Эфр., т. 12, СПб., 1892, с. 568—569; Энци. сл. Гранат, т. 10, М., с. 336; БСЭ, т. 11, М., 1930, с. 310; БСЭ, т. 8, М., 1951, с. 204.



მოსკოვის ქართული კოლონიის ცნობილი მკვლევარი ვლ. ტატიშვილი ვიტცენის რუსეთში მეორედ ჩამოსვლასა და არჩილის პირადად გაცნობას საექვოდ არ თვლიდა: „...ვიტცენმა მოსკოვის სამეფოში იმოგზაურა 1664 წელს, როგორც პოლანდიის საელჩოს წევრმა. მოსკოვში ვიტცენი გაეცნო ერეკლე I-ს. ხოლო თავისი მეორედ ჩამოსვლის დროს მეფე არჩილ II-სა“<sup>32</sup>. ამასვე ვწერდით ლაიოშ ტარდისთან ერთად ჩვენც: „...პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოდან მოსკოვს გადახვეწილი არჩილ მეფე 1686 წელს დაუკავშირდა დასავლეთ ევროპიდან აქ მოსულ განათლებულ უცხოელებს — ამსტერდამის ბურგომისტრს ნიკოლავიტცენს და შვედ მეცნიერს, დიპლომატიოპან შპარვენფელდს“<sup>33</sup>. ჯ. ვათეიშვილი არ იზიარებს ვიტცენის რუსეთში მეორედ ჩამოსვლისა და არჩილ მეფის პირადად გაცნობის ვერსიას:

«...будущий бургомистр Амстердама Никкола Витцен побывал в Москве в 1664—1665 годах в составе голландского посольства, возглавлявшегося Я. Борелем. После этого в Россию он не приезжал. Царь Арчил же впервые прибыл в Москву в начале 1685 года. Постольку они лично не были знакомы»<sup>34</sup>.

1664-65 წლებში ვიტცენი არჩილ მეფეს მოსკოვში რომ ვერ გაიცინობდა, ამაზე არავინ დაობს, რადგან არჩილი მოსკოვს პირველად 1685 წლის 14 დეკემბერს ჩავიდა და არა 1685 წლის დასაწყისში, როგორც ამას ჯ. ვათეიშვილი წერს. მაგრამ კარგადაა ცნობილი, რომ ვიტცენი თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში, რომელიც პირველად 1692 წელს გამოიცა ამსტერდამში, ძლიერაა დავალებული საქართველოს შესახებ არჩილის მიერ მიწოდებული ცნობებით. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ სავალდებულო სულაც არ იყო, ვიტცენს ეს ცნობები არჩილთან მაინცდამაინც პირადი საუბრების გზით მიეღო და შეიძლებოდა არჩილს ისინი მოსკოვიდან ამსტერდამში წერილობითაც ეცნობებინა ვიტცენისათვის 1686-88 წლებში, ე. ი. სანამ არჩილი მოსკოვში იმყოფებოდა პირველად ჩასვლის დროს. თუნდაც იმავე „ბარნო კლარის“ (ბარონ კელერის) მეშვეობით. მოვიგონოთ,

<sup>32</sup> ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში. თბილისი. 1959, გვ. 257.

<sup>33</sup> ლ. ტარდი, გ. შარაძე, ქართული სტამბის სათავეებთან, „კომუნისტობ“, 7. IX. 80.

<sup>34</sup> В а т е й ш в и л и Дж., Грузинские оттиски из Амстердама, «Литературная Грузия», 1981, № 4, с. 171.

რომ ვიტცენს კორესპონდენტები თვით უკიდურეს შორეულ მხარე-ებშიაც კი ჰყოლია!

მიუხედავად ამისა, მაინც დავეუბრუნდეთ არჩილის 1687 წლის 17 დეკემბრის წერილს, რომლის ერთ ადგილას ვკითხულობთ: „...მერმე გავიგონეთ თქვენს ადგილზე მჭდომის პატრონის ბარნო კლარის აგან, რომე თქვენ გარჯილხართ ჩვენის გულისათვის და ჩვენის ენის წიგნის ბეჭედს გვიჭრევენებთ“.

აქ არჩილი სრულიად გარკვევით სწერს ვიტცენს, რომ „პატრონი ბარნო კლარი“, ანუ ჰოლანდიის გენერალური შტატების რეზიდენტი მოსკოვში ბარონი კელერი „თქვენს ადგილზე მჭდომიაო“! მაშასადამე, არჩილის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ბარონი კელერი ნიკოლა ვიტცენის ადგილზე მჭდარა მოსკოვში, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვიტცენის ნაცვლად, თითქოს კელერს დაუჭერია ჰოლანდიის რეზიდენტის ადგილი მოსკოვის სამეფოში.

მ. ბროსეტ ასე თარგმნიდა არჩილის წერილის ამ ადგილს: „Ensuite, ayant appris du seigneur-baron Wlar, votre suppliant» Sypléant კი სწორედ შემცვლელს ნიშნავს, ხოლო საგანგებო შენიშვნაში ბროსეს იგი ასე ჰყავს წარმოდგენილი: „baron Wlar, suppléant de Witsen“ („ბარონ ვლარი, ვიტცენის შემცვლელი“) <sup>35</sup>.

მაშასადამე, გამოჩენილი ჰოლანდიელი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის ნიკოლა ვიტცენის რუსეთში მე-17 საუკუნის 80-იან წლებში ხელახლა ჩამოსვლა და აქ არჩილთან პირადი ნაცნობობა თითქოს აღარ უნდა იწვევდეს ეჭვს!

მაგრამ არის რამდენიმე მომენტი, რომელსაც უსათუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში, კერძოდ, და პირველ რიგში იმას, რომ ამ ფაქტს არ იცნობს, თუ არ ასახელებს ვიტცენის არც ერთი ბიოგრაფი. ოღონდ ერთი კია, რომ ისინი ვერ შეთანხმებულან 1665-67 წლებში ვიტცენის რუსეთში ხელმეორედ ჩამოსვლის აღიარებაში.

ვიტცენის ბიოგრაფთა (ა. ვან დერ აა, ი. გებჰარდი) ცნობით, ნიკოლა ვიტცენი პირველად ამსტერდამის ბურგომისტრი გახდა 1682 წლის თებერვალში <sup>36</sup> და სიცოცხლის ბოლომდე — 1717 წლის 10

<sup>35</sup> M. Brosset. Histoire., 1-57, p. 351 — 352.

<sup>36</sup> A. I. van der Aa, Biographisch Woordenboek der Nederlanden [Haarlem, 1852], Amsterdam, 1969, s. 111 — 112; I. F. Gebhard, Het leven van Mr. Nicolaas Corneliszoon Witsen, Utrecht, 1881 — 1882, s. 193—194.

ავვისტომდე ამ თანამდებობაზე დარჩენილა. ასე რომ, პეტრე I-მა პოლანდიაში მეორედ ჩასვლისას თავისი ძველი მეგობარი სასიკვდილო სარეცელზე კვლავ ბურგომისტრად იხილა<sup>37</sup>. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამსტერდამს ერთდროულად რამდენიმე ბურგომისტრი ჰყავდა და ეს თანამდებობაც არჩევითი იყო, ე. ი. სიცოცხლეში კაცი შეიძლება რამდენჯერმე გამხდარიყო ბურგომისტრი. მაშასადამე, გამორიცხული არაა ვიტყვნს ბურგომისტრობიდან თავისუფალ დროს (20-იან წლებში), რამდენიმე ხნით მოსკოვის სამეფოში პოლანდიის წარმომადგენლობაც ეკისრა, მთა უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ იგი ადრე — 1664-65 წლებში რუსეთში ნამყოფი იყო და როგორც თვითონ წერდა 1706 წლის 19 იანვარს ლაიბნიცს, მაშინ რუსულიც უსწავლია:

«Правда, что так как я знаю немножко русский язык и в молодости был при Московском дворе, то Генеральные штаты (Голландии) и магистрат нашего города (Амстердама) поручили мне принимать и сопровождать царя (Петра I) во время его пребывания здесь, когда он был у меня в Гааге или у себя в доме (Амстердаме)»<sup>38</sup>. (იგულისხმება პეტრე პირველის და მისი „დიდი ელჩობის“ ყოფნა პოლანდიაში 1697-98 წლებში). მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ვიტცენის მეცნიერული ინტერესები რუსეთისა და რუსეთში მცხოვრები ხალხებისადმი და ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ გული მას აქეთკენ ხელმეორედ გამოუწევდა. ამას გარდა, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 1687 და 1692 წლებში ამსტერდამში გამოცემული ორივე თავისი ფუნდამენტური ნაშრომი ვიტცენმა რუსეთის ორმეფობის პერიოდში იოანე და პეტრე ალექსის ძეთ მიუძღვნა, რაც ამ ნაშრომთა დაწერაში მათი მხრიდან ხელისშეწყობის აღიარებას მოასწავებს, ხოლო მოგვიანებით, კერძოდ, 1697-98 წლებში პოლანდიის მთავრობამ ვიტცენს მიანდო პეტრე I-ისა და მისი „დიდი ელჩობის“ მასპინძლობა<sup>39</sup> (ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ კვლავ დაუბრუნდებით).

<sup>37</sup> J. Scheltema. Anecdotes historiques., Lausanne, 1842; Схельтема, Петр Великий Император России в Голландии и в Заандаме в 1697 и 1717 гг., «Русская старина», 1916. июнь. с. 344.

<sup>38</sup> Герье В., Лейбниц и его век, т. II, СПб., 1871, с. 35.

<sup>39</sup> Пекарский П., Наука и литература в России при Петре Великом, т. I, СПб., 1862, с. 6—7.

ასე იყო თუ ისე, გარდა არჩილის წერილისა, 1680-იან წლებში ვიტცენის რუსეთში ხელმეორედ ჩამოსვლის დამადასტურებელი სხვა რაიმე ხელშესახები ან პირდაპირი ცნობა არა გვაქვს, არჩილის სიტყვებს კი უეჭველად ახსნა სჭირდება.

სხვათა შორის, არჩილსა და ვიტცენს შორის მეგობრობა და ურთიერთობა არც შემდეგში შეწყვეტილა. აღსანიშნავია, რომ 1697 წელს პეტრე I-თან ერთად პოლანდიაში მყოფი არჩილის უფროსი ვაჟი — ალექსანდრე ბატონიშვილი (1674—1711), რუსეთის მომავალი პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი, ძლიერ დაახლოებულა ვიტცენთან და ამ უკანასკნელს მისთვის ბევრჯერ დახმარებაც გაუწევია<sup>40</sup>. სამაგიეროდ, ვიტცენსაც უნდა ესარგებლა ალექსანდრე ბატონიშვილისაგან საქართველოს შესახებ დამატებით მიღებულ კონსულტაციებით თავისი ნაშრომის ახალ გამოცემაზე მუშაობის დროს. ამიტომაც, რომ არჩილ მეფეს ვიტცენისათვის ლათინურ ენაზე წერილი მიუწერია, რომელშიც მადლობას უხდის ალექსანდრე ბატონიშვილზე გაწეული ზრუნვისათვის. არჩილის ეს ლათინური წერილი მის ადრინდელ — 1687 წლის 17 დეკემბრის ქართული წერილის ფაქსიმილესთან ერთად დაბეჭდილია ვიტცენის ზემოთ არაერთხელ დამოწმებულ ნაშრომში<sup>41</sup> (დაწვრილებით ქვემოთ).

მესამე პირველ წყარო (1686-87 წწ.) არჩილ მეფის შეეკეთით ამსტერდამში მიკლოშ კიშის მიერ ქართული შრიფტის დამზადების შესახებ 1698 წლით თარიღდება და იგი ეკუთვნის თვით მიკლოშ კიშს. როგორც უკვე ითქვა, ამ წელს მ. კიშმა კოლონიაში დაბეჭდა თავისი სახელგანთქმული თხზულება „მენჩეგი“ („თავის გასამართლებლად“), რომლის ერთ ადგილას იგი გვიყვება:

„მე ვუწევდი დიდ სამსახურს არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებს, როგორც არის პოლონეთი, შვეცია, ინგლისი, გერმანია, იტალია. არამედ ჩემს დახმარებას თხოულობდნენ დიდად დაშორებული ქვეყნებიც. როგორ შორს ცხოვრობენ ამსტერდამიდან სომხები, მაგრამ მე მათ ბევრი სარგებლობა მოვუტანე. ხოლო სად არის საქართ-

<sup>40</sup> ელ. ტატიშვილი. ქართველები მოსკოვში, თბილისი, 1959, გვ. 257—258

<sup>41</sup> იხ. N. Witsen. Noord en Oost Tartarye.. III გამოცემა. ამსტერდამი, 1785, გვ. 533; შტრ. M. Brosset. Histoire de la Géorgien, 1857, p. 51—52.

ველო, ქვეყანა კავკასიონის მთების ძირში? მათ  
ადრე არ გააჩნდათ ბეკდვა, არამედ ისევე რო-  
გორც თურქებს, მხოლოდ ხელნაწერები ჰქონ-  
დათ. მაგრამ იმათი მეფე მოეკიდა ამ საქმეს და  
საკუთარი ხელით დამიწერა იმათი ანბანი და  
ტექსტი და გამომიგზავნა ამსტერდამში. მე კი  
არ მომეწონა მათი ფორმა და შევთავაზე უფრო  
ლამაზი ასოები, რითაც მათ ძლიერ გაიხარეს“<sup>42</sup>.

როგორც ვხედავთ. შპარვენფელდისადმი 1686-87 წლებში გა-  
ზავნილი წერილების მსგავსად, მ. კიში აქაც იმეორებს ცნობას მის  
მიერ სომხებისთვის სარგებლობის მოტანაზე (შრიფტის დამზადებას  
გულისხმობს); ასევე მან კვლავ არ იცის ქართული წიგნის მასზე ად-  
რე, რომში დაბეჭდვის ფაქტის შესახებ და აცხადებს, რომ თურქე-  
ბის მსგავსად ქართველებს ჩემამდე მხოლოდ ხელნაწერი წიგნები  
ჰქონდათო. მართალია, აქ მ. კიში ცდება ქართველების მისამართით,  
მაგრამ სინამდვილეს შეეფერება მისი განცხადება თურქების შესა-  
ხებ: მართლაც, ცნობილია, რომ თურქეთში, კერძოდ, კონსტანტინო-  
პოლში პირველი სტამბები ჯერ კიდევ მე-15 ს-ის დამლევადან მოქ-  
მედებდნენ, მაგრამ მე-18 ს-ის 20-იან წლებამდე აქ მხოლოდ ებ-  
რაული, ბერძნული და სომხური წიგნები იბეჭდებოდა. პირველი  
თურქული ეროვნული სტამბა არაბული შრიფტით აქ მხოლოდ 1727  
წელს გაიხსნა და მისი დამაარსებელიც, სხვათა შორის, წარმოშობით  
უნგრელი ქრისტიანი, ოლონდ თურქეთში ტყვედ მოხვედრილი და  
რჯულგამოცვლილი გამოჩენილი მხატვარი, ხელოვანი და მესტამბე  
იბრაჰიმ მუთაფარიკა (1674—1745) იყო<sup>43</sup>. მაგრამ, ცხადია, ამ ამბავს  
მ. კიში აღარ მოსწრებია, იგი ხომ 1702 წელს გარდაიცვალა!

მაინც ყველაზე ძვირფასი ცნობა აქ ჩვენთვის ის არის, რომ  
მ. კიშის სიტყვით, ქართველთა მეფეს [არჩილს] საკუთარი ხე-  
ლით დაუწერია ქართული ანბანის და გაბმული ტექსტის.  
ნიმუშები და გაუგზავნია ამსტერდამში მ. კიშისთვის, ამ უკანასკნელს.  
კი არ მოსწონებია არჩილის ხელნაწერი ასოების მოყვანილობა,

<sup>42</sup>M. Tótfalusi K. Miklosnak maga személyének, életének, és kül-  
nös tselekedetinek Mentsége. Mellyet az irégyek ellen, kik a'kén-  
zönséges jónak ezaránt meggátolói. irni kénszurítottet, Kolosvárott,  
1698, იხ. გაბორ ტოლნაის და იმრე კენრის გამოცემა, Gyoma, 1940, გვ. 68—69.

<sup>43</sup> დაწვრილებით იხ. შ. კურდღელაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 88—102.

„გაულამაზებია“ ისინი (აქ ასოებისთვის სტამბური ფორმის მიცემა და სტილიზება უნდა იგულისხმებოდეს), რაც არჩილს თითქოს მოსწონებია და გახარებია კიდევ.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ ქართულ შრიფტზე კიშის მუშაობის პროცესში არჩილი ამსტერდამიდან ლებულობდა და ნახულობდა კიშის სასიხვ ანაბეჭდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენელი იქნებოდა არჩილს თავისი დამოკიდებულება — მოწონება-არმოწონება გამოეხატა კიშის ნახელავისადმი. ეს ცნობა კიდევ ერთხელ ესმინება და ადასტურებს შპარვენფელდისადმი მიწერილ წერილებში კიშის მიერ მოწოდებულ ცნობას, მის მიერ ამსტერდამიდან მოსკოვა 1686-87 წლების მიჯნაზე ქართული შრიფტის პირველი სასიხვი ცდების გადმოგზავნაზე. თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ არჩილს კიშისაგან საბოლოოდ დასრულებული და ჩამოსხმული ქართული სასტამბო შრიფტი მიეღოს, მაშინ მას 1688 წელს იგი წამოიღებდა კიდევ საქართველოში. არა! კიში შპარვენფელდისადმი მიწერილ წერილებშიც და აქაც არჩილ მეფისათვის ქართული შრიფტის პირველი სასიხვი ანაბეჭდების ჩვენებას გულისხმობს მხოლოდ!

რიგით მეოთხე, 1700 წელს, ფრანგულ ენაზე შპარვენფელდის მიერ მოწოდებული ცნობა, არჩილ მეფის დაეალებით კიშისთვის ამსტერდამში ქართული სასტამბო შრიფტის შეკვეთის თაობაზე, ჩვენ უკვე ზემოთ მოვიტანეთ, ხოლო მეხუთე დოკუმენტი, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ უცილობელ ისტორიულ ფაქტს, არის 1702 წელს კოლოევარში — ტრანსილვანიის დედაქალაქში დაბეჭდილი ერთი ლათინური პირველწყარო: როგორც უკვე არაერთხელ ითქვა. მიკლოშ კიში ტოტფალუში 1702 წლის 20 მარტს, ორმოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა ქალაქ კოლოევარში. ლ. ტარდის სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვეობას ერთადერთ ეგზემპლარად შემორჩა ლათინურ ენაზე დაწერილი ის ნაშრომი; რომელიც დიდი ხელოვანის დასაფლავების დღისათვის დაბეჭდა კოლოევარში და რომელშიც მისი მეგობრები, თაყვანისმცემლები და მოწაფეები იხსენებენ მიკლოშ კიშის ადამიანურსა და შემოქმედებით ღირსებებს. ამ ცალკე ფურცლის სახით დაბეჭდილ დოკუმენტში, რომელიც გ. ტოლნაის ცნობით, დაცულია ქ. კოლოევარის (კლუჯის) რეფორმატორულ ეკლესიაში ფორკოშის ქუჩაზე, ლათინურ ენაზე დაწერილი 30 სიტყვა და ლექსია დასტამბული. მათ შორის ერთ-ერთი ავტორი, მ. კიშის მოწაფე შამუელ პაპ ტელეგდი წერდა:

„გვაოცებს მზის ნათელი ბრწყინვალება და მცხუნვარება, მაგრამ გვაოცებ შენც შენი სამი ხელოვნებით: გვაოცებ, როგორც ასოთმკრელი, ასოთჩამომსხმელი და წიგნისამწყობი. შენი ოსტატობისათვის გაფასებდა შენ ჰოლანდიელი თუ ინგლისელი, ცნობილი იყავ იტალიის მიწაზე, ევროპის ბრწყინვალე ქალაქებში, როგორც უნგრელთა, ისე ებრაელთა შორის. შენს სახელს თვით აფრიკის მიწაზეც იცნობდნენ. შორეული აზიის საზღვართან მდებარე გმირმა საქართველომაც შენგან მიიღო ლითონში ჩამოსხმული ანბანი. ბედისაგან დაიმსახურე, რომ შორეულ ქვეყნებში დიდი სახელი და ბევრი ფული მოიპოვე. მაგრამ საკუთარი სამშობლოს რწმენამ და მასთან დაკავშირებულმა იმედებმა მაინც სახლში დაგაბრუნა. შესანიშნავი ბიბლიოთეკა შეადგინეს შენს მიერ დამზადებულმა წიგნებმა, შენ გადმოიწერე შენს სამშობლოში კოლხური საწმისი. შენ გააღღე გულგრილობის სქელი ყინული და ბრძნული გონებით ეხმარებოდი დედაენის განვითარებას. და თუმცა აქ, შენს სამშობლოშიც, ყელამდე საქმეში იყავი ჩაფლული, მაინც ჩამახედე შენი დიდი ხელოვნების საიდუმლოებაში. ახლა სამუდამოდ მიდიხარ ჩვენგან, მაგრამ საბოლოოდ არასოდეს გაჰქრები! შენი სახელი იცოცხლებს! დაე, მშვიდად მოისვენოს შენმა სხეულმა ამ საფლავში და დიდი დამსახურებისათვის მიიღოს ჩვენგან დაუქცნობელი საპატიო გვირგვინი“<sup>44</sup>.

აქ გარდა იმისა, რომ ჩვენი სამშობლო „გმირ საქართველოდაა“ მოხსენებული, ყურადღებას იქცევს შამუელ პაპ ტელეგდის დაბეჯითებით ნათქვამი სიტყვები: „შორეულ აზიის საზღვართან მდებარე გმირმა საქართველომაც შენგან მიიღო ლითონში ჩამოსხმული ანბანი“. მაშასადამე, აქედან მაინცდამაინც ისე გამოდის, რომ მიკლოშ კიშს არა მარტო ამოუჭრია ქართული შრიფტის სასინჯი ტიპები (დაუმზადებია პუანსონები), არამედ საბოლოოდ ლითონში ჩამოუსხამს კიდევ ქართული სასტამბო ანბანი, ე. ი. თუ ლიტერები არა, მატრიცები მაინც დაუმზადებია!

<sup>44</sup> ლ. ტარდი, მიკლოშ კიში ტოტფალუში და საქართველო (თარგმანი უნგრულიდან მ. სალაძისა), გაზ. „სამშობლო“, 1978, დეკემბერი, № 24: შტრ. Tótfalusi Kis Miklós halotti kártyája, გ. ტოლნაისა და დ. ჰაიმაიანი გამოცემა ლათინური დენის უნგრული თარგმან-თურთ, Budapest, 1978, გვ. 100—101.

შამუელ პაპ ტელეგდის გარდა, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე მ. კიშის ერთ-ერთი ძველი მეგობარი, პროფესორი ფერენც პაპაი პარიზი (1649—1716) თავის ცნობილ პოემაში „ცხოვრების წიგნი“, რომელიც 78 სტროფისაგან შედგება და წარმოადგენს მიკლოშ კიშის ცხოვრების აღწერას. აქედან 5 სტროფი ეძღვნება მიკლოშ კიშის მუშაობას ქართულ შრიფტზე და ამის გამო არჩილ მეფის მიერ გამოთქმულ მადლობას. ფ. პაპაი პარიზის ეს თხზულება 1767 წელს გამოცა პეტერ ბოდმა საკუთარი კომენტარებით<sup>45</sup>. ერთ-ერთ კომენტარში პეტერ ბოდი განმარტავს საქართველოს და იძლევა ცნობას, რომ „ტოტფალუშიმ თბილისელ გვირგვინოსან შემკვეთს დაუმზადა არა მარტო შრიფტი, არამედ სტამბაც“, ან კიდევ: „ქართველებს, რომლებიც ძველად იწოდებოდნენ ივერიელებად, ტოტფალუშიმ დაუარსა საბეჭდი სახელოსნო“<sup>46</sup>.

ახლა კვლავ არჩილის ერთი ცნობის შესახებ: დაბეჭდვით არ შეიძლება ითქვას, რომ ფელდმარშალ თ. ა. გოლოვინისადმი 1703 წლის 2 ივლისს გაგზავნილ წერილში არჩილი მაინცდამაინც 1686-87 წლებში ამსტერდამში შეკვეთილ ქართულ შრიფტს გულისხმობს თუ არა, მაგრამ ამ ამბებთან რომ მას კავშირი უნდა ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში, ეს ცხადია. არჩილი წერს:

«При сем Вашей милости доношу прошение мое. Прошедших лет повелелся нам от Высочайшия Державы печатать книги на нашем языке ради церковныя и гражданския пользы нашему Иверскому народу, а панпаче в тиранстве под Турком и Персом сущим, кон зело великую скудость книг церковных имеют. И тогда начатое дело недостатком литер и людей, к делу приличных, остановилось, а ныне, за Божию помощию, литеры нашего

---

<sup>45</sup> Erdélyi Feniks. Tótfalusi Kis Miklos. Prof. Pápai Pariz Ferencnek a könyvnyomatás mesterségének feltalásáról és folytatásáról Tótfalusi Kis Miklós emlékeztére írott versei. Péter P. Tsernátoni Bod-ის გამოცემა. Enyed, 1767.

<sup>46</sup> იბ. V. Molin, Contributii noi la istoricul relatiilor culturale cu Orientul ortodox (1709—1712), „Biserica Ortodoxa Romina“, 1961, № 3—4. p. 331. მოკეყავს ო. გვინჩიძის მიხედვით: ანთიმოზ ივერიელი, თბილისი, 1973, გვ. 70; ვ. მოლინი. ქართული სტამბის ისტორიიდან, „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 9, გვ. 52—54.



დიპლექტა პოვრონილს ივრადიო ი ხუდოჟნიკი  
კ დელუ იბრეტაიუს ისკუსნე.

Прошу убо Вашу любовь, донеси Державнейшему, дабы повелел в своей Царской Типографии на нашем языке несколько книг церковных напечатать и своим богатодарным иждивенным недостатку нашему помощи ради вечных славы Его Благодетельному Царству и Христианския общия пользы прошу усердно.

Ваш Арчил и челом бью.  
С Москвы 1703, Июля 2»<sup>47</sup>.

არჩილის ამ წერილის შინაარსი სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად და თან არასწორად გადმოსცა არქივარიუსმა ფრანცისკ პლოენმა:

«В другом письме Арчил просил Головина о исходатайствовании у Государя (Петра Первого) повеления напечатать в типографии несколько церковных книг на грузинском языке для всеобщего употребления в его отечестве. В Грузии же напечатание ограничено по недостатку литературы»<sup>48</sup>.

როგორც ზემომოყვანილი არჩილის წერილიდან დავრწმუნდით, იქ არსად არ არის ნათქვამი მაინცდამაინც საქართველოში ლიტერების და სათანადო საქმის მცოდნე კაცთა უკმარობის გამო ქართული სტამბის საქმე შეფერხდა.

პლოენის ასეთმა არაზუსტმა ინტერპრეტაციამ (თვითონ არჩილის წერილს კი 1937 წლამდე ანგარიშს არ უწევდნენ) სათავე დაუდო გაუგებრობას, თითქოს საქართველოში წიგნები 1709 წლამდე,

<sup>47</sup> Письма имперетинского царя Арчила к боярину Федору Алексеевичу Головину. сообщено Н. Г. Головиным, «Раут на 1852 год. Исторический и литературный сборник», издание И. В. Сушкова, М., 1852, с. 328; შდრ. ალ. ბარამიძე, არჩილის ცხოვრება და შემოქმედება, «არჩილიანი», ტ. II, თბილისი, 1937, გვ. XIIII; მისივე, ნარკვევები. II. თბილისი, 1940, გვ. 172; ო. გვინჩიძე, ანთიმოზ ივერიელი, თბილისი, 1973, გვ. 62; გ. პაიქაძე, ვახტანგ მეექვსე, თბილისი, 1981, გვ. 55.

<sup>48</sup> Исторический обзор дипломатических сношений между Российскими государями и Грузинскими царями и владетелями, составленный Франциском Плоеным, об. ж. ბროსეს გამოც.: Переписка на ии. яз. Грузинских царей с Российскими государями от 1639 г. по 1770 г., СПб., 1881, с. LXXV.

ე. ი. ვახტანგიანულ სტამბის დაარსებამდეც იბეჭდებოდა<sup>49</sup>. ჩვენი აზრით, ეს გაუგებრობა ჯერ კიდევ 1937 წელს გაფანტა ალ. ბარამიძემ, როდესაც მოსკოვის ცენტრალურ არქივში დაცული დედნის მიხედვით გამოაქვეყნა არჩილის ზემოდასახელებული წერილის ჩვენთვის საინტერესო ადგილი. ალ. ბარამიძე მასზე დაყრდნობით აქარწყლებს პლოენისეულ ინტერპრეტაციას და განმარტავს, რომ აქ უფრო ამსტერდამულ შრიფტთან დაკავშირებული ამბები უნდა იგულისხმებოდესო: „აღსანიშნავია, რომ სტამბის საკითხით არჩილი დაინტერესებულა მოსკოვში პირველად ჩასვლისას. ქართული შრიფტის ჩამოსხმას მეფე იმთავითვე შედგომია. ამ საქმეში არჩილისათვის დიდი დახმარება გაუწევია პოლანდიელ სწავლულ ორიენტალისტს და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს ნიკოლა ვიტცენს“<sup>50</sup>.

რაც შეეხება ქრ. შარაშიძეს, მას არც ეეჭვება, რომ არჩილი ამ წერილში იხსენიებს „ცხადია 1686-87 წწ. ჩატარებულ მუშაობას“<sup>51</sup>, ან კიდევ: „1703 წელს მოსკოვს მყოფი არჩილი მოაგონებს თ. ა. გოლოვინს, რომ მას (არჩილს) ადრევე (1686) ჰქონდა მიღებული პეტრე დიდისაგან ქართული სტამბის მოწყობის დასტური და თხოვლობს წიგნების ბეჭდვის ნებართვას მის მიერ მოწყობილ სტამბაში“<sup>52</sup>.

თუ ეს მართლა ასეა (და როგორც ჩანს, სხვანაირად ვერც ვიფიქრებთ), მაშინ გამოდის, რომ არჩილის 1703 წლის 2 ივლისის წერილი გოლოვინისადმი რიგით მეექვსე პირველწყაროა, რომელშიც

---

<sup>49</sup> იხ. დ. კარიკაშვილი. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, ტფილისი, 1929. გვ. 44; Абрамшвили А. З., Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии, «Книга. Исследования и материалы», сб. III, М., 1960, с. 270; შტრ. აგრეთვე. სოლ. დოდაშვილი, მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა, „სალიტ. ნაწილი ტფილისის უწყებთან“, 1832, № 1—2; Энциклопедический лексикон, в типографии А. Плюшара, т. 15, СПб., 1838, с. 424; K. Faulmann, Illustrirte Geschichte der Buchdruckerkunst, Wien, 1882. s. 293; D. Ionescu Calauza tipografului, Bucuresti, 1901, p. 71.

<sup>50</sup> ალ. ბარამიძე, არჩილის ცხოვრება და შემოქმედება, იხ. არჩილიანი, II, თბილისი, 1937. გვ. XIII.

<sup>51</sup> ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, 1937, გვ. 31.

<sup>52</sup> ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 80—81.

დადასტურებულია მისი მკვლელობა ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადების თაობაზე.

ასე რომ, მიკლომ კიშს, როგორც ვხედავთ, არჩილ მეფის შეკვეთა ამსტერდამში თითქოს ბოლომდე მიუყვანია, მაგრამ გასამრჩელოს მოგვარების გაჭიანურებისა, თუ მოულოდნელად გიორგი XI-ის მიერ 1688 წელს არჩილის მოსკოვიდან საქართველოში გამოწვევის გამო, აგრეთვე, 1689 წელს უკვე თვითონ მ. კიშის ამსტერდამიდან კოლოჩევარში წამოსვლის მიზეზით, ღიდი უნგრელი მესტამბის ამსტერდამულ ნახელაგს არჩილამდე ვეღარ მოუღწევია.

ქართული საისტორიო წყაროები, სამწუხაროდ, ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იოანე ბაგრატიონის (1768—1830) გვიანდელ და საკმაოდ ბუნდოვან ცნობას: „მეფე არჩილ მეორე, ბაგრატიონი. ამან... ბიბლია რომელსა ჩვენ დაბადებად უწოდებთ, შემოკრიბნა და სრულყო, სადაც დაზნეულ და დახეულ იყვნენ ეს წერილნი. განამთელა და შეამოწმა სხვათა ენათა ზედა ბიბლიასა, და სრულებაში მომყვანმან მოსკოვს, გააკეთებინა სტამბა საფრანგეთშია ქართულად და მოატანინა საფასითა თვისითა. და მერე შემდგომად მისა ბაქარ მეფემან დააბეჭდვინა, ვინათგან არჩილს არღა დასცალდა სიცოცხლე“<sup>53</sup>.

რამდენადაც გაუგებარი არ უნდა იყოს საფრანგეთის (ე. ი. მაშინდელი მნიშვნელობით დასავლეთ ევროპის) რომელ ქვეყანას გულისხმობდა აქ იოანე ბაგრატიონი, ერთი რამ ცხადია: ამ ცნობაში სწავლულ ბატონიშვილი მაინც არჩილის რუკეთში მეორედ ჩამოსვლისა და საბოლოოდ დასახლების (1699 წ.) შემდეგ მის მიერ მოსკოვში გამართული ქართული სტამბის იმ შრიფტზე უნდა საუბრობდეს, რომლითაც 1705 წელს დაიბეჭდა „დავითნი“, ხოლო შემდეგ (1743 წ.) ბაქარისეული „ბიბლია“. მაგრამ ამ წიგნთა შრიფტის შედარება ახლა უკვე ჩვენს ხელთ არსებულ კიშისეულ შრიფტების ანაბეჭდებთან, მათ შორის სრულ სხვაობას გვიჩვენებს.

1932 წელს, სტოკჰოლმში, შვედურ ენაზე გამოქვეყნდა კარლ

<sup>53</sup> იოანე ბატონიშვილი. მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის, „ძველი საქართველო“, ტ. I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 27; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 186—187.

იაკობოვსკის მონოგრაფია იოჰან გაბრიელ შპარვენფელდის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ<sup>54</sup>.

კ. იაკობოვსკის შრომა ჩვენთვის იმ მხრივ არის საინტერესო, რომ აქ საუბარია შპარვენფელდთან არჩილ და ალექსანდრე ბაგრატიონების ურთიერთობაზე (იხ. გვ. 63, 69, 71, 92, 376), აგრეთვე, მიკლოშ კიშა (გვ. 69, 78) და მოსკოვში მყოფი ჰოლანდიის რეზიდენტის ბარონ ი. ვ. კელერის (გვ. 60, 63, 66, 329, 376) შესახებ. ამას გარდა, რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, კ. იაკობოვსკი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც მოგვაწოდა ჰერბელოტის წიგნზე 1700 წელს ფრანგულად მიწერილი შპარვენფელდის ცნობა არჩილთან და მ. კიშთან ქართული შრიფტის ჩამოსასხმელად თანამშრომლობაზე (გვ. 69). კ. იაკობოვსკიმ ასევე პირველად მიგვითითა თავის შრომაში (გვ. 78). ქ. ლინჩეპინგის ბიბლიოთეკაში დაცული მიკლოშ კიშის შპარვენფელდისადმი გაგზავნილი ორი ლათინური წერილი (Br 33 : 15,16), რომელიც ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს ამსტერდამში 1686-87 წლებში დამზადებულ ქართულ შრიფტზე.

1934 წლის შემოდგომაზე ქართული სტამბის ცნობილმა ისტორიკოსმა ქრ. შარაშიძემ სტოკჰოლმიდან მიიღო სამეფო წიგნთსაცავის ბიბლიოთეკარის კარლ ბიორკბომის (Carl Björkbohm) წერილი, რომელშიც ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად, ამგვარი შეკითხვაც იყო: „გინახავთ თუ არა სადმე ისეთი ტიპი ქართული დამწერლობისა, რომელსაც წარმოადგენს შვეციაში 1705 წლის ახლოს დაბეჭდილი ქართული სასინჯი შრიფტი და ხომ თავისებურია იგი და არ წააგავს ხუცურის საერთო ტიპს?“ წერილს თან ახლდა შვეციაში 1705 წლის ახლოს დაბეჭდილი ქართული სასინჯი შრიფტის ახლად აღმოჩენილი ანაბეჭდვის ფოტოკოპირი.

ქრ. შარაშიძემ ფოტოკოპირის შესწავლის საფუძველზე 1935 წლის იანვარში ასეთი პასუხი გაუგზავნა კ. ბიორკბომს:

„ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის ამ ახალ საყურადღებო საბუთში სამი სახის შრიფტია წარმოდგენილი: პირველი ხუთი სტრიქონი მსხვილად დაბეჭდილს ასომთავრულ-მრგვლოვან ანბანს უჭირავს. მას ოდნავ ეტყობა ლათინური შრიფტის გავლენა, განსაკუთ-

<sup>54</sup> I. G. Sparwenfeld Bidrag till en biografi akademiks avhandling an Carl Ulf Vilhelm Jakobowsky, Stokholm, 1932.

რებით, მეორე ადგილას მოთავსებული ან ი ს საჭესხეობას. ამასთანავე ოდნავ დარღვეულია ქართული ანბანის თანმიმდევრობა, რაც მსგავსი ასოების არევით უნდა იყოს გამოწვეული. მაგ. ზ (ლ)-სა და ს (ჰ)-ს ერთმანეთის ადგილი უქირავთ, ხოლო ლ (ბ)-ანი, რომელიც გადმოზრუნებულ ნ (ნ)-არს წააგავს, გამოტოვებულია და მის ადგილას განმეორებით მოთავსებულია ნ ა რ ი. ეს „ლაპსუსები“ ალბათ იმით აიხსნება, რომ ასოების გამკეთებელს გასჭირებია უცხო დამწერლობის ანბანში გარკვევა.

მეექვსე და მეშვიდე სტრიქონზე იმავე მრგვლოვან დამწერლობის შედარებით მომცრო შრიფტს ვხედავთ. აქ დაშვებულია მხოლოდ ერთი შეცდომა: ს (ჰ)-არის ადგილას მოთავსებულია მსგავსი მოხაზულობის ი (ლ)-ანი.

მერვე და უკანასკნელი სტრიქონი წვრილი ზომის ნუსხა-ხუცურს უქირავს. ძველი ნაბეჭდი ტექსტების ნუსხა-ხუცურ შრიფტთან შედარებით იგი უფრო მორგვალეულია, უფრო ინდივიდუალური იერისაა, ხელნაწერის მსგავსად, არასაკმარისად გამონაკეთული, ზოგჯერ გაურკვეველიც (ა, ი, ჯ).

მაგრამ ინტერესი, რომელსაც იწვევს ეს საბუთი, არ არის მართოდენ პალეოგრაფიული ინტერესი — უაღრესად საყურადღებოა თვით ფაქტი შვეიციაში 1705 წლის ახლოს ქართული სასინჯი შრიფტის დაბეჭდვისა...

სტოკპოლმიდან მოსული საბუთი, როგორც ქრონოლოგიურად, აგრეთვე ასე ეთქვათ, გეოგრაფიულადაც არჩილის სასტამბო მოღვაწეობას უახლოვდება...

ამ ცნობების დაპირისპირება გვაფიქრებინებს, რომ შვეიციაში დაბეჭდილი სასინჯი შრიფტი არჩილის სასტამბო მოღვაწეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, და რომ, არჩილის ძის, ალექსანდრეს ღვაწლი 1705 წელს გამოცემული „დავითნის“ დაბეჭდვაში, ალბათ, ქართული სასტამბო შრიფტის შვეიციაში დამზადებასა და მოსკოვის გადმოგზავნაში თუ გამოიხატა.

ჩვენი მოსაზრების ექვიმუტანლად დადასტურება შეეძლო სტოკპოლმის შრიფტისა და მოსკოვის 1705 წლის დ ა ვ ი თ ნ ი ს შრიფტის იგივეობას. მაგრამ ამ შრიფტების შედარებამ არ გ ვ ი ჩ ვ ე ნ ა მ ა თ ი ი გ ი ე ე ო ბ ა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც დავასკვნით, რომ შვეიციაში დაბეჭდილი სასინჯი შრიფტი, არჩილის ძის — ალექ-

სანდრე ბატონიშვილის შვეციაში ტყვეობას უნდა უკავშირდებოდეს“<sup>55</sup>.

1935 წელს სტოკჰოლმში უკვე გამოქვეყნდა კ. ბიორკბომის გამოკვლევა „ჰენრიხ III კაიზერის ქართული შრიფტის სასინჯი ანაბეჭდი“, რომელშიაც ასახულია ქრ. შარაშიძის მიერ მიწოდებული ცნობები<sup>56</sup>.

ვინაიდან კ. ბიორკბომის გამოკვლევა შეედურ (ამდენად ძნელად-მისაწვდომ) ენაზე იყო დაბეჭდილი, ავტორმა ქრ. შარაშიძისთვის გამოგზავნილ თავის შრომის ამონაბეჭდს თან მოაყოლა ვრცელი რეზიუმე გერმანულ ენაზე, რომელიც ქართულად თარგმნა ფატი ხუნდაძემ და 1937 წელს თავის გამოკვლევასთან ერთად გამოაქვეყნა ქრ. შარაშიძემ<sup>57</sup>. დიდხანს, აგერ 1981 წლამდე, ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობა კ. ბიორკბომის ნაშრომს უმეტესად ამ გერმანული რეზიუმეს ქართული თარგმანით იცნობდა. მხოლოდ 1981 წელს გამოვიდა ბიორკბომის გამოკვლევის სრული ქართული თარგმანი (მთარგმნელი ფრ. სიხარულიძე)<sup>58</sup>.

მაშასადამე, 1935 წელს კ. ბიორკბომის გამოკვლევით ცნობილი გახდა სტოკჰოლმში 1705 წლის ახლო ხანებში დაბეჭდილი ქართული შრიფტის სასინჯი ანაბეჭდი სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარის მიხედვით. ახლა საინტერესოა, როგორი დასკვნა გააკეთა კ. ბიორკბომმა ამ შრიფტის წარმოშობაზე.

კ. ბიორკბომის გამოკვლევებისთვის დართული ფოტოპირიდან ჩანდა, რომ მასზე სამი სხვადასხვა სიდიდის ქართული ანბანი (ამათგან ორი — ასომთავრულის ვარიანტებია — დიდი და პატარა ზომისა, ხოლო მესამე — წვრილი ნუსხა-ხუცური შრიფტია) წარმოდგენილი. საგანგებოდ ხაზს ვუსვამთ, რომ ქართული ანბანის მესამე სახეობა — მხედრული აქ არ არის დადასტურებული. ანაბეჭდი ფურცლის ზომაა 33×21 სმ და მასზე გარდა

<sup>55</sup> ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, 1937, გვ. 19—21.

<sup>56</sup> C. Björkholm. Henrik III Keysers georgiska stilprov, „Nordisk tidskrift för bok-och biblioteksväsen,“ arg. XXII, Stokholm, 1935, s. 93—102.

<sup>57</sup> ქრ. შარაშიძე. დას. ნაშრ., გვ. 22—26.

<sup>58</sup> ფრ. სიხარულიძე. დოკუმენტები საქართველო-შვედეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, კრებ. „მეგობრობა“, თბლისი, 1981, გვ. 308—322.

ქართული ასომთავრული და ნუსხა-ხუცური ანბანის სამი სახეობის შრიფტებისა (8 სტრიქონად, ამათგან პირველი 5 სტრიქონი უჭირავს დიდი ზომის ასომთავრულს, მეექვსე-მეშვიდე სტრიქონები — წერილ ასომთავრულს, ხოლო მეორე სტრიქონი — წერილ ნუსხა-ხუცურს). იმავე შრიფტით აწყობილია ორი ქართული ტექსტი: „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო მარიამ“ 19 სტრიქონად. ამათგან საზედაო ასოდ გამოყენებულია დიდი ზომის ასომთავრული მ-ანი, დააწყის და ბოლო სტრიქონებში მომცრო ზომის ასომთავრული, ხოლო თვითონ ტექსტი გაბმულად წერილი ნუსხა-ხუცურის შრიფტითაა აწყობილი.

კ. ბიორკბომის ცნობით, სასინჯი ანაბექდის ფურცელზე უნიკალური შენიშვნაა გაკეთებული მაშინდელი სამეფო კანცელარიის მდივნის ელიას პალმშელდის (Palmskiöld) ხელით, რომელიც გვაუწყებს: „ჰენრიკ კაიზერს უმცროსის 1705 წელს გამოცემული ქართული ანაბექდის ასლი“. მაგრამ ბიორკბომი არ იზიარებს მას: „არ შეიძლებოდა იგი ჰენრიკ კაიზერ უმცროსს დაებეჭდა, რადგან ის ჯერ კიდევ 1699 წ. გარდაიცვალა. დაბეჭდა მისმა შვილმა ჰენრიკ III კაიზერმა, რომელიც 1695—1701 წწ. აკადემიურ წიგნებს აქვეყნებდა უფსალაში, ხოლო შემდეგ სტოკჰოლმს დასახლდა“.

ამის შემდეგ კ. ბიორკბომი გადმოსცემს არჩილის მოსკოვში პირველად ჩამოსვლის, ვიტცენთან და შპარვენფელდთან დაკავშირებისა და მათი საშუალებით ამსტერდამში მიკლოშ კიშისათვის ქართული შრიფტის შეკვეთის ამბავს: მოჰყავს ქ. ლინჩოპინგის ბიბლიოთეკაში დაცული კიშის ორი ლათინური წერილი შპარვენფელდისადმი, სადაც ლაპარაკია ქართული შრიფტის დამზადების პროცესზე და, რაც მთავარია, ახდენს კიშის 1686-87 წწ. წერილებში მოხსენებულ ქართული შრიფტისა და სტოკჰოლმში დაბეჭდილი ქართული სასინჯი ანაბექდის შრიფტის გაიგივებას: „ანბანის ჩამოსასხმელად სამივე იმ კომპლექსის აღწერა სრულიად შეესაბამება იმას, რაც ნაპოვნია შრიფტის ამ სასინჯ ანაბექდში“, ან კიდევ: „კიში იძლევა მრავალ ტექნიკურ დეტალს, რომელთაგანაც სჩანს, რომ აქ ლაპარაკია იმავე ტიპებზე, რომელიც მოცემულია სასინჯ ტიპებში. ამგვარად, ტიპები უკვე 1687 წელს ყოფილა მზად, მაგრამ გასამრჩელოსთან დაკავშირებული დაბრკოლებების გამო ვერ მოხერხებულა მათი დაუყოვნებლივ გადაგზავნა [მოსკოვში]. სწორედ ამ [1687] წელს დასტოვა შპარვენფელდმა რუსეთი და შემდეგ

1688 წელს არჩილიც დაბრუნდა თავის სამშობლოში. ამგვარად, სრულიად ნათელია, რისთვის გაიგზავნა ტიპები სტოკჰოლმში და არა რუსეთში. სტოკჰოლმში ეს ტიპები დიდხანს იყო ისე, რომ მათთვის არავის მიუჩქევია ყურადღება. მაგრამ 1700 წელს არჩილის შვილი ალექსანდრე დატყვევებულ იქნა ნარვასთან და მოყვანილ იქნა სტოკჰოლმში...

სტოკჰოლმში ალექსანდრეს კავშირი ჰქონდა შპარვენფელდთან, რომელიც მრავალი ენის ცოდნის გამო ტყვეების დაბინავებას აწარმოებდა. შვედური სახელმწიფო არქივის საბუთებში ჩვენ ვპოულობთ წერილობით მოხსენებას „მელითელი პრინცის“ შესახებ, როგორც მას უწოდებენ. ეს მოხსენება დაწერილია შპარვენფელდის დამახასიათებელი ხელით. ამისდაგვარად, ალექსანდრეს უნდა ჰქონოდა ცნობა ამ ტიპების შესახებ. მაგრამ ჩვენ გვაქვს ამის პირდაპირი საბუთიც [რომ თვით ალექსანდრემ მოაწყო შრიფტის სასინჯი ანაბექტების ბექტვა. კანცელარიის კოლეგიუმის 1703 წ. 29 ოქტომბრის ოქმში შეიძლება წავიკითხოთ ასეთი შინაარსის ჩანაწერი: „ინსპექტორმა და თარჯიმანმა ლინდმანმა კოლეგიუმს წარუდგინა შეკვრა, რომელშიც იყო ასოების ჩამოსასხმელი. ტყვე მელითელმა პრინცმა თქვა, გაკეთებულია ქართული ანბანი ისეთის, აგრეთვე ასლი ან ანაბექტი ამ ანბანის. სამეფო კოლეგიას ის თხოვს მათი შინ, მოსკოვს გაგზავნის ნებას; მხოლოდ კოლეგიას არ შეუძლია ამ საკითხის გადაწყვეტა, ამიტომ მას განსახილველად გადასცემს სენატს“. ჩვენთვის სრულიად ნათელია [ხსენებული] გადმონაბეჭდისა და სასინჯი ტიპების იდენტურობა. შეიძლება დაბეჯითებითაც ითქვას, რომ ჩვენი ეგზემპლარი სწორედ ის არის, რომელიც ამ შემთხვევის დროს იქმნა წარდგენილი, რადგანაც ზევით ნახსენები პალმშელდი [Palmskiöld] იყო სწორედ მდივნად [კოლეგიუმის სხდომაზე?]. ამ შემთხვევაში იგი შეცდა: დაბეჭდვის წელი უნდა იყოს 1703 და არა 1705. [ის ჩამოსხმული ანბანი, რომელიც „რუსული ენის თარჯიმანმა“ (ლინდმანმა) კანცელარიის კოლეგიუმს უჩვენა, იგივე იყო, რაც კიშმა ამსტერდამში ჩამოასხა. წარმოვიდგინოთ, რომ პრინცმა თვით ჩამოასხა (ამას ამტკიცებს ლინდმანი), ეს სწორი არ იქნება. ვან სელოვის მოღვაწეობიდან, მე-17 საუკუნის შუა ხანებიდან, 1739 წლამდე, როცა პ. მომამ მოაწყო შრიფტის ჩამოსასხმელი, სტოკჰოლმში არ იყო ამის გამკე-



თებელი ხალხი. უეჭველია, ლინდმანის ნათქვამი ისე უნდა გავიგოთ, რომ პრინცი, მეფე არჩილის შვილი ამ შრიფტის ნამდვილი მფლობელია... ალბათ, ეს საქმე სხვათა შორის მოგვარდა, რადგან ამავე [1703] წლის 8 დეკემბერს ალექსანდრე უკვე წერს მამას [არჩილ მეფეს სტოკჰოლმიდან მოსკოვში]: „...ჩვენი ენის ანბანის სრული კომპლექტი დიდი ხანია მზადაა, მაგრამ მე ვერ გადამიწყვეტია მისი გამოგზავნა. მე მაკრთობს ფიქრი, რომ გზაში რაიმე არ მოხდეს, [გამოგზავნას ვერ ვბედავ. სახელდობრ, მეშინია არ დაიკარგოს]“<sup>59</sup>.

კ. ბიორკბომის მსჯელობიდან ისე გამოდის, რომ რახან აღარც არჩილი და აღარც შპარვენფელდი მოსკოვში აღარ იყვნენ, კიშმა აიღო და მის მიერ დამზადებული ქართული შრიფტი გადაუგზავნა ამსტერდამთან უფრო ახლოს — სტოკჰოლმში იმჟამად დაბრუნებულ შპარვენფელდს, როგორც უთამაველს ამ საქმეში! თუ ეს მართლა ასე იყო, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო 1688 წელს, რადგან 1689 წელს კიში უკვე ამსტერდამში აღარ იყო (იგი კოლოევარში დაბრუნდა). მაგრამ ნეტავ რისთვის სჭირდებოდა შპარვენფელდს ქართული შრიფტი სტოკჰოლმში 1688 წელს, მან ხომ არც ქართული იცოდა და არც ქართული წიგნის ბეჭდვას აპირებდა; ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი შეედებს ტყვედ მხოლოდ 1700 წელს ჩაუვარდა, შპარვენფელდს კი როგორ შეეძლო 12 წლით ადრე ეწინასწარმეტყველა ალექსანდრე არჩილის ძის ცხოვრებაში მოსალოდნელი კატასტროფა, რომ 1688 წელს ქართული შრიფტი კიშისთვის ამსტერდამიდან სტოკჰოლმს გამოეთხოვა, რათა 1700 წელს იგი სტოკჰოლმში დაეხვედრებინა ტყვედ მოსულ ალექსანდრე არჩილის ძისთვის? ამას გარდა, თუკი გასამრჯელოს მიუღებლობის გამო კიშმა, როგორც ამას ბიორკბომი ვარაუდობს, ქართული შრიფტი არჩილისთვის ვერ გაიმეტა, რალა შპარვენფელდს დაუთმობდა მას გასამრჯელოს გარეშე, ან ეს უკანასკნელი რატომ გადაიხდიდა მისთვის სრულიად გამოუსადეგარ შრიფტში თანხას? აკი თვითონ ბიორკბომიც აღიარებს: „სტოკჰოლმში ეს ტიპები დიდხანს იყო ისე, რომ მათთვის არავის მიუქცევია ყურადღებაო“! ამ წინააღმდეგობებს ბიორკბომი ვერ გრძნობდა და არც ეს კითხვები მდგარა მის წინაშე. ეს კი არა, პი-

<sup>59</sup> კ. ბიორკბომის მოსაზრებათა გადმოცემისას გამოყენებული გვაქვს მისი გამოკვლევის როგორც ვრცელი გერმანული რეზიუმეს ფ. ხუნდაძისეული ქართული თარგმანი. ასევე თვით გამოკვლევის სრული ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ფრ. სიხარულიძეს.

რიქით. მან გააბუნდოვნა და სრულიად უსაფუძვლოდ უარყო თარ-  
ჯიმან ლინდმანის მიერ 1703 წლის 29 ოქტომბერს კანცელარიის კო-  
ლეგიუმისთვის მიცემული ჩვენება, ეს შრიფტი სტოკჰოლმში „პრინ-  
ცმა [ალექსანდრე არჩილის ძემ] თვით ჩამოასხაო“. თუ მაინცდა-  
მაინც. ქართული შრიფტის ჩამოსასხმელად 1700 წლიდან სტოკ-  
ჰოლმში ალექსანდრე არჩილის ძესთან შპარვენფელდის დაახლოება  
იყო საჭირო, მაშინ უფრო ლოგიკური იქნებოდა ეს ასე აგვეხსნა: მას  
შემდეგ რაც არჩილ მეფესა და მიკლოშ კიშს შორის 1686 წელს  
შპარვენფელდის მიერ წამოწყებული შუამავლობა ჩაიფუშა და კი-  
შისეულმა ქართულმა შრიფტმა მაშინ არჩილამდე ვერ მოაღწია,  
ახალი მარჯვე მომენტი ამ საქმის საბოლოოდ თავიდან მოსაცილებ-  
ლად შპარვენფელდს ხომ სწორედ 1700 წელს დაუდგებოდა: კერძოდ,  
სტოკჰოლმში ტყვედ ჩავარდნილ ალექსანდრე არჩილის ძეს იგი და-  
ენხმარებოდა ჰენრიკ III კაიზერის სტამბაში ჩამოესხა ქართული  
შრიფტის ახალი სახეობა და ახლა მაინც გადაეგზავნა იგი მოსკოვ-  
ში იქ უკვე საბოლოოდ დასახლებულ ძველი მეგობრისთვის — არ-  
ჩილ მეფისთვის. ჩვენ ხომ ზევით უკვე მოვიტანეთ სწორედ 1700  
წელს თავის ნაქონ ერთ-ერთ წიგნზე შპარვენფელდის ხელით გაკე-  
თებული ფრანგული ჩანაწერი ქართული შრიფტის ჩამოსასხმელად  
არჩილ მეფესა და მიკლოშ კიშს შორის მისი ადრინდელი შუამავ-  
ლობის შესახებ. რატომ მაინცდამაინც მაშინ მოაგონდა მას ეს ძვე-  
ლი ამბავი? იმიტომ, რომ სტოკჰოლმს 1700 წელს ტყვედ მოხვედ-  
რილმა ალექსანდრე ბატონიშვილმა ნახა მამამისის ძველი მეგობარი  
შპარვენფელი, რომელიც რუსული ენის ცოდნის გამო რუს ტყვე-  
ებთან თარჯიმნად იყო მიმავარებული და მისი ინიციატივით ხელახ-  
ლა წამოიწყეს ქართული შრიფტის დამზადებისთვის ზრუნვა.

რაც შეეხება კ. ბიორკბომის შემდგომ მტკიცებას, „შრიფტთან  
ერთად წარდგენილი „ასლი“ უნდა ყოფილიყო ანაბეჭდი, რომელიც  
ვაკეთდა კაიზერის სტამბაში“, ხოლო „სრულიად უეჭველია, რომ  
სამეფო ბიბლიოთეკაში ახლა დაცულია ის ეგზემპლარი, რომელიც  
მაშინ აჩვენეს კოლეგიუმს“ და „ამ შემთხვევაში, პალმშელდის და-  
თარიღება მცდარიაო“, რა თქმა უნდა, გასაზიარებელია. მისაღებია  
აგრეთვე ქრ. შარაშიძის მიერ მიწოდებული ცნობის საფუძველზე  
კ. ბიორკბომის მიერ გამოტანილი საბოლოო დასკვნა: „მიიღო თუ  
არა მეფე არჩილმა ქართული შრიფტი [ალექსანდრე ბატონიშვი-  
ლისაგან სტოკჰოლმიდან მოსკოვში] უცნობია. იგი ქართული ფსალ-

მუნის 1705 წლის არჩილისეულ გამოცემაში არ გამოუყენებიათ...  
საიდან მოდის მოსკოვის ფსალმუნის შრიფტი, ჯერ კიდევ საძიებე-  
ლია“.

კ. ბიორკბომის გამოკვლევას, მიუხედავად ავტორის მიერ წარ-  
მოდგენილ ზოგიერთი მცდარი დებულებისა, მაინც დიდი მნიშვნე-  
ლობა აქვს ქართული სტამბის ისტორიისათვის, სახელდობრ:

1. 1934 წელს, შვეციის სამეფო ბიბლიოთეკის შვედურ შრიფტ-  
თა კოლექციაში, ქ. სტოკჰოლმში, მან გამოავლინა ქართული ასო-  
მთავრული და ნუსხა-ხუცური შრიფტის სასინჯი ანაბეჭდი ფურცე-  
ლი (33×21 სმ.) ორი ტექსტით: „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო  
ქალწულო“, რომელიც მანამდე უცნობი იყო ქართული სტამბის ის-  
ტორიაში.

2. მან პირველმა მიაქცია ყურადღება კ. იაკობოვსკის მიერ 1932  
წელს მოწოდებულ ცნობას და შემოიტანა მეცნიერებაში ქ. ლინჩე-  
პინგის ბიბლიოთეკაში დაცული მ. კიშის 1686 წლის 12 ნოემბრისა  
და 1687 წლის 17 იანვრის ლათინური წერილები შპარკენფელდი-  
სადმი, რომლებიც ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს 1686-87 წლებ-  
ში ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადების თაობაზე.

3. მან ასევე პირველმა შემოიტანა მეცნიერებაში ზოგიერთი შვე-  
დური პირველწყარო (განსაკუთრებით, პალმშელდისა და ლინდმანის  
ჩვენებანი), რომლებიც ფარდას ხდიან სტოკჰოლმში 1703 წელს  
ქართული შრიფტების სასინჯი ნიმუშის წარმომავლობას, თუმცა იგი  
ბოლომდე ვერ გაერკვა ამ წყაროთა ნამდვილ მნიშვნელობაში სწო-  
რი დასკვნის გამოსატანად.

რაც შეეხება კ. ბიორკბომის მთავარ დასკვნას, 1703 წელს ალექ-  
სანდრე არჩილის ძის თაოსნობით სტოკჰოლმში, ჰენრიკ III კაიზე-  
რის სტამბაში დაბეჭდილ ქართული ასომთავრული და ნუსხა-ხუცუ-  
რი შრიფტის სასინჯ ფურცელში თითქოს გამოყენებული ყოფილა  
1686-87 წლებში არჩილ მეფის შეკვეთით ამსტერდამში მიკლოშ კი-  
შის მიერ დამზადებული შრიფტებიო, — მ ც დ ა რ ი ა. ან სხვანაი-  
რად რომ ვთქვათ, მ ც დ ა რ ი ა მიკლოშ კიშის მიერ ამსტერდამში  
1686-87 წლებში არჩილ მეფის შეკვეთით დამზადებული ქართული  
შრიფტის გ ა ი გ ი ე ბ ა 1703 წელს ალექსანდრე არჩილის ძის  
თაოსნობით სტოკჰოლმში, ჰენრიკ III კაიზერის სტამბაში დაბეჭდი-

ლი ქართული სასინჯი ფურცლის შრიფტთან (სხვა კუთხით ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ კვლავ დაეუბრუნდებით)<sup>60</sup>.

კ. ბიორკბომის ნაშრომს პირველი გამოცემაურა ქრ. შარაშიძე. 1937 წელს გამოქვეყნდა მისი გამოკვლევა „ქართული შრიფტი ამსტერდამში 1686-87 წწ.“, რომელიც<sup>61</sup> შემდეგ ქვეთავებადა დაყოფილი: „სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ ბიორკბომთან მიმოწერა“, „ბიორკბომის გამოკვლევის რეზიუმე (სამეფო ბიბლიოთეკა. სტოკჰოლმი, 9 ივლისი 1935 წ.)“, „ქართული შრიფტის ჩამოსხმა ამსტერდამში 1686-87 წწ.“, „სტოკჰოლმში 1703 წელს დაბეჭდილი სასინჯი შრიფტის და მოსკოვის 1705 წლის დავითანის შრიფტის ურთიერთობა“, „ალექსანდრესა და არჩილის ბიოგრაფიისათვის“, „ორიოდე დასკვნა“, დამატება. ბიორკბომის გამოკვლევაში ჩართული ზოგიერთი ტექსტის ქართული თარგმანი: [1. შპარვენფელდის ხელით თავის ნაქონ წიგნზე: „Bibliothèque orientale“, Paris, 1697 დამატების სახით ფრანგულად მიწერილი ცნობა არჩილის მოსკოვში ცხოვრებისა და კიშისთვის ამსტერდამში ქართული სასტამბო შრიფტის შეკვეთის შესახებ]; 2. ნიკოლოზ კიშის შესანიშნავი „ასოთმოქანდაკისა და ჩამომსხმელის“ შპარვენფელდისადმი მიწერილი ორი ლათინური წერილის ქართული თარგმანი“. საილუსტრაციოდ ნაშრომს 228—230 გვერდებზე დართული აქვს სამი ტაბულა: 1. დავითნი. მოსკოვი. 1705. თავფურცლის პირველი გვერდი; 2. დავითნი. მოსკოვი. 1705. თავფურცლის მეორე გვერდი; 3. ამსტერდამული ქართული შრიფტი (1686-87 წწ.), სტოკჰოლმი. 1703 წ. (ოლონდ ამ უქანასკნელზე ანაბეჭდის მხოლოდ პირველი 8

<sup>60</sup> კ. ბიორკბომს ეკუთვნის აგრეთვე 1935 წელს გამოქვეყნებული მეორე შრომა სტოკჰოლმური ქართული ანაბეჭდის შესახებ, რომელიც უცნობია ქართულ საპეცნიერო ლიტერატურაში: იხ. C. Björkbohm. Ett georgisk stilprov tryckt i Stockholm 1705. „Nordisk Boktryckarekonst“, 1935, pp. 387—398. აქ, სხვათა შორის, შევდურადა თარგმნილი და დაბეჭდილი მ. კიშის წერილები შპარვენფელდისადმი.

კ. ბიორკბომის აღნიშნული გამოკვლევა, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის საშუალებით, 1980 წლის 4 აგვისტოს გამოვიწერეთ სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკიდან და დაინტერესებულ პირებს დღეს შეუძლიათ გაეცნონ საჯარო ბიბლიოთეკაში. აქვე, დამატებაში, მოგვყავს მისი ქართული თარგმანი.

<sup>61</sup> იხ. კ. შარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“, წიგნი III, ტფილისი, 1937, გვ. 19—38.

სტრიქონია (ანბანი) წარმოდგენილი, დანარჩენი 19 სტრიქონი ლოცვების ტექსტებით ჩამოჭრილია).

უკვე ჩამოთვლილ დასათაურებიდანაც კარგად ჩანს ქრ. შარაშიძის ამ ნაშრომის შინაარსი და მნიშვნელობა. კ. ბიორკომის მსგავსად, ქრ. შარაშიძემ სტოკჰოლმში აღმოჩენილი ქართული სასინჯი ანაბექდის შრიფტი გააანგავა მიკლოშ კიშის მიერ 1686-87 წწ. ამსტერდამში დამზადებულ ქართულ შრიფტთან, რაც, როგორც ახლა ირკვევა, შეცდომაა. გარდა ამისა, შედარების საფუძველზე და სათანადო საილუსტრაციო მასალის მოხმობით მან სამართლიანად უარყო არჩილ მეფის მიერ 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილ „დანიონში“ ამ შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა.

ქრ. შარიშიძემ აღნიშნული მთავარი დასკვნები გაიმეორა თავის შემდეგდროინდელ ნაშრომებში<sup>62</sup>. ამასთან ერთად, მან გამოაქვეყნა სტოკჰოლმური ანაბექდის უკვე სრული ფოტოპირი: „ანბანი და ლოცვები ამსტერდამის შრიფტით. სტოკჰოლმი, 1703“, ხოლო ერთგან კიდევ უფრო გაამკვეთრა თავისი თვალსაზრისი: „ამსტერდამში გაკეთებული და ჩამოსხმული შრიფტი 1687 წელს მზად ყოფილა კიდევაც, მაგრამ გასამრჩველსთან დაკავშირებით მისი არჩილისათვის გაგზავნა შეფერხებულა. არჩილსაც სწორედ ამ წელს მოუხდა საქართველოში დაბრუნება თავისი ძმის — გიორგის გამოწვევით. ამის გამო ამსტერდამის შრიფტმა არათუ საქართველომ დის, მოსკოვამ დისაც ვეღარ მიაღწია (ეს შრიფტი, როგორც ვიცით, სტოკჰოლმში მოხვდა. არჩილს არ დაუკლია ცდა ამ შრიფტის მოსკოვში ჩამოტანისათვის)“<sup>63</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ სტოკჰოლმში კარლ ბიორკომის 1935 წლის აღმოჩენის შემდეგ 1947 წელს ასევე არანაკლები მნიშვნელობის აღმოჩენა გაუკეთებია შვეციის ქ. უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკარს ერიკ გრენს (Erik Gren).

<sup>62</sup> ქრ. შარაშიძე, ქართული ანბანი მეცხრამეტე საუკუნემდე, წიგნში: „ქართული საახბანო წიგნის ბიბლიოგრაფია“, თბილისი, 1941; შევსებული გამოცემა, თბილისი, 1957, გვ. 14—16; შტრ. მისივე, შესავალი, ქართული წიგნი, ტ. 1, თბილისი, 1941, გვ. 8.

<sup>63</sup> ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 80.

კორნელი კეკელიძის არქივში დაცულია ერიკ გრენის მიერ 1947 წლის 20 სექტემბერს კორნელი კეკელიძისათვის შეეციის ქალაქ უპსალადან გამოგზავნილი წერილი ფრანგულ ენაზე, რომელსაც ახლავს რუსული თარგმანი<sup>64</sup>. ამ დოკუმენტის უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო მოგვყავს იგი მთლიანად რუსული თარგმანის მიხედვით:

«Упсала, 20/IX, 1947.

Академику Кор. К е к е л и д з е

Тбилиси

Г-н профессор!

Не в состоянии будучи решить вопрос, касающийся грузинской литургии, я позволяю себе беспокоить Вас несколькими вопросами, будучи уверен, что никто не может мне дать в этом случае лучших объяснений, чем Вы, бесспорный авторитет в грузинской литературе.

Речь идет о грузинском печатном издании, исполненном в Стокгольме в начале XVIII века. Князь грузинский Александр Имеретинский, сын царя Арчила, будучи шведским военнопленным с 1700-го года, нашел в Стокгольме типографию с полными грузинскими шрифтами, отлитыми по заказу Арчила через посредство шведского ученого J. G. Sparwenfeldt-а в 1686/87 и не доставленными Арчилу. Принц Александр чрезвычайно заинтересовался этою типографией и велел сделать соответственные оттиски. Один экземпляр таковых был найден и опубликован С. Björkbohm-ом в „Nordisk tidskrift för bok-ock biblioteksväsen (An. 22, 1935, p. 90 suivv.).

Этот образец содержит алфавиты, молитву господню и ангельское славословие. И вот теперь я нашел два других экземпляра: один того же образца, а о другом Вы можете судить по прилагаемой фотостатической копии. Я издам его в

---

<sup>64</sup> შდრ. კორნელი კეკელიძის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინა რ. კ ა ვ ი ლ ა ძ ე მ, თბილისი, 1979, გვ. 102, 126; ფრ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დოკუმენტები საქართველო-შვედეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, კრებ. „მეგობრობა“, თბილისი, 1980, გვ. 277—279.

том же журнале. Этот образец содержит, Вы это сразу определите, начало главы VI, стих 9 Песни Песней, но в целом, судя по видимости, это извлечение из литургии. Я подумал было о порядке богослужения в праздник Успения, 15/VIII, но за отсутствием экземпляра грузинской литургии, к сожалению отсутствующей во всех скандинавских библиотеках, я не мог этот факт установить, а православно-греческий обиход не содержит ничего в этом роде для названного праздника. Итак, я был бы очень Вам признателен, г-н профессор, если бы Вы информировали меня на этот счет. Само собою разумеется, что мне будет приятно, если Вы примете фотостатическую копию как ничтожный дар от меня.

И еще есть вещь, о которой я хотел бы Вас спросить. Шведский ученый Michael Enepan, путешествуя по Востоку, получил там сочинение под заглавием *Παῖδαγωγία*, отпечатанное в Тифлисе в 1711, из которого J. Chamberlayne в своем «*Oratio dominika*, p. 13 ff» выписал молитву господню. Кажется, это сочинение тождественно с тем, которое Г. И. Шаншиев в своем «Хронологическом указателе, 1883» зарегистрировал на стр. 15 под № 117. Однако этот же путешественник привез грузинское сочинение, представленное одной местной библиотеке, откуда оно, к сожалению, исчезло. Это был томик in 16-под заглавием „*Εὐχαριστήρια Θεοτόκου*“ или скорее „*οἱ κθ' σκιοι τῆς ὑπερτίρας δεσποίνης ἡμῶν Θεοτόκου, τοποθέητες παρὰ Μιχαήλ τοῦ Ἰστροφανοβίτζ. ἐν Τιφλίτζῳ 1711*“. Мне кажется, что это был кондак, но установить это уж нет возможности. Вопрос заключается в том, не представляются ли эти два сочинения одним и тем же, и если нет, то не существует ли еще других экземпляров этих книг, несомненно, очень редких.

И, между прочим, я должен констатировать, что в нашей университетской библиотеке отсутствуют почти все книги, необходимые для углубленного изучения грузинской литературы, и прежде всего Ваша необходимейшая *ქართული ლიტერატურის ისტორია* (ფრანგული ტრანსკრიფციით, გ. შ.). Соболаговолите указать нам книгопродавца, который мог бы прислать нам один экземпляр. Конечно, мы предпочли бы, если возможно, получить ее в порядке обмена с Государственной библиотекой Тифлиса.

Наконец, прошу Вас, г-н профессор, снисходительно прос-

тить меня за причиненное беспокойство и принять рядом с заранее приносимую благодарностью завершение в полном моем почтении.

Эрик Грен (Erik Gren),  
библиотекарь университетской библиотеки,  
распорядитель университетских конференций.

Адрес: Universitetsbiblioteket Uppsala  
Suède (Швеция)<sup>65</sup>.

ერიკ გრენის აღნიშნულ წერილზე კორნელი კეკელიძეს ასეთი შინაარსის პასუხი გაუცია 1947 წლის 12 დეკემბერს:

«Тбилиси  
12.XII.47

Уважаемый г. Грен!

Получил Ваше письмо от 20.IX.47 г., в котором Вы просите ответа на некоторые вопросы из истории грузинского книгопечатания.

Присланная Вами на просмотр фотостатистическая копия из Стокгольмской типографии Арчила Имеретинского (Песнь Песней, VI, 9) представляет собою не «Литургию», а Oratio de Praesentatione beatae Mariae Virginis (праздник 21 ноября). Насколько можно судить по началу в несколько строк, это Oratio оригинальное грузинское произведение, имевшееся в руках у принца Александра.

Привезенное с Востока шведским ученым Енемап-ом сочинение Παιδαγωγία в настоящее время нигде не встречается (удивительно, откуда взял это название Г. Шаншиев?). Такое сочинение с греческим заглавием из Тбилисской типографии не выходило. Мне думается, тут спутаны две вещи: в 1711 году в Тбилисской типографии было напечатано сочинение грузинского монаха Германа под заглавием: «Наставле-

<sup>65</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნ. ინსტ., კ. კეკელიძის პირადი საარქივო ფონდი, № 442.



ინე — как должен учить учитель своего ученика» (სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა); оно заключает в себе разные молитвы (между прочим и „Oratio Dominica“) и объяснение семи таинств веры. Видимо, когда М. Епстап получил эту книгу, для ориентировки надписали по-гречески ее заглавие применительно к ее содержанию. Если бы я мог получить копию титульного листа этой книги, можно было бы точно определить ее.

Привезенное тем же ученым сочинение «*Εὐχαριστήρια Θεοτόκου*» есть ничто иное, как перевод греческого «*Ἐὐχαριστοῦ*», по-грузински „დაუჯდომელი“. В XVIII веке это сочинение печаталось не раз, издание 1711 года теперь нигде не имеется, хотя оно существовало и по указателю профессора А. Цагарели (Сведения о памятниках грузинской письменности, выпуск 1, страница XL).

Во всяком случае «*Παιδαγωγία*» и «*Εὐχαριστήρια*» не одно и то же произведение.

Моей работы — «История древнегрузинской литературы» (2 тома, есть издание 1941 г.) в настоящее время в продаже не имеется; к сожалению, и у меня нет лишнего экземпляра, а то с удовольствием уступил бы Вашей библиотеке. Обратитесь в Тбилиси в Государственную Публичную Библиотеку, если там имеется лишний экземпляр, думается, уступят Вам в порядке обмена.

С полным уважением и почтением  
академик К. С. Кекелидзе  
Тбилиси, проспект Плеханова, дом 102»<sup>66</sup>.

ერიკ გრენს მადლობის ბარათი ფრანგულ ენაზე 1948 წლის 8 თებერვალს მოუწერია უპსალადან კორნელი კეკელიძისთვის, რომელიც მოგვყავს მეცნიერის არქივში დაცული ქართული თარგმანის მიხედვით:

---

<sup>66</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კორნელი კეკელიძის პირადი საარქივო ფონდი, № 340.

„უპსალა, 8 თებერვალი, 1948.

ბატონ პროფესორ კ. ს. კეკელიძეს,  
თბილისი

გთხოვთ, ბატონო პროფესორო, მიიღოთ ჩემი დიდი მადლობა თქვენს 12 დეკემბრის თავაზიან წერილზე, რომელიც ეხლახან მივიღე. ინფორმაცია, რომელიც ამ წერილში მომაწოდეთ, ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობისაა და შეუძლებელი იქნებოდა თქვენი დიდსულოვანი დახმარების გარეშე მომეპოვებინა იგი. რაც შეეხება წიგნებს Παიძეაყაღა და მუხარბოძეა მთიანეთის, სამუხარობდ უნდა გითხრათ, რომ არცერთი არ არის შვეციის ბიბლიოთეკებში. მრავალი წლის მანძილზე ამოდ ვეძებე ისინი. სავალალო შემთხვევაა, რადგან საქმე ეხება უნიკალურ წიგნებს. თუ შესაძლებლობა მოპეცა მივაკვლიო, მაშინვე გაცნობებთ და გამოგიგზავნით სათაურების ფოტოაპირებს.

კიდევ ერთხელ მადლობას გიძღვნი თქვენი თავაზიანობისათვის, ბატონო პროფესორო.

ულრმესი პატივისცემით

ერ ი კ გ რ ე ნ ი

კონვერტზე: „Exp. Erik Gren, Universitetsbiblioteket,  
Uppsala, Suède (Швеция)“<sup>67</sup>.

თუ შევაჯამებთ ე. გრენი — კ. კეკელიძის მიმოწერის შედეგებს ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ასეთ სურათს მივიღებთ:

ერიკ გრენი მთლიანად იზიარებს ადრე კარლ ბიორკბომის მიერ გამოთქმულ შეხედულებას. მე-18 ს-ის დასაწყისში, სტოკჰოლმში ტყვედ მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს თითქოს უპოვია ქართული სასტამბო შრიფტები, რომელიც არჩილ მეფის შეკვეთით და შვედი მეცნიერის შპარვენფელდის მეშვეობით ჩამოუსხამთ 1686-87 წლებში ამსტერდამში, ოლონდ, მათ არჩილამდე ვერ მიუღწევიათ. ამის შემდეგ აღნიშნული შრიფტები მოხვედრილა სტოკჰოლმში შპარ-

<sup>67</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კორნელი კეკელიძის პირადი საარქივო ფონდი, № 443.

ვენფელდთან. ალექსანდრე არჩილის ძე ძლიერ დაინტერესებულა ამ სასტამბო შრიფტებით და გადაუწყვეტია შესაბამისი ანაბეჭდების დამზადება. ამათგან ერთი ეგზემპლარი იპოვა და 1935 წელს გამოაქვეყნა კ. ბიორკბომმა.

რამდენად შეეფერება ეს შეხედულება სინამდვილეს, ამის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ბიორკბომის ნაშრომის განხილვისას, ახლა კი ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს: ერიკ გრენს 1947 წელს უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში აღმოუჩენია<sup>68</sup> კიდევ ორი სხვა ქართული სასტამბო ანაბეჭდი — ამათგან ერთი იგივე სახეობისაა, როგორც სტოკჰოლმში კ. ბიორკბომის მიერ აღმოჩენილი, ხოლო მეორე კი სულ სხვა არის, რომელიც 15 აგვისტოს დღესასწაულის — მიძინების ტექსტს უნდა შეიცავდესო. მაგრამ ე. გრენი ბოლომდე დარწმუნებული არ ყოფილა ამაში და კ. კეკელიძეს, როგორც უდავო ავტორიტეტს, თხოვს დაეხმაროს ამის დადგენაში, თან უგზავნის ანაბეჭდის ფოტოპირს. რაც შეეხება ე. გრენის მეტად საყურადღებო ცნობას — შვედი მეცნიერის მ. ენემანის მიერ შეეციაში ჩატანილი ვანტანგისეული სტამბის წიგნებისა და მათი შემდგომი ბედის შესახებ, ამჯერად ეს ჩვენი ინტერესების სფეროში არ შემოდის.

კ. კეკელიძეს 1947 წლის შემოდგომაზე მიუღია ე. გრენის წერილი, თან უპსალაში დაცული ქართული სტამბური ანაბეჭდის მეორე სახეობის ფოტოპირი და დაუდგენია, რომ აქ დაბეჭდილია არა 15 აგვისტოს საღმრთაწაულო ღვთისმშობლის მიძინების ტექსტი, არამედ 21 ნოემბრის ღვთისმშობლის „ტაძრად მიყვანა“, რომელიც კ. კეკელიძის დასკვნით, ორიგინალური ქართული ნაწარმოები უნდა იყოს, და ალბათ, ალექსანდრე ბატონიშვილს ტყვეობაში თან ჰქონიაო (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ე. გრენი 1948 წლის 8 თებერვლის საპასუხო ბარათში მაღლობას უხდის კ. კეკელიძეს თავაზიანი დახმარებისა და მიწოდებული ცნობებისათვის, ხოლო ადრინდელი — 1947 წლის 20 სექტემბრის წერილით ვიგებთ მის განზრახვას, რომ თავისი აღმოჩენის შესახებ დაბეჭდავდა იმავე ჟურნალ „Nordisk tidskrift för bok-och biblio-

---

<sup>68</sup> აი, ე. გრენის სიტყვები: „Cependant, J'ai maintenant trouvé deux autres spécimens, l'un de la même typ et un autre, dont vous trouverez incluse une copie photostatique. Je le publiera dans le même périodique“ (კ. კეკელიძის პირადი საარქივო ფონდი, № 442, 1).

leksväsen“-ში, სადაც ადრე გამოქვეყნდა კ. ბიორკბომის გამოკვლევები.

მაშასადამე, მკითხველმა უნდა დაიმახსოვროს, რომ 1947 წელს, შვეციის ქალაქ უპსალას საუნივერსიტეტო წიგნთსაცავში ბიბლიოთეკარმა ერიკ გრენმა პირველად აღმოაჩინა სტოკჰოლმში 1703 წელს ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით დამზადებული ორი ქართული სტამბური სასინჯი ანაბეჭდი: ამთგან ერთი იმავე სახეობისაა, როგორც სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ცალი (ანბანი, „მამაო ჩვენო“, „ღვთისმშობელო ქალწულო“), ადრე რომ ცნობილი იყო კ. ბიორკბომის 1935 წლის გამოკვლევის მიხედვით, ხოლო მეორე სახეობა — „ტაძრად მიყვანების“ ტექსტი მანამდე სრულიად უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში და ე. გრენის წყალობით ჯერ კიდევ 1947 წელს გამხდარა ცნობილი მეცნიერებისათვის, კერძოდ, აკად. კორნელი კეკელიძისთვის. ე. გრენის აღმოჩენა კარგა ხანია ასახულია საზღვარგარეთის სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ასე მაგალითად, უპსალაში დაცულ ქართულ სტამბურ ანაბეჭდებს იცნობს უნგრელი მკვლევარი ლასლო ორსაგი უკვე 1958 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, სადაც დაბეჭდილი აქვს „ტაძრად მიყვანების“ ფოტოპირიც<sup>69</sup>. უპსალასეული ქართული ანაბეჭდები დამოწმებული აქვთ აგრეთვე დიერდ ჰაიმანს<sup>70</sup>, რობერტ დანს<sup>71</sup> და სხვებს (დაწვრილებით ქვემოთ).

1981 წლის ოქტომბერში, ლონდონში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას, ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა, პროფ. დევიდ ლანგმა თავისი პირადი არქივიდან საჩუქრად გადმოგვცა უნიკალური მასალები ქართული სტამბის ისტორიისათვის, კერძოდ, ერიკ გრენის ნაბეჭდი შრომა მე-18 საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი შვედი აღმოსავლეთმცოდნისა და მოგზაურის მიხეილ ენემანის შესახებ (უპსალა, 1945, შვედურ ენაზე)<sup>72</sup> და 1958 წლით დათარიღე-

<sup>69</sup> იხ. Ország h Lúszló. Mistótfalusi Kis és az első magyar könyv Amerikáról. „Magyar Könyvszemle“, Budapest, 1958, 22—41.

<sup>70</sup> Haiman György, Tótfalusi Kis Miklos... Budapest, 1972, 72—73.

<sup>71</sup> Dan Robert, Tótfalusi Kis Miklós grúz betűi, „Népszabadság“, 1. VI. 1970.

<sup>72</sup> Bidrag till Michael Enemans biografi, studier och bokförfärv av Erik Gron. „Donum Grapeanum“ (Acta Bibliothecal R. Universitatis Upsaliensis, vol. 5), 1945, s. 445—494.

ბული ერიკ გრენის პირადი წერილები ლ. ლოკარტისა და დ. ლანგისადმი, საიდანაც ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ უქსალაში დაცული ქართული სასტამბო ანაბექდები მართლაც ერიკ გრენს კარგა ხნის წინათ ჰქონია აღმოჩენილი.

ერიკ გრენის ნაბეჭდ შრომას ცალკე შევეხებით (იხ. აქვე დამატებანი, № 3).

ახლა მოვიყვანთ ერიკ გრენის პირად წერილებს დოქტორ ლ. ლოკარტისა და დ. ლანგისადმი, რომლებიც 1958 წლის 14 ნოემბერსა და 5 დეკემბერს ინგლისურ ენაზეა მოწერილი უქსალაიდან (ისინი ჩვენი თხოვნით თარგმნა ფიქრია ლებანიძემ):

„უქსალა, 14 ნოემბერი, 1958.

დოქტორ ლ. ლოკარტს.

ალექსანდრე არჩილის ძის შესახებ: 1935 წელს. ჩემმა კოლეგამ. სტოკჰოლმის სამეფო ინსტიტუტის ტექნიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა, დოქტორმა კარლ ბიორკბომმა ეურნალში „Nordisk tidskrift för bok-och biblioteksväsen“ (ტ. 22, 1935, გვ. 92—102) გამოაქვეყნა სტატია „Henrik III Keysers georgiska stilprov“, სადაც შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი ცნობები:

1700 წელს, უფლისწული ალექსანდრე, რუსეთის არმიის გენერალფელდცეხმეისტერი, ნარვასთან ბრძოლაში მონაწილეობისას ტყვედ ჩავარდა და სტოკჰოლმში იქნა მოყვანილი, სადაც 1710 წლამდე ცხოვრობდა (1705-06 წლებს გარდა, როდესაც იგი ლინჩეპინგის ციხეში იყო). ამ დროის მანძილზე ალექსანდრემ სტოკჰოლმში ჩამოასხნევინა ქართული შრიფტის რამდენიმე ნიმუში, რომლებიც შეედ აღმოსავლეთმცოდნეს ი. გ. შპარვენფელდს ჰქონდა შეკვეთილი შრიფტის ჩამომსხმელისათვის ნიდერლანდებში არჩილ მეფის თხოვნით, რომელსაც იგი მოსკოვში შეხვედრია 1686 წელს. რა თქმა უნდა, უფლისწული ალექსანდრე დაინტერესებული იყო შრიფტით, რომელიც მამამისისთვის იყო დამზადებული, მაგრამ ვინაიდან შრიფტის დამზადებამდე არჩილ მეფემ მაშინ რუსეთი დატოვა და საქართველოში დაბრუნდა, იგი მას ვეღარ გადაეგზავნა. უფლისწულმა ალექსანდრემ ითხოვა, მიიღო კიდევ ნებართვა და შეედ მბეჭდავს გააკეთებინა შრიფტის ანაბეჭდები. ამ ანაბეჭდებიდან მხოლოდ 2 ნიმუშია შემორჩენილი (თითოეული ნიმუშის თითო ცალი ჩვენი

ბიბლიოთეკის კუთვნილებათ). 1710 წელს, უფლისწული ალექსანდრე ფინეთს გაემგზავრა, სადაც იგი უნდა გაეცვალათ რამდენიმე შვედ ტყვეში, მაგრამ გზაში, ჩრდილოეთ შვეციის პატარა ქალაქ პიტეაში გარდაიცვალა იმავე წელს.

სულ ეს არის ცნობილი უფლისწულ ალექსანდრეს შესახებ. ამას გარდა, ჩემი სტატიიდან „Bidrag till Michael Eneinans biografi“, რომელიც დაბეჭდილია „Donum Grapeanum“-ში 1945 წელს (=Acta bibliothecae R. Universitatis Upsaliensis, vol. 5), 462-ე გვერდზე შეგიძლიათ შეიტყოთ, რომ 1711 წელს ვახტანგ მეფემ ურთიერთობა დაამყარა კონსტანტინოპოლში პატრიარქთან და იმავე წელს თბილისს გააგზავნეს ბერძენი პრესვიტერი თეოდორე. როდესაც თეოდორე უკან დაბრუნდა კონსტანტინოპოლში, იგი განაწესეს პროტოსინკელოსად იერუსალიმის პატრიარქ ხრისანაუესთან, რომელიც კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა. აი, კიდევ რამდენიმე ინფორმაციული ხასიათის შენიშვნა: სწორედ ამ თეოდორემ მისცა შვედ აღმოსავლეთმცოდნესა და სასულიერო პირს მიხეილ ენემანს (ის ქართული წიგნები). მოგვიანებით მ. ენემანს უპსალაში აღმოსავლური ენების პროფესორობა მიანიჭეს, მაგრამ ამის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა.

ალბათ, თქვენთვის საინტერესო იქნება, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა უკვე ამ დროს ვახტანგ მეფეს კონსტანტინოპოლთან.

ე რ ი კ გ რ ე ნ ი,

უპსალას უნივერსიტეტის წიგნთსაცავის ბიბლიოთეკარის თანაშემწე, პროფესორის ასისტენტი“.

აი, ე. გრენის წერილი დ. ლანვისადმი:

„უპსალა, 5 დეკემბერი, 1958.

ძვირფასო დოქტორ ლ ა ნ გ,

მადლობას მოგახსენებთ თქვენი 24 ნოემბრის გულთბილი წერილისა და ჩემთვის დიდად საინტერესო ორივე ამონაბეჭდისათვის. ვწუხვარ, რომ პასუხი ერთ კვირაზე მეტ ხანს დაგიგვიანეთ, მაგრამ

იძულებული ვიყავი შევეყონებულიყავ, სანამ ფოტოები მზად იქნებოდა. როგორც იქნა, ყველაფერი მზად მაქვს და გიგზავნით. როგორც თვითონ ნახავთ, ეს ფოტოები სხვადასხვაგვარნი არიან: უპირველეს ყოვლისა, გიგზავნით დოქტორ ბიორკბომის სტატიას, რომელიც დაბეჭდილია „Nordisk tidskrift for bok-och bibliotheksväsen, vol. 22, 1935, pp. 92—102“-ში. ამ სტატიის ამონაბეჭდის გაკეთება არ მოხერხდა და ფოტოპირს გიგზავნით. შემდეგი არის თვითონ ანაბეჭდების ასლები. ანბანის ორი ანაბეჭდი „Oratio dominika“ და „Ave Maria“ არ არის ერთგვარი: ისინი სხვადასხვა დროს — 1703 და 1705 წლებში არის შესრულებული, მაგრამ დოქტორ ბიორკბომს მხოლოდ გვიანდელი უნახავს. ამ ორ ანაბეჭდს შორის მცირეოდენი განსხვავებაა. რაც შეეხება მესამე ანაბეჭდს, რომელსაც ორ ცალად გიგზავნით, ერთიდაიგივე დედნისაა და მის შესახებ საკონსულტაციოდ პროფ. კ. ს. კეკელიძეს მიემართე 1947 წელს, თბილისში. მას მე ამ ანაბეჭდის ფოტოები გაუგზავნე და როგორც შემატყობინა „Oratio de praesentatione beatae Mariae“ ყოფილა 21 ნოემბრის ლიტურგიისა. როგორც თავად ნახავთ, ის იწყება „ქება ქებათას“ VI, 9-ის ციტატით. გარდა ამისა, გიგზავნით მიხეილ ენემანის უბის წიგნაკის ჩანაწერების 162-ე გვერდის r—v-ს — ფოტოპირს. დაწერილებით ამ ღირსშესანიშნავი სწავლულის შესახებ შეგიძლიათ ჩემი სტატიიდან შეიტყოთ, რომელიც „Donum Grapeanum“-შია დაბეჭდილი. ამ სტატიის 490-ე გვერდზე მოხსენიებული ქართული წიგნების — „Еὐχαριστήρια Θεοτόκου“-ს და „Πατριάρχης“-ს შესახებ პროფ. კ. კეკელიძეს დავეკითხე. მან აზრი გამოთქვა, რომ უკანასკნელი წიგნი („Πατριάρχης“) 1711 წელს, ბერ გერმანეს მიერ დაბეჭდილი „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ უნდა იყოსო. რაც შეეხება „Еὐχαριστήρια Θεοτόκου“ ს, იგი „აკათისტო“ („დაუჯღომელი“) უნდა იყოსო, მაგრამ პროფ. კეკელიძეს არ მოეპოვება ცნობები 1711 წლის ამ ნაბეჭდის შესახებ (იხ. А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, С.-Петербург, 1886, с. XL). მეტად სამწუხაროა, რომ ენემანისეული ეს ქართული წიგნები დაიკარგა. როგორც ჩანს, პრესვიტერ თეოდორეს მიერ მ. ენემანისათვის ბოძებული ქართული წიგნები უნიკალურია.

ყველა ამ ფოტოპირს, რაც ჩამოვთვალე, ჩვენი ბიბლიოთეკა საჩუქრად გიძღვნით.

დაბოლოს, დოქტორ ლოკარტისადმი ჩემს მიერ მიწერულ წერილში დაშვებული შეცდომა მინდა გავასწორო: ჩემი წოდება „დოცენტი“ ამ წერილში „პროფესორის ასისტენტად“ ვთარგმნე. ვფიქრობ, რომ ინგლისური „ლექტორი“ უფრო სწორი შესატყვისი იქნებოდა. რადგან მე ანტიკური და ბიზანტიური ისტორიის ლექტორი ვარ უპალას უნივერსიტეტში. ამასთან, პროფესორის ასისტენტის მოვალეობებიც შემისრულებია — ხანდახან გამოცდებს ვიბარებ ხოლმე. მაგრამ ჩემი ძირითადი მოვალეობა უნივერსიტეტის წიგნთსაცავის ბიბლიოთეკარის თანამშემწეობა და უცხოური წიგნების განყოფილების თავმჯდომარეობა გახლავთ. არ უნდა მიმეთვისებინა უფრო შთამბეჭდავი წოდება, ვიდრე სინამდვილეში მაქვს.

ვიმედოვნებ, რომ ეს ნაფლეთ-ნაფლეთი ცნობები შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს თქვენთვის. დამერწმუნეთ, მოხარული ვარ, რომ შევეძელი და გიგზავნაო მათ.

გულწრფელად თქვენი  
ერ ი კ გ რ ე ნ ი“.

კ. ბიორკბომის, განსაკუთრებით კი, ქრ. შარაშიძის ავტორიტეტის წყალობით, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მეტ-ნაკლები სიზუსტით მტკიცედ დამკვიდრდა თვალსაზრისი არჩილის შეკვეთით 1686-87 წლებში ამსტერდამში მ. კიშის მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტის სტოკპოლმში მოხვედრისა და იქ 1703 წელს აღნიშნული შრიფტით აღექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით ქართული სტამბური ანაბეჭდების დამზადების შესახებ<sup>73</sup>. ზოგიერთი კიდეც ამ შრიფტს ასე თუ ისე 1705 წელს მოსკოვში გამართულ არჩილისეულ სტამბასაც კი უკავშირებს, ოღონდ ა. აბრამიშვილის შენიშვნით, არჩილს ხელმეორედ შეუყვეთია სტოკპოლმში თავისი ძის — აღექსანდრეს მეშვეობით ახალი შრიფტი, რადგან კიშისეული მას მიღებული

<sup>73</sup> იხ. შ. კ ვ ა ს ხ ვ ა ძ ე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი (ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება), თბილისი, 1952, გვ. 227; ე. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ვახტანგ მეექვსე და ქართული სტამბის მოღვაწენი, თბილისი, 1962, გვ. 5-6, 60-64; ვ. ჭ ო გ ო ლ ა ძ ე, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბილისი, 1963, გვ. 11-12; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში), თსუ შრომები, ტ. 96, თბილისი, 1963, გვ. 199-200; გ. პ ა ი კ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსე, თბილისი, 1981, გვ. 54.



არ ჰქონია. ამის გამო, 1703 წელს სტოკჰოლმში დაუმზადებიათ ახალი ქართული შრიფტი, რომელიც ძველს არ ჰგავდა და რომლითაც დაბეჭდილი იყო სასინჯი ნიმუშები. ეს შრიფტი კი დაედო საფუძველად არჩილის მიერ 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილ „დავითნსო“<sup>74</sup>.

გამოითქვა სხვა თვალსაზრისიც: კერძოდ, იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ სად უნდა ესწავლა ანთიმოზ ივერიელს წიგნის ბეჭდვა, 1961 წელს რუმინელმა მკვლევარმა ვირჯილ მოლინმა წამოაყენა ორიგინალური მოსაზრება. ჯერ რუმინულად<sup>75</sup> და შემდეგ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში<sup>76</sup> მან ისეთი თვალსაზრისი გამოთქვა, თითქოს ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში 1709 წელს გამართული სტამბა ფაქტიურად არჩილ მეფის მიერ პოლანდიიდან ჩამოტანილი სტამბააო და ამის საფუძველზე, თბილისის პირველი ქართული სტამბის დამაარსებელიც არჩილ მეფეაო, ხოლო ამ სტამბაში 1690-91 წლებამდე წიგნის ბეჭდვის ხელოვნება უნდა ესწავლა ანთიმოზ ივერიელსო:

„ვახტანგი ფლობდა სტამბას, რომელიც მან მემკვიდრეობით მეფე არჩილისაგან, თავისი ბიძისაგან მიიღო. ეს სტამბა ჩამოტანილი იყო პოლანდიიდან (ამსტერდამიდან). ეს არის ჩვენი დასკვნა საქართველოში წიგნის ბეჭდვის საქმის დაფუძნების ისტორიის შესახებ“.

ვ. მოლინი განაგრძობს: „1686 წლიდან საქართველოს მართავს მეფე არჩილი (ვახტანგის ბიძა), „სახალხო პოეტად“ წოდებული, მას სურს დაბეჭდოს თავისი შრომები, დააკმაყოფილოს მოთხოვნილება წიგნზე. ამისთვის იგი მიმართავს ამსტერდამს, რომელიც ამ მხრივ წინ უსწრებდა ლაიფციგს. 400-ზე მეტი სტამბა და წიგნის მაღაზია იყო ამსტერდამში. კავშირი ადვილად დამყარდა... ტოტფალუშმა მიიღო შეკვეთა... ამსტერდამელმა ოსტატმა შრიფტი ტყვიისაგან ჩამოასხა. ამრიგად შეიქმნა ხუცუური, ანუ არქაული ქართუ-

<sup>74</sup> Абрамшвили А. З., Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии, «Книга. Исследования и материалы», сд., III, М., 1960 г., с. 270—274.

<sup>75</sup> Virgil Molin, Contributii noi la istoricul relatiilor culturale cu Orientul ortodox (1709—1712), ჟურნ. „Biserica Ortodoxa Romina“, an LXXIX, № 3—4, 1961, p. 331.

<sup>76</sup> ვირჯილ მოლინი, ქართული სტამბის ისტორიიდან, რუმინულიდან თარგმნეს ვ. მაქარაძემ და ფ. ჭინჩიასვილმა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 9, გვ. 50—54.

ლი საეკლესიო დამწერლობა... არჩილმა ამსტერდამიდან მიიღო არა მარტო ტოტვალუშის მიერ გრავირებული ასოები (შრიფტი), არამედ სტამბის სრული მოწყობილობა... გაუგებარი რჩება: რა ბედი ეწვია ამ სტამბას, ვიდრე პირველი წიგნები დაიბეჭდებოდა (1709 წელი). სად მუშაობდა სტამბა, რამდენ ხანს, ვისთან და რა დაბეჭდა? ამ მხრივ, ჭერჭერობით არ ხერხდება რაიმეს მტკიცება... ვფიქრობთ, არჩილის მიერ პოლანდიიდან ჩამოტანილი სტამბის ასამუშაველად საჭირო იყო მცოდნე, სპეციალურად მომზადებული ოსტატი. თბილისში ასეთი კაცი არ მოიძებნებოდა. არჩილმა პოლანდიიდან ვერავინ ჩამოიყვანა. ტოტვალუშმა ფლორენციაში გამგზავრებაზეც კი უარი თქვა. ამიტომ სტამბა უმოქმედოდ იდგა. და როცა ოცი წლის შემდეგ, ვახტანგ VI-მ სცადა იგი აემუშავებინა, დახმარებისათვის ცნობილ მბეჭდავს ანთიმოზს მიმართა. ანთიმოზმა თბილისში გამოგზავნა მიპაი, რომელიც საქართველოში სტეფანეშვილად არის ცნობილი... თუ არჩილის სტამბა 1690—1691 წლებში უკვე მუშაობდა, ბერი ანთიმოზი შეიძლება ყოფილიყო ერთერთი იმათგანი, ვინც ხელობა შეისწავლა უცხოელი ოსტატისაგან, რომელიც მაშინ თბილისის სახელოსნოს ხელმძღვანელობდა“.

ვ. მოლინის ეს მოსაზრება უკვე გაკრიტიკებულია ქართველ მკვლევართა — ალ. ბარამიძის<sup>77</sup>, დ. გვრიტიშვილის<sup>78</sup>, ო. გვინჩიძის<sup>79</sup>, ო. კასრაძის<sup>80</sup> მიერ და ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ოღონდ ჩვენი მხრივ დავეუმატებთ შემდეგს: ვ. მოლინი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება, როცა წერს, რომ თბილისში მთელი ოცი წლის მანძილზე უმოქმედოდ იდგა პოლანდიიდან არჩილის მიერ ჩამოტანილი სტამბა იმის გამო, რომ ამ საქმის მცოდნე კაცი თბილისში არ მოიძებნებოდა, არჩილმა კი პოლანდიიდან ვერავინ ჩამოიყვანაო, ხოლო როცა სურს დაამტკიცოს ანთიმოზ ივერიელმა წიგნის

<sup>77</sup> ალ. ბარამიძე, ქართული სტამბის ისტორიიდან (მცირე შენიშვნა ერიქილ მოლინის წერილის გამო), კრებ. „ორიონი“, თბილისი, 1967, გვ. 97—98; A. Baramidze, Magyar nyomdászok szerepe a grúz könyvnyomtatásban, „Korunk“, Cluj, 1972, № 2, 33—304.

<sup>78</sup> დ. გვრიტიშვილი, თბილისის სტამბის ისტორიიდან, წიგნში: „ნაკვევები საქართველოს ისტორიიდან“, ტ. III, თბილისი, 1968, გვ. 252—257.

<sup>79</sup> ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, თბილისი, 1973, გვ. 69—80.

<sup>80</sup> ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბილისი, 1973, გვ. 14—16.

ბექდვა 1690-91 წლებამდე თბილისში, ამ სტამბაში ისწავლავ, მაშინ არჩილის სტამბა მისი წარმოდგენით 1690 წლიდან კიდევ მუშაობს და მას უცხოელი ოსტატი კიდევ ხელმძღვანელობს.

1968 წელს გამოქვეყნდა ფრ. სიხარულიძის საინტერესო წერილი: „პირველი ქართული წიგნი“, რომელშიც გადმოცემულია ავტორის სადისერტაციო შრომის „რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII—XVIII სს. მიჯნაზე (მოსკოვის ქართული ახალშენი)“ ძირითადი დებულებები<sup>81</sup>.

ფრ. სიხარულიძის ვარაუდით, 1697-98 წწ. პოლანდიაში, პეტრე I-ის „დიდი ელჩობის“ წევრად ყოფნისას, ალექსანდრე არჩილის ძეს „ქართულ შრიფტზეც უნდა ეზრუნა“ და განმეორებით პირადად მას აქ უნდა შეეკვეთა იგი: „1697 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი სამი ქართველის თანხლებით ჩავიდა პოლანდიაში, რომელიც მაშინ ესოდენ დაწინაურებული იყო წიგნის ბექდვის საქმეში და, ჩანს, ქართული შრიფტი შეუკვეთია“. ამის შემდეგ, 1700 წლიდან, სტოკ-ჰოლმში ტყვედ მყოფმა ქართველმა ბატონიშვილმა „ჩანს, შევდეთში ჩამოატანინა პოლანდიაში შეკვეთილი შრიფტი“, ხოლო ქ. სტოკ-ჰოლმში, 1703 წელს დაიბეჭდა ქართული ანბანი საკითხავი მასალითურთ (ლოცვები „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო ქალწულო“). ტყვე ბატონიშვილმა სასტამბო ნიშნების მოსკოვს გადაგზავნაც ითხოვა“.

ფ. სიხარულიძემ მოიბოვა პირველხარისხოვანი საარქივო დოკუმენტები, „რომელშიც აღწერილია მოსკოვის სტამბაში პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვაზე გაწეული მუშაობა და ხარჯები: 1704 წელს გაუკეთებიათ ქართული წიგნის დასაბეჭდი დაზგა (ღურგლები: ტ. ალექსეევი, ფ. საველეევი, მბეჭდავები: პ. დიმიტროვი, ი. პეტროვი). მომდევნო 1705 წლის მარტში კი ქართული წიგნიც გამოუციათ. ვიგებთ, რომ პეტრე I-ს ქართული წიგნების დასაბეჭდად 200 მანეთი გამოუყვია. დაუბეჭდავთ 600 ცალი „ფსალმუნი“ (ზომით 4, ოცდაოთხნახევარი რვეული). უყიდიათ 27 მანეთის ქალაღლი, ოსტატებზე გაუციათ 19 მანეთი (ქართული წიგნის ბექდვის მთავარი საწარმოო პროცესი წარუმართავთ ორ რუსსა და ორ ქართველს. რუსები ყოფილან მბეჭდავი (тередорщик) და საღებავის წამსმელი

<sup>81</sup> ფრ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, პირველი ქართული წიგნი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, № 5, გვ. 29—31.

(батынщик), ხოლო ქართველები — ასოთამწყობები (наборщик) და ჩამშლელი (разборщик). საჭირო კალის შექმნაზე, ჩამოსხმაა და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე დახარჯულა 43 მანეთი. დაზვის გასაკეთებელი მასალა (ხისა, რკინისა) 5 მანეთად შეუძენიათ, ხოლო ოსტატებისათვის 6 მანეთი მიუციათ. ასოთ ჩამომსხმელ (слюбоплетчик) მიხეილ ეფრემოვისათვის ასოების ჩამოსხმის, გაწმენდისა და კალის მოტანისათვის 87 მანეთი მიუციათ. სულ ქართულ წიგნზე 178 მანეთზე მეტი დახარჯულა. ჩვენთვის ცნობილია მოსკოვს დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნის ტირაჟი, ზომა, თაბახთა რაოდენობა, დახარჯული მასალა და ზოგ ხელოსან-ოსტატის ვინაობაც. ცხადი ხდება ისიც, რომ პუანსონების დამზადების გარდა ყველა სამუშაო შესრულებულია მოსკოვის ტიპოგრაფიაში. აქვე უშრომიათ შრიფტის ხარისხის ასამაღლებლად. ამიტომ შეინიშნება ის მცირე სხვაობასტოკპოლში ნაბეჭდ „ანბანისა“ და მოსკოვში გამოცემულ „დავითნის“ შრიფტებს შორის“.

ამას გარდა, ფრ. სიხარულიძემ ჰოლანდიურ გამოცემათა შესწავლით გამოარკვია, რომ „საყურადღებო ფაქტია მოსკოვს დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნისა და 1698 წელს ამსტერდამში გამოცემული ჰოლანდიური წიგნის ბოლოსართთა მსგავსება. ეს კიდევ იმის ერთი საბუთია, რომ ქართული სასტამბო ნიშნების შექმნა ალექსანდრე ბატონიშვილის ინიციატივად მიეიჩნით... ამრიგად, მოსკოვში დაბეჭდილ პირველ ქართულ წიგნში გვაქვს რუსული, რუსულიდან ოდნავ სახე-შეცვლილი და ჰოლანდიური შემკულობანი, რაც იმის შედეგია, რომ ქართული სასტამბო ნიშნები უცხოეთში დაამზადეს, წიგნი კი რუსულ სტამბაში დაბეჭდეს“.

როგორც ვხედავთ, ფრ. სიხარულიძე ჭკომანობს და ერთდროულად ცდილობს 1705 წლის არჩილისეული „დავითნის“ შრიფტი და შემკულობანი ჰოლანდიასაც დაუკავშიროს და სტოკპოლმსაც, ამასთან, იგი უფრო მაინც იჭითკენ იხრება, რომ თითქოს არჩილს ქართული შრიფტის პუანსონები ალექსანდრე ბატონიშვილისაგან მიეღოს (ოლონდ საიდან — ჰოლანდიიდან თუ სტოკპოლმიდან ამაზე იგი გარკვევით ვერ პასუხობს), რომლის მიხედვით მ. ეფრემოვს ჩამოუს-

ხპს 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნის შრიფტი, მაგრამ თუ მაინც შეინიშნება „მცირე სხვაობა“ სტოკპოლმში ნაბეჭდ „ანბანისა“ და მოსკოვში გამოცემულ „დავითნის“ შრიფტებს შორის, ეს იმით აიხსნება, რომ „მოსკოვში უშრომიჯთ შრიფტის ხარისხის ასამაღლებლად“.

1968 წელსვე ჩვენმა მკითხველმა მიიღო ქართული თარგმანი ცნობილი უნგრელი ისტორიკოსის ლაიოშ ტარდის ნაშრომისა „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“. ლ. ტარდის ნაშრომში სხვა საკითხებთან ერთად, მართალია გაკვირვებულ, მაგრამ მაინც საუბარია არჩილ მეფის შეკვეთით მიკლოშ კიშის მიერ ქართული შრიფტის დამზადების შესახებაც. ამასთან დაკავშირებით მოხმობილია არჩილის ცნობილი წერილი ვიტცენისადმი (აქვე მოტანილი თითქოსდა მიკლოშ კიშისადმი გაგზავნილი წერილიც პირველის ფრაგმენტს წარმოადგენს მხოლოდ!) და მიკლოშ კიშის სიტყვები ავტობიოგრაფიული თხზულებიდან „თავის გასამართლებლად“<sup>82</sup>.

1973 წელს ქართული სტამბის ისტორიის საკითხებზე ერთდროულად გამოქვეყნდა სამი მონოგრაფიული ნაშრომი ო. გვინჩიძის<sup>83</sup>, ჯ. ვათეიშვილის<sup>84</sup> და ო. კასრაძისა<sup>85</sup>.

ო. გვინჩიძე აკრიტიკებს ვ. მოლინის მოსაზრებას, თითქოს 1686—87 წწ. ამსტერდამში მიკლოშ კიშის მიერ დამზადებული ქართული შრიფტი და სასტამბო მოწყობილობა არჩილ მეფეს თბილისში ჩამოეტანოს, აქ 1690-იან წლებში სტამბა გაემართოს, წიგნის ბეჭდვის ხელოვნება ამავე სტამბაში ესწავლოს და სამართლიანად დაასკვნის: „ჩვენ შეგვიძლია დაბეჭდვით განვაცხადოთ, რომ ამსტერდამში დამზადებულ ქართულ შრიფტს არამც თუ თბილისამდე, არამედ მოსკოვამდისაც კი არ ჩაულწევია“<sup>86</sup>. სამაგიეროდ, ო. გვინჩიძე იზიარებს კ. ბიორკბომის თვალსაზრისს — „ეს შრიფტი სტოკპოლმში აღმოჩნდა“, ე. ი. რომ შპარვენფელდის მეშვეობით ამსტერდამული ქართული შრიფტი სტოკპოლმში მოხვედრილა ალექსანდრე ბატონიშვილთან; მკვლევარი ასევე ეთანხმება ქრ. შარაშიძის დასკვნას,

<sup>82</sup> ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (უნგრულიდან თარგმნა ლ. მაისურაძემ), თბილისი, 1968, გვ. 13—14.

<sup>83</sup> ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, თბილისი, 1973.

<sup>84</sup> Ватейшвили Д. Л., Русская общественная мысль и печатня на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973.

<sup>85</sup> ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბილისი, 1973.

<sup>86</sup> ო. გვინჩიძე, დას. ნაშრ. გვ. 78.

რომ არჩილ მეფის დაკვეთით 1687 წელს ამსტერდამში დამზადებული და შემდეგ სტოკჰოლმში გადაგზავნილი შრიფტი გამოყენებული არ ყოფილა 1705 წელს მოსკოვში არჩილის მიერ „დავითნის“ ბექდვის დროს, რადგან „დავითნი“ დაბეჭდილია სხვა შრიფტით და დასძენს: „არჩილ მეფის მიერ ტოტვალუშისათვის დაკვეთილი შრიფტი შვედეთის ფარგლებს არ გასცილებია“ (იქვე, გვ. 79—80). ამის შემდეგ ო. გვინჩიძე განიხილავს ნეიგებაუერის<sup>87</sup>, ე. პიკოს<sup>88</sup> და მ. გასტერის<sup>89</sup> ცნობას, რომლის მიხედვით ანთიმოზ ივერიელს ქართული წიგნები, ზოგიერთთა განმარტებით, კერძოდ, 1697 წელს „კონდაკი“, დაუბეჭდავს ვლახეთში, სნაგოვოს მონასტერში. მართალია, ამ ცნობას ადრეც იცნობდნენ და განიხილავდნენ ალ. ხახანაშვილი, დ. კარიკაშვილი, ა. შანიძე, ქრ. შარაშიძე, გ. ლეონიძე, შ. კურდღელაშვილი, ე. ლორთქიფანიძე, შ. კვასხვაძე<sup>90</sup>, მაგრამ საერთო აზრი მის შესახებ არ ყოფილა შემუშავებული: ზოგი ნდობით ეკიდებოდა მას, ზოგი — უარყოფითად, ზოგიც კიდევ — ლიად ტოვებდა საკითხს, სანამდღე არ აღმოჩნდებოდა ამისი უშუალოდ დამადასტურებელი ფაქტი — თვითონ სნაგოვოში დაბეჭდილი წიგნი. ამასთან დაკავშირებით ო. გვინჩიძე კვლავ უბრუნდება საკითხს: „მაშ რომელი შრიფტით დაბეჭდა არჩილ მეფემ „დავითნი“, ან საიდან მიიღო მან ეს შრიფტი?... ვისთვის უნდა დაეკვეთა არჩილ მეფეს ეს ქართული შრიფტი, რომლითაც დაბეჭდა „დავითნი“ 1705 წელს?... თუ ანთიმ ივერიელს არ დაუბეჭდავს ქართული წიგნი ვლახეთში, ვ ი ნ ი ც ი ს

<sup>87</sup> Beschreibung der Moldau und Walachei, Leipzig, 1848, s. 326.

<sup>88</sup> Emile Picot, Notice biographique et bibliographique sur l'imprimeur Anthime d'Ivir, métropolitain de la Valachie, NMO, II-e serie vol. IX, Paris, 1886, p. 522.

<sup>89</sup> Wiener Zeitschrift fuer die Kunde des Morgenlandes, B. XI heft. 4.

<sup>90</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართველი მოღვაწე უცხოეთში, „ივერია“, 1898, № 63; დ. კარიკაშვილი, ქართული წიგნის ბექდვის ისტორია, 1929, გვ. 44—45; ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 165—174; გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, „დროშა“, 1951, № 2; შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959, გვ. 54, ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 94; შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952, გვ. 228; ე. ლორთქიფანიძე, ვახტანგ VI და ქართული სტამბის მოღვაწენი, 1962, გვ. 77.

იქნებ მან სნაგოვოს მონასტერში მხოლოდ და-  
ამზადა ქართული შრიფტი და სწორედ ეს შრიფ-  
ტი იქნა გამოყენებული არა „კონდაკის“ დასაბეჭდად,  
როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი, არამედ არჩილ  
მეფის მიერ მოსკოვში დაარსებულ სტამბის-  
თვის „დავითნის“ გამოსაცემად. როგორც ჩანს, ნეი-  
გებაურსა და გასტერს ხელთ ჰქონიათ რაღაც საარწმუნო წყარო  
სნაგოვოს მონასტერში ქართული შრიფტის ჩამოსხმის შესახებ, მაგ-  
რამ ამ ფაქტისათვის მიუციათ არასწორი ინტერპრეტაცია. ეს, რა-  
საკვირველია, მხოლოდ ვარაუდია, თუმცა ვარაუდი გამო-  
თქმული მთელი რიგი პირობების გათვალისწინებით“ (იქვე, გვ.  
86—90). ამ ვარაუდს მკვლევარი უფრო აკონკრეტებს დასკვნის სა-  
ხით: „არაა მთლიანად გამორიცხული ანთიმ ივერიელს ჩამოესხა  
ქართული შრიფტი სნაგოვოს მონასტერში და ეს შრიფტი გამოყენე-  
ბული ყოფილიყო 1705 წელს არჩილ მეფის მიერ მოსკოვში გამო-  
ცემულ „დავითნის“ დაბეჭდვის დროს“ (გვ. 95). ამას გარდა, ო. გეინ-  
ჩიძემ ასევე ვარაუდის სახით წამოაყენა სრულიად ახალი თვალსაზ-  
რისი, რომლის მიხედვით, ანთიმოზ ივერიელი, „როგორც სასტამბო  
საქმიანობაში მეტად საქირო პიროვნება“ თან ხლებია არჩილს მოს-  
კოვში პირველად ჩასვლის (1685-88 წწ.) დროს (გვ. 54—55), იგი  
რუსეთშივე უნდა დაუფლებოდა სასტამბო საქმეს და აგრეთვე, არ-  
ჩილთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო მიკლოშ კიშის მიერ ჩა-  
მოსხმული ქართული შრიფტის დახვეწაში: „ვინ იყვნენ ის „აღამი-  
ნები“, რომელთა „აზრი“ უნდა გაეთვალისწინებინა ტოტფალუს  
ქართული ასოების დამზადების დროს? რასაკვირველია, პირველ  
რიგში თვით არჩილ მეფე. მაგრამ განა გამორიცხულია, რომ „აღა-  
მიანთა“ შორის, რომელთა კრიტიკული შენიშვნები გამოუთქვამთ  
ტოტფალუსის მიერ შესრულებულ ქართული ასოების მიმართ, ყო-  
ფილიყო შესანიშნავი კალიგრაფი, მხატვარი და გრავიორი ახალ-  
გაზრდა ანთიმ ივერიელი? ვინ იცის, იქნებ გარკვეული  
წვლილი მიუძღოდა ანთიმ ივერიელს იმ „ქარ-  
თული ალფაბეტის ხელნაწერი ნიმუშების“ შეს-  
რულებაში, რომლებიც გადაეგზავნა ტოტფა-  
ლუსს ამსტერდამში. მაგრამ სათანადო საბუთების უქონ-  
ლობის გამო ჩვენ ჯერჯერობით ამის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა  
არ შეგვიძლია“ (იქვე, გვ. 75, შდრ. გვ. 94—95).

მართალია, ო. გვინჩიძე თავის შეხედულებებს ფრთხილად გამოთქვამს და უმეტესად მათ „ვარაუდებს“ უწოდებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ამ „ვარაუდთაგან“ ყოველგვარი განმარტების გარეშე უკვე გაზიარებული და ახალბერი ჩანს ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი ახლახან მიძღვნილ ისტორიულ რომანში<sup>91</sup>.

ჯ. ვათეიშვილმა თავისი ნაშრომის პირველ თავში განიხილა „კავკასიაში რუსული ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენების ისტორიული წინამძღვრები“ და მათ შორის, არჩილ მეფის სასტამბო საქმიანობა მოსკოვში, როგორც პირველი ჩასვლის (1685-88 წწ.), ისე 1699 წლიდან იქ უკვე საბოლოოდ დასახლების დროს. ნაშრომიდან ჩანს, რომ ჯ. ვათეიშვილი იზიარებს ამსტერდამიდან სტოკჰოლმში კიშისეული ქართული შრიფტის მოხვედრის ფაქტს<sup>92</sup>. ავტორმა ახალი ნაბიჯი თავის შემდეგდროინდელ ნაშრომებში გადადგა, რასაც ქვემოთ შევეხებით.

ო. კასრაძის ნაშრომში პირველად და დარღვეული, ასე ვთქვათ, მაშინ უკვე ტრადიციულად ქცეული შეხედულება ამსტერდამული და სტოკჰოლმური შრიფტების გაიგივების თაობაზე<sup>93</sup>. ამ ნაშრომის, და კერძოდ, ამსტერდამული (1686-87 წწ.), სტოკჰოლმური (1703 წ.) და მოსკოვური (1705 წ.) ქართული შრიფტების ურთიერთ-მიმართების აქ გატარებული თვალსაზრისის გამო ჯ. ვათეიშვილს და ო. კასრაძეს შორის ჩვენს პრესაში ცხარე კამათი გაიმართა<sup>94</sup>, რომელშიც უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ჯ. ვათეიშვილის პოზიცია. მაგალითად, უკანასკნელად 1978 წელს გამოქვეყნებულ პასუხში ჯ. ვათეიშვილმა მთლიანად გაიზიარა კ. ბიორკბომის შეხედულება ამსტერდამული და სტოკჰოლმური ქართული შრიფტების იგივეობის შესახებ. ჯ. ვათეიშვილის დასკვნით, „სადღეისოდ სხვა,

<sup>91</sup> იხ. ლ. გვაზავას ნაშრომი, რომელიც წამოიწყო და წამოიყვანა, თბილისი, 1980. შდრ. გ. ნოზაძე, ანთიმოზ ივერიელი და ქართული სტამბა, „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1957, № 24—25, გვ. 34—41.

<sup>92</sup> В а т е и ш в и л ი შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 22—31.

<sup>93</sup> ო. კასრაძე, დას. ნაშრ., გვ. 11—16.

<sup>94</sup> ჯ. ვათეიშვილი, ნარკვევი ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიიდან, „მნათობი“, № 11, გვ. 185; ო. კასრაძე, ერთი უმართებულო რეცენზიის გამო, „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 184; ჯ. ვათეიშვილი, მეცნიერული ქეშმარიტებისა და პაექრობის ეთიკის დასაცავად, „ეურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, VI, თბილისი, 1978, გვ. 446—451.



უფრო სარწმუნო ფაქტობრივი მასალის უქონლობის გამო არავითარი საფუძველი არა გვაქვს კ. ბიორკომის ეს მოსაზრება არ გავიზიაროთ“ (გვ. 451). ასეთი დასკვნის გამოსატანად ჯ. ვათეიშვილი აქვე შემდეგ არგუმენტს იშველიებს: „რადგან 1686—1687 წლებში ამსტერდამში მოღვაწე ცნობილი უნგრელი მესტამბის კიშ მიკლოშ ტოტფალუშის მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტის იქვე გაკეთებული ანაბეჭდი მეცნიერებას არ შემორჩა, როგორ შეიძლება ვამტყიცოთ, რომ არსებული ამსტერდამული ქართული ანაბეჭდი არის „სტოკჰოლმში დღემდე დაცული ანაბეჭდისაგან... აბსოლუტურად განსხვავებული?“ (გვ. 448).

1977 წლის მარტ-ივნისში ჯ. ვათეიშვილი იმყოფებოდა დასავლეთ ევროპის ოთხ ქვეყანაში: იტალიაში, პოლანდიაში, შვეიცარია და საფრანგეთში, სადაც რიგი საგულისხმო საისტორიო საბუთი თუ დოკუმენტური მასალა გამოავლინა და ამის თაობაზე რამდენიმე წერილიც გამოაქვეყნა<sup>95</sup>.

აქ მკითხველის ყურადღება გვსურს გავამახვილოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ჯ. ვათეიშვილის მიერ ახლად გამოვლენილ მასალებსა და მათ ავტორისეულ ინტერპრეტაციაზე.

ჯ. ვათეიშვილის ცნობით, „ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია ვიტცენის მიმოწერის საკმაოდ ვრცელი ფონდი. ამ ფონდის ერთ-ერთ დასტაში, სადაც თავმოყრილია ვიტცენის მიმოწერა მის მეგობართან, ქალაქ დევენტერის მერთან გეიზბერტ კუპერთან, მივაკვლიეთ არჩილის ვიტცენისადმი მიწერილი ცნობილი წერილის ასლს პოლანდიურსა და ფრანგულ ენებზე. ამ დოკუმენტიდან და თანდართული გ. კუპერისადმი წერილიდან ირკვევა არა მარტო ის, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვიტცენი არჩილ ბაგრატიონთან ურთიერთობას, არამედ ისიც, რომ არჩილის მისადმი გაგზავნილი წერილის ორიგინალში შეცდომით მითითებული ვინმე „ბარონ ვლარი“ გულისხმობს პოლანდიის შეერთებული [უნდა იყოს: გენერალური, გ. შ.] შტატების რეზიდენტს მოსკოვში ბარონ იოჰან-ვილემ კელერს“ („კომუნისტი“, 14. XII. 1977).

<sup>95</sup> ჯ. ვათეიშვილი, ერის საგანძურს შეემატა, „კომუნისტი“, 14. 12. 77; მისივე, ამაგდარი მამულიშვილები (არჩილ და ალექსანდრე ბაგრატიონების ბიოგრაფიისათვის), „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 4, გვ. 57—67; იხ. აგრეთვე, Европейские архивы рассказали..., «Заря Востока», 4. XII. 77.

ამას გარდა, ჯ. ვათეიშვილმა მკითხველ საზოგადოებას ამცნო ასეთი ფაქტიც:

«Так были найдены различные (в том числе ранее неизвестные) оттиски грузинского печатного текста, которые, как выяснилось, были изготовлены стараниями Багратиони в одной из стокгольмских типографий» («Заря Востока», 4., XII. 77 г.).

ან კიდევ: „სტოკჰოლმის სამეფო და უპსალას საუნევერსიტეტო ბიბლიოთეკებში გამოვადინეთ საინტერესო ცნობები ალექსანდრე ბაგრატიონის შვეციაში კულტურული მოღვაწეობის შესახებ. ამ ბიბლიოთეკების ხელნაწერთა განყოფილებებში კერძოდ აღმოჩნდა სხვადასხვა ანაბეჭდები ქართული ტექსტისა, რომელიც როგორც გამოირკვა, ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით არის შედგენილი და დასტამბული სტოკჰოლმის ჰაინრიხ III კაიზერის სტამბაში. ჩვენს მიერ მიკვლეული ორი სხვადასხვა შინაარსის ანაბეჭდიდან ერთი ცნობილია ქართული ისტორიოგრაფიისათვის: მასზე ქართულ ასომთავრულ და ნუსხურ ანბანთან ერთად სტამბური ნუსხა-ხუცურიტაა განსახიერებული „მამაო ჩვენოს“ და „წმინდაო მარიამის“ ლოცვათა ტექსტები. ხოლო მეორე, დღემდე ჩვენთვის უცნობ ანაბეჭდზე ასევე ნუსხა-ხუცურიტ სასულიერო ტექსტის „სიტყვა დღესა ტაძრად მიყვანებისასა“ შინაარსია გადმოცემული“ („კომუნისტი“, 14. XII. 77); ამის შემდეგ, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№ 4, 1978, გვ. 60—61) ჯ. ვათეიშვილმა გამოაქვეყნა „მეორე, დღემდე ჩვენთვის უცნობი, ასევე ნუსხა-ხუცურიტ შესრულებული ანაბეჭდის“ ტექსტი და ფოტოასლი, რომელიც დაცულია უპსალას უნივერსიტეტის პალმშელდის ფონდში (№ 150, გვ. 603):

„სიტყვა დღესა/  
ტაძრად მიყვ/  
ანებისასა:/

ვინ არს ესე რ[ომელ]ი იხედავს/  
ვ[ით]ა მთიები, შუენიერ ვ[ით]ა მთო/  
ვარე და რჩეული ვ[ით]ა მზე:/  
სიტყვანი არიან ბრძნისა სო/  
ლომონისნი ქებასა შ[ინ]ა — ქებათა/  
სი თავსა: ვ[ს] [ახარებას]ა შ[ინ]ა დაწერილნი:

კეთილ მსახურებისა ნათლით/  
ა უმეტესობით ბრწყინვალე. d/  
ველსა სჯულსა ყ[ოველ]ი კაცი იგი“.

მაგრამ ეტყობა ჯ. ვათეიშვილისათვის უცნობი დარჩენილა ის ფაქტი, რომ უპსალას უნივერსიტეტში დაცული „მეორე დღემდე ჩვენთვის უცნობი ნუსხა-ხუცურით შესრულებული ანაბეჭდი“, როგორც ზემოთ უკვე დავაწმუნდით, ჯერ კიდევ 1947 წელს აღმოუჩენია უპსალას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარს ერიკ გრენს და იგი ცნობილი გაუხდია როგორც ქართული მეცნიერებისათვის, კერძოდ, აკად. კ. კეკელიძისთვის, ისე საერთოდ, ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა სპეციალისტისათვის და ეს უკვე კარგა ხანია ასახულია საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურაში (ლ. ორსაგი, დ. ჰაიმანი, რ. დანი და სხვ.).

ის კი არა, ე. გრენმა 1947 წელს პირველმა სცადა ანაბეჭდის ტექსტის — „სიტყვა დღესა ტაძრად მიყვანებისასა“ რაობის განსაზღვრა მასში დამოწმებული „ქება ქებათას“ VI თავის ციტატის — „ვინ არს ესე რომელი იხედავა ვითა მთიები, შუენიერ ვითა მთოვარე და რჩეული ვითა მზე“ — სიტყვანი არიან ბრძნისა სოლომონისნი ქებასა შინა ქებათასი თავსა ვ... დაწერილინი“ მიხედვით, ოღონდ იგი შეცდომით დაუკავშირა 15 აგვისტოს მიძინების დღესასწაულს. კ. კეკელიძემ თავის 1947 წლის 12 დეკემბრის პასუხში აღნიშნული ფრაგმენტი სავსებით სწორად 21 ნოემბრის ტაძრად მიყვანების სადღესასწაულო ტექსტად მიიჩნია, მაგრამ დასაწყისი სტრიქონების უჩვეულობამ მას აფიქრებინა, ხომ არ არის იგი ორიგინალური ქართული ნაწარმოები, რომელიც ტყვეობაში ხელთ ჰქონია ალექსანდრე ბატონიშვილსო. მაგრამ როგორც ეს უკვე ნ. ნადიბაიძემ გამოარკვია, ალექსანდრე ბატონიშვილს უთარგმნია სიმეონ პოლოცკის ქადაგება „Слово в день введения во храм пресвятой Богородицы“ 1683 წლის მოსკოვეური გამოცემის (იხ. Симеон Полоцкий, Вечеря душевная, Москва, 1683) მიხედვით<sup>96</sup> და ჯ. ვათეიშვილიც ამის საფუძველზე სამართლიანად

<sup>96</sup> Наднбаидзе Н., Александр Арчилович Батошвили — переводчик произведений Симеона Полоцкого. «Лит. взаимосвязи», V, Тбилиси, 1974, с. 25, 33—41; Е е ж е, Жизнь и деятельность Александра Арчиловича Багратиони (автореферат), Тбилиси, 1975, с. 19.

უკავშირებს ანაბექდის ტექსტს ალექსანდრე ბატონიშვილისეულ თარგმანს (იქვე, გვ. 60).

ასევე თავის „აღმოჩენად“ აცხადებს ჯ. ვათეიშვილი უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში დაცულ სტოკპოლმური ანაბექდის ორეულების მიკვლევას: „უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მივაკვლიეთ სტოკპოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ანაბექდის, რომლის შესახებ ჩვენ ცნობილი მკვლევარების კ. ბიორკბომისა და ქრ. შარაშიძის პუბლიკაციებიდან ვიცოდით, ო რ დღემდე უცნობ ნაირსახეობას. საინტერესოა, რომ მათი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა თვით შვედმა ისტორიკოსმა ბ. ბიორკბომმაც“ („საბჭოთა ხელოვნება“, № 4, 1978, გვ. 60; იხ. აგრეთვე, „კომუნისტი“, 14. XII. 77).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აღნიშნულ ანაბექდსაც უპსალას უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1947 წელს მიაკვლია ერიკ გრენმა, რის თაობაზე 1947 წლის 20 სექტემბერს იგი ატყობინებდა კიდევ აკად. კ. კეკელიძეს:

«Один экземпляр таких был найден и опубликован С. Вьоргбом-ом... И вот теперь я нашел два других экземпляра, один того же образца, а о другом вы можете судить по прилагаемой фотостатической копии. Я издам его в том же журнале».

მაშასადამე, ჯ. ვათეიშვილის ეს „მიკვლევა“ უკვე სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის და იგი შვედ მკვლევარს ე. გრენს ეკუთვნის. ჯ. ვათეიშვილის დამსახურება ისაა, რომ მოგვაწოდა სტოკპოლმა და უპსალაში დაცულ 1703 წლის სასინჯ ანაბექდთა ეგზემპლარების ფოტოასლები და მათი ერთმანეთთან შედარებით გაარკვია ახალი მომენტი: სტოკპოლმის სამეფო ბიბლიოთეკისეულ ანაბექდში ტექსტის აწყობის წრის დაშვებული კორექტურული შეცდომები გასწორებულია უპსალას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისეულ ანაბექდში, რაც იმას მოწმობს, რომ „ექვეგარეშეა, ეს ის ცალია ანაბექდისა, რომელშიც შვედმა მესტამბემ ქართული ენის მცოდნის (ალბათ, ალექსანდრე ბატონიშვილის) დახმარებით მოახერხა თვალნათლივი ლაფსუსების ჩასწორება“ (გვ. 63). ამას გარდა, ჯ. ვათეიშვილმა მეცნიერულ სამსჯავროზე გამოიტანა უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ანაბექდის მეორე ნაირსახეობაც: „აქ ტექსტის ბოლოს, ნაბექდი გვერდის ქვედა მარჯვენა მხარეს მოთავ-

სებულია თვით მესტამბე ჰაინრიხ III კაიზერის ბექდურ იმარგინალია შვედურ ენაზე... მარგინალიაში ნათქვამია: წინამდებარე სამი [სახის] ქართული ანბანი და შრიფტი თანდართული [სასვენე] ნიშნებითა და ქარაგმებით (Accenter) ჩამოსხმულია სტოკჰოლმში მზამატრიცების საფუძველზე. გარდა ამისა, ისინი წესრიგში მოიყვანა ანაბექლის აალებად ქვემოთ ხელისმომწერმა ჰაინრიხ კაიზერმა“.

მაგრამ. ჯ. ვათეიშვილმა ამ მეტად მნიშვნელოვანი ცნობიდან სრულიად მიუღებელი დასკვნა გამოიტანა: „მარგინალიის შინაარსის მიხედვით, ქართული შრიფტები, რომლითაც ააწყეს ზემოთმითითებული ქართული ანბანები და ორი ცნობილი ლოცვის ტექსტი, თურმე ქართული შრიფტის მზამატრიცებია საფუძველზე ჩამოსახეს. თავისთავად ცხადია, რომ აქ ქართული სასულიერო შრიფტის სამი ზემოაღნიშნული ნაირსახეობის ჩამოსახსმელი ის მატრიცები იგულისხმება, რომლებიც ამსტერდამში ტოტფალუშკიშ მიკლოშმა არჩილ მეფის დაკვეთით დაამზადა“. ავტორი არ უთითებს, მაგრამ ყველა ნიშნით იგი მოქცეულია კ. ბიორკბომის გავლენის ქვეშ, როცა წერს: „აზრი იმის შესახებ, რომ პ. კაიზერის ბექდურ მინაწერში მოხსენებული ქართული მატრიცები შესაძლოა იქვე, სტოკჰოლმში დაამზადეს, გამოსარიცხია. შვედური სპეციალური ლიტერატურის ადგილზე გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ შრიფტების მოსაჭრელი სახელოსნო სტოკჰოლმში პირველად პ. მომამ დააარსა არა უადრეს 1739 წლია“ (გვ. 63).

განა ამასვე არ წერდა 1935 წელს კ. ბიორკბომი? განიხილავდა რა თარჯიმან ლინდმანის 1703 წლის 29 ოქტომბრის ჩვენებას: „თარჯიმანმა ლინდმანმა კოლეგიუმს წარუდგინა ერთი შეკვრა ტიპები, რომელიც ტყვე პრინცმა მელითელმა ქართული ენის ზოგიერთი ასოსთვის დაამზადებინა. წარმოდგენილია აგრეთვე მათი გადმონახედი — მოსკოვში გადაზავნის ნებართვის მიღების სურვილით“. კ. ბიორკბომი ასეთ განმარტებას გვთავაზობდა: „ის ჩამოსხმული ანბანი, რომელიც „რუსული ენის თარჯიმანმა“ კანცელარიის კოლეგიუმს უჩვენა, იგივე იყო, რაც კიშმა ამსტერდამში ჩამოსახა. წარმოვიდგინოთ, რომ პრინცმა თვით ჩამოსახა (ამას ამტკიცებს ლინდმანი), ეს

სწორი არ იქნება. ვან სელოსის მოღვაწეობიდან, მე-17 საუკუნის შუა ხანებიდან, 1793 წლამდე, როცა პ. მომამ მოაწყო შრიფტის ჩამოსახმელი, სტოკჰოლმში არ იყო ამის გამკეთებელი ხალხი. უეჭველია, ლინდმანის ნათქვამი ისე უნდა გავიგოთ, რომ პრინცი, მეფე არჩილის შვილი ამ შრიფტის ნამდვილი მფლობელია“ (იხ. ფრ. სიხარულიძის თარგმანი, გვ. 321).

უცნაური სურათი იქმნება: ამბის მომსწრე და მონაწილენი — ლინდმანი და ჰაინრიხ კაიზერი ამტკიცებენ, რომ 1703 წელს სტოკჰოლმში დამზადებული სასინჯი ანაბეჰდების შრიფტი დაამზადებინა ტყვე ბატონიშვილმა ალექსანდრემ და რომ ის ჩამოსახმულია სტოკჰოლმში მზა მატრიცების საფუძველზეო, ხოლო ორი თანამედროვე მკვლევარი — კ. ბიორკბომი და ჯ. ვათეიშვილი უარყოფენ მათ ჩვენებებს, აქაოდა. 1739 წლამდე სტოკჰოლმში არ ყოფილა ამის გამკეთებელი ხალხიო!? საკითხავია, რა აიძულებდათ ან ლინდმანს — ეს შრიფტი ტყვე ალექსანდრე ბატონიშვილმა დაამზადებინაო, ან განსაკუთრებით, მესტამბე ჰაინრიხ კაიზერს ანაბეჰდის მარგინალიაში პირდაპირ რომ მიუთითებდა: წინამდებარე შრიფტი სტოკჰოლმშია ჩამოსახმული მზა მატრიცების საფუძველზეო! ხოლო ეს მზა მატრიცები რომ ამსტერდამიდან არ ყოფილა მიღებული, ეს ახლა უკვე სრული უეჭველობით დაადასტურა რ. დანის მიერ 1980 წელს აღმოჩენილმა მიკლოშ კიშის ქართული შრიფტის ამსტერდამულმა ანაბეჰდმა. შედარებიდან ირკვევა, რომ მათ არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან!

ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ კვლავ დაუვბრუნდებით, ოღონდ აქვე უნდა ითქვას, რომ მცდარია ჯ. ვათეიშვილის შემდეგი დასკვნაც: „აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მე-17 საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნაზე, უფრო ზუსტად კი 1689 წლამდე, ამსტერდამიდან სამშობლოში (ტრანსილვანიაში მდებარე ქალაქ კოლოჯვარში) გამგზავრების წინ, ტოტფალუმ კიშ მიკლოშმა მის მიერ დამზადებული ქართული მატრიცები სტოკჰოლმს გადაუგზავნა ი. სპარვენფელდს, რათა მას, როგორც შუამავალს, შემდგომ დანიშნულეზისამებრ გადაეგზავნა ისინი მოსკოვს, არჩილ მეფისათვის. უფრო სავარაუდოა, რომ ტ. კიშ მიკლოშმა ქართული მატრიცები პირადად გადასცა ი. სპარვენფელდს, როდესაც უკანასკნელს, დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მოგზაურობისას, ამსტერდამშიც მოუხდა ყოფნა. ეს მოგზაურობა სპარვენფელდმა რუსეთიდან შვე-

ციაში დაბრუნების შემდეგ, მე-17 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს განახორციელა სამეცნიერო მიზნით... სპარევენფელდის ამსტერდამში ჩასვლას ადგილი ჰქონია ტ. კიმ მიკლოშის ტრანსილვანიაში გამგზავრების უშუალოდ წინ, რაც თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ უნგრელი მესტამბე შეეცდებოდა მოსკოველი დამკვეთისათვის შემზადებული მატრიცები შუამავლისათვის ჩაებარებინა და გასამრჯელოც მაშინვე მიეღო. ყოველ შემთხვევაში, ამსტერდამში ქართული მატრიცების დამზადება და სტოკპოლმის მათი გადაგზავნა, რასაც ბოლო დრომდე არაერთი ქართველი მკვლევარი ექვემდებარებოდა, ამჟამად დადასტურებულია. უფრო მეტიც: საზღვარგარეთ გამოვლენილი ახალი საარქივო მასალა ნათელს ჰფენს ამ მატრიცებისა და მათ საფუძველზე სტოკპოლმში ჩამოსხმული ქართული სასულიერო შრიფტის შემდგომ ბედს“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 4, გვ. 63, იხ. აგრეთვე, „კომუნისტი“, 14.XII.77).

ჯ. ვათეიშვილის 1977 წლის სამეცნიერო მივლინების დროს საზღვარგარეთ გამოვლენილ საარქივო მასალებს შორის, ჩვენს ყურადღებას იქცევს სტოკპოლმის სახელმწიფო არქივის ე. წ. სამხედრო ფონდში დაცული ალექსანდრე ბატონიშვილის 1704 წლის 24 ნოემბერს სტოკპოლმიდან მოსკოვს ქართულად მოწერილი წერილის შავი ავტოგრაფი, რომელშიც ტყვე უფლისწული მამამისს — არჩილ მეფეს, დედას — ქეთევან დავითის ასულ ბაგრატიონსა და დას — დარეჯან არჩილის ასულს ატყობინებს თავის მდგომარეობას, ნათლად უხატავს ტყვეობის მძიმე სურათს, თან წერილის ბოლოს მამას ეკითხება და პასუხის მიცემას თხოვს: „სხვა მარუტა თუ მოვიდა, საბეჭდავი მართლად მოიტანა და ან როგორი მათიციებია მიბრძანეთ“ (იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 4, 1978, გვ. 66).

საქმე ისაა, რომ კ. ბიორკბომისთვის აღრე ცნობილი იყო სტოკპოლმის სახელმწიფო არქივში დაცული თარგმანი ალექსანდრე ბატონიშვილის მხოლოდ 1703 წლის 8 დეკემბრით დათარიღებული წერილისა არჩილისადმი, რომელშიც იგი წერდა: „ჩვენი ენის ანბანის სრული კომპლექტი დიდი ხანია მზადაა, მაგრამ მე ვერ გადამიწყვეტია მისი გამოგზავნა. მე მაკრთობს ფიქრი, რომ გზაში რაიმე არ მოხდეს“ (ფრ. სიხარულიძის თარგმანი, გვ. 321). ამიტომ კ. ბიორკბომი დაეჭვებული იყო, რომ ოდესმე ეს ქართული შრიფტები გადაგზავნოდა არჩილ მეფეს. ახლადგამოვლენილმა ალექსანდრე ბატონიშვილის 1704 წლის 24 ნოემბრის წერილმა კი დაადასტურა,

რომ ვინმე „მარუტას“ ხელით, რომელიც ჯ. ვათეიშვილის ვარაუდით, „ალბათ ვაჭარია“, ალექსანდრე ბატონიშვილს არჩილ მეფისთვის გადაუგზავნია „საბეჭდავი“ და ეკითხება, მართლა თუ მოიტანა და მატრიცები როგორია, თუ მოგეწონათ, შემატყობინეთო („სხვა მარუტა თუ მოვიდა, საბეჭდავი მართლად მოიტანა და ან როგორი მათიცებია მიბრძანეთ“).

ჯ. ვათეიშვილის მიერ აქედან კვლავ მცდარად გამოტანილი დასკვნის მიუხედავად, რომ „სადღეისოდ დოკუმენტურად დადასტურებულად არა მხოლოდ ამსტერდამში ქართული მატრიცების დამზადება და მათი სტოკჰოლმს გადაგზავნა უნდა მივიჩნიოთ, არამედ შვეციის დედაქალაქში მათ საფუძველზე ქართული ანაბეჭდების დამზადების შემდეგ მოსკოვში, არჩილ მეფისათვის გადასაცემად მათი გადაგზავნის ფაქტიც“, ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ჯ. ვათეიშვილის განცხადებას, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის 1704 წლის 24 ნოემბრის ახლადგამოვლენილი წერილი, მართლაც „მნიშვნელოვნად ავსებს ვაკუუმს, რომელიც ჯერ კიდევ გააჩნია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის ცალკეული ეპიზოდების შესწავლის საქმეს, ეპიზოდებისა, რომლებიც შემდგომ კვლევა-ძიებასა და მეცნიერულ ამოცნობას საჭიროებენ“ (გვ. 66—67).

მართალია, ჯერჯერობით უცნობია ალექსანდრე ბატონიშვილის ამ წერილზე არჩილ მეფის პასუხი, სადაც დადასტურებული იქნებოდა ამ ვინმე „მარუტას“ მიერ სტოკჰოლმიდან მოსკოვს არჩილისათვის ქართული შრიფტის ჩამოტანის ფაქტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეგვექლო რალაცნაირად დაგვეკავშირებინა იგი 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნის“ შემდეგი ანდერძისათვის: „...ჩემ მიერ, მეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრესაჲ დაიბეჭდა წიგნი ესე დავითი სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს...“, ოღონდ, ხელს გვიშლის შემდეგი გარემოებანი: გარდა იმისა, რომ 1703 წლის სტოკჰოლმური ანაბეჭდის შრიფტი არ ჰგავს მოსკოვში 1705 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ შრიფტს, რაც მეცნიერებაში კარგა ხანია გამორკვეულია, საყურადღებოა სხვა ფაქტიც. როგორც ზემოთ ვთქვით, 1703 წლის 2 ივლისის წერილში არჩილ მეფე თ. გოლოვინს ატყობინებდა, რომ „а ныне, за Божиєю помошию литеры нашего дналекта построились изрядно и художники к делу обретаются искусные“, ე. ი. ქართული შრიფტის ლიტერები უკვე მზადააო და თხოვდა უშამდგომლობას პეტრე I-თან ქართული წიგ-



ნების ბექდვის ნებართვაზე, ხოლო 1703 წლის 8 დეკემბრის წერილში ალექსანდრე ბატონიშვილი გზაში დაკარგვის შიშით კვლავ ქოქმანობს, გამოგზავნოს თუ არა ქართული შრიფტი სტოკჰოლმიდან მოსკოვში. 1704 წლის 24 ნოემბერს ალექსანდრე არჩილის ძეს, მართალია, ვინმე „მარუტას“ ხელით კი აქვს გამოგზავნილი აღნიშნული შრიფტი, მაგრამ მან ჯერ დანამდვილებით კიდევ არ იცის, მიიღო თუ არა იგი მისმა გვირგვინოსანმა მამამ. 1705 წლის მარტში კი, როგორც ვიცით, არჩილმა „დავითნი“ მოსკოვში უკვე დაბეჭდა 600 ცალის რაოდენობით. ისმის კითხვა: შეეძლო კი არჩილს 1703 წლის 2 ივლისს პეტრე I-თვის მოეხსენებინა ქართული შრიფტი მზადააო და ეთხოვა ქართული წიგნების დაბეჭდვის ნებართვა სამეფო სტამბაში ისე, რომ ჯერ შრიფტი მიღებულ იქნას არ ჰქონოდა თავისი პირმშო ძისაგან, თუკი იგი მას მართლაც სტოკჰოლმიდან ელოდებოდა? ვთქვათ, არჩილმა გასწია რისკი, ქართული წიგნების ბექდვის ნებართვა 1703 წლის 2 ივლისს შრიფტის მიღებამდე ადრე ეთხოვა, 1704 წელს კი „მარუტას“ ხელით მართლა მიიღო ალექსანდრესგან შრიფტი და სარეკორდო სისწრაფით 1705 წლის მარტამდე დაბეჭდა კიდევ „დავითნი“, რის გამოც ალექსანდრე „ანდერძში“ მოიხსენია, მაგრამ მაშინ რატომ არ ჰგავს ეს სტოკჰოლმური და მოსკოვეური შრიფტი ერთმანეთს? აი, კითხვები, რომლებიც ჯერჯერობით ხელს გვიშლის საბოლოოდ დავადგინოთ, საიდან მომდინარეობს „დავითნის“ 1705 წლის მოსკოვეური გამოცემის შრიფტი.

1980 წელს გამოვიდა ო. კასრაძის ახალი წიგნი „ქართული წიგნის ბექდვის კერები“, რომელშიც ჯერ საუბარია არჩილის მიერ ამსტერდამში შ. კიშისთვის ქართული შრიფტის შეკვეთის შესახებ, ხოლო შემდეგ გვთავაზობს მოსაზრებას 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილ „დავითნის“ შრიფტის შესახებ:

„ამ წიგნის შრიფტის დამზადების გასარკვევად საყურადღებო მასალებია დაცული ძველ საბუთთა საკავშირო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ცსსა, ფ. 1182, წიგ. 30, ფურც. 37ა; 1705 წლის „დავითნის“ შრიფტის თაობაზე უფრო ვრცლად იხ. ფ. სიხარულიძის საკანდიდატო დისერტაცია: „რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან მე-17—18 საუკუნეთა მიჯნაზე (მოსკოვის ქართული ახალშენი)“, 1967, გვ. 85). ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ „დავითნის“ შრიფტი მოსკოვის სახანო-ნოსტამბის ოსტატს—სოთჩამო მსხმელ მ. ეფრე-

მოვს დაუმზადებია. აღნიშნულ დოკუმენტს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის პროფ. ს. ლუპოვის ცნობა. მისი განცხადებით, 1707 წელს პეტრე I-ის ინიციატივით შემუშავებული რუსული ახალი მხედრული შრიფტის ლიტერები, პუნსონები და მატრიცები ამსტერდამში შეუკვეთიათ, ნაწილი კი მოსკოვის სახაზინო სტამბაში დაუმზადებიათ (С. П. Луппов, Книга в России в первой четверти XVIII века, 1973, с. 60). ჩანს, მე-18 საუკუნის დამდგისათვის მოსკოვში ყოფილან მეტ-ნაკლებად ცნობილი შრიფტის ჩამომსხმელი ოსტატები. უნდა ვიფიქროთ, რომ გაუთავებელი მოლოდინით გაბეზრებულმა არჩილ II-მ საბოლოოდ დაკარგა ამსტერდამში შეკვეთილი შრიფტის მიღების იმედი და ქართული ასოების ჩამოსასხმელი პუნსონ-მატრიცები მოსკოვის სახაზინო სტამბაში მ. ეფრემოვს დაამზადებინა. ისე, რომ 1705 წელს „დავითნი“ დაიბეჭდა მოსკოვის სახაზინო სტამბაში, ამავდესტამბის რუსი მოხელეების მიერ დამზადებული ქართული შრიფტით“<sup>97</sup>.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ მოსაზრება 1705 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ შრიფტის მოსკოვის სახაზინო სტამბაში დამზადებაზე გამოთქვა კ. კეკელიძემ<sup>98</sup>, რომელსაც ო. კასრადე იცნობს (იქვე, გვ. 15—16), და უფრო ადრე ალ. ხახანაშვილმაც ეს ივარაუდა<sup>99</sup>, ოლონდ ო. კასრადის მიერ დამოწმებულ დოკუმენტსა და ფრ. სიხარულიძის ნაშრომში ლაპარაკია ასოთჩამომსხმელ (СЛОВЛИТЧИК) მიხეილ ეფრემოვის მიერ ასოების ჩამოსხმის, გაწმენდისა და კალის მოტანაზე, ხოლო თვითონ ფრ. სიხარულიძის განმარტებით, „პუნსონების და მზადების გარდა ყველა სამუშაო შესრულებულია მოსკოვის ტიპოგრაფიაში“ (იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 5, 1968; გვ. 30). მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ფრ. სიხარულიძე 1705 წლის „დავითნის“ შრიფტის პუნსონების დამზადებას არ მიაწერს მ. ეფრემოვს.

ახლახან გამოქვეყნდა მ. სალაძის მიმოხილვითი ხასიათის წერი-

<sup>97</sup> ო. კასრადე, ქართული წიგნის ბეჭდვის კერები, თბილისი, 1980, გვ. 29—30.

<sup>98</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, თბილისი, 1941, გვ. 520.

<sup>99</sup> Х а х а н о в А., Очерки, III, М., 1901, с. 367.

ლი „ქართულ-უნგრული ლიტერატურული ურთიერთობანი“ (კრებ. „ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი საბჭოთა პერიოდში“, თბილისი, 1981), რომელშიც სხვა უზუსტობებთან ერთად, დაშვებულია ასეთი მძიმე ფაქტიური ხასიათის შეცდომა: „როგორც ცნობილია, უნგრელი ოსტატის მიკლოშ კიშ ტოტფალუშის მიერ დამზადებული ასოებით დაიბეჭდა პირველად ქართული ბიბლია მოსკოვში“ (გვ. 80)?!

• • •

რა მდგომარეობაა ამ მხრივ უკანასკნელი დროის უნგრულ სამეცნიერო ლიტერატურაში?

უნდა ითქვას, რომ 1950-იანი წლებიდან უნგრეთში და ტრანსილვანიის უნგრულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში რუმინეთში კვლავ გამოცოცხლდა ინტერესი მიკლოშ კიშის მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტისადმი.

1952 წელს ბუდაპეშტში იმრე ბანმა გამოსცა მ. კიშის „მენჩეგი“ („თავის გასამართლებლად“), რომელსაც უძღვის ტიბორ კლანიციას შესავალი წერილი<sup>100</sup>. ეს უკვე ჩვენს დროში მ. კიშის ამ სახელგანთქმული თხზულების მეორე გამოცემას წარმოადგენდა 1940 წლის გაბორ ტოლნაისა და იმრე კნერის გამოცემის შემდეგ<sup>101</sup>. როგორც ვიცით, მ. კიში ამ თხზულებაში გვაწვდის ცნობას ამსტერდამში მის მიერ ქართული შრიფტის დამზადების თაობაზე.

მალე, 1954 წელს, ბუქარესტში, უნგრულ ენაზე გამოქვეყნდა კრებული „მიკლოშ მისტოტფალუში კიში“, რომელშიც შესულია დიდი უნგრელი მესტამბის სხვადასხვა თხზულება, მათ შორის, „თავის გასამართლებლად“, აგრეთვე, მ. კიშის პირადი წერილები (წიგნი დაბეჭდილია ქ. კლუჟში). კრებულის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორია ზადორ ტორდაი (Tordai Zador), ხოლო მ. კიშის ლათინური თხზულების „ბიბლიის დაცვის“ უნგრული თარგმანი შესრულებულია გეზა კიშის (Kiss Géza) მიერ, რომელიც ორიგინალ-

<sup>100</sup> Misztótfalusi Kis Miklós Maga Mentsége. Sajtó alá rendezte és magyarázta Ban Imre, a bevezetőt írta Klaniczay Tibor, Budapest, 1952.

<sup>101</sup> M. Tótfalusi K. Miklosnak maga... Mentsége, Tolnai Gábor-ისა და Kner Imre-ს გამოცემა, Gyomán, 1940.

თან შეუდარებია ჟიგმონდ იაკოს (Jakó Zsigmond). ზ. ტორდაი წინასიტყვაობაში წერდა: „ტოტფალუში იღებდა შეკვეთებს არა მარტო პოლანდიაში, არამედ ინგლისიდან, შვეციიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან; იგი მუშაობდა რომის პაპისთვის, სომხეთისთვის, საქართველოსთვის, ტოსკანელი ჰერცოგისთვის... ტოტფალუში ხვეწდა არა მარტო უკვე არსებულ შრიფტებს, არამედ გვევლინება როგორც ახალი საბეჭდი ასოების შემქმნელიც: იგი ქმნის ქართულ ბეჭდურ შრიფტს. არჩილს, ქართველ მეფეს, რომელიც გაქცეული იყო მოსკოვში, სურდა შეექმნა პირველი ქართული სტამბა. მან სთხოვა ამსტერდამის ბურგომისტრს ეპოვნა მისთვის სპეციალისტი. ბურგომისტრმა ურჩია მას ტოტფალუში. ტოტფალუშიმ არა მარტო ამოკრა ასოები მისთვის გაგზავნილი მოდელის მიხედვით, არამედ სახეც შეუცვალა მათ, გააკეთა უფრო უკეთესი, უფრო ლამაზი. ასე რომ, იგი არის ქართული ბეჭდური ასოების შემქმნელი“<sup>102</sup>.

ამავე დროს ბუდაპეშტში გამოქვეყნდა ანდორ ნემეტის ისტორიული რომანი „ასოების ოსტატი“, რომელშიც აღწერილია მიკლოშ კიშის ცხოვრება და მოღვაწეობა<sup>103</sup>.

ა. ნემეტის რომანი ისტორიული წყაროების გათვალისწინებითაა დაწერილი და ძირითადად სანდო მეცნიერულ სურათს გვიხატავს. ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს, თუ როგორ არის ასახული რომანში ქართული შრიფტის ჩამოსხმის ამბავი.

ა. ნემეტი, ეტყობა, იცნობს ამსტერდამის ბურგომისტრის ნ. ვიტცენის მონაწილეობის ვერსიას ქართული შრიფტის დამზადების საქმეში და ამასთან დაკავშირებით გადმოსცემს მის საუბარს მიკლოშ კიშთან. ამ საუბრიდან ირკვევა, თითქოს ვიტცენს საქართველოში ემოგზაუროს და აქ გასცნობოდეს არჩილ მეფეს.

ცხადია, ა. ნემეტის ეს ცნობა მწერლის ფანტაზიის ნაყოფი უფროა, ვიდრე ისტორიული სინამდვილე. ჩვენ ვიცით, რომ 1664-65

---

<sup>102</sup> M. Tótfalusi Kis Miklós. A bevezetőt írta, a szövegeket kiválogatta es jegyzetekkel ollátta Tordai Zador, Buckarest, 1954, გვ. 19—20; აგრეთვე, გვ. 156, 209—210.

<sup>103</sup> N e m e t h A n d o r, A Betű mestere, Budapest; ამ რომანის შესახებ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა რეცენზიები: ნ. ჩ ი ქ o ვ ა ნ ი, არჩილ მეფე და ქართული სტამბა, „დროშა“, 1955, № 7, გვ. 17; ი. ბ ე კ ე შ ი, ასოების ოსტატი, „კომუნისტი“, 27. VIII. 1957.

წწ. ვიტცენი მოსკოვის სამეფოში კი იმყოფებოდა<sup>104</sup>, მაგრამ მისი მეცნიერი ბიოგრაფები ვიტცენის არა თუ საქართველოში, არამედ კასპიის ზღვის სანაპიროებამდე მოსვლასაც კი უარყოფენ<sup>105</sup>. აქედან გამომდინარე, მით უფრო მიუღებელია ა. ნემეტის ცნობა, თითქოს ნ. ვიტცენს ჩვენს ქვეყანაში 1661 წელს ემოგზაუროს: „1661 წელს, ე. ი. ჩემი გამოგზავრების შემდეგ, იმერეთში გამეფდა კახეთის მეფის შვილი ცნობილი არჩილი...“ — ასე ალაპარაკებს ვიტცენს ა. ნემეტი. ვიტცენის ბიოგრაფიიდან კი კარგადაა ცნობილი, რომ ამ დროს იგი პოლანდიაში სწავლობდა და ჯერ ევროპიდან ფეხი არსად ჰქონია გადგმული.

ა. ნემეტის თავის რომანში მოჰყავს არჩილ მეფის 1687 წლის 17 დეკემბრის ცნობილი წერილი ვიტცენისადმი, რომელიც ასევე მეტწილად მწერლის შეთხზულია და მისი ნდობა არაფრით არ შეიძლება. ასე მაგალითად, არჩილი თითქოს წერდეს: „თუმცა დაზგები უკვე მაქვს, მაგრამ ასოები მაკლია. აქ არ შეუძლიათ ამოკრან ისეთი ასოები, როგორც ჩვენ გვინდა—ქართული ასოები. ამიტომ მოგმართავ შენ, რათა მონახო ამსტერდამში ოსტატი ამომკრელი, რომელიც შეძლებს ამოკრას ასოები ამ წერილთან დართული ნიმუშის მიხედვით და ჩამოასხას ისინი. სამსახურს, რასაკვირველია, კეთილსინდისიერად აუუნაზლაურებ“<sup>106</sup>.

ასეთი უზუსტობა მით უფრო საკვირველია, რადგან უნგრელ მწერალს, თუ ის ქართულს ვერ ფლობდა, არჩილის ეს წერილი შეეძლო გაეცნო როგორც მ. ბროსეს ფრანგულ (1857 წ.), ისე ლ. დევის უნგრულ (1899 წ.) თარგმანებში.

მაგრამ ყურადღებას იქცევს მწერლის მახვილი წინათგრძნობა. მანამდე, როგორც ვიცით, სამეცნიერო ლიტერატურაში (კ. ბიორკ-

<sup>104</sup> იხ. Nicolaas Witsen, Moskowsische reyse 1664 — 1665, M. Nijhoff-ის გამოცემა, 1966; K. Müller, Leibniz und Nicolaas Witsen, Berlin, 1955.

<sup>105</sup> J. F. Gebhard, Het leven van Mr. Nicolaas Cornelisz. Wit, sen (1641 — 1717), I — II, Utrecht, 1831. 1882; A. J. Van der Aa-Biographisch Woordenboek der Nederlanden, 1852, [Amsterdam, 1969, ფოტოტიპური გამოცემა], s. 111—112; А. Браудо, Витсен, см. Энци. сл. Брокг. и Ефр., т. 12. СПб., 1892, с. 568 — 569; Энци. сл. Гранат, т. 10, с. 336; С. Бахрушин, Витсен, БСЭ, т. 11, М., 1930, с. 310; БСЭ, т. 8, М., 1951, с. 204.

<sup>106</sup> ი. ბეკეში, დას. წერილი.

ბომი, ქრ. შარაშიძე და სხვ.) გავრცელებული იყო შეხედულება, რომ მ. კიშიმა ჩამოასხა მხოლოდ ქართული ასომთავრული და ნუსხახუცური შრიფტი. ა. ნემეტი კი მოულოდნელად არღვევს ამ ტრადიციას და განაცხადებს: „...თქვა ბურგომისტრმა [ვიტცენმა] და ქალაქის ორი ფურცელი უჩვენა მას [მიკლოშ კიშს]. ორივე ფურცელზე ასოთა ნიმუშები იყო გამოყვანილი და თან ახსნა-განმარტებაც ერთვოდა. ქართველები ორნაირ ანბანს ხმარობენ: ხ უ ც უ რ ს — ოთხკუთხოვანს... ამ ანბანით ქადაგებას სწერენ, მეორე კი საეროა, მ ხ ე დ რ უ ლ ი, ის უბრალო ხელნაწერია ჰგავს. მ ე ფ ე მ ა მ ა ნ ბ ა ნ ი ს ნ ი მ უ შ ი ც გ ა მ ო გ ზ ა ვ ნ ა. ეტყობა, ლოცვების გარდა, ის აპირებს დაბეჭდოს რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს... ტოტფალუშმა ასოები ჩამოასხა და ბურგომისტრს მიუტანა, მან კი ისინი მოსკოვს გააგზავნა“<sup>107</sup>.

1958 წელს გამოქვეყნდა ლასლო ორსაგის დიდად საყურადღებო გამოკვლევა: „მისტოტფალუში კიში და პირველი უნგრული წიგნი ამერიკაზე“<sup>108</sup>. ამ ნაშრომში ლ. ორსაგმა, მიკლოშ კიშის მიერ ამსტერდამში დამზადებულ ქართულ შრიფტთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ უნგრულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმრე კნერს), გაამახვილა ყურადღება კ. იაკობოვსკისა და კ. ბიორკომის შრომებზე, გადმობეჭდა შპარვენფელდის 1700 წლის ფრანგული ცნობა, აგრეთვე, შპარვენფელდისადმი მ. კიშის მიერ 1686 წლის 12 ნოემბერსა და 1687 წლის 17 იანვარს ამსტერდამიდან მოსკოვს გამოგზავნილი ლათინური წერილები; ასევე პირველმა მიუთითა უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული სასინჯი ანაბეჭდი „სიტყვა დღესა ტაძრად მიყვანებისასა“ და მისი ფოტოპირიც გამოაქვეყნა<sup>109</sup>. ეს სწორედ ის ანაბეჭდია, რომელიც ჯ. ვათეიშვილმა, როგორც ვთქვით, მანამდე უცნობად გამოაცხადა<sup>110</sup>.

<sup>107</sup> ნ. ჩიკოვანი, დას. წერილი.

<sup>108</sup> Országh László, *Misztótfalusi Kis és az első magyar könyv Amerikáról*, „Magyar Könyvszemle“, Budapest, LXXIV évf., I szam., 1958, 22—41.

<sup>109</sup> იქვე, გვ. 31—35.

<sup>110</sup> იხ. „Заря Востока“, 4. XII. 1977; „კომუნისტი“, 14. XII. 1977; „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 4.

საკითხის ისტორიისათვის ლასლო ორსაგის გამოკვლევის ამ ადგილის დიდი მნიშვნელობის გამო, მოგვყავს მისი ქართული თარგმანი.

შპარვენფელდისადმი 1686-87 წწ. მ. კიშის მიერ გამოგზავნილი ორი ლათინური წერილის მოყვანის შემდეგ, ლ. ორსაგი წერს: „ამ წერილებიდან იხე გამოდის, რომ 1686 წელს ან უფრო ადრე შპარვენფელდისთვის, ან კიდევ ტოტფალუშთან დაკავშირებული სხვა პირისთვის გამოგზავნილი ყოფილა [მიკლოშ კიშის მიერ] 3 სახეობის შრიფტი. ზუსტი მითითება იმაზე, რომ ეს შრიფტები ქართული იყო, არსად არ გვხვდება, მაგრამ დღეს ამ შრიფტის სასინჯი ანაბეჭდების მიხედვით [ლ. ორსაგი გულისხმობს სტოკპოლმსა და უჰსალაში აღმოჩენილ ქართულ ანაბეჭდებს, გ. შ.], ნათელი ხდება, რომ ეს სწორედ ქართული შრიფტია. მაინცდამაინც 3 სახეობის ასოების არაებობა (როგორც ეს მოიხსენიება შპარვენფელდისადმი მოწერილ ერთ-ერთ წერილში) უჩვენებს, რომ ეს იყო ქართული შრიფტები.

მაგრამ ის პირები, რომლებიც აწარმოებდნენ მიმოწერას ტოტფალუშისთან, ალბათ იყვნენ ქართველი სასულიერო პირები [ლ. ორსაგმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ეს იყო არჩილ მეფე, გ. შ.]. ისინი ყოველთვის უკმაყოფილო ყოფილან ტოტფალუშის გაკეთებული შრიფტით. მაგრამ ტოტფალუში წერდა, რომ ძალიან ძნელია ერთბაშად გააკეთო მატრიცები იმ ხალხისთვის, რომელსაც აქამდე არ ჰქონია ბეჭდური ასოები. ეს სამუშაო ძლიერ რთულიაო, რისთვისაც იგი ტაქტიანად გასამრჯელოს შესახებ მიანიშნებდა. ჩვენთვის უცნობია, მოეწონათ თუ არა შემკვეთებს ის ასოები, რომელთა შესახებ წერს ტოტფალუში თავის მეორე წერილში. და გადაუხადეს თუ არა მას გასამრჯელო და ეს არც შედის ჩვენს კომპეტენციაში. ჩვენ არც ის ვიცით, გამოიყენეს თუ არა ქართველებმა ეს მატრიცები. ჩვენ გვსურდა მხოლოდ გვეთქვა, რომ ტოტფალუშის მიერ გაკეთებული ასოები დარჩა სახსოვრად მომავლისათვის.

უჰსალას უნივერსიტეტისა და სტოკპოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცულია იმ ასოთა ანაბეჭდები, რომლებიც გაკეთებულია ტოტფალუშის მიერ. ამ შრიფტის ერთ ან ანაბეჭდს ჩვენ აქვე ვაქვეყნებთ (სტოკპოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში შეგიძლიათ ნახოთ 1702 და 1705 წლებში დამზადებული ანაბეჭდი ფურცელი ზომით 33×21 სმ.), მასზე აღბეჭდილია ქართული ალფაბეტი 3 სხვადასხვა სიდიდისა. სამივე ალფაბეტი წარმოადგენს ზუ-

ურ ასოებს. ყველაზე წერილი მათ შორის იგვაგონებს ახლანდელ ხუტურს, რომლითაც სასინჯად დაბეჭდილია „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო მარიამ“. მეორე ფურცელზე, რომელიც დამზადებულია 1702 წელს, დაბეჭდილია 21 ნომბრის სადღესასწაულო „ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა“. გამოქვეყნების ნებართვისათვის მადლობას ვუძღვნით სტოკჰოლმის (?) სამეფო ბიბლიოთეკის დირექტორს. პირველ ფურცელზე აღბეჭდილი ანბანის ფაქსიმილე გამოაქვეყნა ბიორკომმა, ხოლო მეორე ფურცელი ქვეყნდება პირველად, დოკუმენტები რომლითაც მე ვსარგებლობ კ. ბიორკომისგან (იხ. მისი: Henrik III Keysers Georgiska stilprov. „Nordisk Tidskrift för Bok-och Biblioteksväsen“) გვიჩვენებს, რომ არჩილის შვილი ალექსანდრე, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა შვედებს რუსეთ-შვეციის ომის დროს, 1700—1710 წლებში იმყოფებოდა ქ. ლინჩეინგში (!). 1702 და 1705 წლებში ალექსანდრემ ჰენრიკ კაიზერის სტამბაში სტოკჰოლმში შეუკვეთა ასოები და რამდენიმე ეგზემპლარი მამამისს გადაუგზავნა მოსკოვში. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სტოკჰოლმის ბიბლიოთეკის დოკუმენტებში [მოხსენიებული ალექსანდრე ბატონიშვილის შრიფტი] და ჩვენს მიერ აქ გამოქვეყნებული ასოები ერთი და იგივეა. ჩვენ მხოლოდ შინაგანი ინტუიცია გვკარნახობს, რომ ეს ტოტვალუშის ნამუშევარია“<sup>111</sup>.

მ. კიშინეული ქართული შრიფტის საკითხს გაკვრით შეეხო ბ. ფიცცი<sup>112</sup>. 1965 წელს მას მიემატა არტურ სეკეის შრომა „ახალი ცნობები მიკლოშ ტოტვალუში კიშის ქართულ შრიფტზე“<sup>113</sup>. ა. სეკეის ამ შრომის მთავარი ღირსება ისაა, რომ ლ. დეუის შემდეგ, მან უნგრელ მკითხველს გააცნო არჩილ მეფის 1687 წლის 17 დეკემბრის ცნობილი წერილი ვიტცენისადმი (დაურთო დედნის ფოტოპირიცი),

<sup>111</sup> Ország h Lás zlo, დას. ნაშრ., გვ. 33—34.

<sup>112</sup> Ió zsef Fitz, A magyar könyv története 1711-ig, Budapest, 1959, 160—161.

<sup>113</sup> Székely Artúr, Újabb adatok Misztótfalusi Kis Miklós gruz betűiről, „Magyar Grafika“, Budapest, 1965, IX évf. 5 szám., გვ. 395—400.



აგრეთვე ლათინურიდან უნგრულად პირველად თარგმნა კიშის წერილები შპარვენფელდისადმი, რომლებშიც ქართული შრიფტის დამზადებაზეა საუბარი, ასევე პირველად გამოაქვეყნა სტოკპოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული სასინჯი ანაბექდის „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო ქალწულოს“ ფოტოპირი და მოიყვანა თბილისიდან გ. ი. ხუციშვილის მიერ მიწოდებული ზოგიერთი ცნობა (იმავე ა. სეკეის რამდენიმე წლის შემდეგ შემთხვევა მიეცა გამოქვეყნებინა აგრეთვე ლინჩეპინგში დაცული კიშის ორი წერილი)<sup>114</sup>.

მალე ამას მოჰყვა აკად. გაბორ ტოლნაის ნარკვევი „მიკლოშ ტოტფალუში კიშის მსოფლიო სახელი“, რომლის ერთი ნაწილი (გვ. 567—573) მთლიანად ქართული შრიფტის დამზადების ისტორიას ეხება<sup>115</sup>. საერთოდ, აკად. გ. ტოლნაი მ. კიშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღიარებული სპეციალისტია. მან, ჯერ კიდევ 1940 წელს, იმრე კნერთან ერთად გამოსცა მ. კიშის განთქმული თხზულება „თავის გასამართლებლად“, რომელიც დღემდე სანიმუშოდ ითვლება. მ. კიშის ამ ავტობიოგრაფიულ თხზულებაში კი ფასდაუდებელი ცნობებია საქართველოსთან, ქართულ შრიფტთან უნგრელი მესტამბის დამოკიდებულებაზე<sup>116</sup>. ამიტომ გ. ტოლნაის ახალ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკვლევი საკითხისადმი ინტერესის გააღვივებაში. გ. ტოლნაის საგანგებოდ მოჰყავს გაბრიელ შპარვენფელდის 1700 წლის ფრანგული ცნობა არჩილ მეფესთან ურთიერთობაზე და თარგმნის მას უნგრულად, ასევე ბეჭდავს კიშის ცნობილ ლათინურ წერილებს შპარვენფელდისადმი და მათ უნგრულ თარგმანს; იმოწმებს კ. ბიორკბომის, ო. შუცცის, ლ. ორსაგის ნაშრომებს.

სხვათა შორის, გ. ტოლნაის მიკლოშ კიშისადმი მიძღვნილი ზოგიერთი წერილი შესულია სულ ახლახან გამოქვეყნებულ მისი შრომების კრებულში<sup>117</sup>.

1972 წელს გამოქვეყნდა პროფ. დ. ჰაიმანის ფუნდამენტური მონოგრაფია: „მიკლოშ კიში ტოტფალუში ასოთმჭრელი და მესტამ-

<sup>114</sup> იხ. „A magyar grafika és a papiripar évkönyve“ 1969. გვ. 69—79.

<sup>115</sup> Tolnai Gábor, Tótfalusi Kis Miklos vilaghire, „Filológiai Közlöny“, XIV évf., 3—4 szám., Budapest, 1968, გვ. 563—575.

<sup>116</sup> M Tótfalusi K. Miklosnak, Mentsége, melyet most ujjolag kinyomtatnak Tolnai Gábor bérekesztő—beszédével, Gyo : an, 1940.

<sup>117</sup> Tolnai Gábor, Nönek az Arnyak, Budapest, 1981.

ბე. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“<sup>118</sup>. ნაშრომის 72—74 გვერდებზე საუბარია მ. კიშის მიერ ამსტერდამში დამზადებულ სომხურ (1685 წ.) და ქართულ (1686-87 წწ.) შრიფტებზე. დამოწმებულია კ. ბიორკბომის, ო. შუტცის, ლ. ორსაგის, ა. სეკეის და გ. ტოლნაის გამოკვლევები და დაბეჭდილია სტოკჰოლმური ქართული სასინჯი ანაბეჭდის ფოტოპირი, როგორც ნიმუში მ. კიშის მიერ ამსტერდამში დამზადებული ქართული შრიფტისა.

პროფ. დ. ჰაიმანმა აკად. გ. ტოლნაისთან ერთად 1978 წელს უნგრული თარგმანითურთ გამოსცა ჩვენამდე ერთადერთ ცალად მოღწეული მოსაგონარი ფურცელი, რომელიც კიშის მეგობრებმა და მოწაფეებმა მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ლათინურ ენაზე 1702 წელს დაბეჭდეს კოლოჟვარში. სხვებთან ერთად, აქ დაბეჭდილია შამუელ პაპ ტელეგდის ლათინური წერილი და მისი უნგრული თარგმანი, სადაც იგი ლაპარაკობს კიშის მიერ ქართული შრიფტის დამზადებაზე<sup>119</sup>.

ამას გარდა, დ. ჰაიმანის ცალკეული გამოკვლევები მ. კიშის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე თავმოყრილია 1979 წელს გამოცემულ მის შრომათა კრებულში<sup>120</sup>.

1974 წელს ბუქარესტ-კლუჟსა და ბუდაპეშტში გამოვიდა ორი წიგნი: რუმინეთში მომუშავე ცნობილი უნგრელი მეცნიერის ჟიგმონდ იაკოს „ტრანსილვანიელი ფენიქსი. მიკლოშ კიში მისტოტვალუმის მემკვიდრეობა“<sup>121</sup> და მიკლოშ კიში მისტოტვალუმის „მენჩეგი“ („თავის გასამართლებლად“), პროფ. დ. ჰაიმანის წინასიტყვაობით უნგრულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე<sup>122</sup>. თუ ამ უკანასკნელში მიკლოშ კიშის მხოლოდ ერთი თხზულებაა შესული და წარმოადგენს „მენჩეგის რიგით მეექვსე გამოცემას დიალუგის (1902 წ.), ტოლნაი-კნერის (1940 წ.), ბანის (1952 წ.), ტორდაის

---

<sup>118</sup> Haiman György, Tótfalusi Kis Miklós a betűművész és a tipográfus. Elete műve betűinek és nyomtatványainak tükrében, Budapest, 1972.

<sup>119</sup> Tótfalusi Kis Miklós halotti kártája, Budapest, 1978, გვ. 100—101

<sup>120</sup> Haiman György, A Könyv műhelyében, Budapest, 1979.

<sup>121</sup> Jako Zsigmond, Erdélyi fenixs. Misztótfalusi Kis Miklós öröksége, Bukarest, 1974.

<sup>122</sup> M. Tótfalusi Kis Miklós, Mentsége, Haiman György hevezetűjével, Budapest, 1974.

(1954 წ.), იაკოს (1947 წ.) გამოცემათა შემდეგ (ოლონდ. ეს არის ფოტოტიპურად დაპატარავებული 1698 წლის პირველი გამოცემა ჯიბით სატარებლად), ე. იაკოს წიგნში. როგორც ეს სათაურდანაც ჩანს, თავმოყრილია მიკლოშ კიშის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა (ხელნაწერები, წერილები...) და უნგრულადაა თარგმნილი ლათინური პირველწყაროები, რომლებსაც ახლავს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შედგენილი ზუსტი და დაწვრილებითი კომენტარები.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ჩამოთვლილი ყველა უნგრელი მეცნიერი (ლ. ორსაგი, ა. სეკეი, გ. ტოლნაი, დ. ჰაიმანი, ე. იაკო), კარლ ბიორკომის გამოკვლევის კვალობაზე. სტოკჰოლმსა და უპსალაში აღმოჩენილ ქართულ სტამბურ საბინჯ ანაბეჭდთა შრიფტს უყოყმანოდ აიგივებდნენ არჩილ მეფის შეკვეთით მიკლოშ კიშის მიერ 1686-87 წლებში ამსტერდამში დამზადებულ ქართულ შრიფტთან.

ასე იყო 1980 წლამდე, სანამ ამსტერდამში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას, უნგრელი მეცნიერი რობერტ დანი ამსტერდამის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში არ აღმოაჩენდა 1687 წელს დამზადებულ მიკლოშ კიშის ქართულ შრიფტთა ნამდვილ ანაბეჭდს, რომელმაც მთლიანად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა ამსტერდამული ქართული შრიფტის რაობაზე. მის მიმართებაზე სტოკჰოლმურ (1703 წ.) და მოსკოვურ (1705 წ.) ქართულ შრიფტებთან, და საერთოდ, ქართული სტამბის სათავეების ისტორიაზე.

## თ ა ვ ი V

### მიკლოზ კიშის ქართულ ზრიფხთა ამსტერდამული ანაგეჟდი და მისი მნიშვნელობა ქართული სტამბის ისტორიისათვის

1980 წლის 15 ივნისს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთ „ნეფსაბადშაგში“ გამოქვეყნდა უნგრელი მეცნიერის რობერტ დანის წერილი „მიკლოზ კიში ტოტფალუშის ქართული ასოები“. ამ წერილის დიდი მნიშვნელობის გამო მოგვეყავს მისი ოდნავ შემოკლებული ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია ლაიოშ ტარდის დახმარებით:

„ერთმანეთისაგან დიდად დაშორებული ქვეყნების კულტურათა შორის არის უხილავი ძაფები. პოლანდიაში 1680—1689 წლებში მცხოვრები ცნობილი უნგრელი მესტამბე მიკლოზ კიში ტოტფალუში შვედ შპარვენფელდთან ერთად ქმნიდა ქართულ სასტამბო შრიფტს.

ტრანსილვანიის რეფორმატული ეკლესიის მესვეურებმა 1680 წელს მ. კიში ტოტფალუშის მიანდვეს ამსტერდამში გამგზავრება, რათა იქ ესწავლა სასტამბო საქმის ხელოვნება. უნგრელ თეოლოგებს სურდათ განეხორციელებინათ ბიბლიის ახალი გამოცემა პოლანდიაში, იმ ქვეყანაში, სადაც წიგნის ბეჭდვა მაღალ დონეზე იყო აყვანილი. 1650 წელს დაბადებულმა ახალგაზრდა კაცმა დიდი სიხარულით მიიღო ეს საპატიო დავალება. იგი ბავშვობიდანვე დიდ საქმეებზე ოცნებობდა, ხოლო უნგრული ბიბლიის გამოცემაზე დიდი პატივი მაშინ ძნელად წარმოსადგენი იყო. ამსტერდამში ჩასვლისთანავე მ. კიში არნახული ენერგიით მოეკიდა ბეჭდვის საიდუმლოების შესწავლას. მოკლე დროში მისი გვარი ცნობილ ასოთმქანდაკებელთა და მესტამბეთა შორის მოიხსენიებოდა. იგი იღებდა უამრავ შეკვეთას ევროპის ყველა ქვეყნიდან და სულ ცოტა ხნის შემდეგ დიდად დაშორებულ ძველი კულტურის მქონე ხალხთა წარმომადგენ-

ლებიც მოევლინენ მას. მ. კიშის ხელიდან გამოვიდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლათინური, ბერძნული, ებრაული, სომხური, ქართული შრიფტები, შესანიშნავი თავ და ბოლო სამკაულები თუ წიგნის სხვა მორთულობანი.

მაინც, და შეიძლება ამიტომაც, მ. კიშს ცხოვრებაში ბევრი უნახავს როგორც წარმატება, ისე მარცხი. როგორც თვითონ ჰყვება, არაიშვიათად მისთვის „ურამებიო“ მოჰქონდათ ფული, ოღონდ კი შეეკეთა მიელო. ეს მას აძლევდა საშუალებას საკუთარი სახსრებით განეზოცებინა ბევრი ორიგინალური ჩანაფიქრი. უპირველეს ყოვლისა, გაასწორა უკვე მოძველებული ტექსტი უნგრული ბიბლიისა, ხოლო შემდეგ საკუთარი შრიფტით დაბეჭდა მსხვილტანიანი და ულამაზესი ფოლიანტი, რომელიც „ოქროს ბიბლიის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

მიკლოშ კიში თავის სამშობლოში დაბრუნდა 1689 წელს, როგორც უკვე საყოველთაოდ აღიარებული და მასზე დიდი მოთხოვნის მქონე მესტამბე. მას განზრახული ჰქონდა ტრანსილვანიაში დაეარსებინა ახალი სტამბა და თავისი პროდუქციით გაემდიდრებინა უნგრული კულტურა. მაგრამ ის პირები, რომლებიც ადრე ეხმარებოდნენ, ახლა უკვე ცუდი თვალით უყურებდნენ მას, არ მიიღეს მისი ბიბლია და როგორც შეეძლოთ, ხელს უშლიდნენ მუშაობაში. ეს გამოჩენილი გმირი უნგრული წიგნის ინტორიისა და უნივერსალური სტამბური ხელოვნებისა, ფიზიკურად და მორალურად დაუძლურებული გარდაიცვალა 1702 წელს, ქალაქ კოლოჟევარში.

### ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ი ს შ ე კ ვ ე თ ა

მკვლევართათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ მიკლოშ კიშმა სხვა სამუშაოებთან ერთად, ქართულ ეროვნულ კულტურას დიდი სამსახური გაუწია. იგი თვითონ გვიყვება 1698 წელს გამოქვეყნებულ თავის თხზულებაში („თავის გასამართლებლად“), რომ „მე ვამზადდები ასოებს ქართველებისათვის“, მაგრამ არც ასოები და არც ამ ასოებით შესრულებული ანაბეჭდები აქამდე არ იყო მიგნებული, ოღონდ იყო ცდები იდენტიფიკაციისა. კერძოდ, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ უპსალას [შვეცია] უნივერსიტეტის 1702 წლის, ხოლო სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკის 1705 წლის ქართული სასინჯი ანაბეჭდები დამზადებულია მიკლოშ კიშის ასოე-

ბის მიხედვით. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამი იყო ისიც, რომ უნგრელი ხელოვანის ასოებს საქართველომდე არ მიუღწევია და არაფერი აქვს საერთო რუსთველის [პოემის 1712 წლის] გამოცემის შრიფტთან.

ამ ცოტა ხნის წინ მე სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდი კოლანდიაში და იქ ვიპოვე ძლიერ საჭირო დოკუმენტი.

ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ 1902 წლის შემდეგ შექმნილ ხელნაწერთა კატალოგის გულდასმით გადათვალიერებისას, შევნიშნე, რომ ერთ-ერთი ბარათი ატარებს მიკლოშ კიშის გვარს. მე სასწრაფოდ ამოვწერე და ვითხოვე მისი გასინჯვა. იგი აღმოჩნდა ქართული შრიფტის სამივე სახეობის ანაბეჭდი, დამზადებული 1687 წელს, ქალაქ ამსტერდამში მიკლოშ კიშის მიერ შექმნილი ქართული ასოებით. მასზე არის უცნობი ხელით შესრულებული ლათინური წარწერა: ქართველები ცხოვრობენ კავკასიონის მთების ძირში, კასპიის ზღვის დასავლეთით. „აქამდე მათ ჰქონდათ მხოლოდ ხელნაწერი შრიფტი, მაგრამ მეფე არჩილის შეკვეთით უნგრელმა მიკლოშ კიშმა სპილენძზე ამოჭრა ასოები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სტამბისათვის“. წარწერა მთავრდება საჭირო მითითებით „ამსტერლოდამი“ (ე. ი. ამსტერდამი) და თარიღით: „1687“.

### მ ა ს ე კ უ თ ვ ნ ის მ ხო ლ ო დ ა მ ს ტ ე რ დ ა მ უ ლ ი

31×22 სმ ზომის ფურცლის მდიდრულად ორნამენტირებულ ჩარჩოებს შორის მოთავსებულია სამი სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქართული შრიფტი ორ სვეტად. მარჯვნივ ზევით ტექსტია... მის ქვემოთ ასოები — იმავე ტექსტისა. უფრო ქვევით, მარჯვნივ, ჩანს ის ასოები, როგორსაც დღეს „მხედრულს“ ვუწოდებთ, ხოლო ამ ასოებით დაბეჭდილი ტექსტი, როგორც ჩანს, საეკლესიოა. მარცხნივ, ისევ „ხუტურია“, ოღონდ უფრო შავი, ქვევით კი უფრო ძველი „მრგლოვანი“.

მკვლევარს ყოველთვის ეპკვი აქვს. ფაქტია, რომ მიკლოშ კიში ამზადებდა ქართულ ასოებს და ფაქტია ასევე, რომ ლათინური მინაწერის ტექსტი უეჭველად მას ამ ასოების ავტორად აცხადებს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რას წერდა თვითონ კიში ქართულ ასოებზე. ჩვენ ვიცით ეს მისი ორი ცნობილი წერილიდან. 1686 წლის 12 ნოემბერს

და 1687 წლის 17 იანვარს მიკლოშ კიში წერდა შვედ დიპლომატს იოჰან გაბრიელ შპარვენფელდს ქართული ასოების დამზადების შესახებ. პირველი წერილი გვეუბნება იმას, რომ მან უკვე დაამთავრა რამდენიმე სახეობა, მაგრამ ძლიერ ძნელი საქმეა მისთვის უცნობ შრიფტზე მუშაობა. მიკლოშ კიში, რომელიც მაშინ შემოქმედებით მწვერვალზე იდგა, ამტკიცებს, რომ მის გარდა სხვა ვერაინ შესძლებდა მეტალზე ქართული ასოების ამოჭრას... ეს მოწმობს, რომ მან არ იცოდა 1629 წლის რომის სტამბის ქართული ასოების არსებობის შესახებ.

ახლა ავიღოთ ის ნაბეჭდი ფურცლები, რომლებიც შვეიციაში (უპსალასა და სტოკჰოლმში) არიან დაცული, რომელთა შრიფტის ავტორად მიჩნეული იყო მიკლოშ კიში. აქ არის მხოლოდ ხუცური შრიფტი, მაგრამ მისი ასოები არ ჰგავს ამსტერდამის ხუცურ შრიფტს.

მეორე წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ კიში ამზადებდა ორნაირ ასოებს. ისინი არ არის სხვადასხვა ტიპისა, მაგრამ ერთი უფრო მსხვილია მეორეზე. ეს ჩანს ამსტერდამის სახეობაზე. აქ კიში უჩივის, რომ მან ვერ შესძლო ერთი ასოს მოხრა და ამ წერილში იგი ხატავს კიდევ იმ ასოს, რომელზედაც ლაპარაკია, კერძოდ, სამჯერ ერთმანეთის გვერდით! ასეთი სურათი არ გვხვდება არც ერთ შვედურ ანაბეჭდში, ამსტერდამულში კი არის მხოლოდ! აქ სამჯერ არის ის ასოები, რაზედაც წერდა კიში შპარვენფელდს.

უშუალოდ, რომ უპსალას საუნივერსიტეტო და სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკებში დაცული 1702 და 1705 წლების ქართული სასინჯი ანაბეჭდები არ არის მიკლოშ კიშის ასოების მიხედვით დამზადებული. ამსტერდამში აღმოჩენილი ანაბეჭდი კი მისი ნახელავი არის. ამ უკანასკნელის შესახებ ლათინი ინფორმატორი იქცევს ჩვენს ყურადღებას. აქედან ჩანს, რომ მიკლოშ კიშს არჩილ მეფემ შეუტევთა ქართული ასოები. შპარვენფელდისადმი გაგზავნილი წერილის ერთ ფრაზაში მიკლოშ კიში ეყრდნობა იმას, რომ შეტევთა უფრო გონივრული იქნებოდა, თუ ისინი პირადად შეხვდებოდნენ ამსტერდამში.

## შ ე მ დ გ ო მ ი კ ი თ ხ ვ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი

ასოების ჩამოსხმის ბედი ჩვენთვის უცნობია. მკვლევარები დღემდე თვლიდნენ, რომ კიშის ქართულმა ასოებმა მხოლოდ შვეიციაში დაიბეჭდა. მაგრამ თვითონ კიში დარწმუნებული იყო იმაში, რომ

ჰისმა ნამუშევარმა საქართველომდე მიაღწია... შემდგომმა კვლევა-ძიებამ უნდა გადაწყვიტოს, კიშის თუ სხვისი ნამუშევრის საფუძველზე გაფორმდა ქართული სასტამბო შრიფტი... სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ მიკლოშ კიშისაგან დამოუკიდებლად [თბილისის პირველი ქართული სტამბის შრიფტი] — ეს არის რუმინელი მიხაი შტეფანოვიჩის ნახელავი. შტეფანოვიჩმა მართლაც ითამაშა როლი ქართული სტამბის ორგანიზაციაში. იგი ჩავიდა საქართველოში 1709 წელს და ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პირველ ქართულ სტამბას. [რაც შეეხება მიკლოშ კიშს], სპეციალისტები მაინც იმ პოზიციას ადგანან, რომ კიშის ასოები დარჩნენ მხოლოდ შვეციის ანაბეჭდებში. ასე რომ, მას ეკუთვნის მხოლოდ პირველი ქართული სასტამბო ასოების შექმნის დამსახურება, ხოლო ეს ბანაკი შტეფანოვიჩის თვლის იმ ქართული სასტამბო შრიფტის შემქმნელად, რომელმაც შესაძლებელი გახადა ქართული კულტურის განვითარება.

ამსტერდამში აღმოჩენილი კიშის ასოები დამზადებული იყო შტეფანოვიჩის შრიფტზე 20 წლით ადრე და წარმოადგენს გასაოცარი სილამაზის ასოებს. დღემდე თვლიდნენ, რომ შვეციაში მოხვდა მხოლოდ სასინჯი ანაბეჭდები. ჩვენ ვთვლით, რომ მაინც შესაძლებელია მიკლოშ კიშის ჩამოსხმულმა ასოებმა მიაღწიეს საქართველომდე და შტეფანოვიჩმა არა საკუთარი ასოებით, არამედ მიკლოშ კიში ტოტვალუშისეული ქართული ასოებით დაბეჭდა ქართული წიგნები“<sup>1</sup>.

რ. დანის ამ წერილის გამოქვეყნებიდან სულ რამდენიმე დღე იყო გასული, რომ ლაიოშ ტარდის მიწვევით ბუდაპეშტში ჩავედი. აქ გავიცანი პირველად პროფ. რ. დანი და მისი საგაზეთო წერილიც; 1980 წლის 8 ივლისს მას შევხვდი პროფ. ლ. ტარდის ოჯახში და ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი შეხედულებანი ქართული სტამბის ისტორიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტზე. სხვათა შორის, რ. დანმა გვიჩვენა ამსტერდამში აღმოჩენილი ქართული სასინჯი ანაბეჭდის სრული ფოტოკოპირი (გაზეთ „ნეფსაბადშაგში“ მას მხოლოდ ორი ფრაგმენტიღა ჰქონდა გამოქვეყნებული) და მაშინ ბოლომდე ჯერ ამოკითხული არ ჰქონია ანაბეჭდის ლათინური მინაწერი (ეს ჩანს თუნდაც მისი საგაზეთო პუბლიკაციიდანაც), რომელიც შესრუ-

<sup>1</sup> Dán Róbert, Tótfalusi Kis Miklós gruz betűi, „Népszabadság“, 15. VI. 1980, ავ. 15.



ლებულია ძნელად გასარჩევი გაკრული ხელით. პროფ. ლაიოშ ტარდიმ, რომელიც უზადოდ ფლობს ლათინურ ენასა და პალეოგრაფიას, მაშინვე მთლიანად ამოუკითხა ახალგაზრდა უნგრელ კოლეგას ეს მეტად მნიშვნელოვანი ლათინური წარწერა და გამოთქვა ძლიერ საყურადღებო მოსაზრება ამ მინაწერის მიკლოშ კიშისთვის მიკუთვნების შესაძლებლობაზე (ხელის მიხედვით). როგორც რ. დანმა გვითხრა, იგი არ კმაყოფილდება მარტო საგაზეთო წერილით და დამატებით განზრახული აქვს აკადემიურ ორგანოში ცალკე მეცნიერული ნარკვევის გამოქვეყნება. ლ. ტარდისთან ერთად კი გადაწყვეტით ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა რამდენიმე წინასწარი დაკვირვება და შთაბეჭდილება ქართული კულტურისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის თაობაზე, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1980 წლის 7 სექტემბერს<sup>2</sup>.

აღნიშნულ წერილში, სხვათა შორის, ბეკდური სახით, პირველად გვქონდა გამოთქმული მოსაზრება, რომ ამსტერდამული ანაბეჭდის ზედა ამოიან რ. დანის სიტყვებით „უცნობი ხელით შესრულებული“ ლათინური მინაწერი „შეიძლება მიკლოშ კიშის ეკუთვნოდეს“, რის საბუთად ასეთი ფაქტი მოგვყავდა: „ეს დიდად საყურადღებო ლათინური მინაწერი შინაარსობრივად და ფრაზეოლოგიურად ძალიან ჰგავს მიკლოშ კიშის გვიანდელ — 1698 წელს დაწერილი ერთი თხზულების („თავის გასამართლებლად“) ადგილს“. შესადარებლად აქვე დავბეჭდეთ როგორც ამ ლათინური მინაწერის, ისე კიშის თხზულების შესაბამისი ადგილის ქართული თარგმანები, რომლებიც ნათელს ხდიდა ჩვენს შეხედულებას.

მანამდე ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი საკითხის ისტორიის გადმოცემისა და რ. დანის აღმოჩენის შეფასების საფუძველზე ვწერდით: „მაშასადამე, ახლა უკვე სრული უეჭველობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამსტერდამის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი სასინჯი ანაბეჭდი წარმოადგენს სწორედ მიკლოშ კიშისეულ ქართულ სასტამბო შრიფტს, დამზადებულს 1687 წელს არჩილ მეფის შეკვეთით. 1703 წელს სტოკჰოლმის ჰაინრიხ III კაიზერის სტამბაში დაბეჭდილი ქართული ლოცვების ტექს-

<sup>2</sup> ლ. ტარდი, გ. შარაძე, ქართული სტამბის სათავეებთან, „კომუნისტში“, 7. IX. 1980, გვ. 3.

ტები (მათ შორის, ჯ. ვათეიშვილის მიერ 1977 წელს გამოკვლენილი მესამე ტექსტიც) კი აწყობილია შვეციაში ტყვედ მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით, ხოლო 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნის“ შრიფტი კი კვლავ არჩილ მეფის დავალებით მ. ეფრემოვს დაუმზადებია მოსკოვის სახაზინო სტამბაში (მანამდე, ო. გვინჩიძე ვარაუდობდა, იქნებ „დავითნის“ გამოსაცემად მოსკოვში არჩილს ანთიმოზ ივერიელის მიერ სნაგოვოს მონასტერში დამზადებული ქართული შრიფტი ჰქონდა გამოყენებულიო, დასახ. ნაშრ. თბ., 1973, გვ. 89).

შპარვენფელდისადმი გაგზავნილ წერილებში კიში რომ სამი სახის ქართული ანბანისა და შრიფტის დამზადების შესახებ ლაპარაკობდა, ეს ცნობა სპეციალისტების მიერ აქამდე არასწორად იყო გაგებულ ი, როგორც სამი სახის ასომთავრული და ნუსხური შრიფტი, თუმცა, სინამდვილეში აქ კიშის მიერ დამზადებული სამი სახის ქართული შრიფტი — ასომთავრული, ნუსხური და მხედრული იგულისხმებოდა. მკვლევარებს ამაში ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მათ განკარგულებაში აქამდე არ ყოფილა კიშის ნამდვილი ამსტერდამული ქართული შრიფტების სამივე სახეობის ანბეჭდები.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: მაშ, სად გამოიყენეს მიკლოშ კიშის მიერ დამზადებული ქართული შრიფტი, ან იქნებ სულაც არ გამოყენებიათ? რ. დანი, საბოლოოდ გამორიცხავს შვეციაში არსებული ქართული ტექსტების დასაბეჭდად 1703 წელს მ. კიშის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობას და იმ აზრს ავითარებს, რომ კიშის შრიფტს შეეძლო მოეღწია საქართველომდე და იგი ვახტანგ VI-ის მიერ 1709 წელს თბილისში დაარსებულ პირველ ქართულ ეროვნულ სტამბაში გამოყენებინა მეორე უნგრელ ოსტატს — მიხაი იშტვანოვიჩსო.

ჩვენ არ დავეთანხმეთ რ. დანის ამ დასკვნას და აქვე ვწერდით, რომ „რობერტ დანის ეს შეხედულება „არ ახალია, ძველია“! სხვებს რომ თავი დავანებოთ, კერძოდ, რუმინელი მკვლევარი ვირჯილ მოლინი ჯერ კიდევ 1961 წელს გამოქვეყნებულ შრომაში (1965 წელს გამოქვეყნდა მისი ქართული თარგმანიც) იმ შეხედულებას ავითარებდა, რომ ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში 1709 წელს გამართული სტამბა ფაქტიურად არჩილ მეფის მიერ ჰოლანდიიდან ჩამოტანილი





ამსტერდამის ქუჩის დონი (XVII ს. ნ. ბოლო წლები)




რ. ბლაუი ამსტერდამში  
ლი მეხტამბე, მ. კიშის  
მასწავლებელი



საგანთაჲსი ღმრთისი  
საგანთაჲსი ღმრთისი  
საგანთაჲსი ღმრთისი



MENTSÉGE  
MENTSÉGE  
MENTSÉGE



საგანთაჲსი ღმრთისი  
საგანთაჲსი ღმრთისი  
საგანთაჲსი ღმრთისი



საგანთაჲსი ღმრთისი  
საგანთაჲსი ღმრთისი  
საგანთაჲსი ღმრთისი



Magyar nyelvű sírkövénél

Magyar nyelvű sírkövénél

Magyar nyelvű sírkövénél

Magyar nyelvű sírkövénél



Magyar nyelvű sírkövénél



Magyar nyelvű sírkövénél

Magyar nyelvű sírkövénél









# ՆՐԱԿԱՆ ԾՈՂԱԸ ՆՐԱԿԱՆ Ծ.Ժ.ԿՐԿ ԸՅՂՎԻՆԸՆԸ:

ԿՐԿԱՆ ԿԻՆ ԿՆԿ. ՄԱ ՎԵՐՄԱՆ  
ԿՐ ՁՄՈՒՎՅՈՒ. ԿՐԿԱՆ ԿՐ ՁՄՈՒ  
ԿՐԿ. ՁՄ ԿՐԿԱՆ ԿՐ ՁՄԿ:  
ՆՐԱԿԱՆ ԿՐԿ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ.  
ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ.  
ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ.  
ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ.  
ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ. ԿՐԿԱՆ.

Ստեփան Եղևնի Պատմաբան (1703-1770)

Ստեփան Եղևնի Պատմաբան (1703-1770)

Ստեփան Եղևնի Պատմաբան (1703-1770)

ՆՐԱԿԱՆ ԾՈՂԱԸ  
ՆՐԱԿԱՆ Ծ.Ժ.ԿՐԿ  
ԸՅՂՎԻՆԸՆԸ:

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ՆՐԱԿԱՆ ԾՈՂԱԸ  
ՆՐԱԿԱՆ Ծ.Ժ.ԿՐԿ  
ԸՅՂՎԻՆԸՆԸ:

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ՆՐԱԿԱՆ ԾՈՂԱԸ  
ՆՐԱԿԱՆ Ծ.Ժ.ԿՐԿ  
ԸՅՂՎԻՆԸՆԸ:

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ

ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ  
ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ ԿՐԿԱՆ



სტამბააო და ამის საფუძველზე, თბილისის პირველი ქართული სტამბის დამაარსებელიც არჩილ მეფეაო. ვ. მოლინის ეს მოსაზრება უკვე გაკრიტიკებულია ქართველ მკვლევართა (ალ. ბარამიძე, დ. გვრიტიშვილი, თ. გვინჩიძე, თ. კასრაძე...) მიერ, ოლონდ, ჩვენი მხრივ, დაუშვებლად შემდეგს:

თუკი რ. დანისთვის ერთ შემთხვევაში შედარებამ თვალნათლივი გახადა, რომ კიშის შრიფტი არ ჰგავს შვეციის სასინჯ ქართულ ანაბეჭდთა შრიფტს და ამის საფუძველზე სრულიად სამართლიანად გამოიციხა კიშისეული შრიფტის შვეციაში ჩატანა, მეორე შემთხვევაში, რატომ შეიძლება ვიფიქროთ მაინცდამაინც თბილისის ქართული სტამბის შრიფტის კიშის შრიფტზე დასესხება, ამათი შედარებითაც ხომ ის ირკვევა, რომ მ. კიშის შრიფტი, კერძოდ, ასომთავრული და ნუსხური, არ ჰგავს მ. იშტვანოვიჩის, და ამდენად, ვახტანგ VI-ის სტამბის ასომთავრულსა და ნუსხურ შრიფტს! რაც შეეხება მ. კიშის მხედრულ შრიფტს, იგი ხომ თვითონვე გვაუწყებს, რომ თავისი შრიფტისთვის მან გამოიყენა არჩილ მეფის საკუთარი ხელით დაწერილი ქართული ანბანი და ტექსტი, ხოლო ვახტანგისეული თბილისის ქართული სტამბის მხედრული შრიფტის პროტოტიპს კი, როგორც ეს გამორკვეულია ქრ. შარაშიძის მიერ, წარმოადგენს ქართველი კალიგრაფის სოლომონ მაღალაძის ნაწერი (პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 109—144).

მიუხედავად ამისა (და ჩვენ ვფიქრობთ მას საგანგებო გამოკვლევამ ივეუძღვენათ რ. დანის პუბლიკაციის შემდეგ). ამსტერდამში აღმოჩენილ მიკლოშ კიშის ქართული შრიფტის ანაბეჭდებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის, კერძოდ, ეროვნული სტამბის ისტორიისათვის: ჯერ ერთი, აქამდე ქართული სტამბის ისტორიკოსებს, თურმე, ხელთ არ ჰქონიათ მიკლოშ კიშის მიერ 1687 წელს დამზადებული ნამდვილი ამსტერდამული ასომთავრული და ნუსხური შრიფტი; ასეთად რასაც მიიჩნევდნენ, იგი სინამდვილეში ყოფილა ალექსანდრე არჩილის ძე ბატონიშვილის თაოსნობით 1703 წელს შვეციაში დამზადებული ასომთავრული და ნუსხური შრიფტი. ამას გარდა, რაც ყველაზე მთავარია, აქამდე სრულიად უცნობი იყო მიკლოშ კიშის მიერ ქართული მხედრული შრიფტის დამზადების ფაქტი. იტალიაში, მე-17 ს. 30-იან

წლებში დამზადებული ქართული მხედრული შრიფტის მომდევნო საფეხურად აქამდე ითვლებოდა 1710-იანი წლების ვახტანგ VI-ის თბილისური სტამბის მხედრული შრიფტი. დღეიდან კი, ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს არჩილ მეფის შეკვეთით 1687 წელს, ამსტერდამში, სახელგანთქმული უნგრელი ასოთმქანდაკებლის მიკლოშ ტოტფალუში კიშის მიერ დამზადებული ქართული მხედრული შრიფტი. თუ მოვიგონებთ ქრ. შარაშიძის სიტყვებს, რომ 1688 წელს „სტამბის მოწყობის აზრი არჩილს საქართველოდანვე გაჰყოლია“ და „ამ დროს არჩილი სასტამბო მოწყობილობას საქართველოში ჩამოსატანად ამზადებდა... საქართველოში მოღვაწეობისათვის“, შეიძლება გვევარაუდო, რომ არჩილს აღნიშნული მხედრული შრიფტის დამზადება უწინარესად შოთა რუსთველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დასაბეჭდად ჰქონდა გამიზნული. თუ ასეა, მაშინ ამ შესანიშნავმა წამოწყებამ საქართველოს ისტორიული ბედ-უკუღმართობისა და პოლიტიკური ვითარების გამო თითქმის სამი ათეული წლით დაიგვიანა და მისი პირველი განხორციელება 1712 წელს, თბილისში, ვახტანგ VI-ს ხედა წილად“<sup>3</sup>.

ამასობაში უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ყურნალ „უნგრული წიგნის მიმოხილვაში“ (1980, № 4) გამოქვეყნდა რ. დანის მეცნიერული ნარკვევი „მიკლოშ კიში ტოტფალუშის ქართული ასოები“<sup>4</sup>. მკვლევრის ადრინდელ საგაზეთო წერილთან შესადარებლად აქვე გთავაზობთ მის ქართულ თარგმანს შესრულებულს მარგიტ ბიროს დახმარებით:

„ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში Ms. Cq. 102-ნომრით დაცულია მიკლოშ კიში ტოტფალუშის ქართული სასტამბო შრიფტით აწყობილი სასინჯი ანაბეჭდი, შესრულებული 1687 წელს. 31×22 სმ ზომის ფურცლის ჩარჩოებით შემოააზღვრულ 25×19 სმ ზომის სასინჯ ანაბეჭდზე მოთავსებულია ქართული შრიფტის სამი სახეობის 4 ბეჭდური ვარიანტი. მასალა განლაგებულია ორ სვეტად. მარჯვენა მხარეს წარმოდგენილი მასალა იწყება ხ უ ც უ რ ი შრიფტით. რელიგიური ხასიათის ტექსტის ფრაგმენტის ქვეშ ქართული ანბანის რიგით აწყობი-

<sup>3</sup> „კომუნისტი“, 7. IX. 1980.

<sup>4</sup> Dán Róbert, Tótfalusi Kis Miklós gruz betűi, „Magyar Könyvzemle“, Budapest, 1980, № 4, გვ. 396—398. აქვეა დაბეჭდილი ამსტერდამული დოკუმენტის მთლიანი ფოტოკოპირი ნატურალური ზომით.

ლია სამი და ოთხი ერთი და იგივე ასო; აგრეთვე შემოკლების აღმნიშვნელი დაქარაგმებანი. მარჯვენა სვეტი მთავრდება ტექსტით, რომელიც აწყობილია ქართული მხედრული შრიფტით, დღესაც რომ იხმარება ქართულ ბეჭდვაში. მარცხენა მხარეს წარმოდგენილი ხუცური უფრო მსხვილი შავი შრიფტია. დაბოლოს, ამ მარცხენა სვეტის ქვედა ნაწილში ვხედავთ ქართული შრიფტის უძველეს სახეობას — ე. წ. მ რ გ ლ ო ვ ა ნ ს ანბანითა და სანიმუშო ტექსტის ნაწყვეტებით (!).

ამსტერდამული ქართული სააინჯი ანაბეჭდის ჩარჩოს ზემოთ მოთავსებულია მიკლოშ კიშის ავტოგრაფული წარწერა:

„*Literae Georganicae, seu Grasinicae (!) vel Mingrelianae, Christianorum Graece (!) religionis, habitantium ad radices Caucasi, inter mare Caspium et Pontum Euxinum de antehac manuscriptis solum usurpatae, nunc vero demum figuris et proportionibus secundum artis praecepta in ordinem redactis, in chalybe et cupro efformatae, de laboribus Typographicis optata; ex commissione Regis (ejusdem nationis) Arschili, per Nicol. Kis Hung. Amstelodami Anno 1687*“.

რამდენიმე წლის შემდეგ მიკლოშ კიში თავის თხზულებაში „თავის გასამართლებლად“ მსგავს აზრს გამოთქვამს: „სად არის საქართველო, ქვეყანა კავკასიონის მთების ძირში? მათ აღრე არ გააჩნდათ ბეჭდვა, არამედ ისევე როგორც თურქებს, მხოლოდ ხელნაწერები ჰქონდათ. მაგრამ იმათი მეფე მოეკიდა ამ საქმეს და საკუთარი ხელით დამიწერა იმათი ანბანი და ტექსტი და გამომიგზავნა ამსტერდამში. მე კი არ მომეწონა მათი ფორმა და შევთავაზე უფრო ლამაზი ასოები, რითაც მათ ძლიერ გაიხარეს“ (?).

ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილ სასაინჯო ანაბეჭდის წინაისტორიისათვის შემდგომ ინფორმაციას გვაწვდის ზედა კუთხეში გაკეთებული წარწერა: „*In Bibl. Oct. No. 5. Bibl. Amst*“. ჩვენ ვიცით, რომ მიკლოშ კიშმა ბიბლიოთეკას აჩუქა მის მიერ 1685 წელს ამსტერდამში დაბეჭდილი უნგრული ბიბლიის ერ-

(!) ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების კატალოგში, რომლის შედგენა 1902 წლიდან დაუწყიათ, „მიკლოშ კიშის სახელის გასწვრივ აღნიშნულია არასწორი თარიღი „1657“. ქართული ანბანის ტიპების განსაზღვრაში მუხმარებოდნენ მ ა რ გ ი ტ ბ ი რ ო და მ ა რ ტ ო ნ ი შ ტ ვ ა ნ ო ვ ი ჩ ი, რის გამოც მათ მადლობას ვუცხადებ.

(?) Erdélyi foniks. Misztótfalusi Kis Miklós öröksége. Rev. és jegyzet. Jakó Zsigmond, Bukarest, 1974, 238 — 239.

თი ეგზემპლარი. *Catalogus Bibliothecae Rublicae Amstelaedamensis* 1796, p. 167“-ის მიხედვით „*Libri in Octavo et minori forma: No. 5. Biblia Hungarica. Amstel. 1685*“<sup>(3)</sup>).

ამ მონაცემებით გამოდის, რომ მიკლოშ კიშის ნაჩუქარ ბიბლიაში იდო თავიდან ეს ქართული სასინჯი ანაბექდი, რომელიც შემდეგ გადაუტანიათ ხელნაწერებში. იოჰან გაბრიელ შპარვენფელდისადმი 1686 წლის 12 ნოემბერსა და 1687 წლის 17 იანვარს გაგზავნილ წერილებში კიში ტოტფალუში უჩიოდა ქართული ასოების დამზადების სიძნელეებსა და სხვა პირობებზე<sup>(4)</sup>. ამ წერილებში კიში გვიამბობს, რომ მან დაამზადა სამნაირი ანბანის ასოები და გაუგზავნა სასინჯი ანაბექდები შპარვენფელდს შვეიციაში. ჯერ კარლ ბიორკბომმა და შემდეგ ლასლო ორსაგმა აღმოაჩინეს უქსალას ჯაუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში 1702 წლის, ხოლო სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში 1705 წლის ქართული სასინჯი ანაბექდები. ყოველგვარი პირდაპირი ჩვენების გარეშე დამარწმუნებელი ჩანდა მათი მოსაზრება, რომ ეს ანაბექდები დამზადებული იყო კიშის ქართული ასოებით<sup>(5)</sup>. ახლა, ვიცნობთ რა მიკლოშ კიშის ქართული ასოების ამსტერდამულ ანაბექდს, შვედური ანაბექდების უნგრელი ოსტატის შრიფტისაგან წარმომავლობა გამორიცხულია. ბიორკბომისა და ორსაგის აღმოჩენილ ანაბექდებზე ქართული შრიფტის უძველესი სახეობა მრგლოვანი, აგრეთვე, ხუცური წარმოდგენილია ორი ბექდური ზომით. ხუცურის ზოგიერთ ასოს ქარაგმის ნიშანიც აქვს. ამავე დროს ამ ასოთა მოხაზულობა და ფორმები მნიშვნელოვნად განსხვავდება სტილისტური ნიშნებით ამსტერდამული ანაბექდის მრგლოვანისა და ხუცურისაგან. ეს უკანასკნელი მოკლებულია ყოველგვარ ზედმეტ სამკაულებს,

(3) ცნობების მოწოდებისათვის მადლობას უძღვნი W. K. Gnirrep-ს. ობ. შისი 1980 წლის 28 ივლისს ამსტერდამიდან გამოგზავნილი წერილი.

(4) Björkbohm C.: Henryk III. Keysers Georgiska stilprov in: „Nordisk Tidskrift för Bok-och Biblioteksväsen“. 1935, 90 — 102 pp. — *Jakó*, 325—333. შემდეგი ლიტერატურა იქვე.

(5) Országh László: *Misztótfalusi Kis és az első magyar könyv Amerikáról*, MKsz., 1957, 22—41. — *Jakó* i. m. 29. — *Haiman György*: *Tótfalusi Kis Miklós. A betűművész és a tipográfus*, Budapest, 1972, 72 — 73.

როგორც მიკლოშ კიშის ჩვენთვის ცნობილი სხვა ასოები. ყოველივე ამის თქმა შეედღურ ნიმუშებზე არ შეიძლება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი რთული სამუშაო მიკლოშ კიშს ორჯერ გაეკეთებინა. და თუ მაინც გააკეთა, მაშინ რატომ არ არის ეს ასოები ამსტერდამულ ნიმუშზე? მეორე მხრივ, შეედღურ ნიმუშებზე წარმოდგენილია მხოლოდ ორი სახეობის ქართული შრიფტი. მ. კიში თავის წერილებში, რომლებიც შპარვენფელდისადმი გაგზავნილი, ლაპარაკობს სამი სახეობის ქართულ შრიფტზე. 1686 წლის 12 ნოემბრის წერილში იგი მოიხსენიებს ქარაგმის ნიშნებს მხოლოდ მრგლოვანის შრიფტთან დაკავშირებით. იგი თვლის, რომ ეს შრიფტი ერთობ დიდია გაბმული ანაწყობისთვის; და თუ ამ დიდი ზომის ასოებს კიდევ ზემოდან დავამატებდით სხვადასხვა ნიშნებს, მაშინ საერთოდ შეუძლებელი გახდებოდა ბეჭდვაო; თავის შუამავალს იგი წინადადებას აძლევს, რომ მას შეუკვეთოს ამ სახეობის უფრო წვრილი ზომის შრიფტი, რომლის საშუალებით ბეჭდვა მნიშვნელოვნად გაიოლდებოდა. აქვე აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში შეუდგება ორი დანარჩენი ანბანის დამზადებას.

შევიდ დიპლომატის პასუხი ჩვენთვის უცნობია. მაგრამ თუ ამსტერდამული ნიმუშის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ის დაეთანხმა უნგრელ ოსტატს, ოლონდ სთხოვა, მეორე სახეობის შრიფტი კიშს ამოეჭრა უკვე ქარაგმის ნიშნებთან ერთად. ეს „მეორე“ შრიფტი არის ხუცური. კიშის მეორე წერილი [შპარვენფელდისადმი] არის ამის უტყუარი დადასტურება. აქ იგი თავს იმართლებს, რომ ამ შრიფტის ზოგიერთი ასო მან ისე ლამაზად ვერ გააფორმა, როგორც ეს მას სურდა. საილუსტრაციოდ მან მოგვცა ნიმუშიც: დახატა ხუცურის სამი ასო თავისი გაფორმებით. ეს ფორმები კი არ არის წარმოდგენილი არც ერთ შეედღურ ანაბეჭდზე, მაშინ როდესაც დასტურდება ამსტერდამული ნიმუშის ხუცურის ორივე ვარიანტზე. ამ წერილში საუბარია აგრეთვე „მესამე“ ანბანის ასოებზედაც. ამასთან დაკავშირებით კიშს ბევრი დაბრკოლება შეხვედრია, რადგანაც ეს წვრილი, დახვეწილი ფორმები უფრო ძნელი იყო ჩამოსახსმელად. ამასთანავე სხვადასხვა ელემენტის განტოტებული ხაზები აძნელებდა მათ ერთ რიგში მოქცევას. ასეთი დახასიათება კი შეიძლება მივცეთ მხოლოდ ამსტერდამულ ანაბეჭდზე წარმოდგენილ მხედრულის ნატივ, დახვეწილ ფიგურებს.

კიშის წერილები შპარვენფელდისადმი მეტად მნიშვნელოვანია.

იგი სიამაყით ახსენებს მის მიერ ამოკრილ სხვადასხვა ეგზოტიკური სახეობის ასოებს. მისი აზრით, ალბათ ვერ მოიძებნებოდა მის გარდა კიდევ სხვა ოსტატი, რომელიც შეიძლება ქართული ბეჭდური ასოების ამოკრას, ასე ძლიერ რომ განსხვავდება ევროპულისაგან. ე. ნიშნავს, რომ მან არაფერი იცოდა რომში 1629 და 1670 წლებში დაბეჭდილი ქართული წიგნების შესახებ. პირველი, „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ შეიცავს ლამაზად გაფორმებულ მხედრულს, ხოლო მეორეში — [მაჯოს] „ქართული ენის გრამატიკაში“ მხედრულის გვერდით წარმოდგენილია ხუცურიც<sup>(6)</sup>.

რომის ქართული წიგნების შემდეგდროინდელი ისტორიის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით. მსგავსი გაურკვეველობა ახასიათებს მიკლოშ კიშის ქართული ასოების ბედსაც. ზოგიერთი საზღვარგარეთელი მკვლევარის აზრით, უნგრელი ოსტატის ასოებმა მიაღწია მხოლოდ შვეიციაში, სადაც მე-18 ს -ის დასაწყისში ისინი შეიძლება დაკარგულიყო კიდევ. მეორენი კი თვლიდნენ, რომ ბეჭდური ხუცურისა და ქართულ ბეჭდვაში დღესაც ხმარებული მხედრულის უშუალო წინამორბედი, კიშისაგან სრულიად დამოუკიდებლად, რუმინელი ოსტატის მიხაილ შტეფანოვიჩის ნახელავია. შტეფანოვიჩი ჩამოვიდა თბილისში 1709 წელს (!) და პირველ ქართულ სტამბას 1711 წლამდე ხელმძღვანელობდა. მან გამოსცა 10 წიგნი, მათ შორის, საერო ხასიათისაც, რომლებშიც გამოყენებულია ხუცური და მხედრული შრიფტი. ბიორკბომისა და ორსაგის მიერ აღმოჩენილ და კიშისათვის მიკუთვნებულ შვედურ ანაბეჭდებზე მხედრული არაა წარმოდგენილი. ამგვარად, თითქოს ნათელია დავუშვათ, რომ თბილისური ხუცური, მაგრამ პირველ რიგში მხედრული, შტეფანოვიჩის მიერაა დამზადებული<sup>(7)</sup>.

შესაძლოა, რომ ამსტერდამულმა ქართულმა ანაბეჭდმა გაგვეცნა ამაზე პასუხი. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ მიკლოშ კიშმა შტე-

(6) ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, იმერეთის სტამბების ისტორიისათვის, კ. მარკსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. III, თბილისი, 1937, გვ. 19—50; ქართული წიგნი, ტ. I, თბილისი, 1941. ორივე წყარო მიმითითა შ ა რ ტ ო ნ ი შ ტ ვ ა ნ ო ვ ი ჩ შ ა .

(7) Legaturile tarilor romane cu Georgia, in: Studii IV, 1951, 132—141; Dimitrescu D.: Activitatea tipografica a lui Mihail Stefan in Gruzia, in: Studii XI, 1958, 135—138. Idézi Jakó i. m. 7.



ფანოვიჩზე 20 წლით ადრე დაამზადა ხუცური და მხედრული შრიფტი. შპარკენფელდისადმი გაგზავნილი კიშის წერილების საფუძველზე რეალურ ფაქტად გვეჩვენება, რომ თავის რწმუნებულს მან გაუგზავნა მხოლოდ სასინჯი ანაბექედები, ხოლო მატრიცების გაგზავნაზე მათ შორის საუბარი არც ყოფილა.

ამგვარად, შესაძლებელია, მიკლოშ კიშის ნამუშევარმა მიაღწია საქართველომდე. 1709 წელს (!) თბილისში ჩამოსულ შტეფანოვიჩს შეეძლო ენახა მანამდე გამოუყენებელი მატრიცები და მათი საშუალებით დაეწყო ქართული წიგნის ბეჭდვა. დასაშვებია, რომ მან გაასწორა ძველი მასალის დაზიანებანი, ხოლო ზოგიერთი ასო მას შეეძლო გამოეცვალა კიდევ, სხვები კი გადაესხვაფერებინა. თუ ეს ასეა, მაშინ მომავალი კვლევა-ძიებისათვის იშლება შესაძლებლობანი ახალი ურთიერთკავშირების გამოსავლინებლად, ხოლო მიკლოშ კიშს შეუძლია დაიკაოს თავისი შრომით მოპოვებული ადგილი რუსთაველის ერის კულტურის გამავრცელებელთა შორის.

ჩვენ არ ძალგვიძს ამსტერდამული ანაბექედის ასოები შევეუპირისპიროთ ადრინდელი თბილისური სტამბის წიგნთა ასოებს. ეს რჩება ქართული სტამბის ისტორიკოსთა საინტერესო პრობლემად“.

რ. დანის ამ ნარკვევში მის წინა საგაზეთო წერილთან შედარებით რამდენიმე სიახლე იქცევა ჩვენს ყურადღებას: გაზ. „კომუნისტში“ ლ. ტარდისთან ერთად გამოთქმული მოსაზრება ანაბექედის ზედა აშიაზე მოთავსებული ლათინური მინაწერის მიკლოშ კიშისთვის მიკუთვნების შესახებ და ჩვენივე არგუმენტზე დაყრდნობით (კიშის თხზულების „თავის გასამართლებლად“ და ლათინური მინაწერის შინაარსობრივ-ფრაზეოლოგიურ დამთხვევაზე მინიშნებით), ლათინურ მინაწერს, რომელსაც ადრე რ. დანი „უცნობი ხელით შესრულებულს“ უწოდებდა, ახლა უყოყმანოდ „მიკლოშ კიშის ავტოგრაფულ წარწერად“ მიიჩნევს.

განსაკუთრებით ფასეულია რ. დანის ახალ ნარკვევში ვ. კ. გნირების მიერ 1980 წლის 28 ივლისს ამსტერდამიდან გამოგზავნილი ცნობა, რომლის მიხედვით გაიკვია, რომ მიკლოშ კიშისეული ქართული ანაბექედი თავიდან ჩადებული ყოფილა მიკლოშ კიშის მიერ ამსტერდამის საჯარო ბიბლიოთეკისთვის ნაჩუქარ უნგრულ ბიბლიაში, რომელიც მან 1685 წელს გამოსცა ამსტერდამში. ამით ამსტერ-

დამულ ქართულ სასინჯ ანაბეკდს ავტორისეული ცალის მნიშვნელობა მიენიჭა.

ამას გარდა, რ. დანი დამატებითი საბუთებისა და სტოკჰოლმურ-ამსტერდამულ ქართულ სასტამბო ანაბეკდთა ასოების შეპირისპირებითი ანალიზით კვლავ გამოკრიცხავს შვედური ანაბეკდების უნგრელი ოსტატის შრიფტისაგან წარმომავლობას. საყურადღებოდ გვეჩვენება აგრეთვე შპარვენფელდისადმი მიწერილი კიშის წერილების ანალიზის საფუძველზე რ. დანის მიერ გამოტანილი დასკვნა, რომ კიშმა შპარვენფელდს „გაუგზავნა მხოლოდ სასინჯი ანაბეკდები, ხოლო მატრიცების გაგზავნაზე მათ შორის საუბარი არც ყოფილა“.

რაც შეეხება მიკლოშ კიშისეული ქართული შრიფტის საქართველოში ჩამოღწევისა და ვახტანგ VI-ის სტამბაში მისი გამოყენების ფაქტს, რ. დანი ამ შემთხვევაში, მართალია, უფრო ფრთხილად, მაგრამ მაინც იმეორებს თავის ადრინდელ შეხედულებას. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ „მეორე უნგრელ ოსტატად“ აღიარებულ მიხაი იშტვანოვიჩს რ. დანი ადრე „რუმინელ ოსტატს მიხეილ შტეფანოვიჩს“ უწოდებდა. ეტყობა, მას გაუთვალისწინებია ჩვენი კრიტიკული შენიშვნა მ. კიშისა და მ. იშტვანოვიჩის, ე. ი. ვახტანგ VI-ის სტამბის შრიფტთა არამსგავსების შესახებ და ცდილობს ეს ახსნას იმით, რომ „1709 წელს თბილისში ჩამოსულ შტეფანოვიჩს შეეძლო ენახა მანამდე გამოუყენებელი მატრიცები და მათი საშუალებით დაეწყო წიგნის ბეჭდვა. დასაშვებია, რომ მან გაასწორა ძველი მასალის დაზიანებანი, ხოლო ზოგიერთი ასო მას შეეძლო გამოეცვალა კიდევ, სხვები კი გადაესხვაფერებინა“. საკითხავია, მამ რალა დარჩა ძველი ნამუშევრიდან, თუკი ვახტანგ VI-ის სტამბის ოსტატმა გაასწორა მ. კიშის შრიფტის დაზიანებანი, ზოგიერთი ასო გამოეცვალა, სხვები კიდევ გადაასხვაფერა?! ცხადია, რ. დანის ეს არგუმენტები კრიტიკას ვერ უძლებს.

მართლაც, სტამბის ისტორიისა და მიკლოშ კიშის შემოქმედების ისეთმა გამოჩენილმა სპეციალისტმა, როგორიც პროფ. დ. ჰაიმანია, არ შეიწყნარა რ. დანის ეს მტკიცება, უარყო თავისი ადრინდელი ვარაუდი და მთლიანად გაიზიარა გაზეთ „კომუნისტში“ 1980 წლის 7 სექტემბერს ლ. ტარდისთან ერთად გამოქვეყნებული ჩვენი წერილის

დასკვნა, რომ მიკლოშ კიშის შრიფტს საქართველომდე არ მოუღწევია. მან ასევე არასწორად მიიჩნია რ. დანის მიერ ხმარებული ფორმა „შ ტ ე ვ ა ნ ო ვ ი ჩ ი“ და გამოჩენილი მესტამბე უნგრულახეთში აღზრდილ და რუმინულ სასტამბო კულტურას ნაზიარებ უნგრულ ოსტატად — მიხაი ი შ ტ ვ ა ნ ო ვ ი ჩ ა დ მიიჩნია, ტომელსაც „საქართველოში თან მოჰქონდა აყვავებული და მაღალ დონეზე მდგარი რუმინული სასტამბო ხელოვნების გამოყენება“<sup>5</sup>. ამას გარდა, პროფ. დ. ჰაიმანმა, როგორც ეს ჭეშმარიტ მეცნიერს შეჭვერის (რ. დანის მიერ ამსტერდამში აღმოჩენილი დოკუმენტისა და ჩვენი წერილის საფუძველზე), თავის უკანასკნელ ნაშრომში აღიარა, რომ „უნდა გავასწოროთ ამ საკითხზე არსებული, ადრინდელი თვალსაზრისი [შვედური ანაბეჭდების მიკლოშ კიშის შრიფტისაგან მომდინარეობის შესახებ], რომელმაც ახლა უკვე დაკარგა თავისი ღირებულება“<sup>6</sup>.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი შეხედულება გამოთქვა ჯ. ვათეიშვილმაც ჟურნალ „ლიტ. გრუზიაში“ (1981, № 4) გამოქვეყნებულ წერილში „ქართული ანაბეჭდები ამსტერდამიდან“<sup>7</sup>.

რ. დანის აღმოჩენამ ჯ. ვათეიშვილი ერთგვარი ალტერნატივის წინაშე დააყენა: მას ან უნდა მიეღო რ. დანის აღმოჩენის შედეგები და პროფ. დ. ჰაიმანის მსგავსად, უარეყო თავისი ადრინდელი თვალსაზრისი, ან როგორმე უნდა დაეცვა უკვე მოძველებული შეხედულება. ჯ. ვათეიშვილი სწორედ ამ უკანასკნელ გზას დაადგა.

სხვათა შორის, ჯ. ვათეიშვილიც არ მალავს, რომ ჩვენი „სტატია შეიცავს მეტად საინტერესო ცნობას“ და „სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად მოგვეცა შესაძლებლობა ვიზუალურად გავცნობოდით ამსტერდამული შრიფტის ანაბეჭდს, რომელმაც ასევე პირველად დაადასტურა უნგრელი ოსტატის მიერ საეკლესიო შრიფტთან ერთად ქართული საერო შრიფტის დამზადე-

<sup>5</sup> დ. ჰაიმანი, სხვა ერის შვილებიც..., „კომუნისტი“, 14.VI.1981,

<sup>6</sup> დ. ჰაიმანი, მიკლოშ კიში და ქართული წიგნის ბეჭდვის დასაწყისი, „მატე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1982, № 2. (ინგლისურიდან თარგმნა ქ. ვაწყუმაძემ).

<sup>7</sup> Ватейшвили Дж. — Грузинские оттиски из Амстердама, «Литературная Грузия», 1981, № 4, с. 170—178.

ბა“. ამასთან ერთად, თურმე „ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ სტატიის ავტორები ამსტერდამში ახლახან აღმოჩენილი ქართული ანაბეჭდების საფუძველზე ცდილობენ მათი შექმნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ახლებურად გააშუქონ, ამასთან, გვთავაზობენ არც თუ უინტერესო დასკვნებს, რომელთა შორის ცალკეული საკითხები, როგორც ჩვენ გვეჩვენება, საჭიროებენ დაზუსტებასა და დამატებით კომენტარებს“.

საქმე ისაა, რომ ჯ. ვათეიშვილი თავის ადრე გამოქვეყნებულ ყველა ნაშრომსა თუ ქართული სტამბის ისტორიკოს ო. კასრაძესთან კამათში იმ აზრს იცავდა, რომ 1703 წლის შეედური (სტოკჰოლმური) ქართული ანაბეჭდების შრიფტი — ასომთავრული და ნუსხა-ხუცური — მიკლოშ კიშის მიერ დამზადებული ქართული შრიფტის მატრიცების მიხედვითაა ჩამოსხმული<sup>8</sup>. ამასთან, იგი დაბეჭდებით ამტკიცებდა, რომ „1686—1687 წლებში ამსტერდამში მოღვაწე ცნობილი უნგრელი მეტამბის კიშ მიკლოშ ტოტვალუშის მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტის იქვე [ამსტერდამში] გაკეთებული ანაბეჭდი მეცნიერებს არ შემორჩაო“<sup>9</sup>. აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ეს კატეგორიული განცხადება დაიწერა 1978 წელს, ე. ი. სწორედ მას შემდეგ, რაც ჯ. ვათეიშვილი უკვე დაბრუნდა ევროპის სიძველეთსაცავებში, და მათ შორის, ამსტერდამის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში სამეცნიერო მივლინებიდან, სადაც

---

<sup>8</sup> Ватейшвили Дж., Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973, с. 22—31; ჯ. ვათეიშვილი, ნარკვევი ძველი ქართული ანაბეჭდი წიგნის ისტორიიდან, „მნათობი“, 1975, № 11, გვ. 185; მისივე, ერის საგანძურს შეემატა, „კომუნისტი“, 14. 12. 1977, მისივე. მეცნიერული კეშმარტებისა და პაექრობის ეთიკის დასაცავად. „ეურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, VI, თბილისი, 1978, გვ. 446—451; მისივე, ამაგდარი მამულიშვილები (არჩილ და ალექსანდრე ბაგრატიონების ბიოგრაფიისათვის), „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 4, გვ. 57—67.

<sup>9</sup> ჯ. ვათეიშვილი, მეცნიერული კეშმარტებისა და პაექრობის ეთიკის დასაცავად, „ეურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, VI, თბილისი, 1978, გვ. 448.

სამი წლის შემდეგ (1980 წ.), რობერტ დანმა მოულოდნელად მიკლოშ კიშის მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტის „იქვე გაკეთებული ანაბეჭდი“ აღმოაჩინა, რომელიც ჯ. ვათეიშვილის აღრიხნული მტკიცებით, თითქოს „მეცნიერებას არ შემორჩენია“!

რა უნდა ექნა მკვლევარს როცა ნახა, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ვიზუალურად“ დაწმუნდა, რომ რ. დანის მიერ ამსტერდამში აღმოჩენილი კიშისეული 1687 წლის ქართული ანაბეჭდის შრიფტი აბსოლუტურად აღარ ჰგავდა 1703 წლის სტოკჰოლმურ ანაბეჭდთა შრიფტს?

და აი, რ. დანის აღმოჩენისა და ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოთქმული ჩვენი მოსაზრების საპირისპიროდ, ჯ. ვათეიშვილს შექმნილი საკმაოდ უხერხული მდგომარეობიდან ასეთი გამოსავალი უპოვია. „... არ არსებობს არავითარი საფუძველი იმის მტკიცებისათვის, თითქოს ახლახან ამსტერდამში გამოვლენილი ქართული ანაბეჭდი წარმოადგენდეს სწორედ იმ ანაბეჭდთა ნაირსახეობას, რომლებიც თავის დროს შეასრულა მიკლოშ ტოტფალუმ კიშმა და რომელსაც შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს, ასახოს ქართული შრიფტის დასამზადებლად მის მიერ გაწეული ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის საბოლოო შედეგი. სიმართლესთან უფრო ახლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ რ. დანის მიერ აღმოჩენილი ამსტერდამული ქართული ანაბეჭდი ასახავს უნგრელი ოსტატის „შემოქმედებითი ძიებების“ არა დამამთავრებელ, არამედ უფრო ადრინდელ ეტაპს მისთვის უცნობი ენის სასტამბო ანბანის შექმნის დროს“<sup>10</sup> და „უინტერესო არ იქნება თვალი გავა-

---

<sup>10</sup> წმრ. «...отсутствует всякое основание для утверждения будто выявленный недавно в Амстердаме грузинский оттиск является именно той разновидностью оттисков, сделанных в свое время Миклошем Тотфалушем Кишем, которая могла бы претендовать на отображение итога его продолжительной и напряженной работы по изготовлению грузинских шрифтов. Правдоподобнее кажется предположение, что выявленный Р. Даном амстердамский грузинский оттиск отображает не завершающий, а пожалуй, ранний этап «творческих исканий» венгерского мастера при создании печатной азбуки незнакомого ему языка» («Литературная Грузия», 1981 г. № 4, с. 172).

დევნოთ, თუ როგორ წარიმართა შემდეგში ბედი ამსტერდამულ-ქართული პუანსონებისა და მატრიცებისა და მათ საფუძველზე სტოკჰოლმში ჩამოსხმული ქართული შრიფტისა“<sup>11</sup>.

მაშასადამე, ჯ. ვათეიშვილი ამსტერდამული (1687 წ.) და სტოკჰოლმური (1703 წ.) ანაბეჭდების შრიფტთა სხვადასხვაობა იმით კი არ ხსნის, რომ ისინი სხვადასხვა ოსტატის მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას შექმნილი განსხვავებული სტამბური ასოებია, არამედ იმით, თითქოს ისინი ერთი და იგივე ოსტატის — მიკლოშ კიშის მიერ ერთ და იმავე ადგილას — ამსტერდამში, ოღონდ მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე შექმნილი შრიფტებია, რომელთაგან ერთ-ერთი სახეობის პუანსონები და მატრიცები შემდეგ სტოკჰოლმში გამოუყენებიათ. ამასთან, თითქოს, ამსტერდამული ანაბეჭდის შრიფტი უნგრელი ოსტატის ადრეული ცდის ნაყოფი უნდა იყოს, ხოლო შვედური ანაბეჭდების შრიფტი კი — უკვე დამთავრებული და საბოლოო ვარიანტი.

პირიქით რომ ყოფილიყო თქმული, კიდევ შეიძლებოდა დაგვეჩერებინა მკვლევრის სიტყვები, რადგან ამსტერდამული შრიფტი გაცილებით დახვეწილი და პროფესიული თვალაზრისითაც, უფრო სრულყოფილია, ვიდრე შვედურ (სტოკჰოლმურ) ანაბეჭდთა შრიფტი. ამას აღიარებს ისეთი ავტორიტეტული სპეციალისტიც, როგორიცაა პროფ. დ. ჰაიმანი, როცა წერს, რომ „სხვათა შორის, სტოკჰოლმური ასოები მათი დაბალი დონის გამო არ შეიძლებოდა მისაღები ყოფილიყო მეტად მომთხონი ქართველი შემკვეთებისთვის“<sup>12</sup>.

გარდა ამისა, რა ვუყოთ მხედრულ შრიფტს, რომელიც ჰოლანდიურ (ამსტერდამულ) ანაბეჭდზე გვაქვს, ხოლო შვედურზე (სტოკჰოლმურზე) კი საერთოდ არაა წარმოდგენილი?! სადღაა მისი

<sup>11</sup> შტრ. «Небезынтересно проследить за тем, как сложилась дальнейшая судьба амстердамских грузинских пуансонов и матриц и отлитого на их основе в Стокгольме грузинского шрифта» (с. 175).

<sup>12</sup> „კომუნისტა“, 14. VI. 1981.

სრულყოფილი, საბოლოო ვარიანტი?! სად გაქრა, რატომ არ გვხვდება იგი სტოკჰოლმურ ანაბეჭდზე, თუკი დავუშევრდით, რომ იგი მართლაც უნგრელი ოსტატის მუშაობის საბოლოო, შემაჯამებელ ეტაპს ასახავს?

ამასთან, ჯ. ვათეიშვილს ნუთუ მართლა გულწრფელად სჯერა, რომ უნგრელი ოსტატი მეორეჯერ მიუბრუნდა უკვე დამთავრებულ ისეთ რთულ სამუშაოს, როგორც იყო მისთვის სრულიად უცხო ქართული ენის სამნაირი ანბანის სტამბური შრიფტის შექმნა, რომელთა თითოეული ასოს ამოჭრის სიძნელეებზე იგი ასე ხაზგასმით მიუთითებდა შვედი დიპლომატის—შპარვენფელდისათვის ამსტერდამიდან მოსკოვს გამოგზავნილ წერილებში? დაეჭეროთ, რომ დამთავრებულ სამუშაოს მ. კიში ხელეორედ მიუბრუნდა და მხედრული შრიფტი, საერთოდ უაჩუო, ხოლო ასომთავრულისა და ნუსხა-ხუცურის „პირველი ვარიანტისაგან“ ასე სრულიად განსხვავებული, თანაც, რაც მთავარია, პოლიგრაფიული კულტურით გაცილებით დაბლა მდგომი შრიფტი შექმნა? გვაპატიოს მკვლევარმა, მაგრამ ამას ვერავინ დაიჭერებს!

ასეთ მიუღებელ წანამძღვრებზეა აგებული ძველი პოზიციების გადასარჩენად ჯ. ვათეიშვილის ძირითადი „ახალი“ დებულება და მის დასამტკიცებლად მოხმობილი თავისთავად საინტერესო შევდური საარქივო მასალა, რომლის სწორი ინტერპრეტაცია, სინამდვილეში, ჩვენს მოსაზრებას უფრო უჭერს მხარს, ვიდრე ჩვენი მოპაექრისას, მაგრამ ამის შესახებ ვრცლად ზევით უკვე გვქონდა მსჯელობა.

ოღონდ არ შეგვიძლია დუმილით აუუაროთ გვერდი შეეციის ქ. უპსალაში დაცულ დოკუმენტს, რომლის შესახებ ჯ. ვათეიშვილი აქაც აცხადებს: „მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქალაქ უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში ჩვენს მიერ გამოვლენილი ქართული ანაბეჭდების ერთ-ერთი სახეობა“ (იხ. „ლიტ. გრუზია“, 1981, № 4, გვ. 175). ამასვე წერდა, როგორც ვნახეთ, თანაც არაერთხელ ჯ. ვათეიშვილი 1977-78 წლებში (იხ. „ზარია ვოსტოკა“, 4. 12. 77; „კომუნისტი“, 14. 12. 77; „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 4, გვ. 60).

ქართული მეცნიერული საზოგადოებრიობა გულწრფელი სიხარულით შეხვდა მაშინ ამ ცნობას და ენდო მას. ამიტომ იყო, რომ

„კომუნისტში“ 1980 წლის 7 სექტემბერს გამოქვეყნებულ ზემოაღნიშნულ წერილში ჩვენც „ჯ. ვათეიშვილის მიერ 1977 წელს გამოვლენილი მესამე ტექსტი“ ვუწოდეთ მას.

მაგრამ როგორც ამეჟამად გაირკვა, უპსალას ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ანაბეჭდები პირველად ჭერ კიდევ 1947 წელს აღმოუჩენია შვედ მეცნიერს ერიკ გრენს და ამის თაობაზე იმავე წლის 20 სექტემბერს უცნობებია აკად. კ. კეკელიძისთვის, რომელიც უცხოელ მეცნიერს დახმარებია ამ აღმოჩენასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევაში (იხ. ხელნაწ. ინტ., კ. კეკელიძის არქივი, №№ 442, 340, 443) რის შესახებაც ზემოთ უკვე დაწვრილებით ვისაუბრეთ.

ვთქვათ, 1977-78 წლებში ჯ. ვათეიშვილი არ იცნობდა დიდი ქართველი მეცნიერის არქივში შემონახულ ამ მეტად საგულანხმო მასალას, მაგრამ ეურნ. „ლიტ. გრუზიას“ 1981 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში იგი ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა უკანასკნელი დროის ქართული სამეცნიერო ლიტერატურა — „კორნელი კეკელიძის პირადი არქივის აღწერილობა“ (თბ., 1979, გვ. 102, 126), ან კიდევ, კრებულ „მეგობრობის“ მეორე წიგნში დაბეჭდილი ფ. სიხარულიძის სპეციალური ნარკვევი: „დოკუმენტები საქართველო-შვედეთის ურთიერთობის ისტორიისათვის“ (თბ., 1980, გვ. 277, 279), სადაც აღნიშნულ მასალებზეცაა საუბარი.

ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, პირველად ე. გრენის მიერ აღმოჩენილი უპსალასეული ქართული ანაბეჭდები უკვე დიდი ხანია ასახული ყოფილა საზღვარგარეთულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ლ. ორსაგი, დ. ჰაიმანი, ე. იაკო, რ. დანი და სხვ.).

სამწუხაროდ, პირველწყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გაუთვალისწინებლობის შედეგად, ჯ. ვათეიშვილის წერილში დაშვებულია სხვა შეცდომებიც. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს:

მე-17-მე-18 სს. ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის ნიკოლა ვიტცენის (1641—1717) რუსეთში მეორედ ჩამოსვლისა და არჩილ მეფესთან გაცნობის თაობაზე კამათისას, ჯ. ვათეიშვილი წერს: „აქ დაშვებულია უზუსტობა: ამატერდამის მომავალი ბურგომისტრი ნიკოლა ვიტცენი მოსკოვში იმყოფებოდა 1664-65 წლებში ჰოლანდიის საელჩოს შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობდა ი. ბორილი, ამის შემდეგ რუსეთში ის აღარ ჩამოსუ-



ლა. მეფე არჩილი კი პირველად ჩაეიდა მოსკოვში 1685 წლის დასაწყისში. ამდენად, ისინი პირადად არ იცნობდნენ ერთმანეთს. ერთმანეთის უნახავად მათ შორის ურთიერთობა და მერე მიმოწერაც დამყარდა ი. გ. სპარვენფელდის მეშვეობით, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა არა 1688 წელს, არამედ 1684-85 წლებში (არჩილთან მკიდრო ურთიერთობა რაღაც საერთო მეცნიერული ინტერესების ნიადაგზე მან დაამყარა სწორედ 1685 წელს, სანამ იგი სტოკჰოლმში დაბრუნდებოდა 1686 წლის დასაწყისში)“.

აქ მკვლევარს ზედიზედ მართლაც იმდენი უზუსტობა და მისიმე ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა აქვს დაშვებული, რომ იძულებული ვართ მასზე საგანგებოდ შევჩერდეთ:

ჯერ ერთი, ნიკოლა ვიტცენი რომ პირველად 1664 წელს ჩამოყვა მოსკოვში პოლანდიის საელჩოს, რომელსაც მაშინ სათავეში ედგა იაკობ ბორილი, ეს კარგადაა ცნობილი ვიტცენის ბიოგრაფიიდან და სიტყვასიტყვით ამასვე ვწერდით ჯერ კიდევ 1978 წელს გამოქვეყნებულ ერთ ნაშრომში<sup>13</sup>. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვიტცენის ბიოგრაფები (ა. ი. ვან დერ აა, ი. ფ. გებჰარდი, კ. მიულერი, პ. პეკარსკი, ვ. გერიე, ა. ბრაუდო, ს. ბახრუშინი და სხვ.) საბოლოოდ ვერ შეთანხმებულან ნ. ვიტცენის რუსეთში მეორედ ჩამოსვლის თაობაზე — ზოგი ამ ვერსიას უარყოფს, ზოგი კიდევ მას ემხრობა. რაც შეეხება მოსკოვის ქართული კოლონიის ცნობილ მკვლევარს ვლ. ტატიშვილს, იგი ვიტცენის რუსეთში მეორედ ჩამოსვლასა და არჩილის პირადად გაცნობას საექვოდ არც თვლიდა (იხ. „ქართველები მოსკოვში“, თბ., 1959, გვ. 257). მაგრამ ჩვენ მაინც სულ სხვა გვექონდა მხედველობაში, კერძოდ, ვიტცენისადმი არჩილ მეფის 1687 წლის 17 დეკემბრის ცნობილი წერილის ერთი ადგილი („მერმე გავიგონეთ თქვენს ადგილზე მკდომის პატრონის ბარნო კლარისაგან...“), რომლის შესახებ ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ. ასე რომ, არჩილის სიტყვებს ახსნა სკირდება და არა ხელალებით თქმა: „აქ დაშვებულია უზუსტობა“, მითუმეტეს, რომ ამ განცხადებას მოსდევს, როგორც ვთქვით, ჯ. ვათეიშვილის მიერ დაშვებულ უზუსტობათა მთელი სერია: კერძოდ, სიმართლეს არ შეეფერება ჯ. ვათეიშვილის ცნობა, თითქოს „ი. გ. სპარვენფელდი

<sup>13</sup> გ. შარაძე, ერთი მომენტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 1, გვ. 42.

მოსკოვში ცხოვრობდა არა 1686 წელს, არამედ 1684-85 წლებში<sup>14</sup>. სინამდვილეში, შვედი მეცნიერის კარლ იაკობოვსკის მონოგრაფი-  
იდან (სტოკჰოლმი, 1932) ზუსტადაა ცნობილი, რომ თავის დროისა-  
თვის გამოჩენილი შვედი დიპლომატი და მეცნიერი იოჰან გაბრიელ  
შპარვენფელდი (1655—1727) მოსკოვში იმყოფებოდა 1684 წლის 2  
მაისიდან 1687 წლის 19 აგვისტომდე. აქედან გამომდინარე, მასასა-  
დამე, მცდარია ჯ. ვათეიშვილის მეორე განცხადებაც, თითქოს „ი. გ.  
სპარვენფელდი სტოკჰოლმში 1686 წლის დასაწყისში დაბრუნდა“.  
მაგრამ ყველაზე მეტად გაგვაოცა ჯ. ვათეიშვილის დაბეჭილებითმა  
მტკიცებამ, თითქოს „მეფე არჩილი პირველად ჩავიდა მოსკოვში  
1685 წლის დასაწყისში“, მაშინ როდესაც დღეს უკვე დოკუმენტუ-  
რი სიზუსტითაა ცნობილი, რომ არჩილ მეფე მოსკოვში პირველად  
ჩავიდა არა 1685 წლის დასაწყისში, არამედ ამ წლის მიწურულს,  
კერძოდ, 1685 წლის 14 დეკემბერს<sup>14</sup>. ასე რომ, პირდაპირ საკვირვე-  
ლია ჯ. ვათეიშვილის მომდევნო მსჯელობა: „სპარვენფელდმა 1685  
წლის განმავლობაში, როცა ის ცხოვრობდა მოსკოვში, დაამყარა საკ-  
მაოდ მჭიდრო, კეთილგანწყობილური ურთიერთობა არჩილ მეფეს-  
თან, რაც დასტურდება არაერთი ისტორიული წყაროთი“ (გვ. 174—  
175). საინტერესოა, რომელი „არაერთი ისტორიული წყარო“ აქვს  
შხედველობაში ისტორიკოს ჯ. ვათეიშვილს, როცა ჩვენს ხელთ არ-  
სებული ყველა ისტორიულ წყაროდან მხოლოდ ის ერთადერთი  
უცილობელი ფაქტია ცნობილი, რომ არჩილ მეფე პირველად მოს-  
კოვს 1685 წლის 14 დეკემბერს ჩავიდა! მაშ, როგორღა ახერხებდა  
შპარვენფელდი 1685 წლის განმავლობაში მოსკოვში არჩილთან  
„საკმაოდ მჭიდრო, კეთილგანწყობილური ურთიერთობის დაამყარე-  
ბას“, თუკი ქართველი მეფე ჯერ ჩასულიც არ იყო რუსეთის სამე-  
ფოს დედაქალაქში?! ჯ. ვათეიშვილს რომ დაუუჭეროთ, შპარვენფელ-  
დი მომდევნო 1686 წელს ვერ დაამყარებდა არჩილ მეფესთან „საკ-  
მაოდ მჭიდრო კეთილგანწყობილურ ურთიერთობას“, რადგან, მისი  
მტკიცებით, შვედი დიპლომატი უკვე „1686 წლის დასაწყისში  
სტოკჰოლმს დაბრუნდაო“, მაშინ როდესაც, კ. იაკობოვსკის დოკუ-

<sup>14</sup> იხ. ალ. ბარამიძე, არჩილის ცხოვრება და შემოქმედება, „არჩილია-  
ნი“, ტ. II, თბილისი, 1937, გვ. IX; მისივე, არჩილის წერილი ვიტცენთან,  
„ლიტ. საქართველო“ 15. 12. 1936; მისივე, ნარკვევები, II, თბილისი, 1940, გვ.  
168; Материалы по истории русско-грузинских отношений (80—90-е годы  
XVII века), ч. II, изд. Г. Г. Паичадзе. Тбилиси, 1979, с. 93—94.

მენტური ცნობით (სტოკჰოლმი, 1932, გვ. 50—78), შპარვენფელდი მოაკოვში, სინამდვილეში, 1684 წლის 2 მაისიდან 1687 წლის 19 აგვისტომდე დარჩენილა და არჩილთან, რომელიც აქ 1685 წლის 14 დეკემბერს მოვიდა, მართლაც ახლო ურთიერთობა ჰქონია (იხ. კ. იაკობოვსკი, იოჰან გაბრიელ შპარვენფელდი, სტოკჰოლმი, 1932, გვ. 63, 69, 71, 92, 376).

ასევე არაა სწორი ჯ. ვათეიშვილის შემდეგი ცნობაც, თითქოს „არჩილი არაერთგზის გაემგზავრა რუსეთიდან საქართველოში“ (გვ. 171). ისტორიული წყაროებიდან ჩვენთვის კარგად ცნობილია. რომ არჩილი მხოლოდ ერთხელ — 1688 წლის ზაფხულში გამოემგზავრა მოსკოვიდან საქართველოში, თორემ 1699 წელს მოსკოვში მეორედ და საბოლოოდ ჩასვლის შემდეგ, იგი სამუდამოდ იქ დასახლდა და საქართველოსკენ პირი მერე აღარც უქნია.

აშკარად ნაძალადევია ჯ. ვათეიშვილის მტკიცება, თითქოს მოსკოვის სახაზინო სტამბაში, არჩილის უშუალო ხელმძღვანელობით, ცნობილი რუსი მესტამბის მ. ფერემოვის მიერ ქართული შრიფტის ჩამოსხმასა და 1705 წელს რუსეთში პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის „დავითნის“ გამოცემას დიდად შეუწყო ხელი ამსტერდამში დამზადებული კიშინეული ქართული შრიფტის პუანსონებისა და მატრიცების ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ სტოკჰოლმიდან მოსკოვში გამოგზავნამ და მათი ნიმუშებად გამოყენებამ<sup>15</sup>.

ქართული სტამბის გამოჩენილმა ისტორიკოსმა ქრ. შარაშიძემ

---

<sup>15</sup> შტრ. «Пересылка грузинского шрифта с принадлежностями из Стокгольма в Москву имела место, как уже отмечалось, в начале 1701 года. В пользу доставки посылки Александра Арчиловича по назначению свидетельствует тот факт, что, согласно архивным данным, именно в этом году в Московской казенной типографии возобновилась работа по отливке грузинского шрифта, которую под непосредственным руководством царя Арчила осуществил известный русский типографщик (словолитчик) М. Ефремов. Его успеху или, вернее, удачному на этот раз решению проблемы создания грузинского шрифта, возникшей перед русскими типографщиками еще в 80-х годах XVII века, а также изданию в 1705 году в Москве первой грузинской печатной книги в России «Давитни» («Псалмы Давида»), думается, во многом способствовали изготовленные в Амстердаме и доставленные сюда пуансоны и матрицы грузинского шрифта, которые в Московской типографии использовали в качестве образцов» (с. 177—178).

უკვე დიდი ხანია დაამტკიცა, რომ „1705 წლის „დავითის“ და სტოკჰოლმის 1703 წლის სასინჯი შრიფტის შედარებამ არ გვიჩვენა მათი იგივეობა. ეს გარემოება უარყოფითად სწყვეტს არჩილის მიერ 1686—1687 წ.წ. დამზადებული შრიფტის „დავითის“ დაბეჭდვის დროს გამოყენების საკითხს: ხსენებული „დავითი“ დაბეჭდილია სხვა შრიფტით<sup>16</sup>. ქრ. შარაშიძის ეს დასკვნა გაიზიარეს კ. ბიორკბომმა და სხვებმაც; რაც შეეხება ახლახან რ. დანის მიერ აღმოჩენილ 1687 წლის ამსტერდამული ქართული ანაბეჭდის შრიფტს, მისი და 1705 წლის მოსკოვური „დავითის“ შრიფტის შედარებამ არ გვიჩვენა მათი იგივეობა. ასე რომ, მთლიანად გამოსარიცხია 1705 წელს, მოსკოვში „დავითის“ დაბეჭდვის დროს, კიშისეული შრიფტის პუანსონებისა და მატრიცების ნიმუშებად გამოყენების საკითხი, ისე როგორც გამოსარიცხია შპარვენფელდისათვის მ. კიშის მიერ ქართული შრიფტის ამსტერდამიდან შვეიციაში გადაგზავნა და 1703 წელს ალექსანდრე არჩილის ძის თაოსნობით სტოკჰოლმს დამზადებულ ქართულ ანაბეჭდებში მათი გამოყენება.

ერთობ იოლად წყვეტს ჯ. ვათეიშვილი საკითხს იმის შესახებ, რომ „ალექსანდრე არჩილის ძეს 1697-98 წლებში პოლანდიაში „დიდი ელჩობის“ წევრად ყოფნისას არ გამოუჩენია ზრუნვა ქართული შრიფტის დასამზადებლად, რადგან-მიაჩნდა, რომ იმ დროისათვის ძნელადგანსახორციელებელი ეს ამოცანა უკვე შესრულებული იყო“<sup>17</sup>.

აქ. ჯ. ვათეიშვილი უკვე დამტკიცებულად გულისხმობს („согласно принятому в специальной литературе мнению“) მ. კიშის მიერ ამსტერდამში დამზადებული ქართული შრიფტის მატრიცების სტოკჰოლმში შპარვენფელდისათვის გადაგზავნის ვერსიას, რათა ამ უკანასკნელს ისინი მოსკოვში არჩილისთვის მიეწოდებინაო. მაგრამ აღრე „სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ეს შეხედულება“ დღეს უკვე რ. დანის აღმოჩენამ საბოლოოდ გააქარწყლა: „ვიზუალურად“ დავრწმუნდით, რომ 1687 წლის ამსტერდამული

<sup>16</sup> ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, 1937.

<sup>17</sup> შტრ. «Он этом частично свидетельствует тот факт, что сын царя Арчила Александр, будучи участником «Великого посольства» 1697—1698 годов в Голландии, не проявил заботы об изготовлении грузинского шрифта, полагая что эта трудноосуществимая тогда задача уже выполнена» (с. 171).

შრიფტი აბსოლუტურად არ ჰგავს არც სტოკპოლმური ანაბეჟდის (1703 წ.) და არც მოსკოვური „დავიანის“ (1705 წ.) შრიფტს.

საინტერესოა, მართლა არ გამოუჩენია ალექსანდრე არჩილის ძეს ზრუნვა 1697-98 წლებში პოლანდიაში „დიდი ელჩობის“ წევრად ყოფნისას ქართული შრიფტის დასამზადებლად?

აქედან გამომდინარე, მართლა შეეძლო ალექსანდრე ზაქიან-შვილს 1703 წელს სტოკპოლმში, პენრიკ კაიხერის სემინარიაში ჩამოესახა ქართული შრიფტი? სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართლა იცნობდა ალექსანდრე არჩილის ძე სასტამბო ხელოვნებას, კერძოდ, შრიფტის დამზადებისა და ჩამოსხმის საიდუმლოებას ჯერ კიდევ პოლანდიაში, 1697-98 წლებში პეტრე I-ის „დიდი ელჩობის“ წევრად ყოფნის დროიდან?

ამ კითხვას ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით უკვე შეიძლება სრულიად ახალი შუქი მოეფინოს. პირველ რიგში, განვიხილოთ ი. სხელტემას ცნობები.

იაკობ სხელტემა (Jacobus Schellema) მე-18—19 სს. მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი პოლანდიელი მეცნიერია. სხვა თხზულებებთან ერთად, მის კალამს ეკუთვნის პეტრე I-ის პოლანდიაში მოგზაურობის ისტორიის უმთავრესი წყარო: „პეტრე დიდი, რუსეთის იმპერატორი, პოლანდიისა და საანდამში 1697 და 1717 წწ.“ (ამსტერდანი, 1814 წ.). ეს წიგნი ძირითადად დამყარებულია პეტრეს თანამედროვეთა ორ საინტერესო ხელნაწერ დოკუმენტზე: ესაა საანდამის საქალაქო საბჭოს წევრის იან ნომენის „დღიურები“ და საანდამელი მსხვილი ნეგოციანტის კორნელი კალფის „უბის წიგნაკის ჩანაწერები“.

ი. სხელტემას აღნიშნული შრომა 1814 წელს, ამსტერდამში, პოლანდიურ ენაზეა გამოცემული<sup>18</sup> და მისი არსებითი ნაწილი რუსულად თარგმნა ა. ს. ლაცინსკიმ, რომლის ბეჭდვა 1916 წელს დაიწყო უურნალმა „რუსსკაია სტარინამ“<sup>19</sup>.

---

<sup>18</sup> Peter de Groote, Keizer van Rusland, in Holland en te Zaandam, in 1697 en 1717, Door Mr. Jacobus Schellema, Eerste Deel, Te Amsterdam, by Henrik Gartman, MDCCCXIV; ჩვენ ხელთ გვექონდა ამ ბიბლიოგრაფიული იშვიათობის ოქსფორდში, ბოლდის ბიბლიოთეკაში დაცული ვებმპლარი: № 24415 ბ. 54.

<sup>19</sup> [Схельтема], Петр Великий Император России в Голландии и в Заандаме в 1697 и 1717 гг.; «Русская старина», 1916, январь, с. 5—24;

ი. სხელტემას ამ წიგნში საყურადღებო ცნობებს ვპოულობთ პოლანდიაში პეტრე I-თან ერთად ჩასული „დიდი საელჩოს“ წევრის ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონისა და მისი იქ ყოფნის შესახებ.

პეტრე I-ის მსვლელების ჩამოთვლიას (ბორის კურაკინი, იაკობ დოლგორუკოვი, ალექსი ნარიშკინი, თავადი შერემეტეიევი, გრაფები გაბრიელ და მიხეილ გოლოვკინები, ანდრია მატვეევი, თევდორე აპრაკსინი და სალტიკოვი), Meerman-ის ნაშრომზე დამოწმებით განაგრძობს:

„Het meeste opzigt maakte een Tartaarsch Prins, de zoon van eenen Vorst van Géorgien, uit den huize Bagration, die door zijnen broeder van den troon gebonds, tot den Czaar zijnen toevlugt nam, en sedert te Moscow leefde: hij verscheen doorgaans in Tartaarsche kleeding, somtijds met Persiaansche pracht (Meerman, Discours sur le premier voyage de Pierre le Grand, p. 16)“<sup>20</sup>.

შეადარეთ რუსულ თარგმანს: «Всех больше обращал на себя внимание кавказский принц, (დედანშია: „Tartaarsch Prins“ გ. შ.), сын грузинского царя из фамилии Багратионов, который, будучи свергнут с престола своим братом, прибег под покровительство Царя и с тех пор жил в Москве. Он обыкновенно появлялся в своем грузинском наряде, (დედანშია: „in Tartaarsche Kleeding“ გ. შ.), иногда с восточным (დედანშია: „Persiaansche“, გ. შ.) великолепием»<sup>21</sup>.

ახლა ვნახოთ, როგორ არის ი. სხელტემას წიგნის ჩვენს მიერ ხაზგასმული ეს ადგილი ფრანგულად თარგმნილი, რომელიც უფრო ახლოა დედანთან:

„Mais celui qui excita le plus vivement la curiosité publique, fut un prince. Tartare, fils d'un souverain de la Georgie, de la famille Bagration, lequel, chassé de son

февраль, с. 193—223; март, с. 387—396; апрель, с. 5—14; июнь, с. 319—345; перевод с голландского А. С. Лацинского.

<sup>20</sup> J. Schellema, დას. ნაშრ., გვ. 89.

<sup>21</sup> «Русская старина», 1916, январь, с. 8. შდრ. გვ. 14, სადაც ი. სხელტემას ცნობით, «...с положительною достоверностью известно, что князь Багратион и Николай ван-дер-Гульт, сын одного из компаньонов голландского торгового дома ван-Лупс в Архангельске, а может быть и сам этот компаньон—служащий переводчикам».

trôn par son frère, avait eu recours à la protection du Czar, et vivait dés-lors, à Moskou. Is parraissait ordinairement en costume tartare, quelque fois avec tout le luxe et la raffinement persanne<sup>22</sup>.

როგორც ვხედავთ, ი. სხელტემას ცნობით, პეტრე I-ის ერთ-ერთი მხლებელი ატარებს „პრინცი ტარტარის“ ზედმეტსახელს, რომელიც ყოფილა შვილი საქართველოს იმ მეფისა, ბაგრატიონის გვარისა, რომელსაც ტახტი დაუკარგავს და რუსეთის მეფის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა მოსკოვში.

ყველა ნიშნით, უეჭველად აქ იგულისხმება ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი. მაგრამ რატომ მოიხსენიებს ი. სხელტემა მას. როგორც „პრინცი ტარტარს“? ი. სხელტემა აქვე წერს, რომ ეს „პრინცი ტარტარი“ ზოგჯერ ბრწყინვალე და მდიდრულ აღმოსავლურ ტანსაცმელში გამოწყობილი გამოდიოდა, რითაც აოცებდა მნახველებსა. ხოლო თუ მოვიგონებთ, რომ ამ დროს (მე-17 ს.) დასავლეთ ევროპაში ყველა აღმოსავლელი და მაშასადამე, ქართველიც „ტარტარად“ მოიხსენიებოდა (მოვიგონოთ ვიტცენის წიგნის სათაური „Noord en Oost Tartary“), თანაც, თუკი ეს „პრინცი ტარტარი“ — „საქართველოს მეფის შვილი, ბაგრატიონის გვარისა“ ზოგჯერ აღმოსავლური („ტარტარული“) ტანსაცმლით, ე. ი. ქართული ჩააცმლით გამოდიოდა, ადვილი ასახსნელია, რატომ მოუნათლავთ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი „პრინცი ტარტარის“ ზედმეტსახელით! მაშასადამე, დავიხსნომოთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს პოლანდიაში თურმე იცნობდნენ „პრინცი ტარტარის“ ზედმეტსახელით, რაც ნიშნავდა აღმოსავლელს ანუ ქართველს! ეს რომ ასეა, ჩანს რუსული თარგმანიდანაც („кавказский принц“).

ამასთან ერთად ცნობილია, რომ 1697 წელს, ამსტერდამში ჩასულმა პეტრე I-მა და ალექსანდრე ბატონიშვილმა პირადად გაიციეს ამსტერდამის ბურგომისტრი ნიკოლა ვიტცენი, რომლის ხელშეწყობითა და პეტრეს ბრძანებით აქ დაარსებულა რუსული სტამბა იან ტესსინგისა, რომელშიც უნდა ებეჭდათ მხოლოდ რუსული საერო წიგნები, რადგან სასულიერო ხასიათის წიგნები მოსკოვში იბეჭდებოდა.

<sup>22</sup> Anecdotes historiques sur Pierre-Le-Grand et sur ses voyages en Hollande et a Zaandam, dans les années 1697 et 1717 par J. Scheltema, ouvrage traduit du hollandais par N. P. Muilman, Lausanne, 1842, p. 72—73.

იან ტესსინგის ამ სტამბაში თავდაპირველად მოღვაწეობდა ილია კობიევსკი, წარმოშობით პოლონელი მესტამბე, რომელსაც რუსული ენაც საკმაოდ სცოდნია. ამიტომ პეტრე I-მა ამსტერდამში ყოფნის დროს სწორედ მას მიანდო ეს საქმე.

აი, სწორედ ამ ილია კობიევსკისათვის მიუბარებიათ სასწავლებლად ვილაც „ჭაბუკი ტატაჩიუკი“ („парень-татачюк“). ვისგანაც სწავლის საზღაური ი. კობიევსკის ვერ მიუღია და ამის გამო წერილიც კი მიუწერია პეტრესთვის:

«...Второе. дали было мне парня-татачюка на учение на целый год и уговорились платить 240 гульденов за харч, кроме учения... Поучивши же три месяца парня, послал его к ним денег просити понеже забирались ехать к Москве. А они меня прельстили, парня задержали у себя и денег не дали. Потом парня прибрали в драгоценное платье, князем верстаясь, и дали иному человеку на учение»<sup>23</sup>.

აკად. პ. პეკარსკიმ ასეთი განმარტება მოგვცა ილია კობიევსკის ამ მოწაფისა: «Копиевский называет его «парень-татачюк»; если последнее читать татарчюк, т. е. сын татарина, то может быть молодой человек был Арчил Царевич в Амстердам Петром Великим в первое путешествие по Европе. Арчила считали татарским князем, так как он являлся иногда в великолепной восточной одежде»<sup>24</sup>

ცხადია, მცდარია პ. პეკარსკის განმარტება, თითქოს აქ არჩილი შეიძლება იგულისხმებოდესო (აქ უბრალოდ ერთმანეთშია არეული არჩილი და ალექსანდრე), მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ აკად. პ. პეკარსკი შესაძლებლად თვლიდა ილია კობიევსკის ამ მოწაფეში ის ქართველი ბატონიშვილი დაენახა, რომელიც პეტრე I-ს ახლდა ევროპაში „დიდი ელჩობის“ დროს, ხოლო რა შეეძლო ამ მოწაფეს ესწავლა კობიევსკისაგან? რა თქმა უნდა, სტამბის ხელოვნება!

საგულისხმოა ერთი გარემოებაც: პეტრე I-მა რომ მაინცდამაინც იან ტესსინგს უბრძანა რუსული წიგნების ბეჭდვა და თავდაპირველად ილია კობიევსკიც აქ მიიწვიეს, ამან გაანაწყენა ისეთი ცნობილი ამსტერდამელი მესტამბეები, როგორებიც იყვნენ ბლაუ (Bleau) და პეტცოლდი (Petzold), რის გამოც მათ წერილებიც კი მიუწერიათ

<sup>23</sup> იხ. Пекарский П. Наука и литература в России при Петре Великом, т. I, СПб., 1862, с. 527.

<sup>24</sup> Пекарский П. Там же, стр. 14



შპარვენფელდისადმი<sup>25</sup>. ხოლო თუ მოვიგონებთ, რომ მიკლოშ კიში სწორედ ამ Bleau-ს სახელოსნოში დაოსტატდა. შპარვენფელდი კი კარგად იცნობდა როგორც მ. კიშს, ისე პეტრე I-ს, არჩილსა და ალექსანდრეს ჯერ კიდევ 1684-87 წლებში მოსკოვში ყოფნის დრო-დან (ბლაუმ და პეტოლდისმაც. ალბათ, სწორედ ამიტომ მიწერეს შპარვენფელდს წერილები, რომ ამ უკანასკნელს ეშუამღვამლა პეტრე I-თან, რათა რუსული წიგნები ბეჭდვა მათთვის დაეკალბინა!). რალაც უხილავი ძაფები მართლაც შეიძლება გაიბას ილია კოპიევსკის ამ მოწაფე „ტატაჩიუკთანაც“! მითუმეტეს, თუ მოვიგონებთ, რომ ი. სხელტემას ცნობით, ალექსანდრე ბატონიშვილს პოლანდიაში „პრინც ტარტარის“ ეძახდნენ, მაშინ არც ისაა გასაკვირი. რომ ილია კოპიევსკიც მას „ჭაბუკ ტატა[რ]ჩიუკად“ მოიხსენიებდა!

თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ვიგებთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი პოლანდიაში არა მარტო სამხედრო ხელოვნებას დაუფლებია, არამედ სასტამბო საქმესაც.

აქ არ უნდა შეგვაშინოს იმ გარემოებამ, რომ ბრწყინვალე უფლისწული — ალექსანდრე ბატონიშვილი სასტამბო ხელობის სწავლას როგორ იკადრებდა! ჯერ ერთი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ უბრალოდ ვადაცმული თვითონ რუსეთის მეფე — პეტრე I-ც კი არ თაკილობდა პოლანდიაში ბევრნაირი ხელობის სწავლას და საანდამში ჩასულმა, პირველ რიგში, სადურგლო ხელსაწყოები შეიძინა. მით უფრო არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს სტამბის ხელოვნება შეესწავლა, რაშიაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმავე ი. სხელტემას შემდეგი სიტყვები:

«...Бургомистр (Витцен) относился к молодому (грузинскому) принцу с большим вниманием и сочувствием, — он читл в нем постигшее его несчастье. Он не мог не поражаться необыкновенною превратностью человеческой судьбы, видя как принц — которому, как старшему в роде, должен был перейти престол большого царства, — здесь, в Голландии, в угоду русскому Царю и для пользы его монархии, — принужден заниматься низкими мастерствами и ремеслами»<sup>26</sup>.

და ეს სრულიად არაა გასაკვირი მეორე გარემოების გამოც: შეიძ-

<sup>25</sup> Пекарский П., დას. ნაშრ., გვ. 12—13.

<sup>26</sup> Схельтема, დას. ნაშრ., იხ. «Русская старина», 1916, апрель, с.

ლება არჩილმა თავის პირმშო ძეს საგანგებოდ კიდევ დაავალა შესწავლა სასტამბო ხელოვნება. მას რამ შესანიშნავი შემთხვევა ეძლეოდა: მისი უფროსი ვაჟი მიჯნოვას პოლანდიაში, სწორედ იმ ქვეყანაში, სადაც წიგნის ბეჭდვა უმალდეს საფეხურზე იყო ასული, ქალაქ ამსტერდამის ბურგომისტრი ვიტცენი კი მისი ძველი ნაცნობი მეგობარი იყო, რომლის მეშვეობითაც არჩილი ქართული შრიფტის მიღებას და სტამბის გამართვას აპირებდა ჯერ კიდევ 1687 წელს, ხოლო ვიტცენი მისგან ლებულობდა ცნობებს საქართველოს შესახებ თავისი მომავალი შრომისათვის „Noord en Oost Tartarye“, რომელიც პირველად 1692 წელს გამოიცა ამსტერდამში.

ამიტომ სრული უფლება გვაქვს დავუშვათ, რომ 1697-98 წწ. პოლანდიაში ყოფნისას ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ვიტცენის მიერ გაწეულ სხვა ამავთან ერთად, არჩილი თავისი შვილის სასტამბო საქმეში დახელოვნებასაც გულისხმობდა, როცა იგი მოსკოვიდან სამადლობელ წერილს წერდა ვიტცენს ალექსანდრეს პოლანდიიდან რუსეთში დაბრუნების შემდეგ.

არჩილის აღნიშნული წერილი ლათინურ ენაზე მოთავსებულია ვიტცენის შრომის მესამე (1785 წ.) გამოცემის 533-ე გვერდზე, რის შესახებ მ. ბროსე ჯერ კიდევ 1857 წელს მიუთითებდა<sup>27</sup>, მაგრამ არც მ. ბროსეს და არც სხვა ვინმეს დღემდე არჩილის ეს დიდად მნიშვნელოვანი წერილი არ გადმოუბეჭდავს ამ ბიბლიოგრაფიული იშვიათობიდან, რის გამოც იგი სრულიად უცნობია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამიტომ ჯერ მოგვყავს ლათინური დედანი, რომელიც გადმოვწერეთ ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის იშვიათ წიგნთა განყოფილებაში დაცული ვიტცენის შრომის ეგზემპლარადან და შემდეგ მოგვყავს მისი ქართული თარგმანი, რომელიც ჩვენი თხოვნით შეასრულა ლევან ბერძენიშვილმა:

„Dei gratia qui è radice Dabidas atque Salomonis Familiae Pagratii; Totius Lichtimeriae Rex Arszil Bachtangeades.

Amico nostro Charissimo, nec non benefactori Magnifico Domino Nicolao Witsen, Burgomistro Salus.

Princeps Oratorum Demosthenes interrogatus quid nam habet homo simile Deo, inquit, benefacere, hoc igitur virtutis

<sup>27</sup> M. Brosset, Histoire moderne de la Géorgie, II-e partie, St.—Ptb., 1857, p. 351—52.

splendore multos ac varios superfluit vestra magnificentia. Nam non aliter alienos, quam suos consanguineos ornare beneficiis non denegasti, cujus beneficii atque amoris verus testis Filius noster Alexander, qui variis honis per vestrum amorem et laborem abundans depropagavit nobis. Ob id ergo maximas agimus gratias vestrali amori et labori verus enim amicus cognoscitur

Labore  
Amore  
More  
Ore  
Re  
-----  
Salve<sup>28</sup>.

აი ქართული თარგმანიც:

„ღვთის წყალობით ვინც [არის] დავითისა და სოლომონის ძირისაგან, ბაგრატიონთა გვარისა, მთელი ლიხთიმერეთის მეფე არჩილ ვახტანგის ძე.

ჩვენს უმოწყალეს მეგობარსა და კეთილის მოქმედს ბრწყინვალე ბატონ ნიკოლა ვიტცენს, ბურგომისტრს — სალამი!

პირველს ორატორთაგან, დემოსთენეს, რომ ჰკითხეს, რა აქვს კაცს მსგავსი ღვთისაო, [მან] მიუგო: ქველმოქმედება; სწორედ სიქველის ამ ელვარებით მრავალსა და განსხვავებულს აღმატება თქვენი ბრწყინვალეობა. მართლაც და უცხოელებსაც ისევე, როგორც თანამემამულეებს, ამკობთ ქველმოქმედებით, რისი ჰემმარტი მოწმეცაა ჩვენი ძე ალექსანდრე, რომელმაც, თქვენი სიყვარულისათუ შრომის მეოხებით სხვადასხვა სიკეთით აღვსებულმა [ყოველივე] გვამცნო ჩვენ. ამის გამო უდიდეს მადლობას მოვახსენებთ თქვენს სიყვარულსა და შრომას, რადგან ჰემმარტი მეგობარი შეიცნობა:

შრომით,  
სიყვარულით,  
ზნით,

<sup>28</sup> N. Witsen, Noord en Oost Tartarye, Amsterdam, 1765. გვ. 533.

პირით [-პიტყვით],  
საქმით.  
სალამი“.

დედანში წერილს, მართალია, თარიღი არ უზის, მაგრამ მისი და-თარიღება ადვილად შეიძლება: რადგან არჩილი მოსკოვში მეორედ და საბოლოოდ 1699 წელს ჩავიდა და ალექსანდრე ბატონიშვილიც ამ დროს დაბრუნდა ევროპიდან, ხოლო წერილში არჩილი ვიტცენს ატყობინებს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა ეს-ესაა გვამცნო, ე. ი. ვვიამბო თქვენს მიერ გაწეული ზრუნვა და ამაგიო, ცხადი ხდება, რომ არჩილის ეს მეორე წერილი ვიტცენისადმი 1700 წლის დასაწყისს ვერ გადმოსცილდება.

ალექსანდრე ბატონიშვილი რომ 1697-98 წლებში მართლაც შეხვედრია ვიტცენს ამსტერდამში, ეს ი. სხელტემას ცნობების მიხედვით აქამდეც არ იყო საეჭვო<sup>29</sup>. კერძოდ, ვიტცენი ალექსანდრე ბატონიშვილისაგან კრებდა დამატებით ცნობებს საქართველოს შესახებ თავისი ზემოდასახლებული შრომის ახალი გამოცემისათვის, რომელიც მართლაც განხორციელდა 1705 წელს. ამის შესახებ ი. სხელტემა პირდაპირ წერდა:

«...относительно грузин и черкесов он [Витцен] получил сведения от самого принца грузинского, как бы в благодарности за услуги, оказанные Витценом отцу этого принца в 1685 г. (!)»<sup>30</sup>.

აქ ახლა მოვიტანთ ამის დამადასტურებელ ახალ უცილობელ ფაქტებს, საიდანაც ნათლად ჩანს ალექსანდრე ბატონიშვილის ახლო თანამშრომლობა ამსტერდამის ბურჟოაზისტთან.

საქმე ისაა, რომ ვიტცენმა 1692 წელს პირველად გამოსცა თავისი მონუმენტური შრომა „Noord en Oost Tartarye“, რომლის 316—373 გვერდები დათმობილი აქვს საგანგებო თავს საქართველოს შესახებ: „Georgia ofte Iberia“. ხოლო როგორც ვთქვით, აქ მოწოდებული ცნობებით ვიტცენი, მისივე აღიარებით, არსებითად დავალებულია არჩილისაგან, რომელიც 1685-88 წლებში მოსკოვში იმყოფებოდა.

რადგან ამ დროისთვის ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ კიდევ

<sup>29</sup> შტრ. ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, თბილისი, 1959, გვ. 257—258.

<sup>30</sup> С х е л ь т е м а, დას. ნაშრ., იხ. «Русская старина», 1916, апрель, с. 8.

არ იყო ჩასული პოლანდიაში. ჩვენ დაეინტერესდით. სომ არ არის რაიმე სხვაობა ვიტცენის აღნიშნული შრომის 1692 წლის პარაგრაფს და 1705 წლის მეორე გამოცემებს შორის. სახელდობრ, საქართველო-სადმი მიძღვნილ ცალკე თავის მიხედვით.

შედარებიდან გამოიძვრა, რომ 1692 წლის გამოცემაში უკვე დაბეჭდილია „ქართული აღფავიტი“ (გვ. 316). ასე რომ, არ გამართლდება ვლ. ტატიშვილის ვარაუდი. თითქოს იგი „ალბათ ბატონიშვილს აღექსანდრეს მიერ შესრულებული ქართული ანბანი“<sup>31</sup>. აქვე, 327-ე გვერდზეა დაბეჭდილი ვიტცენისადმი 1687 წელს გაგზავნილი არჩილის ცნობილი ქართული წერილის ფაქსიმილე. მაგრამ აქ კერძო არ გვხვდება არჩილისა და ერეკლე I-ის (ნიკოლოზ დავითის ძის) ცნობილი შეწყვილებული პორტრეტი და არც „პოლანდიურ-ქართული ლექსიკონი“, რომლებიც დამატებულია 1705 წლის, ასევე 1785 წლის გამოცემაში (იხ. გვ. 506—515, 524).

აქედან ცხადი უნდა იყოს. რომ არჩილისა და ერეკლე I-ის, ე. ი. მამისა და ბიძის პორტრეტები, რომლებსაც იცნობდა ვიტცენი, აღექსანდრე ბატონიშვილმა ჩაიტანა პოლანდიაში. აგრეთვე, „პოლანდიურ-ქართული ლექსიკონი“ („Volgt Een Woord—lijst van de Georgiaensche of Iberische sprack“) მისი დახმარებით შეადგინა ვიტცენმა.

აღექსანდრე ბატონიშვილის შემწეობით ეს ახლადდამატებული მასალები (და ზოგიერთი ახალი ცნობა საქართველოს შესახებ). როგორც ვთქვით, ვიტცენმა შეიტანა თავისი შრომის მომდევნო გამოცემაში, რომელიც 1705 წელს ვანხორციელდა. ისინი შესულია აგრეთვე ამ შრომის ავტორის სიკვდილის შემდგომ ვანხორციელებულ 1785 წლის მესამე და უკანასკნელ გამოცემაშიაც.

ჩვენთვის ამჟამად მთავარი მანც ის არის, რომ როგორც არჩილის 1699 წლის ბოლოს თუ დაახლ. 1700 წლის დამდეგს ვიტცენისადმი გაგზავნილი ლათინური წერილიდან საბოლოოდ გავიყვანო. ვიტცენის „სიყვარულისა და შრომის მეოხებით“ პოლანდიაში მე-17 ს. მიწურულს მყოფი აღექსანდრე არჩილის ძე „სხვადასხვა სიკეთით აღვსებულა“, ხოლო ამ „სხვადასხვა სიკეთით აღვსებაში“, ი. სხელტემას და ი. კოპიევსკის ცნობათა შეპირისპირებით, აღექსანდრე ბატონიშვილის მიერ ამსტერდამში სასტამბო ხელოვნების დაუფლებაც უნდა იგულისხმებოდეს.

<sup>31</sup> ვლ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 257.

ასე რომ, არაფერია მოულოდნელი იმაში, თუ პოლანდიდან დაბრუნების შემდეგ სულ მალე შევდებთან ტყვედ ჩავარდნილ ალექსანდრე ბატონიშვილს გამოეჩინა თაოსნობა და სტოკჰოლმში, პენრიკ III კაიზერის სტამბაში ჩამოესხა ქართული ასომთავრული და ნუსხა-ხუცური შრიფტის თავისებური სახეობა, რომლის ანაბეჭდებს ჩვენამდეც მოუღწევია და დღეს შვეციაში — სტოკჰოლმის სამეფო და უპსალას საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებშია დაცული.

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითები სავსებით საკმარისია, რათა, მკითხველისათვის ცხადი გახდეს, თუ რამდენად სარწმუნოა კვლავ ძველი პოზიციების დასაცავად პროფ. ჯ. ვათეიშვილის მიერ წარმოდგენილი „დასუსტებანი და დამატებითი კომენტარები... უნგრელი მეცნიერის რ. დანის საინტერესო აღმოჩენასა და ამსტერდამული და სტოკჰოლმური ქართული ანაბეჭდების შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით, რომლებმაც არამცირედი როლი ითამაშა რუსეთში პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოცემაში“<sup>32</sup>.

\* \* \*

როგორც დავინახეთ, რობერტ დანი ამსტერდამში აღმოჩენილი კიშისეული ქართული სასტამბო ანაბეჭდისადმი მიძღვნილ ორივე წერილში მისი მხოლოდ ზოგადი (ტექნიკური) აღწერილობით კმაყოფილდება. ამასთან, რაც მთავარია, მას არ უცდია სასინჯ ფურცელზე აღბეჭდილი ქართული ტექსტების ამოკითხვა და მათი რაობის გარკვევა. როგორც თვითონვე აღიარებს, იგი მათ ვერც კითხულობს (ამ საქმეში მას თურმე ეხმარებოდნენ უნგრელი ქართველოლოგები მარგიტ ბირო და მარტონ იშტვანოვიჩი). ამითაა გამოწვეული, რომ თუ რ. დანის აღწერილობას დაეუჯერებთ, ისე გამოდის, თითქოს ანაბეჭდის „მარცხენა სვეტის ქვედა ნაწილში ვხედავთ ქართული შრიფტის უძველეს სახეობას — ე. წ. მრგლოვანს ანბანითა და სანიმუშო ტექსტის ნაწყვეტებით“, მაშინ როდესაც, სინამდვილეში, აქ არაერთარი სანიმუშო ტექსტის ნაწყვეტი არაა დაბეჭდილი. არამედ უბრალოდ, მთავრული ასოებია ერთმანეთთან მიჯრით მიწყობილი. ლათინური მინაწერის პუბლიკაციაშიც

<sup>32</sup> იხ. Шарадзе Г., Вновь на прежних позициях, «Литературная Грузия», № 5, 1982, с. 133—140.

რ. დანს რამდენიმე შეცდომა გაჰპარკია. რომელიც ხელახლა დაეა-  
ზუსტეთ ლ. ტარდის შემწევობით 1981 წლის აპრილში, ბუდაპეშტში,  
ამ საკითხებზე სამუშაოდ ხელმეორედ ყოფნის დროს. ჩვენ თავიდან  
მოგვიხდა ამსტერდამში აღმოჩენილი მიკლოშ კიშის ქართული სა-  
სინჯი ანაბეჭდის დაწერილებითი და სრული მეცნიერული აღწერი-  
ლობის ჩატარება: ფურცლის ზომაა 31×22 სმ; აქედან 25×19 სმ  
ოთხივე მხრიდან შემოფარგლულია ორნამენტული ჩარჩოთი (ქვედა  
ხაზი გაწყვეტილია სვეტების გაყოლებაზე). ჩარჩოს გარეთ. ზედა  
მარჯვენა კუთხეში გვიანდელი ხელით მიწერილია: „In Bibl. Oct.  
No. 5. Bibl. Amst.“; „ამსტერდამის საჯარო ბიბლიოთეკის კატალო-  
ვის“ (1796 წ., გვ. 167) მიხედვით დადგინდა, რომ ეს მინაწერი აღ-  
ნიშნავს მიკლოშ კიშის მიერ ამსტერდამის ბიბლიოთეკისათვის ნაჩუ-  
ქარი უნგრული ბიბლიის (ამსტერდამი, 1685) სარეგისტრაციო ნო-  
მერს. მაშასადამე, აქედან ირკვევა, რომ თავიდან ეს ფურცელი კი-  
შისეულ ბიბლიაში დებულა (W. K. Gnirrep-ის ცნობით). უფრო  
ქვევით, მთელი ზედა ჩარჩოს გაყოლებით აშიაზე, როგორც ვეფი-  
რობთ, მიკლოშ კიშის ხელით, შესრულებულია ხუთსტრიქონიანი  
ლათინური წარწერა:

„Literae Georganicae, seu Grusinnicae\* vel Mingrelianac,  
Christianorum Graecae\*\* religionis, habitantium ad radices  
Caucasi, inter mare Caspium et Pontum Euxinum de antehac  
manuscriptis solum usurpatae, nunc vero demum figuris et  
proportionibus secundum artis praecepta in ordinem redactis,  
in chalybe et cupro efformatae, de laboribus Typographicis  
aptata\*\*\*, ex commissione Regis (ejusdem nationis) Arschili,  
per Nicol. Kis Hung. Amstelodami, Anno 1687“.

მოგვეავს მისი ქართული თარგმანი:

„ლიტერები ქართული ანუ გრუზინული ან მეგრული, ქრისტიან-  
ული ბერძნული რელიგიის [მიმდევარი], კავკასიონის ძირას, კას-  
პიის ზღვასა და ევქსინის პონტოს შორის [მცხოვრები ხალხისა];  
[ასობი], რომლებიც აქამდე მხოლოდ ხელნაწერებში გამოიყენე-  
ბოდა და მხოლოდ ახლა მოხაზულობისა და პროპორციების მიხედ-  
ვით [და] ხელოვნების გამოყენებით წესრიგში მოყვანილი, ფოლა-

\* რ. დანის აღწერილობაში შეცდომით ამოკითხულია, როგორც: Gra-  
:sinicae.

\*\* რ. დანთან: Graece.

\*\*\* რ. დანთან: Optata.

დითა და სპილენძით ჩამოსხმული, სტამბის სამუშაოებისთვის განკუთვნილი; იმავე ეროვნების მეფის არჩილის შეკვეთით [დამზადებული] ნიკოლ[აუა] კიშის, უნგ[რელის] მიერ. ამსტერდამი, 1687 წელი“).

W. K. Gnrrep-ის მიერ ამსტერდამიდან მოწოდებული ცნობის შემდეგ, ახლა ჩვენთვის აშკარაა, რომ მიკლოშ კიშმა ეს განმარტება — ლათინური ამხანელი წარწერა ქართულ ანაბეჭდს გაუკეთა ამსტერდამის საჯარო ბიბლიოთეკისთვის მის მიერ დაბეჭდილი უნგრული ბიბლიის (ამსტერდამი, 1685) ჩუქების დროს, რომელშიც ჩადებული იყო ორად გაკეცილი ეს ფურცელიც, რომ ევროპელთათვის გასაგები ყოფილიყო ანაბეჭდზე წარმოდგენილი უცნობი ანბანისა და მისი შემქმნელი ხალხის სადაურობა.

ჩარჩოს შიგნით ფურცელზე ორ სვეტად განლაგებულია ხუცური, ასომთავრული ანუ მრგლოვანი და მხედრული ანბანის ასოები სანიმუშოდ მოხმობილ „ლოცვათა“ ფრაგმენტული ტექსტებით, აგრეთვე, ქარაგმის ნიშნიანი სამი და ოთხი ერთი და იგივე ასოებით.

მარცხენა სვეტში 29 სტრიქონია: აქედან 1—19 სტრიქონი უჭირავს შავ ხუცურს, დანარჩენი 20—29-ე სტრიქონი — ასომთავრულს ანუ მრგლოვანს; მარჯვენა სვეტში კი 30 სტრიქონია: აქედან 1—21 სტრიქონი თეთრ ხუცურს ეთმობა, ბოლო 22—30 სტრიქონი — მხედრულს. გათავაზობთ ახალგაზრდა პალეოგრაფ ვალერი სილოგავასთან ერთად ამოკითხულ ამ ტექსტებს დედნისეული წაკითხვების ზუსტი დაცვით:

მ ა რ ც ხ ე ნ ა ს ვ ე ტ ი :  
ხუცური — შავი

- (1) ნათელი სამწუხრო გამოუჩნ
- (2) და მოფთა ბნელისათა ანგელ
- (3) ოზი ქადაგუბა აღესუბისა მო
- (4) წწენა და აღდომასა რ აღა
- (5) ესერა ვ ძილნისაგ აღდაღნი
- (6) ქუქსკენქისა მოქლდნი ღთე
- (7) ბისა ძ ლთა ბემესრნა ქნ მა
- (8) გამოიყვანა მყოფნი
- (9) ააა ააააა ბბბბ ბბბბ გგგ
- გგგგ
- (10) დღღღღ ეეე ე ეეე ვვვ ვვვ ზზზ
- ზზზ

მ ა რ ჯ ე ნ ა ს ვ ე ტ ი :  
ხუცური — თეთრი

- (1) ნათელი სამწუხრო გამოუჩნ
- (2) და მოფთა ბნელისათა ანგე
- (3) ლოზი ქადაგუბს აღესუბისა
- (4) მოწენა და აღდომასა რა
- (5) ლწესერა ვ ძილნისაგ აღღ
- (6) გაღწეუსკენქისა მოქლდნ
- (7) ნი ღთებისა ძ ლთა ბემესრნ
- (8) აქნ მაგამოიყვა მყოფნი
- (9) ააააა ბბბბბბ გგგგგგ
- ღღღღ
- (10) დღღღღ ეეეე ე ეეე ვვვვვვ ზზზზ
- ზზზ



- (11) 000 0-0-0 თბ თბ იიი ი
- კკკ კკკ ლლ
- (12) ლლ ლლ მმმ მმმ ნ ნნნ ნ
- ნნნ ნნნ
- (13) 000 0-0-0 კკკ კკკ ვვე
- ვვე ვვე
- (14) რ რსს რსს ტტტ ტტტ უუუ
- უუუ უუუ ვვვ ვვვ
- (15) ფფ ფფფფ ქქქ ქქქ ლლ ლლ
- ყყ ყყყ
- (16) შშშ შშშ ჩჩჩ ჩჩჩ ცცც
- ცცც ძძძ ძძძძ
- (17) წწწ წწწ ვვვ ვვვ ხხხ
- ხხხ კკკ
- (18) ჯჯჯ ჯჯჯ ჯჯ ჯჯ ჯჯ ჯჯ ჯჯ
- (19) შ შლლლლლლლლლლლლლლ

ასომთავრული (მრგლოვანი):

- (20) ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი ო კ ლ
- (21) მ ო პ ე ნ რ ს ტ უ ქ ფ
- (22) ყ შ ჩ ც ძ წ ჳ ხ ე ჯ ე
- (23) ი ლ ყ ვ შ ქ ე ხ ჩ ე ვ ც კ ყ
- ნ ს
- (24) ჟფტგბქჟებწ ევლ
- (25) პაუღჯქმზბიაც
- (26) ეხტფჟყვეცკჩტქტქ
- (27) პეოთმსუთმთსლქ
- (28) იზქნცმრკვლლ ხწქ
- (29) იუგკაოძლ ეჯლ

- (11) რრრ მმმმმმმმ თთთთთთ
- თთთთთთთთთ
- (12) ლლლლლლლ მმმმმმმ 666-
- რრრრ რრრრ
- (13) ა ბბბბბბბბბ ბბბ ბბბბ
- ბბბ
- (14) ვვევე რრრრრრ რსსსს ტტტ-
- ტტტ ბბბ
- (15) უუუუუ უუუუუუ ფფფფფფფ
- ქქქქქქქ
- (16) ლლლლლლ ყყყყყყყ შშშ-
- შშშშშშშშშშშ
- (17) ცცცცც ძძძძძძ წწწწწწწ
- კკკკკ
- (18) ჳჳჳჳჳჳ კკკკკკკკკკკკკკ
- (19) მმმმმმმ მუუუუუუუუუუუუ
- (20) ფჳლქელქლლლლლლლლლლ
- (21) ლქქქელქლლლლლლლლლლლლ

მხედრული:

- (22) ღოო.. ყოელის.. მკყრობელი..
- შემ
- (23) ოქმელი.. ცისა.. და: ქვეყანისა-
- ვიო..
- (24) ყოელისა.. კაცოა.. შეუძლებელს
- (25) და.. მოყვონებელისა.. აბღუენ-
- ქოი
- (26) კლმნოპერსტფქლშჩქჟებქცქმშ
- (27) ლილმშპკრმობელამერბრიპსბბთლ-
- ბოლ
- (28) ზილმშვიისისპთლქმქბლიპიპიპიპი
- (29) ქაღლმთმმწიოქტრტლწჩქჟხსსმც
- (30) კლქნტოქბბსდღყნწნაღქლქყჩჩჩ.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ხუცური — η (ე) და ყ (უ), ზ (ლ) და ზ(პ), ა (ო) და პ (ლ), ყ (ბ) და ყ (შ), წ (დ) და შ (მ). აგრეთვე, მხედრული — ო და თ, უ და ყ ასოების გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე, და ამასთან, ქართული ენის უცოდინარობის გამო, მიკლოშ კიშს მისთვის გაუგებარი ტექსტების აწყობისას შეცდომები დაუშვია (ალარ ვლაპარაკობთ ზოგჯერ სრულიად უადგილოდ დასმულ ქარაგმის ნიშნებზე). თუმცა, ჩვენ ეს შეცდომები უფრო გამოგვაღვაძება იმის უეჭველ საბუთად, რომ აღნიშნული ანაბეჭდი მართლაც მიკლოშ კიშის მიერ არის აწყობილი.

დავიწყით, პირველ რიგში, შავი და თეთრი ხუცურით აწყობილი ერთი და იგივე ლოცვის ტექსტით „ნათელი სამწუხრო გამოუჩნდა...“. ჩვენ მას ასე აღვადგენთ:

- (1) ნათელი სამწუხრო გამოუჩნ-
- (2) და მ[ყ]ოფთა ბნელისათა. ანგელ-
- (3) ოზი ქადაგებს \* აღვსებისა \*\* მო-
- (4) წევნა[სა] და აღდ[გ]ომასა, რ[ამეთუ] აპა \*\*\*
- (5) ესერა ვ[ითარცა] ძილისაგ[ა]ნ \*\*\*\* აღდგა ღ[მერთი].
- (6) ქუჴსკენლისა \*\*\*\*\* მოქლონნი \*\*\*\*\* ღ[ვ]თ[ა]ე-
- (7) ბისა ძ[ა]ლითა შემუსრნა \*\*\*\*\* ქ[არისტემა]ნ  
და \*\*\*\*\*
- (8) გამოიყვანა მყოფნი [მას შინა].

ახლა მხედრული ტექსტი:

- (1) ღ[მერ]თო ყოვლის მპყრობელო შემ-
- (2) ოქმედო ცისა და ქვეყანისაყო
- (3) ყოვლისა კაცთა \* შეუძლებელის
- (4) და მოუგონებელისა \*\*

დედანშია:

- \* ქადაგებს.
- \*\* აღვსებისა.
- \*\*\* ალა.

\*\*\*\* შავი ხუცურით აწყობილ სვეტში აქ ძ-ს შემდეგ მოსალოდნელი ი-ს ნაცელად (როგორც ეს თეთრი ხუცურით აწყობილ ნაწილშია), ჩასმულია გრაფემა „, რომელიც არც ანბანში არ გვხვდება და არც სადმე სხვაგან მთელ ტექსტში. როგორც ჩანს, ეს არის სომხური „ო“, რომელიც აქ შემთხვევითაა მოხვედრილი. მიკლოშ კიშმა, ნუსხური ი-ს (7) ნაცელად, ალბათ, მექანიკურად, მხედრული ი-ს მსგავსი, ოღონდ კუთხოვანი მოხაზულობის ასო ჩასვა სომხური შრიფტიდან, რომელიც სომხურ ანბანში აღნიშნავს ო-ს. ეს კი დევერთი საბუთია იმისა, რომ ანაბეკდზე წარმოდგენილი ქართული შრიფტი (1687 წ.) მიკლოშ კიშს სწორედ სომხური შრიფტის ჩამოსხმის (1684 წ.) შემდეგ აქვს დაშვადებული და ქართული ხუცური შრიფტის კიშისეული სტილიზაცია და ეროვნული ფორმებიდან ცალკეული გადახვევა ამით უნდა აიხსნას.

- \*\*\*\*\* ქუჴსკენებისა.
- \*\*\*\*\* მოქლონნი.
- \*\*\*\*\* ბემესრნა.
- \*\*\*\*\* მჲ

- \* დედანშია: კაცთა
- \*\* მოყვონებელისა.

რაც შეეხება ანაბეკდზე წარმოდგენილ კიშისეულ ასომთავრულს ანუ მრგლოვანს, ამ შრიფტით მხოლოდ ანბანის ცალკეული ასოებია წარმოდგენილი, ხოლო საკუთრივ რაიმე ტექსტი, წინააღმდეგ რ. დანის აღწერილობისა, აქ არ გვხვდება.

ახლა თვით ანბანისა და მისი რიგის შესახებ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ანაბეკდზე ხუცური (შავი და თეთრი შრიფტი). მრგლოვანი და მხედრული ანბანის რიგი სწორად არ არის წარმოდგენილი. ქართული ანბანის ფაქტიური რიგი კი ასეთია: ა ბ გ დ ე ვ ზ ც თ ი კ ლ მ ნ ძ ო პ ყ რ ს ტ ვ ფ ქ ლ ყ შ ჩ ც ძ წ კ ხ ჯ ჭ კ მ. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ხუცური და მრგლოვანი შრიფტის ანბანი მ. კიშს მთლიანად ჩამოუსხამს, მხედრულს კი აკლია ძ და კ.

## დასკვნა

წიგნში, რომელიც ამჟამად ტილოს სასახლეში ინახება, შპარვენ-

---

<sup>3</sup> როგორც ე. გრენის ერთი ნაშრომიდან („Bidrag till Michael Enemans biografi“, Uppsala, 1945) ვიგებთ, ეს ოლოვ რუდბეკი სიმამრი ყოფილა პროფ. მიხეილ ენემანისა, რომელსაც 1709-12 წლებში აღმოსავლეთში უმოგზაურია და შვეციაში თან ჩაუტანია რამდენიმე ქართული წიგნი ვახტანგისეული თბილისის სტამბისა, რომელიც, ვფიქრობთ, ო. რუდბეკის ხელში მოხვედრილა. გ. შ.

<sup>4</sup> ო. რუდბეკის ეს ბეჭდური შრომა უთუოდ უნდა გაისინჯოს, როგორც ქართულ-შვედური მეცნიერული ურთიერთობის ერთ-ერთი პირველი დოკუმენტ-თავანი. — გ. შ.

ფელდმა გააკეთა ჩანაწერი არჩილის შესახებ<sup>5</sup>. ამ ჩანაწერიდან ჩანს, რომ არჩილმა შპარვენფელდს მისცა დავალება, ჩამოესხმევინებინა შრიფტი ქართული სტამბისათვის, რომლის დაარსებაც მეფეს განზრახული ჰქონდა და სთხოვა, ნება დაერთო კიშისათვის ამსტერდამში დაემზადებინა შრიფტი.

აქ მოხსენიებული კიში იყო თავისი დროის ყველაზე გამოჩენილი შრიფტის ჩამომსხმელი. მისტოტვალუში კიშ მიკლოშ, ანუ ნიკოლაუს კიში მისტოტვალუშელი, როგორც მისი სახელიდან ჩანს, უნგრელი იყო. იგი დაიბადა 1650 წელს, ეხლანდელ რუმინეთში, კოლოეჟარის (კლუჟის) მახლობლად მდებარე პატარა სოფელში, ღარიბი მშობლების ოჯახში.

კიში გაემგზავრა თეოლოგიის შესასწავლად პოლანდიაში, სადაც მოგვიანებით წიგნის ბეჭდვის ხელოვნებას ეუფლება, რათა დაბეჭდოს ბიბლია უნგრულ ენაზე.

შრიფტის ჩამოსხმის ხელოვნება კიშმა ამსტერდამში შეისწავლა ბლაუსთან და მალე გაითქვა სახელი. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია უნგრული ე. წ. „ოქროს ბიბლია“, რომელიც ამსტერდამში დაიბეჭდა 1684 წელს. 1689 წელს იგი დაბრუნდა უნგრეთში და დასახლდა კოლოეჟარში, სადაც იგი სიკვდილამდე, 1702 წლამდე ცხოვრობდა.

ლინჩოპინგის საეპარქიო ბიბლიოთეკაში ინახება ორი წერილი ლათინურ ენაზე კიშის მიერ მიწერილი შპარვენფელდისადმი. მათში ლაპარაკია ქართულ შრიფტთან დაკავშირებულ სამუშაოებზე. ეს წერილები იმდენად საინტერესოა, რომ იმსახურებენ სრულად მოყვანას...<sup>6</sup>

ამან არ უნდა გამოიწვიოს ეჭვი, რომ ის შრიფტები, რომლებიც კიშის წერილებშია მოხსენიებული, იგივე არ არის, რაც კაიზერმა. საცდელ ანაბეჭდში გამოიყენა.

პირდაპირ არ არის მითითებული, რომ აქ ქართულ შრიფტებზეა ლაპარაკი, მაგრამ აღწერილობები სამი შრიფტის სახეობისა საკმაოდ ეთანხმება საცდელ ანაბეჭდს და ყველა ნართაული კიდევ უფრო განამტკიცებს ამ აზრს. ამგვარად, ქართული შრიფტები მზად იყო

---

<sup>5</sup> იგულისხმება შპარვენფელდის ნაქონი წიგნი: Herbelot, Bibliothèque Orientale, Paris, 1697. გ. შ.

<sup>6</sup> აქ მოყვანილია შეედური თარგმანები კიშის მიერ შპარვენფელდისადმი გაგზავნილი ლათინური წერილებისა, რომლებიც ზემოთ უკვე მოვითანეთ. გ. შ.

1687 წელს, მაგრამ როგორც ჩანს, არსებობდა განსაზღვრული სიძნელეები ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

სწორედ ამ წელიწადს შპარვენოვიცის მოსკოვი დატოვა. მომდევნო წელს კი არჩილ მეფე გაემგზავრა სამშობლოში დაკარგული სამეფო ტახტის დასაბრუნებლად. იგი მოსკოვში 1698 წლამდე აღარ დაბრუნებულა. ცხადია, შრიფტები არ შეისწავლიდა გაგზავნილიყო რუსეთში და ამგვარად, ისინი სტოკჰოლმში დარჩა.

სავარაუდოა, რომ ეს ეგზოტიკური შრიფტები შპარვენოვიცის ჰქონდა, მაგრამ არ იყენებდა, არც არავინ სარგებლობდა ამ შრიფტებით, სანამ სტოკჰოლმში შემთხვევით არ გამოჩნდა კაცი შორეული საქართველოდან, რომელიც ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული ამ შრიფტების მოძებნითა და გამოყენებით. ეს იყო არჩილ მეფის შვილი — ალექსანდრე. იგი არტილერიის გენერალი იყო რუსეთის არმიაში და 1700 წელს ნარვასთან ტყვედ ჩაუვარდა შვედებს. სხვა ტყვე რუს გენერლებთან ერთად იგი სტოკჰოლმში ჩამოიყვანეს.

ალექსანდრე არჩილის ძე 1710 წლამდე სტოკჰოლმში იმყოფებოდა, 1705—1706 წლების გარდა, როცა „Prinsen av Meliten“. როგორც მას დოკუმენტებში უწოდებენ, პატიმრად იყო ლინჩოპინგის ციხეში. ბოლოს, 1710 წელს, იგი თან გაჰყვა ტყვე რუს ოფიცრებს, რომლებიც უმეოვს გავლით ობოში უნდა გამგზავრებულიყვნენ და იქიდან რუსეთის საზღვრამდე მიხულიყვნენ. სადაც ტყვეები უნდა გაეცვალათ, მაგრამ გზაში ალექსანდრე ავად გახდა და გარდაიცვალა პიტეოში.

ტყვეობაში ყოფნისას ალექსანდრეს მიმოწერა ჰქონდა მამასთან. არჩილი ამ დროს უკვე მოსკოვში იმყოფებოდა. ბევრი მათგანი ამ წერილებისა თარგმნილია და სახელმწიფო არქივში ინახება. როგორც შემონახული დოკუმენტებიდან გამომდინარეობს, ალექსანდრეს კავშირი ჰქონია აგრეთვე შპარვენოვიცთან.

მამის მეშვეობით ალექსანდრემ შეიტყო შრიფტების არსებობა და უდავოდ მანვე მოაწყო საცდელი ანაბეჭდების დამზადება. კანცელარიის კოლეგიის 1703 წლის 29 ოქტომბრის ოქმში ვკითხულობთ: „ინსპექტორმა ანუ ოფიციალურმა თარგმანმა ლინდმანმა კოლეგიას წარუდგინა პაკეტი ქართული შრიფტებისა, რომელიც ტყვე „Prinsen av Meliten“-მა ჩამოასხმევინა რამდენიმე ალფაბეტად ქართულ ენაზე. აქვეა დუბლიკატი ანუ ანაბეჭდი იმავე შრიფტებისა. ლინდმანმა შეამდგომლობა სთხოვა კოლეგიას, რათა ნება

დაერთო გადაეგზავნა შრიფტები მოსკოვში. რეზოლუცია: კოლეგიას არ შეუძლია სენატთან შეთანხმების გარეშე გადაწყვიტოს ეს საკითხი“.

საქმე, როგორც ჩანს, არ მისულა სენატამდე. ყოველ შემთხვევაში, ოქმში ცნობები ამის შესახებ არ მოიძებნება. საქმე ატარებდა არაოფიციალურ ხასიათს და შესაძლოა, არალეგალურად მოგვარდა, რადგანაც „Miletiske Printzen“-ის წერილში ბატონი მამისადმი, რომელიც 1703 წლითაა დათარიღებული, ვკითხულობთ:

„ასოები ჩვენს ენაზე უკვე დიდი ხანია მზადაა, მაგრამ გამოგზავნა ვერ ვადამიწყვეტია, მეშინია, რაიმე უსიამოვნებას არ ჰქონდეს ადგილი გზაზე“.

სავარაუდოა, რომ ის შრიფტები, რომლებიც „რუსთა თარჯიმანმა“ ლინდმანმა კანცელარიის კოლეგიაში წარადგინა, იდენტურია კიშის მიერ ამსტერდამში ჩამოსხმული შრიფტებისა.

თვითონ ალექსანდრეს რომ ჩამოესხა ეს შრიფტები, როგორც ამას ლინდმანი ამტკიცებს, დაუჯერებელია. ვან სელოვის მოღვაწეობიდან — მე-17 საუკუნის შუა ხანებიდან 1739 წლამდე, როცა მომამ დააარსა შრიფტის საჩამოსხმელო, სტოკჰოლმში არ არსებობდა ასეთი სახელოსნო. ლინდმანის გამონათქვამი ისე უნდა გავიგოთ, რომ ალექსანდრე იყო კანონიერი მემკვიდრე შრიფტებისა, რომელთა შესახებ აქ არის ლაპარაკი.

დუბლიკატი ანუ ანაბეჭდი, როგორც ისინი ერთდროულად წარმოგვიდგება, ის საცდელი ანაბეჭდი უნდა იყოს, რომელიც კაიზერის სტამბაში დაიბეჭდა.

სავსებით შესაძლებელია, რომ სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში ამჟამად ის ეგზემპლარი ინახება, რომელიც მაშინ იყო წარმოდგენილი.

ასეთ შემთხვევაში, პალმშიოლდის დათარიღება არ არის სწორი. შესაძლოა, რომ ახალი ანაბეჭდი ჩამოისხა ორი წლის დაგვიანებით, თუმცა, არც ეს არ არის მთლად სწორი. არ არის დაზუსტებული, გადაუგზავნა თუ არა ალექსანდრემ ქართული შრიფტები მამას. ყოველ შემთხვევაში, მეფე არჩილს ისინი ხელთ არასოდეს ჰქონია. სხვა ცალი იგივე საცდელი ანაბეჭდისა და მისი გამოყენების შემთხვევა, ცნობილი არ არის.

მას შემდეგ რაც წარმოდგენილი გვქონდა ქართული საცდელი

ანაბეჭდოსა და შრიფტების ისტორია, იგი შეიქმნება შეტანილ იქნას ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

## მ. „პრინც მელიტე“, შვედი მოგზაური და ვახტანგ მეექვსე

მართალია, გეორგიევსკში, საქართველო-რუსეთის მეგობრობის ხელშეკრულება 1783 წელს დაიდო, მაგრამ ამ ორი ერთმორწმუნე მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ისტორიული ურთიერთობის ფესვები საუკუნეთა სიღრმეში იკარგება.

განსაკუთრებით გაცხოველდა მათ შორის კავშირი მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და მე-18 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, როდესაც ჯერ არჩილ მეფისა და შემდეგ ვახტანგ მეექვსის ქართული ინტელექტუალური ლაშქრითურთ (საკმარისია, ამ მხრივ. თუნდაც, სულხან-საბას და ვახუშტის დასახელება) რუსეთში ჩასვლამ მყარი საძირკველი ჩაუყარა მოსკოვის ქართულ ახალშენს. რუსეთი ვახდა, ასე ვთქვათ, ფანჯარა საქართველოს ევროპაში გადასახედად და თავის მხრივ, საქართველოზე ევროპელთა კიდევ უფრო მეტი გაფაციცებით თვალყურის სადევნებლად. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც სკანდინავიის ქვეყნები, კერძოდ, შვეცია, რასაც მოწმობს ქართულ-შვედური კულტურულ-ლიტერატურული და ისტორიული ურთიერთობის ამსახველი ახლადგამოვლენილი მასალები.

\* \* \*

შორეული საქართველოსადმი შვეციაში ინტერესის გაღვივება უკავშირდება 1700 წელს პეტრე I-ის უახლოესი თანამებრძოლის, რუსეთის პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერის ანუ რუსეთის არტილერიის პირველი მთავარსარდლის — ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის ნარვასთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნის შემდეგ სტოკჰოლმში ჩაყვანას, სადაც მან თითქმის ათი წელი დაჰყო (გარდა 1705—1706 წლებისა, როდესაც იგი ლინჩოპინგის ციხეში იმყოფებოდა).

1710 წელს კი, როგორც ცნობილია, ერთადერთი ცოცხლადდარჩენილი ვაჟის გამოსახსნელად მოხუცი გვირგვინოსანი მამის — არჩილის მრავალგზის თხოვნამ და სიყრმისდროინდელ მეგობრის, რუსეთის ძღვევამოსილ იმპერატორის პეტრე I-ის ენერგიულმა ჩარევამ

ბოლოს და ბოლოს ნაყოფი გამოიღო: ალექსანდრე ბატონიშვილი სტოკჰოლმიდან ფინეთს გაემგზავრა, სადაც უნდა მომხდარიყო მისი გაცვლა რუსეთში ტყვედ ჩავარდნილ მაღალი ჩინის შვედ სამხედრო პირებზე, მაგრამ გზაში, ჩრდილოეთ შვეციის ქალაქ პიტეოში, 1711 წელს, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

სიბერეგამწარებულ არჩილს თავისი სახელოვანი შვილის ნეშტის მოსკოვს გადმოსვენება არანაკლებ ტანჯვად დაუჯდა, და საბოლოოდ, 1712 წელს, რუსეთისათვის თავდადებული ქართველი უფლისწულის დონის მონასტერში გაკრილმა პირველმა საფლავმა სათავე დაუდო რუსეთის ძველ სატახტო ქალაქში ბაგრატიონთა და სამშობლოდან ლტოლვილ სხვა მამულიშვილთა ქართულ საქვალეს.

ჩრდილოეთის ომის (1700—1721) მრავალწლიან ეპოპეაში რუს და ქართველ მეომართა საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიის ფურცლებს ერთი უშესანიშნავესი ქართველის ტრაგიკული ცხოვრების ეპიზოდებიც ავსებს...

1700 წლის 19 ნოემბერს, ნარვასთან მებრძოლ თანამემამულეთაგან (ბეჟან შიოშვილი და სხვები) ცოცხლად გადაჩენილ უმცროსი ძმის მამამძიძე ზაალ გარაყანიძესა და მოგვიანებით მასთან ჩასულ ცნობილ ლიტერატორ ბაგრატ სოლოლაშვილთან ერთად სტოკჰოლმში მყოფი ბრწყინვალე „პრინც ავ მელიტე“ — „მელიტელი პრინცი“, ანუ იმერელი პრინცი, როგორც აქ ალექსანდრე ბატონიშვილს უწოდებდნენ (მამამისი — არჩილ მეფე ხომ მთელი სიცოცხლე იმერეთის ტახტის მაძიებლად დარჩა!), საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. ამას მოწმობს თუნდაც უკანასკნელ ხანს (ჯ. ვათეიშვილი, ფ. სიხარულიძე) გამოვლენილი ალექსანდრე ბატონიშვილის ორი მშვენიერი პორტრეტი, რომლებიც გამოჩენილ შვედ მხატვრებს — ელიას ბრენერს და მარტინ მიუტენსს შეუსრულებიათ.

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ქართველი ბატონიშვილი უცხოეთშიაც არ წყვეტდა მშობლიურ კულტურაზე ფიქრს და ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობით ამდიდრებდა მას; გარდა ამისა, ზრუნავდა მამის ოცნების ბოლომდე მიყვანისთვის — ქართული სასტამბო შრიფტის შექმნასა და ჩამოსხმაზე.

სწორედ სტოკჰოლმში ყოფნისას გაუცვნია ტყვე უფლისწული თავისი დროისათვის გამოჩენილ შვედ მეცნიერს პროფესორ მიხეილ ენემანს (1676—1714), რომელიც, ჭაერთოდ, აღმოსავლეთის ქვეყნე-

ბის შესწავლით ყოფილა იმეამად გატაცებული, და ბუნებრივია, კავ-  
კასიონის მთების ძირში მდებარე საოცნებო ქვეყნის შესახებ უფრო  
დაწვრილებითი ცნობების შეგროვების ასეთ ბედნიერ შემთხვევაა  
იგი ხელიდან არ გაუშვებდა.

მიხეილ ენემანი არ დაკმაყოფილებულა ალექსანდრე ბატონი-  
შვილისაგან სტოკჰოლმში მიღებული ცნობებით და შემდეგში აღმო-  
სავლეთის ქვეყნებში მოგზაურობისას შეუგროვებია დამატებითი  
ცნობები საქართველოზე, კერძოდ, ვახტანგ VI-ზე, თბილისის ვახ-  
ტანგისეულ სტამბასა და იქ დაბეჭდილ ქართულ წიგნებზე. ყოველი-  
ვე ამის შესახებ ჩვენ ვიგებთ შვედი სპეციალისტის ერიკ გრენის ნა-  
შრომიდან „მიხეილ ენემანის ბიოგრაფიისათვის“, რომელიც შვედურ  
ენაზე არის გამოქვეყნებული 1945 წელს, შვეციის ქალაქ უქსალანს  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შრომების მე-5 ტომში (გვ. 445 —  
494).

ერიკ გრენის ეს დიდად მნიშვნელოვანი შრომა, რომელიც ჩვენში  
სრულიად უცნობია, 1981 წლის ოქტომბერში, ლონდონში სამეცნიე-  
რო მივლინებით ყოფნისას გვისახსოვრა პროფესორმა დევიდ ლანგ-  
მა. მანვე თავისი არქივიდან უშუქრველად დაგვითმო მისთვის უქსა-  
ლაში დატული დოკუმენტების ერიკ გრენის მიერ 1958 წელს გაგ-  
ზავნილი ფოტოპირები და პირადი წერილები, რომელთაც ქვემოთ  
შევეხებით.

ერიკ გრენის შრომის ჩვენთვის საინტერესო ადგილები შვედუ-  
რიდან თარგმნეს პროფესორმა მარგარიტა ვაჩნაქემ და ახალგაზრდა  
სპეციალისტმა მაია უნაფქოშვილმა, ხოლო ბერძნულ-ლათინური ნა-  
წილი — ლევან ბერძენიშვილმა.



თანამედროვენი თურმე ერთსულოვნად აღიარებდნენ მიხეილ  
ენემანის მრავალმხრივ ცოდნას და დაუცხრომელი ძიების წყურ-  
ვილს, ამასთან, ახასიათებენ მას როგორც დაუღალავ და კეთილ-  
სინდისიერ მეცნიერ-მოგზაურს. მისი მოგზაურობის ჩანაწერები  
ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს ახლო აღმოსავლეთში არსებული  
სტამბების, კერძოდ, თბილისში ვახტანგისეული სტამბისა და აქედან  
გამოსული წიგნების ისტორიისათვის, რომლებიც დღესდღეობითაც  
დიდად მნიშვნელოვანია.

1706 წელს მ. ენემანი გერმანიაში მიემგზავრება, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, სხვადასხვა გარემოების წყალობით. აღმოსავლეთის ქვეყნებში მოხვდა: კერძოდ, 1709 წლის 27 ივნისს, პოლტავასთან დამარცხების შემდეგ, იგი ბენდერამდე (დღევანდელ მოლდავეთში) გამოპყოლია თურქებთან თავშესაფრისთვის ლტოლვილ კარლოს XII-ს, სადაც 28 ნოემბრამდე დარჩენილა, ხოლო აქედან იმავე წლის 16 დეკემბერს კონსტანტინოპოლში ჩასულა, შვედ დესპან მ. ნეგებაუ-ერთან. სწორედ ამ დროიდან იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი პერიოდი მიხეილ ენემანის ცხოვრებაში.

კონსტანტინოპოლში შვედი სწავლული ურთიერთობას ამყარებს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებთან, აგრეთვე, მას საშუალება ეძლევა გაეცნოს იმდროინდელ ევროპასა, და კერძოდ, შვეიციაში ძნელად ხელმისაწვდომ აღმოსავლურ ლიტერატურას. მ. ენემანი ბეჯითად სწავლობს, ბერძნულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თურქულ და არაბულ ენებს. იგი არ იფარგლება მხოლოდ ენისა და რელიგიის საკითხებით, მას ეკუთვნის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური თუ სოციალური ხასიათის გამოკვლევებიც, ამასთან, თანამშრომლობდა კონსტანტინოპოლში მცხოვრებ, წარმოშობით უნგრელ, ცნობილ მესტამბესთან იბრაჰიმ მუთაფარიკასთან, რომელმაც თურქეთში შემდეგ პირველი ეროვნული სტამბა დააარსა. 1712 წლის 3 მაისს კარლოს XII-მ მიხეილ ენემანს აღმოსავლური ენების პროფესორის წოდება მიანიჭა.

1710 წლის დასაწყისში მ. ენემანმა ბოსფორის გასწვრივ იმოგზაურა, შემდეგ ზედიზედ მოიარა სმირნა, კაირო, სინას მთა (შემოგვიანა მისი 1694 წლის უნიკალური გრავეურა, რომელიც დღეს უპსალაში არის დაცული და აგრეთვე ათონის მთის ასევე დიდად საყურადღებო 1709 წლის გრავეურა, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ), დამასკო (აქ ანტიოქიის პატრიარქ კირილეს გამოპყიება ცნობები ქართულ ეკლესიაზე), იერუსალიმი..., ხოლო სამშობლოში უნგრეთის, სამხრეთ გერმანიის, პოლანდიის, ჩრდილოეთ საქსონიის... გავლით დაბრუნდა 1714 წლის 5 აგვისტოს. ამ დროისათვის მ. ენემანის ჯანმრთელობა უკვე ძლიერ შერყეული აღმოჩნდა: 1714 წლის 5 ოქტომბერს, 38 წლის ასაკში, მიხეილ ენემანი გარდაიცვალა. მისი ახალგაზრდა ქვრივის — კატარინა რუდბეკის დაუდევრობით, მ. ენემანის მდიდარი ბიბლიოთეკა და ხელნაწერები განიავდა, ხოლო რაც გადარჩა 1717 წელს შეიძინა უპსალას უნივერსიტეტმა და



დღესაც იქ არის დაცული. ენემანისეელი წიგნების ერთი ნაწილი დარჩენია სიმამრს -- ბოტანიკის პროფესორსა და ესთმეცნიერს ოლოფ რუდბეკს, ნაწილი კიდევ ფინეთში გათხოვილ ქვრივს წაუღია და საბოლოოდ ქალაქ ობოს ბიბლიოთეკაში მოხვედრილა. უმრავლესობა კი სხვადასხვა დროს აუქციონებზე გაყიდულა.

\* \* \*

კონსტანტინოპოლში მყოფ მიხეილ ენემანს, ისე როგორც ყველა უცხოელს, ბერძნები თავდაპირველად უნდობლად ექცეოდნენ, მაგრამ მალე ახალგაზრდა შვედ სწავლულს თურმე მათი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. მ. ენემანს მკვიდრო მეგობრობა აკავშირებდა როგორც იერუსალიმის პატრიარქ ზრისანაესთან (იერუსალიმის პატრიარქი ამ დროს კონსტანტინოპოლში იჯდა), ისე კონსტანტინოპოლის პატრიარქ ათანასესთან, მაგრამ მაინც უფრო ახლო ურთიერთობა მას ზრისანთე პატრიარქთან ჰქონია. ეს უკანასკნელი წარმოშობით წარჩინებული ბერძნული ოჯახიდან იყო და ამავე დროს დისშვილი გახლდათ მისი უშუალო წინამორბედის, სახელგანთქმული იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსისა (1669-1707), რომელიც საკმაოდ ცნობილი პირია საქართველოს ისტორიაში და არამცირედი წვლილი მიუძღვის თვით ქართული სტამბის ორგანიზაციაშიც, რომელიც მისი სიკვდილის (1707 წ.) შემდეგ ზრისანთე პატრიარქმა გააგრძელა.

ე. გრენის ცნობით, მიხეილ ენემანისთვის ზრისანთეს თურმე დოსითეოს პატრიარქის მიერ კონსტანტინოპოლში დაარსებულ სტამბაში 1682 წელს დაბეჭდილი წიგნი უჩუქებია, რის შესახებაც მ. ენემანი თავის მოგზაურობის ჩანაწერებში მოგვითხრობს. ეს ფაქტი ადასტურებს დოსითეოს პატრიარქის ინიციატივით კონსტანტინოპოლში 1682 წელს მოწყობილი ბერძნული საპატრიარქო სტამბის არსებობას, რასაც ადრე (1959 წ.) შ. კურდღელაშვილი ვარაუდობდა, ხოლო 1971 წელს თითქოს გამართლდა კიდევ თ. ტივაძის მიერ გამოქვეყნებული დოსითეოს პატრიარქის მანამდე უცნობი ერთი წერილით, რომელიც 1682 წლის 23 სექტემბერს არის არჩილ მეფისთვის გამოგზავნილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც სადავოდ იყო გამხდარი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ო. გვინჩიძე, 1973 წ.).

ამასთან დაკავშირებით, თუ მოვიგონებთ გ. ლეონიძის მიერ ჯერ კიდევ 1951 წელს გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მომავალი დიდი მესტამბე ანთიმოზ ივერიელი თავდაპირველად კონსტანტინოპოლში დაუფლებია სასტამბო ხელოვნებას, ხომ არ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ დოსითეოს პატრიარქი თავის სტამბაში 1682 წელს ქართული წიგნების ბეჭდვის წამოწყებას, რასაც იგი არჩილ მეფეს ზემოდასახელებულ წერილში ატყობინებდა, სწორედ ანთიმოზ ივერიელის იმედით აპირებდა?

იმ დროს, როდესაც მიხეილ ენემანი კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, ქართლს განაგებდა არჩილ მეფის ძმისწული — ვახტანგ VI, მის შესახებ მ. ენემანს, უნდა ვივარაუდოთ (და ამაში გვარწმუნებს ენემანისეული ჩანაწერები, რომელთაც ქვემოთ მოვიყვანთ), ბევრი რაჲ ჯერ კიდევ სტოკპოლში ექნებოდა განაგონი „მელიტელი პრინცი“ — ალექსანდრე არჩილის ძისგან, რომელიც ვახტანგს ღვიძლ ბიძაშვილად ერგებოდა.

მაგრამ ქართული სტამბის ისტორიკოსებისთვის სრულიად უცნობია ის ფაქტი, რასაც პირველწყაროებზე დაყრდნობით ერიკ გრენი გვაწვდის: „ვახტანგ მეექვსე ლიტერატურით ძლიერ დაინტერესებული პიროვნება იყო. სწორედ მან დააარსა სტამბა საქართველოში. ბერძენმა პატრიარქებმა კავშირი დაამყარეს ვახტანგ მეექვსესთან და 1711 წელს ბერძენი პრესვიტერი თეოდორე გაგზავნილ იქნა თბილისს. საქართველოდან დაბრუნების შემდეგ თეოდორე ზრისანთე პატრიარქის მდივანი (პროტოსინკელოსი) გახდა. აქ [კონსტანტინოპოლში] იგი შეხვდა ენემანს და მიაწოდა რამდენიმე ცნობა საქართველოს შესახებ. ეს ცნობები ენემანმა თავის უბის წიგნაკში ჩაიწერა“.

აქვე ვაქვეყნებთ მ. ენემანის მიერ ლათინურ ენაზე შესრულებულ ამ ჩანაწერების ზოგიერთ ადგილს:

„თბილისში აქვთ სტამბა ბატონიშვილ ვახტანგისა. [რომლის გვირგვინოსანი ბიძა იმერეთის მეფე არჩილი] მეუღლესთან ერთად გაექცა სპარსეთის შაჰს მოსკოვის მეფე პეტრე ალექსევიჩთან. მისი [არჩილის] ვაჟი ალექსანდრე, შვეციაში ტყვედ იყო. ეს ალექსანდრე იყო ბიძაშვილი ვახტანგისა და უფლისწული ქართლისა და კახეთისა. ვახტანგმა დააარსა სტამბა, რომ გამოეცა სახარება, ეპისტოლენი და ზოგიერთი სხვა და ზრუნავს ახლაც რომ გამოსცეს... ბერძენი

პრესვიტერი თეოდორე 1711 წლის ივლისში დაბრუნდა თბილისიდან ანატოლიის გავლით... თბილისსა და ტრაპიზონს შორის 20 დღის სავალი გზაა... სამშობლოში დაბრუნებისას თეოდორე იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთეს პროტოსინკელოსი გახდა, რომელიც 1711 წლის 12 აგვისტოს ჩემთან მოვიდა საჩუქრითურთ. მას თან ჰქონდა ქართული წიგნი... ანტიოქიის პატრიარქმა კირილემ, რომელიც დღეს დამასკოში ზის, 1712 წლის ოქტომბერში ზოგი რამ მიამბო საქართველოს ეკლესიაზე“.

ჩვენ ზუსტად არ ვიცით (ეს არც ე. გრენის სიტყვებიდან და არც მ. ენემანის ცნობებიდან არ ჩანს ნათლად), „ბერძენი პრესვიტერი თეოდორე“ 1711 წელს (თუ უფრო ადრე) ხრისანთე პატრიარქმა თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოგზავნა სამუშაოდ თუ ქართლის მეფესთან (გამგებელთან) მას რაიმე საეკლესიო საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. მაგრამ აქ მოწოდებულ სხვა არანაკლებ საინტერესო ცნობის თანახმად, 1711 წლის ივლისში თბილისიდან კონსტანტინოპოლში უკან დაბრუნებულ ბერძენ პრესვიტერ თეოდორეს თან ჩაუტანია ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი ქართული წიგნი, რომელიც იმავე 1711 წლის 12 აგვისტოს ამ დროს იქ მყოფ მ. ენემანისთვის უჩუქებია, ხოლო ამ უკანასკნელს იგი შვეციაში ჩაუტანია.

საინტერესოა, ვახტანგისეული სტამბის რომელ ქართულ წიგნზე არის აქ საუბარი?

ე. გრენი წერს: „1717 წელს ბენზელიუსმა შეადგინა მ. ენემანის ნაქონ წიგნების სია... მათ შორის დიდ ინტერესს იწვევს ენემანის მიერ შვეციაში ჩატანილი ერთი წიგნი, რომელიც დღესდღეობით, როგორც ჩანს, დაკარგულია. ი. პ. ლიდენის „ბენზელიუსის კატალოგი“ (სტოკჰოლმი, 1791, გვ. 44, № 98) უჩვენებს წიგნს in — 16 ბერძნული სათაურით; „Εὐχὰρῖστων Ἐπιτομὴ“ ანუ ქებანი ღვთისმშობლისა, ვახტანგის ხელმძღვანელობით, 1711. ეს ვახტანგი ბიძაშვილი იყო ქართველი უფლისწულისა, რომელიც 1700 წლიდან. ნარვასთან მოსკოველთა დამარცხების შემდეგ, ტყვედ იმყოფებოდა შვეციაში. იერუსალიმის პატრიარქმა ხრისანთემ (თუ მისმა პროტოსინკელოსმა თეოდორემ? — გ. შ.) აჩუქა ეს ძვირფასი იშვიათი პატარა წიგნი პროფესორ მიხეილ ენემანს კონსტანტინოპოლში ყოფნისას 1711 წლის აგვისტოში. ლათინურად „Non nullis post impressionem diebus“ [„ყოველი დღე შთაბეჭდილებით“] ენემანს საკუთარი ხელით მიუწერია თხზულების დასაწყისში.

კატალოგში ბენზელიუსი ვკავლევს წიგნის ასეთ ბერძნულ სახელწოდებას: „οι' αμ' ομοιοι: της απερατειας δεσποσινης ηγουν Θεοτοκιας, ταισιν εν ταις Μ:χαηλ ταις Ισραηλ:ικαις. εν Τριετηνι, 1711“. [„24 ტამარი ჩვენი ღირსეული ქალწული ღვთიამშობლისა. დაბეჭდილი მიხეილ იმტვანოვიჩის მიერ, თბილისში, 1711 წელს.“] (უიმპიათესი წიგნაკი)“. სამწუხაროდ, ეს წიგნი ჩვენამდე არ შემონახულა...

ჩანს, ეს წიგნი სამშობლოში წამოიღო პრესვიტერმა თეოდორემ, რომელიც თბილისიდან 1711 წლის ივლისში დაბრუნდა, როგორც ამას აღნიშნავს მ. ენემანი თავის უბის წიგნაკის ჩანაწერში, უწოდებს რა წიგნს საჩუქარს“ (გვ. 489—490).

იმავეა კითხვა: რა წიგნია ეს? ამის გარკვევაში გვეხმარება მე-18 ს.-ის ინგლისელი მწიგნობრის ჯ. ჩემბერლენის ამსტერდამში 1715 წელს დაბეჭდილი ერთი კრებული.

საქმე ისაა, რომ კონსტანტინოპოლიდან სამშობლოში (შვეიციაში) მიმავალი პროფ. მიხეილ ენემანი, ე. გრენის ცნობით, „უტრეხტის შემდეგ ამსტერდამს სწევია. აქ იგი შეხვედრია ინგლისელ სწავლულს ჯ. ჩემბერლენს, რომელსაც ენემანმა ქართული წიგნის — „პედაგოგიის“ ერთი ეგზემპლარი აჩვენა. ამ წიგნიდან ჩემბერლენმა თავისი კრებულისთვის გადაიწერა „მამაო ჩვენო“ ქართულად, შესრულებული ხ უ ც უ რ ი ასობით. ჩემბერლენის კრებული „Oratio dominika in diversas omnium fere gentium linguas versa“ ამსტერდამში გამოიცა 1715 წელს“ (გვ. 479).

აი, სწორედ ამ კრებულის შესავალში, მე-13 გვერდზე ჯ. ჩემბერლენი შემდეგს მოგვითხრობს: „ქართული „მამაო ჩვენო“ ამოვიღე წიგნიდან, რომლის სათაურია „Иαδμαγυα“ ქართულ ენაზე, 1711 წელს, თბილისში დაბეჭდილი მიხაილ იმტვანოვიჩის მიერ. უგანათლებულესმა და უჭმანურესმა ბატონმა ენემანმა, რომელსაც შვეიციის მეფემ [კარლოს XII-მ] ბენდერაში ყოფნისას მინიჭა აღმოსავლეთმცოდნეობის პროფესორის წოდება, [ეს ამბავი] ამსტერდამში მაუწყა“.

ე. გრენისთვის, სრულიად სამართლიანად, ახალი კითხვა წამოქრია: „Иαδμαγυα“ იგივეა, რაც „Ευχαριστηρια Θεοτοκιας“ თუ ისინი სხვადასხვა წიგნებია? „ის ფაქტი, რომ ბერძნული სათაურები ხელით არის ნაწერი და არა დაბეჭდილი, ეს საკვებით ნათელიაო“ — შენიშნავს ე. გრენი და განაგრძობს: „ჯერჯერობით ძნელია დაბეჭი-

თებით ითქვას, აქ ერთ წიგნზეა ლაპარაკი თუ ორზე. თუმცა ერთი მათგანი მაინც ლიტურგიკული პიძნების კრებული უნდა იყოს, მაშინ როდესაც „პედაგოგია“, სათაურის მიხედვით თუ კომპაქტულებზე, თავისებური კატეხიზისი ანუ სასწავლო წიგნი უნდა იყოს (სხვათა შორის, ჩემბერლენის ცნობით, იგი ხომ „მამაო ჩვენოს“ შეიცავს. ხოლო ბენზელიუსის კატალოგის მიხედვით, ლეთისწმობლის ქებაში „მამაო ჩვენოს“ არსებობდა არაა მოსალოდნელი).

ამით მთავრდება ე. გრენის 1945 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში პროფესორ ენემანის ნაქონი ვახტანგისეული სტამბის ქართული წიგნის (თუ წიგნების) შესახებ საუბარი, მაგრამ როგორც ირკვევა, მ. გრენი მიღწეულით არ დაკმაყოფილებულა და კვლავ გაუგრძელებია აღნიშნული მიმართულებით კვლევა-ძიება.

ამის თაობაზე საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ერიკ გრენისა და კორნელი კეკელიძის ფრანგულ-რუსულ მიმოწერაში, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ დიდი ქართველი მეცნიერის პირად არქივს შემოუნახავს (№№ 442, 340, 443).

1947 წლის 20 სექტემბერს უპაალადან გამოგზავნილ ერიკ გრენის წერილში დასმული კითხვის პასუხად აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე იმავე წლის 12 დეკემბერს წერს შვედ მეცნიერს: „ენემანის მიერ აღმოსავლეთიდან წაღებული თხზულება „Πατριάρχης“ დღეს აღარადა არ გვხვდება. ასეთი თხზულება, ბერძნული სათაურით, თბილისის [ვახტანგისეული] სტამბიდან არ გამოსულა. მე ვფიქრობ, რომ აქ ორი რამ არის ერთმანეთში არეული: 1711 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა ქართველი მონაზვნის გერმანეს თხზულება „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“. მასში შესულია სხვადასხვა ლოცვები (მათ შორის, „მამაო ჩვენო“) და შვიდი საიდუმლოს სწავლა. ჩანს, როცა მ. ენემანმა მიიღო ეს წიგნი, ორიენტაციისთვის, ბერძნულად წაუწერეს მისი შინაარსის ამხსნელი სათაური, ხოლო ენემანისეული მეორე წიგნი „Εὐχαριστήριον Θεοῦ“ სხვა არა არის რა, თუ არ ბერძნული „Ἀχάριστος“, ქართულად „დაუჯდომელი“. მე-18 საუკუნეში ეს თხზულება არაერთხელ დაბეჭდილა ჩვენში, 1711 წლის გამოცემა კი დღეს არსად იპოება, თუმცა, პროფესორ ალ. ცაგარლის მითითებით, იგი არსებულა (Сведения., вып. I, 1886, стр. XL). ყოველ შემთხვევაში

„*Паѣдѣყაყა*“ და „*Еსჯარაძეყა*“ არ არის ერთი და იგივე ნაწარმოები“.

მაშასადამე, კ. კეკელიძის დასკვნით, მიხეილ ენემანს თავის დროს ვახტანგისეულ სტამბაში დაბეჭდილი ორი სხვადასხვა ქართული წიგნი უნდა ჰქონოდა შვეციაში ჩატანილი: აქედან პირველი, „*Паѣდѣყაყა*“ იგივე გერმანე მღვდელ-მონაზონის 1711 წელს დაბეჭდილი თხზულება „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მწაფისა“ უნდა იყოს, ხოლო „*Еსჯარაძეყა* *Мѣთოძის*“ იგივე „დაუჯდომელი“, რომელიც 1711 წელს, პროფ. ალ. ცაგარლის ცნობით, მართლაც დაბეჭდილა თბილისში, მაგრამ ახლა აღარსად მოიპოვებაო.

ე. გრენი 1948 წლის 8 თებერვლის საპასუხო ბარათში მთლიანად აზიარებს კ. კეკელიძის ამ დასკვნას და მადლობას უხდის დიდ ქართველ მეცნიერს მიწოდებული ცნობებისათვის. კ. კეკელიძის აღნიშნულ ცნობებს ე. გრენი იმეორებს ლ. ლოკარტისა და დ. ლანგვალინი 1958 წლის 14 ნოემბერსა და 5 დეკემბერს უპსალადან ლონდონს მიწერილ წერილებში, რომლებიც ამას წინათ დ. ლანგმა გადმოკვეცა.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ შეხედულებას. ვფიქრობთ, არ არაუბობს საკმარისი საფუძველი „პედაგოგისა“ და „სწავლანის“ გაივიკებისათვის და აი, რატომ:

ქართული ნაბეჭდი წიგნის პირველი კატალოგის ავტორს ვ. ი. შანშიევს 1883 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში, 1629—1683 წლებში გამოცემულ ქართულ წიგნებს შორის, 117-ე ნომრად „სამეცნიერო თხზულებების“ განყოფილებაში შეტანილი აქვს ანეთი წიგნი: „№ 117. პედაგოგია შედგ. მიხეილ სტეფანოვიჩის მიერ, დაიბეჭდა ტფილისს. 1711 წ; Педагогика, сост. Михаилом Стефановичем, печ. в Тифлисе, 1711 г.“<sup>1</sup>

ხომ გამორიცხულია, რომ „ორიენტაციისთვის“ 1883 წელს ვ. შანშიევსთვისაც ბერძნულად ეთარგმნათ გერმანე მონაზონის „სწავლანის“ სათაური და ბერძნულადვე ხელით მისი შინაარსის ამხანელ წარწერად მაინცდამაინც „პედაგოგია“ დაწერათ, რომელიც ზუსტად ემთხვევა 1710-იან წლებში შვეციაში ჩატანილ მ. ენემანის

<sup>1</sup> Шаншиев В. И., Хронологический указатель книг и брошюр,шедших на грузинском языке с 1629 по 1883, издание Кавказского Иллюстрного Комитета, Тифлис, 1883, с. 15.

ნაქონ წიგნის სათაურს. ამას გარდა, ენემანისეული ცალის ბერძნული წარწერა და გ. შანშიევის ცალის ქართულ-რუსული აღწერილობა ხომ ამ წიგნს მიხაილ იშტვანოვიჩს აუთუნებს და არა გერმანე მონაზონს, ხოლო გერმანეს „სწავლანის“ ანდერძში მ. იშტვანოვიჩზე, როგორც მბეჭდავზე, არაფერია თქმული. დაბოლოს, რაც მთავარია გერმანე მონაზონის „სწავლანი“ (და მასში შენული „მამაო ჩვენო“, გვ. უბ) მხედრული შრიფტით არის დაბეჭდილი, მაშინ როდესაც ჯ. ჩემბერლენს 1715 წელს ამსტერდამში გამოცემულ თავის კრებულში ქართული „მამაო ჩვენო“ მ. ენემანისეული „პედაგოგიიდან“ ხუცური ასოებით გადაუბეჭდავს, ე. ი. ეს ორი წიგნი („სწავლანი“ და „პედაგოგია“) ორი სხვადასხვა ქართული შრიფტით — მხედრულით და ხუცურიით ყოფილა აწყობილი.

ამასვე გვიდასტურებს პროფესორი ნ. ორლოვსკაია, რომელსაც ხელთ ჰქონია ჩემბერლენისეული კრებულის ლენინგრადში დაცული ეგზემპლარი, სადაც „მამაო ჩვენო“ მართლაც ნუსხა ხუცურით არის დაბეჭდილი და ამის საფუძველზე გამოთქმული აქვს ვარაუდი „პედაგოგიის“ გამოცემის არსებობაზე (იხ. მისი, *Грузия в литературе Западной Европы XVII—XVIII веков*, Тб., 1965, стр. 248—250).

მაშასადამე, ირკვევა, რომ ვახტანგისეულ თბილისის სტამბაში 1711 წელს დაბეჭდილი ყოფილა მიხაილ იშტვანოვიჩის „პედაგოგია“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

მაგრამ არმოღწევა კიდევ არ ნიშნავს თავის დროის მის არასებობას (1711 წელს იგი ხელთ ჰქონია შვედ პროფესორს მიხეილ ენემანს, ხოლო 1883 წელს — ქართველ ბიბლიოგრაფს გ. შანშიევს). კ. კეკელიძისვე მოწოდებული ცნობის თანახმად, პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს 1886 წელს ხომ ჰქონია ვახტანგისეულ სტამბაში დაბეჭდილი „დაუჯდომელი“, რომელიც ჭეჭერობით არსად ჩანს, მაგრამ მის არსებობაში კ. კეკელიძეს ეჭვი არ შეუტანია, პირიქით, მ. ენემანის ნაქონი მეორე ქართული წიგნი „*Енѣхариѣრიѣ მითაჯისი*“ სწორედ ვახტანგისეულ სტამბაში დაბეჭდილი „დაუჯდომელის“ ბერძნულად თარგმნილ სათაურს უნდა ნიშნავდეს, რომელიც თავის დროს პროფ. ალ. ცაგარელს უნახავსო.

ასე რომ, ერაკ გრენის ნაშრომიდან და დევიდ ლანგის მიერ გადმოცემულ საარქივო მასალებიდან ჩვენ თვალწინ მე-18 ს-ის პირველ ათეულ წლებში საქართველო-შვეციის კულტურულ-ისტორიულ ურ-

აიერობათა არაერთი საინტერესო უცნობი ფურცელი იშლება: ჯერ ერთი, ჩვენთვის ცნობილი ვახდა კარლოს XII-ის დროინდელი შვედი აღმოსავლეთმცოდნე პროფესორი მიხ. ენემანი (1676—1714), რომელიც სტოკჰოლმში შესვენდრია იქ ტყვედ მყოფ ქართველ უფლისწულს ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონს, ხოლო მოგვიანებით კონსტანტინოპოლში ყოფნისას შეუგროვებია საინტერესო ცნობები საქართველოზე, ვახტანგ მეექვსეზე და თბილისის პირველ ქართულ ეროვნულ სტამბაზე. კერძოდ, ამ მიმართებით ყურადღებას იპყრობს იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთეს, ბერძენი პრესვიტერის თეოდორეს და უნგრო-ვლახელი მესტამბის მიხაილ იშტევანოვიჩის მოღვაწეობის უცნობი მხარეები, განსაკუთრებით კი, ვახტანგისეულ თბილისის სტამბაში 1711 წელს დაბეჭდილი ორი ქართული წიგნი — „პედაგოგია“ და „დაუჯდომელი“, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ ჩანს). ოლონდ ისინი ხელთ ჰქონიათ და მათი არსებობა თავის დროს დადასტურებული ჰქონიათ აგრეთვე ქართველ მკვლევარებს ალ. ცაგარელსა და გ. შანშიევს. ამას გარდა, საყურადღებოა ქართული კულტურის ისტორიისათვის დღემდე უცნობი კიდევ ერთი ფაქტი: ირკვევა, რომ 1715 წელს ამსტერდამში გამოცემულ ინგლისელი მეცნიერის ჯ. ჩემბერლენის კრებულში ხუცური ასოებით დაბეჭდილი ყოფილა „მამაო ჩვენოს“ ქართული ტექსტი.

სულ ახლახან კი სტოკჰოლმიდან, სამეფო ბიბლიოთეკის ხელშეწყობით, მივიღეთ საჯარო ბიბლიოთეკის მიერ ჩვენი თხოვნით შეკვეთილი მეორე შვედი მეცნიერის კარლ ბიორკბომის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობი ერთი ნაშრომი, საიდანაც, სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად, ცნობილი ვახდა, ქართულ-შვედური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ახალი ფაქტი: 1716 წელს, უპსალაში გამოცემულა შვედი პროფესორის ოლოვ რუდბეკის „ანიისა და ევროპის ენათა საგანძური“, რომელშიც ქართული ენის სიტყვიერი მარაგიც არის წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ ამ წიგნის ავტორი პროფესორი ოლოვ რუდბეკი სიმამრი იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი პროფესორ მიხეილ ენემანისა და შენაძლებელია, თავის ლექსიკონში შეტანილი ქართული სიტყვები მას სწორედ მიხეილ ენემანისეული ქართული წიგნებიდან ჰქონდეს ამოკრებილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პროფესორ მიხეილ ენემანის ბიბლიოთეკაში თავის დროს თბილისის ვახტანგი-



სველი ქართული სტამბის წიგნების არსებობას და სკანდინავიის ამ უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაში საქართველოსადმი, ქართული ენისა და კულტურისადმი ინტერესის ახალი ძალით გაღვივებას.



პროფესორ მიხეილ ენემანს კიდევ სხვა დამსახურებაც მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე: მას შვეციაში ჩაუტანია და ამით და-  
ლუპვას გადაურჩენია ძველი ქართული სასულიერო კულტურის ორი დიდად ცნობილი საზღვარგარეთული კერის — ათონის და სინას მთის ერთ-ერთი ძველი და ქართულ სამეცნიერო ლატერატურაში სრულიად უცნობი ბერძნულ-სლავური წარმოშობის გრავეურები, რომლებიც დღეს უპსალას ბიბლიოთეკაშია დაცული.

ათონის მთის გრავეურა 1707 წლით არის დათარიღებული. მასზე გამოსახულია წმიდა მთა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან, რაც ირკვევა ბერძნულ-სლავური წარწერებით. გრავეურაზე მოჩანს ზვიადი ათონის მონასტერი. საითყენაც ეგეოსის ზღვის ნაპირებიდან ულამაზესი კვიპაროსის ხეივანიანი გზა მიილაქნება. გრავეურაზე მოჩანს სხვა მონასტრებიც, მაგრამ მაინც ვერც ერთი მართლაც ვერ შეედრება მე-10 საუკუნის ქართველთ მონასტერს „რომლისა ჰაეროვნებაა და შეუნიერებაა უადრეს ქებისა აღმატებულ არს“, როგორც მოგვითხრობს ძველი ქართველი ავტორი და დასძენს, ათონის მთაზე „დაღაცათუ ფრიადნი იყვნენ მონასტერნი, გარნა მსგავსი მისი არა იპოებოდა, და არა ხოლო მთასა, არამედ სსუათაცა მრავალთა ადგილთა“.

არანაკლებ საინტერესოა სინას გრავეურა. რომელიც უფრო ძველია, და 1694 წლით თარიღდება. მის ქვემოთ მოთავსებულია ბერძნულ ენაზე შედგენილი გრავეურაზე გამოსახულ მონასტერთა კატალოგი. 29-ე ნომრით გრავეურაზე წარმოდგენილია წმიდა ეკატერინეს მონასტერი, რომელიც სინას მთის უმაღლეს წერტილზე მდებარეობს და სადაც ქართველები ჯერ კიდევ VI საუკუნიდან მოღვაწეობდნენ. როგორც საყოველთაოდ ცნობილია. აქ შექმნილი უძველესი ქართული ხელნაწერები, რომლებიც არაერთხელ არის აღწერილი ალ. ცაგარელის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ე. გარიტის მიერ, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტი ელ. მეტრეველის რედაქციით ამჟ-

მად სცემს სინური კოლექციის სრულ აღწერილობას, ჩვენს უძვირ-  
ფასეს ეროვნულ საუნჯეს შეადგენს.

დღეს, შვეციაში, უპსალას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და-  
ცული ენემანისეული ორივე ეს გრავიურა, რომლებიც ერიკ გრენის  
ნაშრომშია გამოქვეყნებული, შექველია. ამდიდრებს ჩვენს წარმოდ-  
გენას ქართული უძველესი კულტურის საზღვარგარეთული კერების  
ისტორიაზე...

პირთა საძიებელი

- ბა ვან დერ — 46, 48, 99, 127  
 აბრამიშვილი ა. — 6, 56, 78, 77  
 ავითაბილე პიეტრო — 12, 15  
 ათანასე (პატრიარქი) — 175  
 ალექსეევი ტ. — 81  
 ალტერი ფ. — 5  
 ამბროზიო — 10  
 აპაცია-ჩერი იანოშ — 19  
 აპრაქსინი თევდორე — 132  
 არჩილი (მეფე) — 5, 40, 43, 47, 56, 57  
 ანის მხხაი — 27
- ბაგრატიონი ალექსანდრე — 58, 8მ,  
 93, 94, 132, 133  
 ბაგრატიონი არჩილ — 15, 58, 87  
 ბაგრატიონი იოანე — 5, 57  
 ბაგრატიონი თეიმურაზ — 5  
 ბაგრატიონი დარეჯან არჩილის ასული —  
 93  
 ბაგრატიონი ქეთევან ჯავითის ასული —  
 93  
 ბარამიძე ალ. — 6, 44, 45, 55, 56,  
 80, 113, 150  
 ბატონიშვილი ლევან — 29  
 ბაქარ მეფე — 57  
 ბაქრაძე დ. — 5  
 ბახრუშინი ს. — 9, 127  
 ბეკეში ილონა — 98, 99  
 ბეკეში მაია — 8  
 ბელარმინო (კარდინალი) — 15  
 ბერნარდო (პატრი) — 15  
 ბერძენიშვილი ნ. — 6  
 ბერძენიშვილი ლ. — 136, 158, 173  
 ბენზელიუსა — 177, 178
- ბეტლენი გაბორ — 18  
 ბეტლენი მიკლოშ — 21, 26  
 ბიორცოში კ. — 15, 39, 41, 42, 87,  
 90, 91, 92, 93  
 ბირო მარგიტ — 8, 115, 140.  
 ბლაუ — 22, 134, 135  
 ბოლი პ. — 27, 54  
 ბოლხოვიტინოვი ე. — 5  
 ბორელემი ი. — 47  
 ბორილი ი. — 46, 126, 127  
 ბრაულო ა. — 46, 99, 127  
 ბრენერი ე. — 172  
 ბროსე მ. — 5, 44, 45, 48, 50, 99, 136  
 ბულიჩი ს. — 5
- ბაბორი ტ. — 157  
 გალანო კ. — 15  
 გარაყანიძე ზ. — 172  
 გარტი ე. — 183  
 გასტერა მ. — 5, 84, 85  
 გეზარდი ი. — 46, 48, 99, 127  
 გერიე ე. — 48, 127  
 გერმანე მლედელ-მონაზონი — 70, 160,  
 181  
 გეზაგა-სანაძე ლ. — 86  
 გეინიძე ო. — 54, 55, 80, 83, 84, 85,  
 86, 150, 175  
 გვრიტიშვილი დ. — 6, 80, 113, 150  
 გიორგაძე ბ. — 12  
 გიორგი III — 12  
 გიორგი XI — 28, 57  
 გირეპი ე. — 116, 142  
 გოგოლაძე ე. — 78  
 გოლოვინი ნ. გ. — 55

- გოლოვინი თ. ა. — 54, 56, 94  
 გოლოვინი გ. — 132  
 გოლოვინი მ. — 132  
 გორდუზიანი ბ. — 6  
 გრენი ე. — 5, 67, 78, 173, 176, 184  
 გუგუშვილი პ. — 6  
 გულტი ნიკოლოზ ვან-დერ — 132  
 გურიელი ს. — 12  
 გუტენბერგი ი. — 5, 147
- დადიანი ლევან II** — 12, 15  
 დანი რ. — 6, 89, 92, 110, 140, 145, 147  
 დავითი (წინასწარმეტყველი) — 137  
 დემოსთენე — 137  
 დევი ლ. — 5, 44,, 45, 99, 102, 148  
 დეში მ. — 20  
 დილაუი ფ. — 27  
 დიმიტროვი პ. — 81  
 დოდაშვილი ს. — 5, 56  
 დოღორუკოვი ი. — 132  
 დოსითეოსი (პატრიარქი) — 29, 33, 175  
 დუბროვინი — 5
- მნემანი მ. — 69, 70, 76  
 ენიბეგანთ ზ. — 16  
 ერევანცი ო. — 42  
 ერეკლე I — 44, 47, 139  
 ეფრემოვი მ. — 81, 82, 95, 96, 150
- მათეიშვილი ჯ.** — 6, 32, 46, 47, 83  
 ვანანდუცი მ. — 42  
 ვანანაძე მ. — 173  
 ვახტანგ VI — 5, 55, 84, 146, 147  
 ვილსები ნ. — 43, 45  
 ვიტცენი ნ. 43, 44, 45, 46, 47  
 ვლარი ბარონი — 48, 87
- მეიმურაზ I** — 10  
 თეოდორე — 75  
 თეოდორე ალექსის ძე — 29  
 თამარაშვილი მ. — 6, 9  
 თამარ მეფე — 10, 13
- იაკობოვსკი კ. — 34, 46, 58, 65, 128, 129, 157  
 იაკო ე. — 98, 105, 148  
 იანსონი ი. — 21  
 ივერიელი ანთიმოზ — 32, 55, 79, 84, 85, 86, 176  
 ინოკენტი X I (პაპი) — 25  
 იოანე ალექსის ძე — 48  
 იოსელიანი პლ. — 5  
 იშტვანოვიჩი მარტონ — 8, 115, 140, 180  
 იშტვანოვიჩი მიხაი — 110, 112 118, 150, 178
- მაიზერი ჰენრიკ — 91, 92, 131, 140, 146, 149  
 კავილაძე რ. — 68  
 იონესკუ დ. — 56  
 კალფი კ. 131  
 კარაფა ჯ. — 14  
 კარბელაშვილი პ. — 5  
 კარიქაშვილი დ. — 6, 56, 84  
 კარლოს XII — 174  
 კარმელიტელი ივანე-თადეოზი — 11  
 კასარაძე ო. — 80, 83, 86, 95, 96, 113, 149, 150  
 კასტელი კრისტეფორე — 10, 14  
 კეკელიძე კ. — 6, 68, 89, 90, 96, 126, 179, 180, 18.
- კელერი ი. ვ. — 46, 48, 58, 87  
 კემენი ი. — 18  
 კერესტური პ. — 19  
 კვასხვაძე შ. — 6, 73, 84  
 კირილე (პატრიარქი) — 177  
 კიში მ. — 7, 17, 39, 40, 41, 43, 52, 57, 58
- კლარი გარონ — 44, 117  
 კლანიცაი ტ. — 97  
 კომენსკი ი. — 20  
 კოპერნიკი — 20  
 კოპიევსკი ი. — 134, 135, 139  
 კორლიტო გაეტანო — 14  
 კოშუტი ლ. — 27

კოცევიძე ი. — 20  
კნერი ი. — 97, 100, 104  
კუპერი გ. — 87  
კურაყინი ზ. — 132  
ქუჩაძე-გვამელი შ. — 6, 31, 51, 64,  
175

ლაიბნიცი — 33, 46, 48  
ლაშვერი ა. — 14  
ლანგი დ. — 74, 75, 173  
ლაციנסკი ა. — 131  
ლენინი გ. — 6, 32, 84, 176  
ლიდენი ი. — 177  
ლინკმანი — 62, 91, 92, 169  
ლოკარტი ლ. — 75, 180  
ლორთქიფანიძე გ. — 78  
ლორთქიფანიძე ე. — 81  
ლუპოვი ს. — 96

შალაქია აფხაზეთის კათალიკოსი — 15  
მარი ნ. — 183  
მატეო ავაქი — (მათეოს ძარეცი) — 42  
მატევევი ა. — 132  
მატიაში (მეფე) — 21  
შალაქი ს. — 113, 151  
მაჰაყარიანი თ. — 6  
მაჰო ფრანჩესკო — 15  
მეკელიანი რ. — 5  
მენაბდე ლ. — 78  
მეგრმანი — 132  
მესხია შ. — 6  
მეტრეველი ელ. — 183  
მიულერი — 46, 99, 127  
მიუტენსი მარტინ — 172  
მოლინი ვ. — 5, 54, 79, 83, 113, 148,  
150

მოჰმა პ. — 91, 92  
მუთაფარიკა ი. — 51, 174

ნადიბაიძე ნ. — 89  
ნაკაშიძე თ. — 6  
ნარიშკინი ა. — 132  
ნეიგეზაუერი — 84, 85, 174

ნენეტი ა. — 98, 99  
ნონატე გ. — 86  
ნოზმენი იან — 131

ოზლოვსკია ნ. — 181  
ორსაგი ლ. — 89, 100, 157  
ორსინი გრიგოლ — 11  
პაილო ი. — 29  
პაიპაძე ვ. — 55, 78, 128  
პეტრო დედოფალი — 11  
პალმუელი ე. — 61, 65, 88, 166  
პარნი ფრენც პაპი — 20, 23, 54  
პატრი გვილელმო ავეუსტინელი — 11  
პეტრე I — 34, 46, 48, 81, 95, 131,  
132, 133, 135

პეკარსკი პ. — 46, 46., 127, 124  
პეტროვი ი. — 81  
პეტროლი — 134, 135  
პიკო ე. — 5, 84  
პლიუსარი ა. — 56  
პლოენი — 55, 56  
პოლოცი ს. — 89  
პრატო ქ. — 14

შეგომონდი ი. 17  
ჟორდანიას თ. — 5

რაკოცი დიერდ I — 18  
რაქველიშვილი ქრ. — 6  
რუბევი ლ. — 166, 167, 175, 182  
რუზიჩკა დიულა — 27  
რუსთაველი შ. — 5, 114, 146, 147, 151  
რუსედანი (მეფე) — 10

სააკაძე გ. — 12  
საველევი დ. — 81  
საენსკი ი. — 5  
სალაძე მ. — 96  
სალტიკოვი — 132  
სილვესტრ დე სასი — 5  
სეკეი ა. — 102, 157  
სელოსი ვან — 92, 170  
სიი პ. — 148

- სიხარულიძე ფ. — 6, 38, 39, 81, 92,  
93, 95, 96, 172
- სოლოლაშვილი ბ. — 172
- სოპიკოვი ვ. — 5
- სოლომონი — 137
- სხელტემა ი. — 48, 131, 133, 135, 138,  
139
- სუშკოვი ი. — 55
- სტეფანი ჯაკობი — 12
- ბარდი ლ. — 5, 7, 47, 52, 53, 83, 141
- ბატიშვილი ვლ. — 47, 50, 138, 139
- ბელეგდი შამუელ — 52, 53, 54
- ბელეკი — 18, 24, 26
- ბეკელი იმრე — 18
- ბესნიანი იან — 133, 134
- ტიბორი კ. — 97
- ტივაძე თ. — 30, 175
- ტიმოთე (ბერი) — 31, 33
- ტონაი გ. — 5, 8, 26, 52, 53, 97, 98,  
103, 148
- ტორდაი ზადორ — 97, 98, 104
- ტოფუხსი — 21, 23
- უნაქოშვილი მ. — 165, 173
- ურბან VIII — 12
- შაინცელი-დომინიკელი პავლე-მარია —  
11
- ფაულმანი კ. — 5, 56
- ფილინჯერი ს. — 14
- ფიცვი ი. — 102
- ფლორინო მ. — 14
- ჭაჭაია ლ. — 8
- ქეთევან დედოფალი — 10
- შანიძე ა. — 6, 84
- შანშიევი გ. — 70, 180, 181
- შარაშიძე ქრ. — 6, 38, 39,, 40, 45, 56
- შარაძე გ. — 7, 47, 111, 127
- შერემეტევი — 132
- შიოშვილი ბეჟან — 172
- შპარვენფელდი იოჰან გაბრიელ — 33,  
47, 52, 58, 101, 135, 148
- შუტი ო. — 42, 103
- შუხართი ჰ. — 5.
- ჩემბერლენი ჯ. — 178, 181
- ჩერნატონი პალ — 19
- ჩითაღინელი ა. — 11
- ჩიქოვანი ნ. — 98, 100
- ჩოლოყაშვილი ნ. — (ნიკიფორე ირ-  
ბახი) — 12
- ცაგარელი ალ. — 5, 71, 77, 179, 180,  
181, 183
- წერეთელი გრ. — 34, 39, 157
- წიბა თინათინ — 11
- პიკინაძე ზ. — 15
- ხახანაშვილი ალ. — 5, 84,, 96
- ხრისანთესი (ხრისანთე) პატრიარქი —  
76, 175, 177, 182
- ხუნდაძე ფ. — 63
- ხუციშვილი გ. — 103
- ჯავახიშვილი ივ. — 183
- ჯარდინა ანტონიო — 14
- ჯუდიჩე ჯუზეპე — 14
- ჰაიმანი დ. — 5, 7, 8, 42, 53, 74, 103,  
148

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი . . . . .	5
თ ა ე ი I. ქართული ეროვნული სტამბის სათავეებთან . . . . .	9
თ ა ე ი II. ვინ იყო მიკლოშ კიში ტოტფალუში? . . . . .	17
თ ა ე ი III. რა ვიცილით აქამდე ამსტერდამში დამზადებული ქართული შრიფტის შესახებ? . . . . .	28
თ ა ე ი IV. მიკლოშ კიშის ქართულ შრიფტთა ამსტერდამული ანაბეჭდი და მისი მნიშვნელობა ქართული სტამბის ისტორიისათვის . . . . .	106
დასკვნა . . . . .	146
Миклош Киш Тотфалуши и грузинская типография (резюме) . . . . .	147
Misztótfalusi Kis Miklós és a gruz tipografia . . . . .	152
დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი:	
1. მიკლოშ კიშის წერილები იოჰან გაბრიელ შპარვენფელდისადმი . . . . .	157
2. კარლ ბიორკბომი, 1705 წელს სტოკჰოლმში დაბეჭდილი ქართული საცდელი ანაბეჭდის გამო . . . . .	165
3. „პრინც მელიტე“, შვედი მოგზაური და ვახტანგ მეექვსე . . . . .	171
პირთა საძიებელი . . . . .	185

გამომცემლობის რედაქტორი ქ. თავართქილაძე  
მხატვარი ო. გორალევიჩი  
მხატვრული რედაქტორი ქ. ტუხაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი  
კორექტორი ე. ჟვანია  
გამომშვები ნ. მანაგაძე

სბ. 2596

გადაეცა წარმოებას 19.V.82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII—82  
საბეჭდი ქალაქი № 1 60×84<sup>1/16</sup> პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,7. + ჩაკვრა 0,47.  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 9,93. პირ. საღ. გატ. 11.05; უე 12886  
ტირაჟი 2000. შეკვ. № 838

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.



თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის კროსპექტი, 1.  
Тип. Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И Чавчавадзе 1.